

თავი იე

სიტყუად ესე: „და ვითარცა იხილა ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი. და მოუჭდეს მას მოწაფენი. და აღალო პირი თვისი, ასწავებდა მათ და ეტყოდა“ (5,1-2).

თარგმანი: რომელი-იგი გარდამოჭდა ზეცით ცხორებისათვის ჩუენისა, უფალი იესუ ქრისტე, დამბადებელი და მეუფე ყოველთაჲ, ყოველივე ნესი და რჩული სათნოებისაჲ აღასრულა საქმით, რაჲთა ჩუენ მოგუცეს სახე და მოძღურებაჲ საღმრთოჲსა მოქალაქობისაჲ. იხილეთ უკუე აქაცა ნესი ესე და სახე სიმდაბლისაჲ და ამბოხებათაგან სივლტოლად, რამეთუ ოდეს-იგი სასწაულთა და კურნებათა აღსრულებად ჯერ-იყო, მიმოვიდოდა ქალაქითი ქალაქად და სოფლითი სოფლად; ხოლო იხილა რაჲ შეკრებაჲ ფრიადისა ერისაჲ, დაუტევენა იგინი და აღვიდა მთად, რაჲთა გუასწავოს ჩუენ არარაჲსა ქმნად სახილველად და საქებელად კაცთა და სახე მოგუცეს შფოთთა და ამბოხებათაგან სივლტოლად და ვითარმედ კეთილ არს და ჯეროვან უდაბნოდ განსლვად.

ხოლო აღვიდა რაჲ მთასა და დაჯდა, მოუჭდეს მას მოწაფენი, რამეთუ იხილეს გემოდ სიტკბოებისა მისისაჲ და არლარა ენება განშორებაჲ მისგან. ამისთვის მოუჭდეს სურვიელნი სმენად სანადელთა მათ სიტყუათა მისთა, რომლისათვის იწყოს სწავლად უფალმან, რამეთუ არა ჯორციელთა ხოლო სენთა ჰკურნებდა, არამედ სულთაცა განანათლებდა და გზასა მას ჭემმარიტებისასა უძლოდა მათ, რაჲთა ვითარცა უფალი არს და შემოქმედი ორთავე მათ არსებათა, სულისა და ჯორცთა, ეგრეთვე ორთავე უძღურებაჲ განკურნოს და ქველისმოქმედებაჲ თვისი აჩუენოს. ამისთვისცა ოდესმე სასწაულთა და კურნებათა მიერ ჯორციელთა სენთა განსდევნიდა კაცთაგან და ოდესმე მოძღურებითა და სწავლითა ვნებათა მნიკულებანებისაგან სულთა წმიდა-ჰყოფდა, ვითარცა ესერა ანცა იქმს, რამეთუ „აღალო პირი თვისი და ასწავებდა მათ“.

რადსათვის თქუა მახარებელმან, ვითარმედ: „აღალო პირი თვისი“? რაჲთა გულისწმა-ვყოთ, ვითარმედ დუმილიცა მისი სწავლაჲვე იყო, რამეთუ ოდესმე აღალებდა პირსა და აღმოიტყოდა სწავლათა და ოდესმე დუმნა და საქმეთა მიერ წმამალალსა მოძღურებასა წარმოიტყოდა. ხოლო გესმას რაჲ, ვითარმედ: „აღალო პირი თვისი და ასწავებდა მათ“, ნუ ჰგონებ, თუ მოწაფეთა მიმართ ხოლო იყო სწავლაჲ იგი, არამედ მათ მიერ ყოველთა მიმართ იტყოდა, რამეთუ სიმრავლე იგი ერისაჲ უგულისწმო იყო და უსწავლელ. ამისთვის მოწაფენი წარმოადგინნა, რაჲთა იტყოდის მათდა მიმართ, და სიტყუად იგი იყოს ყოველთათვის და ყოველთა მიმართ, რამეთუ ერიცა იგი უმჭურვალესად ისმენდა მოწაფეთა მიმართ თქუმულსა მოძღურებასა, ვიდრელა უკუეთუმცა მათ მიმართ ეყო სიტყუად იგი სწავლისაჲ.

ვიხილოთ უკუე, ვინაჲ ინყო ანუ რომელი საფუძველი დაგკდება ახლისა მის მოქალაქობისაჲ, და გულისწმის-ყოფით ყურად-ვიხუნეთ სიტყუანი იგი, რამეთუ ეტყოდა უფალი მაშინ მუნ მყოფთა მათ, ხოლო მოძღურებად იგი და მცნებანი ჩუენ ზედაცა დასხმულ არიან, ვითარცა შემდგომად აღდგომისა, ნარავლენდა რად მოციქულებად, უბრძანა მათ: „ნარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა; და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რავდენი გამცენ თქუენ“.¹ რამეთუ შემდგომიცა ამისი სიტყუად, ვითარმედ: „აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“,² არა მათდა მიმართ ხოლო იყო, არამედ მათ მიერ ყოველთა მორწმუნეთა მიმართ; და ოდეს ჰნატრიდეს მათ დევნულებათათჳს და ყუედრებათა, არა მათ ოდენ ეტყჳს, არამედ ყოველთა, რომელნი სახელისა მისისათჳს იდევნებიან და იტანჯებიან. ეგრეთვე მცნებანი ესე და მოძღურებანი, რომელნი მათ უბრძანა, ჩუენ ყოველთა მომართ არიან, რამეთუ ყოველსავე კაცთა ბუნებასა ასწავლიდა, ვითარცა-იგი ყოველისა მის კაცობრივისა ბუნებისა ჰნებაჲს ცხორებაჲ. ამისთჳს გულსმოდგინედ და გულისწმის-ყოფით ვისმინნეთ საკვრველნი იგი სიტყუანი და სულთა განმანათლებლნი მცნებანი, ვისმინნეთ, მორწმუნენო, და აღსრულებად ვისწრაფოთ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ“ (5,3).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვინ არიან გლახაკნი სულითა? მდაბალნი და შემუსრვილნი გონებითა, რამეთუ სულად აქა შინაგანსა მას გონებასა და ნებასა სულისასა სახელ-სდვა. ვინაჲთგან მრავალნი არიან მდაბალნი, გარნა არა გონებითა, არცა ნეფსით, არამედ იძულებით, საქმეთაგან მონევენულთა მათ ზედა, დაუტევნა იგინი, რამეთუ არა სათნოებაჲ არს ესე, უკუეთუ ვინ იძულებით, წესისაგან საქმეთაჲსა, გარეშტთა მით კაცითა მდაბალ იყოს და შინაგანითა ზუაჲ და მდრტუნავ; არა ღირს-ყვნა იგინი ნეტარებასა, არამედ რომელნი ნეფსით თჳსით ყოველითა გონებითა მდაბალ და შემუსრვილ არიან, მათ ჰნატრის ყოველისა პირველად.

ხოლო რად არა თქუა: ნეტარ იყვნენ მდაბალნი, არამედ: „ნეტარ იყვნენო გლახაკნი სულითა“? რამეთუ უმეტესსა სიმდაბლესა მოასწავებს ესე სიტყუად და მათ გამოაჩინებს, რომელნი სრულიად შემუსრვილ არიან სულითა, ვითარცა გლახაკნი რადმე და უნდონი, უჭმარნი და შეურაცხნი, და აქუს თავი თჳსი სრულიად დაგლახაკებულ ყოველისაგანვე სულიერისა საქმისა, ცარიელ და უღონო; და ვითარცა გლახაკნი და უნდონი ძრწიან მდიდართა და ძლიერთაგან და ვერ იკადრებენ სამეუფოთა ბრძანებათა

¹ მათ. 28,19-20.

² მათ. 28,20.

გარდასლვად, ესრეთ ეშინის ამათ და ძრწიან მცნებათაგან უფლისათა, რომელთათჳს ესაიადსცა წინაწარმეტყუელისა მიერ იტყჳს ღმერთი: „ვის ზედა მივხედნე, გარნა მშჳდსა და მყუდროსა და რომელი ძრწის სიტყუათაგან ჩემთა“.¹ რამეთუ მრავალნი არიან სიმდაბლისა სახენი: ჴსენებაჲ ცოდვათაჲ, ჴსენებაჲ სამოთხით გამორდომისა ჩუენისაჲ, ჴსენებაჲ უნდოებისა კაცობრივისა ამის ცხორებისაჲ, ბრალობაჲ თავისა თჳსისაჲ – ესევეთარნი მრავალნი სახენი არიან სიმდაბლისანი; არამედ ან სრულსა საზომსა სიმდაბლისასა ჰნატრის, რომელი-იგი გამოუთარგმანებელ არს სიტყჳთა, რამეთუ წესი არს სულისა შემუსრვილისა და დამდაბლებულისაჲ, რომელი არა სიმრავლისაგან ცოდვათაჲსა იქმნების (რამეთუ იგი არა სრული სიმდაბლე არს), არამედ სიმრავლესა შინა სათნოებათასა გულისაგან წმიდისა და ღმრთისმოყუარისა იშვების, ვითარცა დავით იტყჳს: „მსხუერპლ ღმრთისა არს სული მდაბალი, გული წმიდაჲ და სული მდაბალი ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“.²

ესრეთ იყვნეს სამნი იგი ყრმანი, რომელნი სიმდიდრესა მას შინა ესოდენტო სათნოებათასა მდაბალ იყვნეს და გლახაკ სულითა, შემუსრვილ და შეძრწუნებულ. ამისთჳსცა სხუასა არარას უჩუენებდეს შესანიწავად და მსხუერპლად ღმრთისა, გარნა ესევეთარსა მას გონებასა, და იტყოდეს: „არამედ თავითა დამდაბლებულითა და სულითა გლახაკებისაჲთა შე-მცანირულ ვართ ჩუენ“.³ ესენი იყვნეს ჭეშმარიტად გლახაკ სულითა, რომელ არს სრულისა მის სიმდაბლისა საზომი. ამას ესევეთარსა საზომსა სიმდაბლისასა ჰნატრის უფალი და იტყჳს: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა“. რამეთუ ვინაჲთგან დიდნი იგი ბოროტნი და წარმწყმედელნი სოფლისანი ანპარტავანებისაგან მოინინეს, ეშმაკი ანგელოზთა თანა იყო და ეშმაკ იქმნა, ვითარცა იტყჳს მოციქული და განაკრძალებს, „არა ახალნერგო, რაჲთა არა განლაღნეს და სარჩელსა შევარდეს ეშმაკისასა“,⁴ რომელ არს ანპარტავანებაჲ; ეგრეთვე პირველი იგი კაცი ვნებითა მით ანპარტავნებისაჲთა მოიკიცხა ეშმაკისაგან და უკუდავებაჲ წარწყმიდა და სამოთხისა მისგან საშუებლისა ექსორია იქმნა, რამეთუ ენება ღმერთ-ყოფაჲ, ვითარცა მზაკუვარმან მან აღუთქუა, და რომელი აქუნდა, იგიცა წარწყმიდა; და მიერიტგან ათასეულნი იგი და ბევრეულნი ბოროტნი აღმოეცენნეს ძირისა მისგან ბოროტისა და ღუარძლისა მისგან, რომელი დასთესა ჩუენ შორის ეშმაკმან.

ვინაჲთგან უკუე ვნებაჲ იგი ანპარტავანებისაჲ იყო დედაქალაქი ყოველთა ბოროტთაჲ, წყაროდ და ძირი ყოველისა უკეთურებისაჲ, ამისთჳს სენისა მის შემსგავსებულსა წამალსა ძლიერსა შეჰმზადებს უფალი და, ვითარცა მტკიცესა რასმე შეურყეველსა საფუძველსა, სიმდაბლესა დასდებს ყოველისა პირველად და დანყებასავე საღმრთოჲსა მის მოძღურებისასა ამას

¹ ესაია 66,2.

² ფსალმ. 50,19.

³ დან. 3,39.

⁴ 1 ტიმ. 3,6.

შემოიღებს კაცთა შორის. რამეთუ უკუეთუ ვის ენებოს აღშენებად სათნოებათა და სიმდაბლე დადვას საფუძველად ბრძანებისაებრ უფლისა, უცთომელ იყოს ყოველივე შენებად მისი; უკუეთუ კულა კეთილი იგი და მყარი საფუძველი არა აქუნდეს, დაღაცათუ ცადმდე აღინიოს გოდოლი იგი სათნოებათა და მოღუანებათა მისთაჲ, ყოველივე ადვილად დაირღუევის, და სანყალობელ და ცარიელ იქმნების მოქმედი იგი ყოვლისა მისგან შრომისა. გინა თუ მარხვად სთქუა, გინა თუ ლოცვად, გინა თუ მონყალებად, გინა თუ ქაღნულებად, ანუ თუ სხუად ყოველივე სახე სათნოებისაჲ, თვნიერ სიმდაბლისა უჭმარ არს და ამაოდ წარწყმდების, ვითარცა-იგი ფარისეველსა მას შეემთხვა: ვინაჲთგან დედაჲ იგი ყოველთა სათნოებათაჲ არა აქუნდა, ყოვლისაგანვე ცარიელი განვიდა. რამეთუ ვითარცა ანპარტავანებაჲ ყოვლისა ბოროტისა დასაბამი არს და ძირი, ეგრეთვე სიმდაბლე დედაჲ არს ყოვლისა სათნოებისა და წყაროდ ყოვლისა სიბრძნისაჲ.

ამისთვისცა ჰნებაჲს უფალსა ძირითურთ აღმოფხურად ანპარტავანებისაჲ, რომელი-იგი დაჰწერგა ეშმაკმან კაცთა შორის, და დაწერგვად სიმდაბლისაჲ, რომელსაცა დაწყებად და დასაბამად ნეტარებათა ჰყოფს და გვბრძანებს ბაძვად თავადისა მის, რომელი ნეფსით დაგლახაკნა ჩუენთვის, რომელი-იგი მხოლოდ არს ჭეშმარიტად ნეტარი, ხოლო ჩუენდა ნეტარებისა ზიარებაჲ ბაძვითა მისითა იქმნების. ვითარ უკუე უძლოთ ჩუენ უბადრუკთა ამით და მოკუდავთა ბაძვად მისა? გარნა ამით სახითა – გლახაკობითა სულისაჲთა, რომელ არს ნეფსითი და ჭეშმარიტი სიმდაბლე, რომლისათჲს თქუა უფალმან: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ“. რამეთუ ესე ვითარისა მის სიმდაბლისა სახედ მოციქული დაგლახაკებასა მას მეუფისასა გვჩუენებს და იტყჳს, ვითარმედ: იცით მადლი იგი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რამეთუ ჩუენთვის დამდაბლდა მდიდარი იგი, რაჲთა ჩუენ მისითა მით სიგლახაკითა განვმდიდრდეთ; და კუალად გუანუევეს ჩუენ მოციქული ბაძვად სიმდაბლესა მისსა და იტყჳს: „ესე ზრახვად იზრახებოდენ თქუენ შორის, რომელიცა-იგი ქრისტე იესუს მიერ. რომელი-იგი ხატი ღმრთისაჲ იყო, არა ნატაცებად შეირაცხა თავი თჳსი სწორებად ღმრთისა, არამედ თავი თჳსი დაიმცირა და ხატი მონებისაჲ შთაიცუა“.¹

რაჲმცა იყო უმეტეს ამის სიგლახაკისა, რომელ ღმერთმან კაცებად შეიმოსა? რაჲ უმდაბლეს არს ამისა, რომელ მეუფე ყოველთაჲ ზიარებად ბუნებისა ჩუენისა გარდამოჴდა? მეუფემან მეუფეთამან და უფალმან მან უფლებათამან გლახაკი ესე ბუნებაჲ ჩუენი მიიღო, დამბადებელი ყოველთაჲ მოხარკეთა თანა მინისაგანისა მის მეფისათა აღინერებოდა, რომელსა ყოველნი დაბადებულნი წამის-ყოფით უპყრიან, ქუაზსა შინა იშვა და ბაგასა პირუტყუთასა მიიწვინა, რამეთუ არა იყო ადგილი სავანესა მას.

¹ ფილიპ. 2,5-7.

მდიდარი იგი წყალობითა, რომლისა წინაშე ბევრისბევრეულნი ანგელოზთა მწედრობანი შიშით ზარგანჭდილნი დგანან, ყოველსავე სიგლახაკესა ჩუენსა შევიდა, ვიდრელა სიკუდილისაცა გემოდ იხილა. ჰხედავა ნეფსითისა მის სიგლახაკისა საზომსა? ცხოვლმყოფელი ყოველთა და ყოველთა ცხოვრებისა უფალი განჩინებასა მას მოკუდავისა მთავრისასა დაემორჩილა, მეუფე უზეშთაესთა მათ ძალთა და ზესკნელთა და ქუესკნელთა უფალი ჴელთა მტარვალთასა მიეცა და ჯუარსა დამოეკიდა, რომელმან „დაჰკიდა ქუეყანად წყალთა ზედა და ცანი, ვითარცა კამარანი, გარდაართხნა“,¹ სიკუდილი დაითმინა, რომლისა ჴელთა არს ყოველი სული, საფლავსა დაიდვა შემმუსრველი ჯოჯოხეთისადა. ამისთვის თქუა მოციქულმან, ვითარმედ: „ესე ზრახვად იზრახებოდენ თქუენ შორის“, ესე იგი არს, ვითარმედ: ესევეთარი ესე საზომი სიმდაბლისადა გაქუნდინ სახედ, რომელიცა საქმით აღასრულა უფალმან და სიტყუთცა გვბრძანა და დასაბამ ყოვლისავე მოძღურებისა ყო იგი, რადთა პირველითგანვე დაჰწერგოს გულსა შინა მონაფეთასა, რადთა ოდეს იწყონ სასწაულთა მათ დიდებულთა და ნიშთა მათ საკვრველთა აღსრულებად და სახელისათვის უფლისა ბევრეული ტანჯვად შეემთხუეოდის, არა აღზუავენენ ყოვლადვე, არამედ აქუნდენ თავნი თვისნი მდაბალ და გლახაკ სულითა. ხოლო არა სახითა სწავლისადათა შემოილო სიტყუად იგი, არამედ სახითა ნეტარებისადათა, რადთა უფროსად საწადელ იყოს; არცა ერთისა ანუ ორისა პირისა მიმართ ყო სიტყუად თვისი, არამედ ყოველთა ჰნატრის მოქმედთა ამის სათნოებისათა.

ან უკუე გინა მონად იყო შენ, გინა თუ გლახაკი და დავრდომილი, გინა თუ უცხო და შეურაცხი, გინა თუ უმეცარი და უსწავლელი, არარად იყოს დამაყენებელ შენდა ნეტარებისაგან, უკუეთუ ესე ხოლო სათნოებად წარჰმართო, რამეთუ მშობელი არს ყოველთა კეთილთადა. ესე არიან გლახაკნი სულითა – ჭეშმარიტნი იგი მდაბალნი.

ხოლო მეორესა მასცა სახესა გლახაკობისასა ნუ შეურაცხ-ჰყოფ, ძმაო, რომელი-იგი მომატყუებელ გექმნების ზეცისა სიმდიდრესა, რომლისათვის იტყვს უფალი: „განყიდე მონაგები შენი და მიეცე გლახაკთა და მოვედ, შემომიდეგ მე; და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა“;² რამეთუ ვჰგონებ, თუ ესევეთარიცა ესე სიგლახაკე არა განყოფილ არს მისგან, რომლისათვის თქუა უფალმან: „ნეტარ იყვენენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათადა“. ვითარცა-იგი ჰრქუა რად უფალსა მონაფემან მან, ვითარმედ: „ესერა ჩუენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდეგით შენ; რად-მე იყოს ჩუენდა?“³ უწყით, ვითარ აღუთქუა მან ასი წილი და სასუფეველი ცათადა, რომელსა ღირსმცა ვართ მიმთხუევად.

ესრეთ კეთილი რად და ჯეროვანი ყო დასაბამი მოძღურებისადა და პირველი იგი თავი ნეტარებათადა მიუთხრა, მეყსეულად შემდგომი ამისი მეო-

¹ შდრ. ფსალმ. 135,6; 103,2.

² მათ. 19,21.

³ მათ. 19,27.

რე ავსენა და შემოიღო მცნებად, წინააღმდეგომი გონებისა სოფლისმოყუარეთადასა. რამეთუ ყოველნივე კაცნი სოფლისანი საშურველ და სანატრელ ჰგონებდეს სიხარულსა და განცხრომასა შინა მყოფთა, ხოლო მწუხარებასა და გლოასა და სიგლახაკესა შინა მყოფნი სანყალობელად შეერაცხნეს. არამედ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან ესენი უფროესად ღირს-ყვნა ნეტარებასა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ნეტარ არიან მგლოარენი, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იყვნენ“ (5,4).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინაფთვან მცნებანი ესე წინააღმდეგომ იყვნეს ნებასა და ჩუეულებასა კაცთასა, ამისთვის, ეგულებოდა რად უფალსა მოცემად მათი, მრავალნი სასწაულნი და კურნებანი აჩუენნა, რადთა სარწმუნო იყოს რჩულის-დებად იგი. ხოლო რომელთა მგლოარეთათვს იტყვს? გარნა რომელნი-იგი ცოდვათა თვსთათვს იგლოვდენ, რამეთუ მეორე იგი გლოად, რომელი იქმნებოდის სოფლიოდა რადსმე და წარმავალისა საქმისათვს, ფრიად დაყენებულ არს და არა ბრძანებულ, ვითარცა პავლე მოციქული იტყვს, ვითარმედ: „სოფლისა ამის მწუხარებად სიკუდილსა შეიქმს, ხოლო საღმრთოდ იგი მწუხარებად სინანულსა ცხორებისასა შეუნანებელსა შეიქმს“.¹ ამათ ესევითართა მგლოარეთა ჰნატრის უფალი, რამეთუ კეთილ არს ესეცა მცნებად და ყოვლისავე სიბრძნისა მასწავლელ, რამეთუ უკუეთუ რომელნი იგლოვდიან სიკუდილისათვს შვილისა საყუარელისა, ანუ ძმისა, ანუ სხვსა ვისმე საყუარელისა თვსისა, ჟამსა მას გლოდასა არცა გულისთქუამდ ჯორცთად ჰმძლავრობს, არცა სიყუარული საფასეთად, არცა დიდებისათვს სოფლისადათა სწადის, არცა შურითა მოყუისისადათა შეიწუებიან, არცა სხუათა მათ ვნებათაგან წარიტყუენვიან ჟამსა მას ჭირისა და საღმობისა მათისასა, რავდენ უფროესად, რომელნი იგლოვდენ ცოდვათა თვსთა, ვითარ-იგი ჯერ-არს და ვითარცა შეჰგავს გლოად, ყოვლისაგანვე ვნებათა მძლავრებისა და ტყუეობისა განერნენ.

ხოლო იხილე, სასყიდელიცა მათი ვითარი არს: იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენო. სადა ნუგეშინისცემულ იქმნენ, გუაუნყე, უფალო! – აქაცა და მასცა საუკუნესაო, რამეთუ ვინაფთვან მძიმე იყო მცნებად ესე და საჭირო, რამეთუ სანადელ არს კაცთა შუებად და სიხარული, ხოლო საჭირო არს გლოად და საწყინო, ამისთვის ესევითარი იგი სასყიდელი აღუთქუა მგლოვარეთა, რადთა აღუსუბუქოს სიმძიმე იგი, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: რომელსაცა სურის სამარადისოდა მის ნუგეშინის-ცემისა პოვნად, იგლოვდინ და ნუ უტვხო გიჩნს სიტყუად ესე. რამეთუ ოდეს ღმერთი იყოს ნუგეშინისმცემელი, დაღაცათუ ბევრეულნი მწუხარებათა სიმრავლენი მოიწინენ, უზეშთაეს მათ ყოველთასა იქმნე შენ; რამეთუ მარადის ღმრთისა მიერ მო-

¹ 2 კორ. 7,10.

ცემულნი მოსაგებელნი ფრიად უმეტეს და უზეშთაეს შრომათა ჩუენთასა არიან, ვითარცა-ესე ან სანატრელად გამოაჩინებს მგლოარეთა და ნუგეშინის-ცემასა მას სამარადისოსა ღირს-ჰყოფს არა თუ წესითა მით ბუნე-ბითითა, არამედ უზეშთაეს ბუნებისა, რომელ-იგი არა ღირსებისაებრ საქ-მისა მის იქმნების, არამედ მისისა მის კაცთმოყუარებისათჳს, რამეთუ კმა იყო მათთჳს, რომელნი ცოდვათა თჳსთა იგლოვენ, შენდობისა ჰოვნად და სატანჯველთაგან განრომად. ხოლო გარდამატებულისა მის სახიერებისა მისისათჳს არა სატანჯველთაგან ხოლო იწსნის, არცა შენდობასა ხოლო ცოდვათასა ჰყოფს მისაგებელად, არამედ ნეტარებასა მას სანადელსა მია-ნიჭებს და ნუგეშინის-ცემასა მას მისმიერსა დაუმკვდრებს.

ხოლო უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ: ვითარ იგლოვდეს, რომელსა არა უძლოდის ცოდვათა სიმრავლე, ვითარცა იყო იოვანე ნათლისმცემე-ლი, იოვანე მახარებელი და სხუანი მსგავსნი მათნი? ნუუკუე რომელსა არა აქუნდენ ცოდვანი მიზეზად გლოისა, გარეგან საღმრთოჲსა მის ნუ-გეშინის-ცემისა დაშეთსა? არამედ ესე სიტყუად უმეცართად არს, რამეთუ ჩუენ, რომელნი-ესე ცოდვათა შინა განფრდილ ვართ, არა უწყით ყოლად-ვე გულისსიტყუად იგი, რომლისაგან წმიდანი სანუთროსა ამას შინა სა-მარადისოდ იგლოვენ. არამედ მსგავს ვართ კაცსა, რომელი ბნელსა შინა შობილ არნ და აღზრდილ და არცა იცინ ყოვლადვე შუენიერებად სანადე-ლისა მის ნათლისად, არცა ელმინ მისთჳს, უგულისწმოებისა მისთჳს, რო-მელი აქუნ უხილავისა მის და უცნაურისა კეთილისათჳს. ხოლო წმიდანი მსგავს არიან კაცსა, შობილსა და აღზრდილსა ნათელსა შინა და მერმე შეწყუდეულსა ბნელსა შინა უკუნსა, რომელსა სურინ ნათლისათჳს და დაკლებისა მისისათჳს დაუცხრომელად იგლოვნ, ვიდრემდის გამოვიდის კუალად ნათლად.

რომელი-მე არს ნათელი იგი, რომლისა გამოწუებითა წმიდანი იგლო-ვენ, ხოლო ჩუენ უმეცარ ვართ და უღმობელ? პირველი იგი ცხორებად და მოქალაქობად იგი სანატრელი, რომელსა შინა იყო ბუნებად ჩუენი, რომ-ლისა ბრწყინვალეებასა და შუენიერებასა მოგონებადცა ვერ შემძლებელ ვართ, რამეთუ მსგავსებად იყო ღმრთისად, უხრწნელებად იყო და უკუდა-ვებად და ნეტარებად, აზნაურებად ყოვლისავე ვნებათა მონებისაგან, უჭირ-ველი და უზრუნველი ცხორებად, საღმრთოსა მას საშუებელსა შინა ყოფად და გონიერად ხილვად დიდებულისა მის ნათლისად. ვითარმცა ვინ უძლო სიტყკთა თჳსითა ნეტარებისა მის ღირსებით გამოჩინებად და უზადრუკე-ბისა ამის, რომელსა შინა შთავარდა ბუნებად ჩუენი? ვითარ დავმდაბლდით სიმალლისა მისგან მსგავსებისა ღმრთისა და უკუდავებისა წილ მოკუდავ ვიქმნენით, უფლებისა წილ და მთავრობისა მონად ვნებათა გამოვჩნდით, საშუებლისა მის წილ სამოთხისა ქუეყანად ესე შრომისა და საღმობისად დავიმკვდრეთ?! ან უკუე წმიდანი მეცნიერ არიან დიდებულსა მას და სა-ნატრელსა ცხორებასა, რომლისაგან გამოეწუა და ექსორია იქმნა ბუნებად

ჩუენი, და მარადის იგლოენ, რამეთუ სურის სანადელისა მისთვის მოქალაქობისა და ენყინების უბადრუკი ესე ამის სანუთროფსა დაუდგრომელობად და ზე-ქუე კუეთებად.

იხილე, ვითარ იგლოვს დავით და იტყვს: „ვად მე, რამეთუ განმიგრძა მე მწირობად ჩემი, დავემკვდრე მე მყოფთა თანა კედარისათა“, ¹ რომელ არს ბნელი, რამეთუ კედარი ბნელად გამოითარგმანების. ეხილვა გემოდ ნათლისად მის, რომლისაგან გამოვეჭუენით, ამისთვის ამას სანუთროფსა მწირობად სახელ-სდვა და სამკვდრებელად ბნელისა და იგლოვდა განგრძობისა მისისათვს. ისმინეთ კუალად პავლესიცა, რამეთუ იტყვს: „გკუნესითო და ვიგლოვთ, რამეთუ საყოფელი იგი ჩუენი ზეცით გამო შემოსად გუსურის, რომელი-იგი შე-თუ-ვიმოსოთ, არა შიშუელ ვიპოვნეთ, და რომელნი-ესელა ვართ საყოფელსა ამას, გკუნესით და გკმძიმს, ვიდრემდის დაინთქას მოკუ-დავი იგი ცხორებისაგან“.²

ჰხედავა, ვითარ სამარადისოსა გლოასა შინა იყენეს წმიდანი წსენებითა მიუთხრობელისა მის კეთილისადათა, რომლისაგან გამოვევარდით? ამისთვისცა ნეტარებასა მას და ნუგეშინის-ცემასა ქრისტესმიერსა მიემთხვნეს. ხოლო ჩუენ, უგულსხმოთა ამათ და ზრქელთა გონებითა, რომელნი-ესე მსგავს ვართ ბნელსა შინა შობილისა მის და არა უწყით ჯეროვნად არცა ნეტარებად იგი, რომელსა დავაკლდით, არცა უბადრუკებად ესე, რომელსა შთავცვენით, გუაქუს კუალად მიზეზი გლოფსად – სიმრავლე ესე ცოდვათა ჩუენთად და აურაცხელთა ამათ ვნებათად, რომელნი გუმძლავრობენ და, ვითარცა მონათა და ტყუეთა, ესრეთ მორჩილებად თვსა მიგვზიდვენ.

ვიგლოვდეთ უკუე და ვტიროდით, რადთა მოგუხედნეს მეუფემან წყალობით და მოგუანიჭოს მოტევეებად ცოდვათად და გამოწსნად მწარისა მისგან მონებისა ვნებათადსა და ღირს-გუყვენეს ნეტარებასა მას და ნუგეშინის-ცემასა საუკუნესა, რამეთუ „ჰნებავს მას ყოველთა კაცთა ცხორებად და მეცნიერებასა მას ჭეშმარიტებისასა მოსლვად“³ კაცთმოყუარებისა მისისათვს. ხოლო გლოად ბრძანებულ არს ჩუენდა არა თვსთა ოდენ ცოდვათათვს, არამედ მოყუსისათაცა, ვითარცა იქმოდეს წმიდანი იგი, ვითარცა იქმოდა მოსე და დავით და პავლე და სხუანი მრავალნი, რომელთა ვჰპოვებთ, ვითარმედ დიდად იგლოვდეს და ტიროდეს ცოდვათათვს მოყუსისათა. და ყოვლით კერძო კეთილ არს მცნებად ესე გლოფსად და ფრიად სარგებელ, რამეთუ ვინაფთგან ჭირი ამის სანუთროფსად საუკუნოფსა განსუენებისა მომატყუებელ იქმნების, ხოლო შუებად და განცხრომად სატანჯველთა მიზეზ გუექმნების, ჯერ-არს გლოად, რამეთუ უადრესი არს ყოველთა მოლუაწებათა. იხილე, რასა იტყვს სახარებად ლაზარესთვის, ვითარ ღირს იქმნა იგი ნუგეშინის-ცემასა მას, რამეთუ შეინრებული ჭირთაგან ამის სანუთროფსათა გლოასა შინა იყო უჭირველისა მის ცხორებისა სურვილითა.

¹ ფსალმ. 119,5.

² შდრ. 2 კორ. 5,2-4.

³ 1 ტიმ. 2,4.

ამისთვისცა ჰრქუა აბრაჰამ მდიდარსა მას: „მოიჯსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა, და ლაზარე ეგრევე მსგავსად – ბოროტი. და ან ესერა აქა ესე ნუგეშინისცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები“.¹

ვიგლოვდეთ უკუე, ძმანო, და ვტიროდით სანუთროსა ამას, რათა რუენცა მივემთხვნეთ ნეტარებასა მას საუკუნოესა ნუგეშინის-ცემისასა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „ნეტარ არიან მშკდნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანად“ (5,5).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვითარცა კიბე კეთილად შემზადებული წინაგკყვნა რუენ ხუროთმოძღუარმან მან სულთა რუენტამან წმიდანი ესე და განმანათლებლნი მცნებანი აღმყვანებულად რუენდა ნეტარებასა მას ზეცისასა, რამეთუ ესერა მესამეცა გზბრძანა მცნება კეთილი და ფრიად შუენიერი, რომელ არს სიმშკდე, ნაშობი პირველთქუმულისა მის მცნებისა სიმდაბლისად, რამეთუ მისგან აქუს ამას დანყებად და მისგან იშვების და მას სრულჰყოფს. დიდ არს სიკეთე ამისი და სარგებელი და მსწრაფლ მიანევეს კაცსა საზომსა დიდსა და ღირს-ჰყოფს ნიჭთა მათ და მადლთა ღმრთისამიერთა. სიმშკდე კლდე არს აღმალლებული ღელვათაგან გულისწყრომისა და უკეთურებისათა, რომელსა ზედა აღეშენოს თუ გოდოლი იგი სულისად, „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერსადა ერეოდიან მას“.² მსგავსებად არს ესეცა ქრისტესი, ვითარცა-იგი სიმდაბლისათჳს ვიტყოდეთ, რამეთუ თავადმან ესრეთ ბრძანა: „ისნავეთ ჩემგან, რამეთუ მშკდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებად სულთა თქუენტა“.³ სიმშკდე და სინწოფობად და უმანკოებად ერთ არიან საქმითა, დაღაცათუ სახელი განყოფილი აქუს მცირედისა რადსამე შეცვალებისა მათისათჳს. სიმშკდე შეუცვალებელობად არს გონებისად, რომელი პატივისა შინა და შეურაცხებასა შეუცვალებელად ეგის. ამისთვისცა ნეტარებისა ღირს-ყო ესევითარი გონებად უფალმან და თქუა: „ნეტარ არიან მშკდნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანად“.

თქუეს უპირატეს რუენსა სხუათა, ვითარმედ: ქუეყანასა მას საუკუნესა იტყვს სამკვდრებელად მშკდთა, სადა-იგი არა არს საღმობად და მნუხარებად და სულ-თქუმად, რომლისათჳს თქუა წინანარმეტყუელმან: „ადგილსა მნუანვილსა მუნ დამამკვდროს მე, ნყალთა ზედა განსასუენებელთა მუნ გამომზარდოს მე“,⁴ სადა-იგი არს სამოთხე საშუებლისად, რომლისაგან სანყალობელად გამოვისხენით და სოფელსა ამას ქირისა და საღმობისასა მოვიწინით. და კეთილ არს სიტყუად ესე და შესანყნარებელ, რამეთუ მეტყუელნიცა ამის თარგმანებისანი ჭეშმარიტებისა თანაშემწე არიან; გარნა მე, ვინაფთგან არა მიპოვიეს წერილთა შინა საუკუნოდ ქუეყანად, რამეთუ მრავალთა მათ სახელთა შინა საუკუნოესა საშუებლისათა ქუეყანად არა თქუმულ არს, ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ ხილულისა ამისთვის ქუეყანისა

¹ ლუკ. 16,25.

² მათ. 16,18.

³ მათ. 11,29.

⁴ ფსალმ. 22,2.

იტყვს და ამის მიერ საუკუნოსაცა ცხორებასა მოასწავებს, ვითარცა თქუა სხუასა ადგილსა, ვითარმედ: „ნუ ჰზრუნავთ, რად სჭამოთ, ანუ რად ჰსუათ, ანუ რად შეიმოსოთ, არამედ ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“;¹ და კუალად თქუა: „რომელმან დაუტეოს მამა და დედა, ცოლი და შვილნი, სახლი და აგარაკი ჩემთვის, მან ასი წილი მიიღოს“ ან ჟამსა ამას, და საუკუნესა მას მომავალსა – „ცხორებად საუკუნოდ“.² რამეთუ ოდესმე საუკუნესა მას საშუებელსა ხოლო აღუთქუმიდა და სასუფეველსა ცათასა და ოდესმე ზრქელთათვს გონებითა ორკერძოვე აღრიის სწავლად თვისი – ამის ჟამისაგანცა და მერმისა; ეგრეთვე აქა სიტყვთა ამით, ვითარმედ: „მათ დაიძკდრონ ქუეყანად“, ხილული ესე აუწყა ქუეყანად და ამის მიერ საუკუნოდ იგი მოასწავა ცხოვრებად, ვითარცა ძუელსაცა რჩულსა წერილ არს: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რადთა იქმნე დღეგრძელ“.³ რამეთუ ზრქელთათვს და უმეცართა ითქუმიან წერილთა შინა ამისვე ჟამისა მისაგებელნი. და კუალად ავაზაკმან მან ჯუარსა ზედა ჰრქუა რად: „მომიწსენე მე, უფალო, ოდეს მოხვდე სუფევეითა შენითა“;⁴ არა საუკუნოდსა მისთვის სასუფეველისა ჰრქუა რად უფალმან, არამედ შემოკლებულისა მისთვის ჟამისა და იჭუეულისა მისთვის გონებისა მისისა მასვე ჟამსა აღუთქუა ნუგეშინის-ცემად და ჰრქუა: „დღესვე ჩემ თანა იყო სამოთხესა“.⁵ ეგრეთვე მოციქულიცა პავლე მრავალგზის ამის ჟამისაცა განსუენებასა წინაუყოფს მანუეველად სათნოებისა, ვითარცა-იგი იტყოდა რად ქალწულებისათვს, არა ავსენა სასუფეველი ცათად სასყიდელად, არამედ თქუა მოწვევულისა ამისთვის ურვისა: „და მე გერიდებო და მნებავს უზრუნველობად თქუენი“.⁶ ეგრეთვე აქაცა უფალმან სულიერსა თანა და უხილავსა ხილულიცა აღრია უგულისწმოთათვს და ზრქელთა გულითა; რამეთუ ვინაფთვან კაცნი ჰგონებდეს, თუ მშკდნი და წრფელნი და უმანკონი ვერ წარჰმართებენ ცხორებასა ამის სანუთროდსასა, არამედ შეურაცხ იქმნებიან ყოველთა მიერ და სანუნელ ყოველთა არიან, და მონაგები მათი წარსატაცებელ იქმნების, და ამით სახითა სიცხარე და მანქანებად უაღრეს შეერაცხა, ვიდრელა სიმშკდე და სინრფოებად, ამისთვის იტყვს უფალი, ვითარმედ არა ესრეთ არს, არამედ უფროდსად მშკდნი და წრფელნი არა თუ საუკუნესა ხოლო ცხორებასა ღირს იქმნენ, არამედ ქუეყანასა ზედაცა უაღრეს და უმჯობეს იყვნენ ფიცხელთა და ცხართა და მანკიერთასა, ვითარცა-იგი წერილ არს, ვითარმედ: „იყო ესავ მეცნიერ და მწნე და ძლიერ, ხოლო იაკობ იყო კაცი უმანკოდ და მყოფი სახლსა შინა. და ისაკსცა უყუარდა ესავ“;⁷ არამედ ღმერთმან უმანკოებისა მისთვის იაკობისა ყოველივე მას განუმარჯუა და ყოველსა ზედა მძლე ექმნა ძმასა თვისსა, მწნესა მას და მეცნიერსა. ეგრეთვე იოსებ მშკდი იყო და წრფელი და უაღრეს იქმნა ძლი-

¹ მათ. 6,31,33.

² მათ. 19,29.

³ გამ. 20,12.

⁴ ლუკ. 23,42.

⁵ ლუკ. 23,43.

⁶ 1 კორ. 7,28,32.

⁷ მდრ. დაბ. 25,27-28.

ერთა მათ და მწნეთა და მრავალლონეთა ძმათა თვსთა. იყო დავითცა კაცი მშკდი და წრფელი გულითა, და ძმანი მისნი უშუენიერესნი და უკეთესნი, არამედ არა სთნდეს უფალსა, ხოლო დავით სთნდა და მეფობად წინაწარმეტყუელებითურთ მიანიჭა.

აჰა ესერა ჰხედავთ, ვითარმედ ზემოწსენებულთა ამათ მშკდთა, იაკობ და იოსებ და დავით, დაიმკვდრეს ქუეყანადცა და ღირს იქმნეს ზეცისა სასუფეველსაცა; და ძუელსაცა შინა წერილსა იპოების ესევეითარი ქებად სიმშკდისა. ამისთვისცა უფალმან მისვე წესისაებრ თქუა: „ნეტარ იყვნენ მშკდნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანად“. არა თუ სასყიდელად მშკდთა ქუეყანად ესე ხოლო ხილული დადვა, არამედ ამის თანა მერმესა მასცა დაუსრულებელსა ცხორებასა მიანიჭებს, რამეთუ ნიჭნი მისნი მოუგონებელ და მიუთხრობელ არიან, და მოშიშთა მისთა აქაცა სანატრელ და უცთომელ ჰყოფს და საუკუნესა მას მკვდრად კეთილთა მათ მიუთხრობელთა გამოაჩინებს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ნეტარ არიან, რომელთა შიოდის და სწყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღენ“ (5,6).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვითარცა ჯორციელსა მას ნებასა შინა არა ყოველთა კაცთა ერთისა ჭამადისა მიმართ აქუს გულისთქუმად, არამედ კაცად-კაცადსა ნებისაებრ თვისისა სნადის, რომელსამე ტკბილი და რომელსამე პოხილი, რომელიმე ხილისმოყუარე არს და რომელიმე ღვნისა, და ესრეთ თითოეულსა სხვსა და სხვსა აქუს წადიერებად, ეგრეთვე სულიერთა საქმეთა შინა არს: არა ყოველთა გულისთქუმად ერთსა ზედა არს, არამედ რომელთამე სურის დიდებისათვის სოფლიოჲსა, ანუ სიმდიდრისა, ანუ სანოაგეთა სიმრავლისა, ანუ ვნებათა მიერ ჯორციელთა ძლეულ არს; და სხუანი არიან, რომელთა სურვილი და გულისთქუმად და წადიერებად კეთილისა მიმართ არს, რომელ არს სათნოებად, რომელსაცა ესერა სიმართლედ სახელ-სდვა უფალმან, რამეთუ სიმართლედ თქუა შემოკრებული იგი ყოველთა კეთილთაგან სათნოებად და აღსრულებად ყოველთავე მცნებათა ღმრთისათა, რომლისათვისცა იტყვს: „ნეტარ არიან, რომელთა შიოდის და სწყუროდის“, და არა სხვსა რადსათვისმე, არამედ სიმართლისათვის, რადთა მისა მიმართ სურვიელ იყვნენ, მისა წადიერ და წყურიელ იყვნენ, რამეთუ იგინი განძღენ.

სიმტკიცესა მას და განუქარვებლობასა სათნოებისა მის ღმრთისმსახურთადას განძღომად სახელ-სდვა, რამეთუ ჯორციელთა ამათ საქმეთა აღსრულებად ცუდ და ამაო არს, და ჭურსა შინა განჯურეტილსა შთაასხამს, რომელი ნებასა ჯორციელთა გულისთქუმათასა აღასრულებს. რამეთუ რომელი ვინ დღესა ჭამა და სუა ანუ სხუად რადმე ნებად თვისი აღასრულა, ხვალე არარად აქუს მისგან, არამედ წარჯდა და ამაო იქმნა, ხოლო მოქმედთა სიმართლისათა და მუშაკთა ღმრთისმსახურებისათა ყოველი საქმე და

შრომად მტკიცე არს და შეურყეველ, და ყოველი სარგებელ მათდა და აღ-
მარდინებელ ჰასაკისა მის სულიერისა იქმნების.

ნეტარ არიან უკუე, რომელთა შიოდის და სწყუროდის ქალწულები-
სათვს, რამეთუ იგინი განძლენ შუენიერებითა მით სინმიდისადათა; ნეტარ
არიან, რომელთა შიოდის და სწყუროდის მონყალებისათვს, რამეთუ იგინი
განძლენ სასყიდლითა მით სახიერებისადათა, ოდეს ესმას: „მოედით, კურ-
თხეულნო მამისა ჩემისანო“;¹ ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდის და სწყუ-
როდის სიყუარულისათვს, რამეთუ იგინი განძლენ სიტკბოებითა მით გა-
ნუძღომელითა. ეგრეთვე ყოვლისა სათნოებისა და ყოვლისა სიმართლი-
სათვს მშვიერნი და სურვიელნი ნეტარ არიან, რამეთუ განძლენ ნაცოფთა
მათგან სიმართლისათა არა ვითარცა ჯორციელთა ჭამადთაგან, რომელ-
თაგან აღმოვივის რად მუცელი, მოსძაგდიან იგინი, და დაცარიელდის რად,
კუალად შიინ, რამეთუ ცარიელ არნ. ხოლო სულიერი იგი სიმძღვრე არცა
ოდეს დაცარიელდების და განილევის, არამედ მტკიცე არს და განუქარვე-
ბელ, არცა წადიერებისა მის სიტკბოებისა მისისა ჰყოფს სიძაგულსა, არა-
მედ მარადის საწადელ არს ღმრთისმოყუარეთა მიერ და გულისსათქუმელ
და სასურველ.

ესრეთ უკუე შემოკრებულსა მას ყოველთა კეთილთაგან სათნოებასა
სიმართლედ სახელ-სდვა, და კუალად ერთსა მასცა სათნოებასა, წინააღ-
მდგომსა ანგაჰრებისასა, სიმართლედ ენოდების, რომლისათვსცა, ეგუ-
ლებოდა რად მონყალებისათვს თქუმად, პირველად შემოილო სახელი იგი
სიმართლისადა, რადათა გუასწაოს, თუ ვითარ ჯერ-არს ქმნად მონყალები-
სადა: არა ნატაცებისაგან, არცა მონახუეჭისა და ანგაჰრებისა, არამედ სი-
მართლისაგან. ამისთვს ჰნატრის მათ, რომელნი ესოდენ მოყუარე არიან
სიმართლისა, ვითარცა მშვიერსა და წყურიელსა სწადინ ჭამადისათვს და
სასუმელისა.

ხოლო ვითარცა ზემო ვთქუ, ვითარმედ მრავალგზის სულიერსაცა სას-
ყიდელსა მოასწავებენ სიტყუანი უფლისანი და ჯორციელსაცა, ეგრეთვე
სიტყუთა ამით, ვითარმედ: „იგინი განძლენ“, პირველთქუმულიცა ესე ძალი
სიტყუსადა მოასწავა და ხილულსაცა მისაგებელსა გამოაჩინებს. რამეთუ ვი-
ნადთგან მრავალნი ჰგონებენ, თუ ანგაჰრებისა მიერ იქმნების სიმდიდრე
და უნაკლულოდ ყოფად, ეტყვს უფალი, ვითარმედ უფროსად სიმართლისა
მიერ იქმნების ესე. ნუმცა ვის უკუე მოქმედსა სიმართლისასა ეშინის სიგ-
ლახაკისაგან გინა სიყმილისა, რამეთუ მეძიებელსა სიმართლისასა მიეცეს
ყოველივე კეთილი უცთომელად და უშიშად.

ამისთვს შევიტკობთ სიმართლე ყოვლით კერძო: ზოგადიცა იგი, ყო-
ველთა სათნოებათა ერთობად, და განყოფილიცა ესე სიმართლე, რომელ
არს არასადა მიხუეჭად ანუ ვნებად მოყუსისადა, არამედ უფროსლა თვისი-

¹ შდრ. მათ. 25,34.

საცა მიცემა ქველისსაქმედ. ვიყვნეთ მშიერ და წყურიელ ჭეშმარიტისა მისთვის სიმართლისა, უზეშთაესისა და უსანადელესისა ყოველთავე კეთილთა, რომელ არს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, რომელი გუექმნა ჩუენ სიბრძნე ღმრთისა მიერ, სიმართლე და სინმიდე და გამოჴსნა, ნეტარი იგი და მხოლოდ ძლიერი მეუფე მეუფეთა და უფალი უფლებათა, მხოლოდ იგი, რომელსა აქუს უკუდავება და ნათელსა მყოფ არს მიუნდომელსა თანა მამით და სულით წმიდითურთ. „რამეთუ იგი თავადი არს მჴკდობად ჩუენი, რომელმან შექმნა ორი, ვითარცა ერთად, და შუაკედელი ზღუდისა მის დაჴსნა“¹ რამეთუ მის მიერ მაქუს ჩუენ მიახლებად ერთითა სულითა მამისა მიმართ, და იგი მექმნა ჩუენ პურად ზეცით მოსრულად და წყალ ცხოელ, რომლისა სწყუროდა ნეტარსა დავითს და იტყოდა: „ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო ძლიერო და ცხოელო! ოდეს-მე მივიდე და ვეჩუენო პირსა ღმრთისასა?“² რამეთუ მან ნეტარმან პირველვე ისნავლა, ვითარ ვჴგონებ, მადლითა სულისა წმიდისადათა აღთქუმული ესე მცნებად უფლისა და განუძღომელი იგი განძღობად ესევეითართა მათ კეთილთა. ამისთვის ღაღატყო: „ხოლო მე სიმართლით ვეჩუენო პირსა შენსა, განვძლე გამოჩინებითა დიდებისა შენისადათა“.³

ესე არს ჭეშმარიტი სიმართლე და ჭეშმარიტი სათნოება და ჭეშმარიტი კეთილი სიტყუად და ძალი ღმრთისა, რომელმან „დაფარნა ცანი შუენიერებითა მისითა“⁴ ვითარცა იტყვს ამბაკუმ; და სამართლად ნეტარ არიან, რომელთა შიოდის და სწყუროდის ესევეითარისა მის სანადელისა სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძლენ განუძღომელითა მით კეთილითა, რაჟამს აღესრულოს მათ ზედა უტყუელი იგი აღთქუმად უფლისა, რომელ თქუა, ვითარმედ: „რომელსა უყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამან ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა სულით წმიდითურთ და სავანე მის თანა ვყოთ“.⁵

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : **„ნეტარ არიან მონყალენი, რამეთუ იგინი შეინყალნენ“** (5,7).

თ ა რ გ მ ა ნ ი : აღმაღლდა კიბე ესე საღმრთოდ ამათ ნეტარებათა და მიგუაახლებს ჩუენ ღმერთსა ჭეშმარიტსა, ნეტარსა და უზეშთაესსა ყოველისავე ნეტარებისა, რამეთუ ესერა მონყალეებადცა შემოილო შორის და ჰნატრის მოქმედთა მისთა, რომელ-ესეცა მსგავსებად ღმრთისა აღგუამაღლებს, რამეთუ მონყალე ენოდების ღმერთსა და სახიერ და მწყალობელ, ვითარცა წერილ არს: „მონყალე არს უფალი და მართალ, და ღმერთი ჩუენი მწყალობელ“.⁶ ან უკუე ვინადათგან შემსგავსებული სახელი არს

¹ ეფეს. 2,14. ² ფსალმ. 41,2-3. ³ ფსალმ. 16,15. ⁴ ამბ. 3,3. ⁵ შდრ. იოან. 14,23.

⁶ ფსალმ. 114,5.

ღმრთისად მოწყალეობად და ჩუენ ესერა მოწყალეობად გკნესს უფალი, რად სთქუა სხუად ნოდებად ესე, გარნა მსგავსებად ღმრთისა ნოდებად, ვითარცა სხუასა ადგილსა განჩინებულად თქუა: „იყვენით მოწყალე, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად მოწყალე არს“.¹

ეჰა საკვრველი გამოუთქუმელი! ეჰა საიდუმლოდ მოუგონებელი! სადალა აღამალლა ქუესკნელთა ქუეყანისათა შთასრული ესე ბუნებად ჩუენი! მსგავსებად და შვილებად ღმრთისა მიმინოდნა. დიდებად აურაცხელსა მას სახიერებასა და კაცთმოყუარებასა მისსა! ამისთჳს, ჰ ღმრთისმოყუარენო, ვისმინოთ ბრძანებად მისი და ნეტარებად ესე მოწყალეობისად შევიტკობოთ, რადთა ჩუენცა ვპოოთ წყალობად და მობაძავ მოწყალისა მის ვიქმნეთ.

ხოლო აქა არა მათ ოდენ უნესს მოწყალედ და ჰნატრის, რომელნი საფასეთა მიერ იქმან ქველისსაქმესა, არამედ მათცა, რომელნი სიტყუათა მიერ ჰყოფენ წყალობასა, რამეთუ მრავალსახე არს ნესი მოწყალეობისად და ვრცელ არს მცნებად. ესე არს მოწყალეობად: მიცემად საფასისად გლახაკთა, შემოსად შიშუელთად, გამოზრდად მშიერთად, შეწყნარებად უცხოთად, მიტევებად თანამდებთად და სხუად ყოველივე საქმით ჴელის-აღპყრობად ჭირვეულთად; არს კუალად მოწყალეობად სიტყუათცა სახიერებისადთა: ნუგეშინის-ცემად შეურვებულთად, უკუეთუ საქმით ჴელის-აღპყრობად ვერ ძალ-ედვას, და ესეცა არა განყოფილ არს ნეტარებისაგან, რომელი აღუთქუა უფალმან მოწყალეთა. რამეთუ არა საფასეთა და საჴმართა მიცემასა შინა შეანყუდია უფალმან მოწყალეობად, უკუეთუ არა, ვერმცა ყოველთა მიერ შესაძლებელ იყო აღსრულებად მისი, არამედ მდიდართა მიერ ხოლო და ქონიერთა. გარნა ნებასა შინა სულისასა იხილვების, და მას განიცდის მხედველი იგი დაფარულთად და განმკითხველი გულთა და თირკუმელთად; რამეთუ რომელსა აქუნდეს სული მოწყალე და ნადიერ იყოს ყოფად წყალობისა, და უძღურებისაგან ანუ სიგლახაკისა დაყენებულ იქმნას ქველისსაქმედ, არარადთა დააკლდეს ნეტარებასა მათსა, რომელთა საქმით აჩუენეს მოწყალეობად, და ესოდენ მიიღოს სასყიდელი წყალობისად, რაოდენცა საზომი იგი წყალობისად სულსა შინა მისსა იყოს.

არს კუალად მოწყალეობად სიტყუათა მიერცა სწავლისათა, რომლითა გამოიზრდებიან სულნი მომყმარნი არა სიყმილითა პურისადთა, არამედ სიყმილითა სიტყუათა საღმრთოთადთა. რამეთუ უკუეთუ რომელმან ყოს წყალობად ჴორციელად ჭირვეულთა მიმართ, სანატრელ არს, არა უფროდსად სანატრელ იყოსა, რომელმან ყოს წყალობად სულსა ზედა წარწყმედულსა და გამოიჴსნას ვნებისაგან და ცოდვისა? რაოდენ სული უაღრეს არს ჴორცთა, ესრეთ სულიერი მოწყალეობად უაღრეს არს ჴორციელსა, ვითარცა იტყუს ღმერთი იერემიას მიერ წინანარმეტყუელისა: „უკუეთუ გამოიყვანო პატიოსანი არაღირსთაგან, ვითარცა პირი ჩემი იყო“.² პატიოს-

¹ ლუკ. 6,36. ² იერ. 15,19.

ნად სახელ-სდვა სულსა, რამეთუ უპატიოსნეს არს ყოვლისავე, ხოლო უპატიოდ და არალირსად უნესა ცოდვასა და თქუა: უკუეთუმცა იქსნე სული ცოდვისაგან, „ვითარცა პირი ჩემი იყო“. ესე იგი არს, მსგავს ჩემდა იქმნე.

არს სხუადცა სახე მონყალებისად – შეწყალება თავთა თქსთად; რამეთუ უკუეთუ სხუათა წყალობად თანაგუაც, რავდენ უფროსად თავთა თქსთად? ამისთვის არა თქუა: ნეტარ არიან მონყალენი გლახაკათანი ხოლო, არამედ განჩინებულად თქუა: „ნეტარ არიან მონყალენი“, რადთა ესე ყოველნი მონყალებისა სახენი გულისწმა-გკყვენეს. რად არს უკუე შეწყალება თავთა თქსთად? რადთა ვითარცა ვიხილით რად მოყუასი განსაცდელთა ფიცხელთა შთავრდომილი, შეგუენყალის და გული გუელმინ, და უკუეთუ საყუარელ ჩუენდა არნ, ცრემლიცა ფრიადი დავსთხიით, ეგრეთვე გულისწმა-ვყოთ და ვიხილოთ თავთა ჩუენთა განსაცდელი: პირველად – ყოვლისავე ბუნებისა ჩუენისა, რად-ესე შეგუემთხვა, ვითარ გამოვისხენით მამულისა მისგან ჩუენისა, ვითარ წელსა ავაზაკათასა შთავვარდით, ვითარ სიმალლისა მისგან დიდისა უფსკრულსა საჭიროდსა ამის ცხოვრებისასა შთავცკვენით, ვითარ აზნაურებისა მის წილ მონა ვიქმენით მრავალთა და მძუნვარეთა მძლავრთა, ვითარ უხრწნელისა მის და სანატრელისა ცხოვრებისა წილ ხრწნილებად და სიკუდილი მოვიგეთ. ესე არს ყოვლისავე ბუნებისა ჩუენისა განსაცდელი. მერმე კუალად – კაცად-კაცადმან თავისა თქსისად უკუეთუ გულისწმა-ყოს, ვითარ გარდაეჰყდებით დღითი-დღე მცნებათა უფლისათა, ვითარ მიდრეკილ არს გონება ჩუენი სანუთროდსა მიმართ და ვნებათა, ვითარ ძალნი სულისა ჩუენისანი არა კეთილისა მიმართ არიან, არამედ ბოროტისა, გულისთქუმად არა სასუფეველისათკს გუაქუს და სიმართლისათკს, არამედ ცოდვისათკს და ბილწებისა, გულისწყრომად არა ეშმაკთა მიმართ გუაქუს და ვნებათა, არამედ ძმათა მიმართ და მოყუასთა ჩუენთა, გულისსიტყუად ჩუენი არა საღმრთოთა და კეთილთა ზრახვათა ინუთის, არამედ ამოთა და მავნებელთა, და ესრეთ ყოვლით კერძო განფრდილ ვართ ცოდვათა შინა და მიდრეკილ მარცხენესა კერძო. ესრეთ სანყალობელ არს საქმე ჩუენი ზოგადიცა და კაცად-კაცადისადაცა, რომელ უკუეთუ თითოეულად წარმოვიტყოდით, არა კმა-მეყოს დღე ესე უბადრუკებისა ჩუენისა თქუმად.

ნეტარ არს უკუე, რომელმან შეინყალოს თავი თქსი და მოაქციოს გზათაგან ცოდვისათა და ტიროდის მწარედ სულსა ზედა თქსსა, ვითარცა ვინ ტირნ საყუარელსა ზედა თქსსა მომკუდარსა, ანუ ტყუეობად მიცემულსა, ანუ მონებასა ბოროტისა მძლავრისასა შთავრდომილსა. უკუეთუ ესრეთ შეინყალოს სული თქსი და განბანოს ცრემლითა და სინანულითა გამოზარდოს და სათნოებით შემოსოს, არს იგი ჭეშმარიტად მონყალე და ღირსი ნეტარებისა მის საღმრთოდსა.

ესე ყოველნი სახენი მონყალებისანი არიან: შეწყალება ბუნებისა ჩუენისა და ლმობიერება მას ზედა; შეწყალება თავისა თქსისად და მოქცევა

სინანულად და სათნო-ყოფად უფლისა; შეწყალებად მოყუსისაჲ საქმით და სიტყვით და გონებით და კეთილის-ყოფად მისი სულიერად და ჳორციელად. ამათ ყოველთათჳს იტყჳს უფალი: „ნეტარ არიან მონყალენი, რამეთუ იგინი შეინყალნენ“. ჩანს ან სიტყუად ესე, თუ სწორი მისაგებელი არს წყალობისა წილ პოვნად წყალობისაჲ, გარნა ფრიად უაღრეს არს და უზეშთაეს ქველისსაქმისა მის მისაგებელი იგი. რამეთუ მონყალენი იქმან წყალობასა, ვითარცა კაცნი, და ჰპოებენ წყალობასა ღმრთისაგან. ხოლო არა სწორ არს წყალობად კაცობრივი და საღმრთოდ, არამედ რავდენ განყოფილება არს შორის ბნელისა და ნათლისა ანუ შორის სახიერებისა და უკეთურებისა, ესოდენ უზეშთაეს არს და მოუგონებელად უაღრეს წყალობად ღმრთისაჲ და მონყალებაჲ კაცთაჲ. ნეტარ არიან უკუე ქეშმარიტად მონყალენი, რამეთუ იგინი შეინყალნენ წყალობითა მით სანატრელითა, სანადელითა და მოუგონებელითა, „რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუწდა, რომელი-იგი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა“.¹

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ნეტარ არიან წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (5,8).

თ ა რ გ მ ა ნ ი : დიდ არს საიდუმლოჲ ესე ნიჭთა უფლისათაჲ და მიუთხრობელ, რამეთუ ესერა ხილვაჲ ღმრთისაჲ აღუთქუა წმიდათა გულითა, რომლისათჳს თქუა დიდმან იოვანე, ღმრთისმეტყუელებისა ნესტუმან, ვითარმედ: „ღმერთი არავინ სადა იხილა“.² დაამტკიცებს ნეტარი ჰავლეცა სიტყუასა ამას და იტყჳს: „რომელი იხილა არავინ კაცთაგანმან, არცა ხილვად ჳელ-ენიფების“.³ ვითარ არს სიტყუად ესე, რომელ უფალმან თქუა: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“, და ნეტართა მათ მოციქულთა თქუეს, ვითარმედ შეუძლებელ არს ხილვად ღმრთისაჲ? გარნა ესე ესრეთ გულისწმა-ვყოთ: არცა უფალი შეუძლებელსა რასმე იტყჳს და არაყოფადსა, არცა იგინი გარეგან ბრძანებისა მისისა რასმე ქადაგებენ. არამედ ბუნებაჲ იგი საღმრთოდ არსებითა თჳსითა ყოვლისავე ბუნებისა უზეშთაეს არს, უხილავი და თუალთშეუდგამი ღმრთეებაჲ. ამისთჳსცა „გამოუკულებელად გზათა მისთა“⁴ იტყჳს მოციქული, რამეთუ არცა თუალითა შესაძლებელ არს ხილვად, არცა გონებითა მოგონებაჲ. არამედ უხილავი იგი და მოუგონებელი ბუნებითა მით ღმრთეებისაჲთა სხვთა სახითა იხილვების და გულისწმა-იყოფების კაცთმოყუარებისა მისისათჳს, რამეთუ შესაძლებელ არს აგებულებითა ამით დაბადებულთაჲთა მიუთხრობელისა მის სიბრძნისა მისისა ხილვად, ვითარცა იტყჳს მოციქულივე, ვითარმედ: „უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად სახილველ არს – სამარადისოდ

¹ 1 კორ. 2,9.

² იოან. 1,18.

³ 1 ტიმ. 6,16.

⁴ შდრ. რომ. 11,33.

იგი ძალი მისი და საღმრთოდ“¹,¹ რამეთუ აგებულებისაგან სოფლისა და დაბადებისაგან კაცისა სიბრძნე და წელოვნებად დამბადებელისა იხილვების, და ესრეთ ბუნებით უხილავი იგი საქმეთაგან სიბრძნისა და ძლიერებისა და განგებულებისა მისისათა იხილვების და გულისწმა-იყოფების. გარნა ან წმიდათა გულითა არა ესევეითარი ხოლო აღუთქუა ხილვად ღმრთისადა გულისწმის-ყოფითა დაბადებულთადათა, რამეთუ ესე შესაძლებელ არს სხუათა მიერცა სწავლულთა სოფლიოდა სიბრძნითა, უკუეთუ ენებოს ჭეშმარიტსა გულისწმის-ყოფასა მოსლვად, არამედ სხუასაცა უაღრესსა რასმე ხილვასა ნეტარებად იგი მოასწავებს დამარხულსა წმიდათათკს გულითა, რომელ-იგი ბუნებასა შინა კაცობრივსა შესაძლებელ არს დატევნად, რომელი მას საუკუნესა განმზადებულ არს წმიდათათკს, რომელსა ვჰგონებ, თუ იგი არს უაღრესობად ყოველთა მათ კეთილთა სასუფეველისათა, და უფროდ ვთქუა, თუ იგი არს სასუფეველი ცათად, ხილვად ღმრთისადა, რავდენ-იგი შესაძლებელ არს, არა თუ რად იგი არს, არამედ რად-იგი იცის მან მხოლომან, ვითარმედ თავს-იდებს ბუნებად ჩუენი ხილვად.

ხოლო მის ხილვისა წელმწიფებად ჩუენდა მოუცემიეს, დაღაცათუ მონიჭებად მისი არს, ვითარცა გამოაცხადებს სხუასა ადგილსა და იტყუკს: „სასუფეველი ცათად შინაგან თქუენსა არს“²,² რადთა ვცნათ, ვითარმედ რომელმან წმიდა-ყოს გული თვისი ყოვლისა ვნებისაგან და ყოვლისავე ნივთისაგან წინააღმდეგომისა, შუენიერებასა შინა სულისა თვისისასა იხილოს ხატი საღმრთოდსა მის ბუნებისადა; ვითარმცა ესრეთ უბრძანებდა კაცთა ძალითა მცირეთა მათ სიტყუათადათა, ვითარმედ: ჰ კაცნო, რომელნიცა სურვიელ ხართ ხილვად ღმრთისა, გესმას რად, ვითარმედ ამალდა დიდადშუენიერებად მისი ზესკნელს ცათა და გამოუთქუმელ არს დიდებად მისი და შუენიერებად თუალთშეუდგამ და ბუნებად მისი უხილავ, ნუ სასონარკუეთილ იქმნებით ხილვად სასურველისა მის, რამეთუ რომელ-იგი შესაძლებელ არს კაცთა მიერ ხილვად ღმრთისადა და რადენ ბუნებასა თქუენსა ეტევის, თქუენ შორის არს, რამეთუ ესრეთ დაიბადენით დამბადებელისა მიერ ხატად და მსგავსებად ღმრთისა. არამედ შემოვიდა ცოდვად და შუენიერებად იგი ბუნებისადა დაფარა. ხოლო ან უკუეთუ ილუანოთ კუალად ყოვლისა მის ნივთისა და ყოვლისა მის ნაგევისა განგდებად გულთაგან თქუენთა და განწმედად მისა ყოვლისაგანვე ბინისა, კუალად გამოგიბრწყინდეს ღმრთივშუენიერი იგი ხატი და იხილოთ დიდებად ღმრთისადა, ვითარცა სარკითა რად იხილის კაცმან მზე, დაღაცათუ თუალთა შედგმად ვერ წელ-ენიფებინ; ეგრეთვე თქუენ დაღაცათუ ვერ ძალ-გიც განცდად თუალთშეუდგამისა მის ბუნებისა ნათელსა, არამედ უკუეთუ პირველქმნული იგი შუენიერებად თქუენი კუალად მოიგოთ მოღუანებითა, მიემთხვნეთ სანადელსა მას. რამეთუ სინმიდე არს და სიმართლე და ჭეშმარიტებად ღმერთი, სიყუარული არს და

¹ რომ. 1,20. ² შდრ. ლუკ. 17,21.

სახიერებად და სინრფობად, და ყოველივე კეთილი მის თანა არს და მის მიერ. უკუეთუ ესევეთარნი ესე საქმენი მოიგნეთ თქუენ შორის, ღმერთი თქუენ შორის არს, და იხილოთ ანვე დიდებად მისი სულთა შინა თქუენთა. ხოლო იხილოთ უაღრესადრე მერმესა მას საუკუნესა, ოდეს სახე წარწდეს და ყოველივე ჭეშმარიტება იყოს. იხილოთ მაშინ, რომელნიცა წმიდა იყვნეთ გულითა, რაოდენ-იგი შესაძლებელ არს კაცთა მიერ ხილვად ღმრთისა. ამას მოასწავებს მოციქულიცა პავლე, ვითარცა მინვენული სინმიდესა გულისასა, და იტყვს: „ვხედავ ან, ვითარცა სარკითა, სახესა, ხოლო მაშინ პირისპირ. ან ვიცი მცირედ, ხოლო მერმე ვიცნა, ვითარცა შევემეცნე“.¹ ესე იგი არს, ვითარცა შეუძლე ამიერვე სინმიდითა გულისადათა შემეცნებად, რაოდენ ძალ-უც ბუნებასა ჩემსა თავს-დებად.

ან უკუე გულისწმა-ვჰყოფთ, ვითარმედ აღთქუმულ არს წმიდათათს გულითა ხილვად ღმრთისა, არა თუ ვითარ ბუნებად მისი არს, არამედ ვითარცა ჩუენსა ამას ბუნებასა ძალ-უც. ხოლო საწმარ არს სინმიდე გულისა ბრძანებისაებრ უფლისა, ვითარცა მოციქულიცა გუასწავლის და იტყვს: „მშკდობასა შეუდეგით ყოველთა თანა და სინმიდესა, რამეთუ ამისა თენიერ ვერვინ იხილოს უფალი“.² რამეთუ განწმედად გულისა ყოვლისაგანვე ბოროტისა გულისსიტყვსა უმეტეს ყოვლისა სათნოებისა ღირს-გუყოფს ჩუენ ხილვასა მას საღმრთოსა. ვინაფთგან პირველ ამისა ნეტარებად შეასხა მოწყალეთა და იცოდა, ვითარმედ მრავალნი იქმან მოწყალეებასა და სინმიდესა არა იმარხვენ, არამედ ერევიან ცოდვასა, რაფთა გუაუნყოს, ვითარმედ არა კმა არს იგი, უკუეთუ ესეცა არა იყოს, ხილვად ღმრთისა, ამისთვის ესე ხოლო შეუდგინა, ვითარმედ რომელსა სურის ხილვად ღმრთისა, არა თუ ჳორცთა ხოლო სინმიდე თანააც, არამედ სრულიად გულისა თქსისა ყოვლისავე ბინისაგან და ყოვლისავე ვნებისა განწმედად უღირს.

ხოლო თუ ვითარ სრულ იქმნების სინმიდე გულისა, შემდგომთა მათ სიტყუათა და მოძღურებათაგან უფლისათა კეთილად გულისწმა-იყოფების. ვისწრაფოთ უკუე, საყუარელნო, დამარხვად წმიდათა მათ მცნებათა მისთა, რაფთა ვიქმნეთ წმიდა გულითა და ხილვად ღმრთისა ღირსად გამოვჩნდეთ და ნეტარებად იგი საუკუნოდ დავიმკვდროთ, რამეთუ რაფმცა იყო უსანატრელეს ხილვასა ღმრთისასა?

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ნეტარ არიან მშკდობისმყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწოდნენ“ (5,9).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვითარცა ძუელსა მას შჯუულსა, რაჟამს კარავი იგი სანამებელი ბრძანებითა ღმრთისადათა შეუმზადა რჩულისმდებელმან მოსე ძეთა ისრაჳლისათა, სხუასა მას ყოველსავე წმიდა ეწოდებოდა, ხოლო შინაგანსა მას კრეტსაბმელისასა – წმიდად წმიდათა; ეგრეთვესახედ ნეტარებანი ესე,

¹ 1 კორ. 13,12. ² ებრ. 12,14.

რომელნი მთასა ამას ზედა მომცნა ჭეშმარიტმან მან რჩულისმდებელმან და უფალმან ყოველთამან, ყოველნივე წმიდა და დიდებულ არიან, რომელნი-იგი ზემო სიტყუანი ავსენნა, ხოლო რომელი-ესე ან გვბრძანა, უმაღლეს არს და ჭეშმარიტად წმიდა წმიდათაჲ, რამეთუ უკუეთუ ხილვად ღმრთისაჲ ესრეთ მაღალ და მიუწვდომელ იყო, ძედ ღმრთისა წოდებაჲ ვითარ არამცა ჭეშმარიტად უმაღლეს და უაღრეს ბუნებათა იყო? რომელმან გონებამან ანუ ვითარმან სიტყუამან გამოთქუას ღირსებით სიმაღლე და დიდებულე-ბაჲ ამის ნიჭისაჲ? უკუეთუ კეთილ უნოდო, ანუ წმიდა, ანუ პატიოსან, ანუ მაღალ, ანუ დიდებულ მადლსა ამის ნეტარებისასა, უაღრეს და უზეშთაეს-ვე იპოოს იგი სახელისა მის.

უზეშთაეს თხოისა არს ნიჭი ესე, უაღრეს ცნობისა არს მადლი ესე, უმაღლეს ბუნებისა არს დიდებაჲ ესე! † სიმდიდრე ნიჭთაჲ დიდისა მის მეუფისათაჲ! † უზუებდა სახიერისა მის უფლისაჲ! † სიტკბობებაჲ დამბადე-ბელისაჲ! ვითარნილა არიან საუნჯეთა მისთა კეთილნი, რაბამითა პატივი-თა პატივი-გუცა უღირსთა ამათ მონათა მისთა, სწორებად თვისისა პატივი-სა კნინლა მიუწოდს შეურაცხსა ამას ბუნებასა ჩუენსა მხოლოდშობილი ძე ღმრთისაჲ გარდამატებულისა მის კაცთმოყუარებისა მისისათჳს. ამისთჳს იტყჳს: „ნეტარ არიან მშკდობისმყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწოდნენ“. არა ამას ხოლო ეძიებს ჩუენგან, რაჲთა არა ველაღვოდით და ვჭბრძოდით ურთიერთას, არამედ რაჲთა სხუათაცა ურთიერთას მოლაღე-თა დავაგებდეთ და მშკდობასა ვიქმოდით მათ შორის, რაჲთა ძედ ღმრთისა ვიწოდნეთ.

† საკვრველი საკვრველებათაჲ! რამეთუ ვინაჲთგან ესე საქმე მხო-ლოდშობილისა მის ძისა ღმრთისაჲ იქმნა, შეერთებაჲ განყოფილთაჲ მათ და დავებაჲ მბრძოლთაჲ მათ, ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ: „იგი თავადი არს მშკდობაჲ ჩუენი, რომელმან შექმნა ორივე ერთად და შუაკე-დელი ზღუდისაჲ მის დაჰვსნა, მტერობაჲ იგი ჳორცითა მისითა, შჯული იგი მცნებათაჲ მათ ბრძანებითა განაქარვა, რაჲთა ორივე იგი დაჰბადოს მას შინა ერთად ახლად კაცად ყოფად მშკდობისა. და დააგნეს ორნივე იგი ერთითა გუამითა ღმრთისა ჯუარისაგან, მოკლა მტერობაჲ იგი მას შინა, და მოვიდა და გუახარა მშკდობაჲ შორიელთა და მშკდობაჲ მახლობელ-თა, რამეთუ მის მიერ მაქუს ჩუენ მიახლებაჲ იგი ერთითა სულითა მამისა მიმართ“. ¹ ამისთჳს მშკდობისმყოფელთა ძედ ღმრთისა წოდებად ღირს-ჰყოფს, რამეთუ მობაძავ მისა იქმნებიან ამით საქმითა.

ხოლო მშკდობისმყოფელი იგი არს, რომელმან სხუათა შორის მშკდო-ბა-ყოს, რომელმან მოყუასთა თჳსთა მისცეს მშკდობაჲ. ვითარ უკუე მის-ცეს სხუათა, რომელი ვის თჳთ არა აქუნდეს? ამისთჳსცა ესრეთ გვბრძა-ნებს უფალი, რაჲთა პირველად ჩუენ ვიყვნეთ აღვსებულ კეთილითა მით

¹ ეფეს. 2,14-18.

მშკდობისადათა და ესრეთ მივსცეთ იგი ნაკლულევანთა სიკეთისა მისი-სათა, რამეთუ ვითარცა ნელსაცხებელნი იგი სურნელნი სურნელებითა თვისითა აღავსებენ ჰაერსა, ეგრეთ ჰნებავეს უფალსა, რადათა გარდამატე-ბულად იყოს ჩუენ შორის მაღლი იგი მშკდობისა, რადათა ცხორებად ჩუ-ენი იყოს საკურნებელ სხუათა სნეულებისა. ესე იგი არს, რადათა ჩუენ შორის მყოფი იგი ბრძოლად სულისა და ჯორცთად კაცად-კაცადმან დავ-ჰჰსნნათ და მშკდობა-ვყოთ ჭეშმარიტად, ოდეს-იგი არღარა ადგილ-ვსცეთ რჩულსა მას ჯორცთასა წინაგანწყობად რჩულსა მას გონებისა ჩუენისა-სა, არამედ დავამორჩილოთ უდარესი იგი უაღრესსა მას მონებად ბრძა-ნებათა უფლისათა და შუაკედელი ზღუდისა მის დავჰჰსნათ და ვქმნათ ორივე ერთად შეერთებითა მით და შეზავებითა კეთილისადათა. და ყოვე-ლივე იგი მძღავრებად ბრძოლისა მის ვნებათადას განვიოტოთ ჩუენგან: შური, ჯდომად, სიძულილი, მრისხანებად, ძკრის-ჰსენებად, ორგულებად, ზაკუეად, გულარძნილებად, გულისთქუმა ბოროტი, ზუაობად და ყოველი-ვე იგი ვნებათა სიმყრალე და დავაშენოთ მათ წილ შორის ჩუენსა: სიყუ-არული, სიხარული, მშკდობად, სულგრძელებად, სიტკბობებად, სახიერებად, სარწმუნოებად, ყუდროებად, მოთმინებად და სხუანი იგი მსგავსნი ამათნი. მაშინ იქმნას ჩუენ შორის მშკდობად ჭეშმარიტი, და შეუძლოთ სხუათაცა მშკდობის-ყოფად, და ღირს ვიქმნეთ ძედ ღმრთისა ნოდებად, ვიყვნეთ რად ჭეშმარიტნი მშკდობისმყოფელნი; რამეთუ ესე არს სრული მშკდობის-ყო-ფად, რადათა პირველად ჩუენ შორის მყოფნი ბრძოლანი დავაცხრვნეთ და მშკდობა-ვყოთ და მერმე სხუათაცა ვისწრაფოთ სულიერისაცა მშკდობისა მიცემად და ჯორციელისა. და აღესრულოს ჩუენ ზედა სიტყუად უფლისად, რომელი ჰრქუა მონაფეთა: „მშკდობასა მოგცემ თქუენ, მშკდობასა ჩემსა დაგიტევებ თქუენ“.¹

ხოლო ვინაფთგან თქუა: „ნეტარ არიან მშკდობისმყოფელნი“, რადათა არა ჰგონებდე, თუ ყოლადვე მშკდობად კეთილ არს, არამედ სცნა, ვითარ-მედ არს ჟამი ბრძოლისადაცა, ამისთვის შემდგომად მის ნეტარებისა ესე შე-უდგინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ნეტარ არიან დევნულნი სიმართლისათუს, რამეთუ მა-თი არს სასუფეველი ცათად“ (5,10).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვინ არიან დევნულნი სიმართლისათუს? პირველად – მოციქულნი და მონამენი, რომელნი იდევნენ სარწმუნოებისათუს მეკერ-პეთაგან და ჰურიათა; და კუალად – რომელნიცა იდევნენ, გინა იდევნენ მართლალსარებისათუს მწვალებელთა მიერ; მერმე ყოველნი, რომელნიცა იდევნენ სინმიდისათუს და სათნოებისა, გინა თუ სხუათა ჯელის-აჰყრობი-სათუს და შენვენისა გლახაკთადას და ყოველისავე ღმრთისმსახურებისათუს

¹ იოან. 14,27.

და საღმრთოთა მცნებისა, რამეთუ ვინაფთჳან სიმართლე თქუა, ყოველივე საღმრთოთ საქმე შემოკრიბა. რომელნიცა ესევეთარისა კეთილისა საქმისათჳს და ღმრთისმსახურებისათჳს და ჭეშმარიტებისა იდევენენ, ნეტარ არიან, რამეთუ „მათი არს სასუფეველი ცათაჲ“.

სახარებაჲ: „ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთჳს. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა“ (5,11-12).

თარგმანი: ესე იგი არს, ოდეს თქუან თქუენდა მომართ, ვითარმედ გრძნეულნი ხართ, მაცთურნი ხართ, აღმაშფოთებელნი ხართ ერისანი, მტყუარნი ხართ და სხუად ყოველივე ესევეთარი, რადცა გინოდონ თქუენ ჩემთჳს, ნეტარ იყვნეთ. უცხო და ახალი სწავლად შემოილო, რამეთუ ეტყჳს, რადთა რომელი-იგი სხუათა საწყინოდ უჩნს და ევლტიან, მათ სანადელად უჩნდეს: სიგლახაკე და გლოად და დევნულებაჲ და ბოროტთა სიტყუათა დანამებაჲ. უცხო იყო და ახალ ესევეთარი ესე სწავლად, გარნა თავადმან თქუა და დაარწმუნა არა ათორმეტთა ხოლო, ანუ ოცთა, გინა ასთა, ანუ ათასთა კაცთა, არამედ ყოველსავე სოფელსა. ამისთჳს ესმოდა ერსა მას უცხო იგი და მძიმე სწავლად და განუკრდებოდაო მოძღურებაჲ მისი, თქუა მახარებელმან. ესევეთარი იყო ძალი მოძღურისა მის სახიერი-საჲ.

ხოლო რადთა არა ჰგონებდე, თუ ყოვლადვე, ოდესცა ვინ თქუას ჩუენთჳს სიტყუაჲ ბოროტი, ნეტარებასა მოვიღებთ, ამისთჳს ორი მიზეზი თქუა ბოროტთა მათ სიტყუათაჲ: „სიცრუით ჩემთჳსო“, რადთა დანამებაჲ იგი ბოროტთა მათ სიტყუათაჲ, ერთად, ქრისტესთჳს იყოს და, მეორედ, არა ჭეშმარიტ იყოს, არამედ სიცრუით და ტყუილით დანამებული, რომელ არს ცილისნამებაჲ. უკუეთუ არა ესრეთ იყოს ორითა ამით სახითა, არამედ ჭეშმარიტ იყვენენ სიტყუანი იგი ბოროტისმოქმედებისა ჩუენისანი, არა ნეტარებისა ღირს ვართ, არამედ უბადრუკებისა. ხოლო რომელთა ზედა სახელისათჳს უფლისა დაედვას ცილისნამებაჲ და იდევენენ ჭეშმარიტებისათჳს და ღმრთისმსახურებისა, ისმინე მათი იგი მისაგებელი უფლისა მიერ: „გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა“.

ხოლო შენ დალაცათუ არა თითოეულსა მას ნეტარებასა ზედა გესმის სასუფეველი ცათაჲ, ნუ უცხო გიჩნს და შესანუხებელ, რამეთუ დალაცათუ თითოფერი სახელები უწოდა მისაგებელთა მათ განმზადებულთა, არამედ ყოველნივე სასუფეველისა მომასწავებელ არიან. რამეთუ ოდეს თქუას, ვითარმედ: „მგლოარენი ნუგეშინისცემულ იქმნენ, და მონყალენი შეინყალნენ, და წმიდათა გულითა ღმერთი იხილონ, და მშკდობისყოფელნი ძედ ღმრთისა იწოდნენ“, – ამით ყოვლითა არარას სხუასა მოასწავებს, გარნა

სასუფეველსა ცათასა. ამისთვისცა ნუ ჰგონებ, თუ გლახაკათვს სულითა ხოლო განმზადებულ არს სასუფეველი ანუ დევნულთათვს სიმართლისათვს; არამედ რომელთა შიოდის და სწყუროდის სიმართლისათვს, და რომელნი მშკდ იყვნეს და წრფელ, და რომელნი მგლოარე იყვნენ ცოდვათა თვსათვს, და სხუანი ყოველნივე აღმასრულებელნი წმიდათა ამათ მცნებათა სასუფეველსა შემავალ არიან. რამეთუ ამისთვის ყოველთავე ზედა ნეტარებად განაწესა, რადთა სცნა, ვითარმედ საუკუნეთა კეთილთა მოასწავებს; რამეთუ დაღაცათუ ვიეთთვისმე ამისცა ჟამისა კეთილის-ყოფად ბრძანა, არამედ მისვე საუკუნისა საშუებელთა მოასწავებდა, ვითარცა ზემო წერილ არს; რამეთუ უკუეთუმცა არა წარუვალსა მას სუფეველსა მოასწავებდა, არცამცა ნეტარებასა ღირს-ყო წარმავალი იგი და საწუთროსა ამას ცხორებასა თანა დაწესნადი და უდარეს აჩრდილისა განქარვებადი, არამედ სანატრელად უწოდა სასუფეველისათვს მერმისა. ხოლო თქუა რად, ვითარმედ: „სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა“, სხუადცა შესძინა ნუგეშინის-ცემისა სიტყუად და ჰრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : **„რამეთუ ეგრევე დევნეს წინანარმეტყუელნი უწინარეს თქუენსა“** (5,12).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვინაფთგან აღთქუმად იგი სასუფეველისად უხილავ იყო და სასოებითა შესაწყნარებელ, ამისთვის ესე ნუგეშინის-ცემად წინაუყო, რომელ მობაძავ წინანარმეტყუელთა არიან და ზიარ მათისა მის ღუანლისა, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: ნუ ჰგონებთ, თუ წინააღმდგომსა რასმე წინანარმეტყუელთასა გეგულების ქადაგებად და ამისთვის გდევნიდენ, ვითარმცა ბოროტსა რასმე იტყოდეთ; არამედ ამისთვის, რომელ იგინი უკეთურ და ურჩულო არიან, რომელნი გდევნიდენ თქუენ. და წამებს ამას დევნულებად წინანარმეტყუელთად, რამეთუ არა თუ ბრალი რადმე ცოდვისა და ურჩულოებისად დასდევს მათ და მისთვის რომელთამე ქვად დაჰკრიბეს და რომელნიმე განხერხნეს, რომელნიმე ძვრ-ძვრად მოსწყვდნეს და რომელნიმე დევნეს, არამედ თვისისა უკეთურებისა და უღმერთობისათვს, რომლისათვს თქუენცა გდევნენ.

ჰხედავა, ვითარ აღამაღლნა გონებანი მათნი, რაჟამს მიამსგავსნა იგინი მოსეს და ელიას და სხუათა მათ წინანარმეტყუელთა? ეგრეთვე პავლე ქმნა, მიუწერდა რად და ნუგეშინის-სცემდა თესალონიკელთა, ვითარმედ: „თქუენ მობაძავ იქმნენით, ძმანო, ეკლესიათა მათ ღმრთისათა, რომელნი არიან ჰურიასტანს, რამეთუ ეგრევე გევნო თქუენცა თვსთაგან ტომთა, ვითარცა-იგი მათ ჰურიათაგან, რომელთა-იგი უფალი მოკლეს იესუ და წინანარმეტყუელნი და ჩუენ გამოგუდევენს და ღმერთსა არა სათნო-იყვნეს და ყოველთა კაცთა წინააღმდგომ არიან“.¹ ვითარცა აქაცა უფალი

¹ 1 თეს. 2,14-15.

გამოაჩინებს და მიბაძვითა მით წინანარმეტყუელთადათა ნუგეშინის-სცემს მოციქულთა. და სხუათა მათ ნეტარებათა ესრეთ იტყოდა: „ნეტარ არიან გლახაკნი, და ნეტარ არიან მოწყალენი და სხუანი იგი ყოველნივე“; ხოლო აქა არა ესრეთ განუჩინებლად თქუა, არამედ მათა მიმართ ყო სიტყუად თვისი, ვითარმედ: „ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ და გდეგნიდენ და თქუან ყოველი სიტყუად ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთვის“;¹ რადათა უჩუენოს, ვითარმედ ესე განთვსებულად და განჩინებულად მათი არს უაღრეს ყოველთა, და რომელნი მსგავსად მათსა იდევენ-ბოდინ სახელისა მისისათვის და სწავლისა მისთვის საღმრთოჲსა, და რადათა გულისჴმა-ყონ დიდებაჲ მისი და სწორებაჲ მამისა თანა; რამეთუ ვითარცა წინანარმეტყუელნი მამისათვის, ეგრეთვე მოციქულნი ძისათვის დევნეს ჰურიათა, ურჩულოთა მათ და მოსისხლეთა. ხოლო ოდეს ჰრქუა, ვითარმედ: „წინანარმეტყუელნი უწინარეს თქუენსა“, მოასწავა, ვითარმედ იგინიცა წინანარმეტყუელვე წოდებულ არიან. და არა თქუა, ვითარმედ: მე დავაყენე ანუ წინააღუდეგ მდევართა და მაჭირვებელთა თქუენთა, არამედ ახოვნებით თავს-დებად უბრძანა, რომელი-იგი უაღრეს მისა არს და უმეტესად გამოაჩინებელ სიმწნისა მათისა, რომლისათვის საუკუნოდ მისაგებელი აღუთქუა, ვითარმედ: „გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა“.²

ხოლო ლუკა უმეტესადცა იტყვის: „ოდეს განწადონო სახელი თქუენი, ვითარცა ბოროტთაჲ, ძისათვის კაცისა, გიხაროდენ მას დღესა შინა და მხიარულ იყვენით, რამეთუ აჰა ესერა სასყიდელი თქუენი დიდ არს ცათა შინა“.³ არა დევნულებათა მათთვის, რომელთა მოითმენდეს, და სატანჯველთათვის ხოლო, არამედ გინებათა მათთვისცა და შეურაცხებათა და ცილისწამებათა დიდსა სასყიდელსა განუმზადებს. ამისთვისცა არა თქუა: რაჟამს გტანჯნენ თქუენ და მოგწყდნენ, არამედ: „რაჟამს გყუედრიდენ და თქუან ყოველი სიტყუად ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთვის“; რამეთუ ნანდვლვე ყუედრებანი და შესმენანი და ბოროტისმეტყუელებანი უძკრესადლა ტანჯვისა და გუემისა შეანუხებენ გულსა, რამეთუ ტანჯვასა შინა მრავალნი ნუგეშინის-სცემდეს, მრავალნი აქებდეს და გკრგკნოსან-ჰყოფდეს, ხოლო ყუედრებათა შინა და შეურაცხებათა და ცილისწამებათა ესეცა ნუგეშინის-ცემად არა ეპოებოდა და უმეტესადლა შეაურვებდა მათ. და იხილეთ იობ, გოდოლი იგი შეურყეველი, რაჟამს ყოველივე მონაგები წარუწყმდა და მეყსა შინა უშვილო იქმნა და წყლულებად იგი სასტიკი შეემთხვა და მეუღლე განმამრავლებელ მწუხარებათა ზედაადგრა, ყოველივე ადვილად მოითმინა, ხოლო იხილნა რად, მეგობარნი იგი ვითარ აყუედრებდეს და ზედაშეუწყდებოდეს და ეტყოდეს, ვითარმედ ცოდვათა მისთათვის შეემთხვა ესევეთარი იგი წყლულებად და განსაცდელი, და ურ-

¹ მათ. 5,11.

² მათ. 5,12.

³ ლუკ. 6,22-23.

ჩულოებისა მისაგებელი არს ყოველი იგი, მაშინლა შენუხნა და შეშფოთნა ახოანი იგი კაცი. და კუალად დავით დაუტევა ყოველივე იგი, რომელი შეემთხვა, და ძკრისმეტყუელებისა მისთვის სემიესა მისაგებელსა ეძიებდა ღმრთისაგან და იტყოდა: „აცადეთ, მგმობდეს და მწყევდეს. ვინ უნყის, უფალსა თუ ურქუამს, ვითარმედ ძკრისმეტყუელად აღუდეგ დავითს, რაფთა იხილოს უფალმან დამდაბლებად ესე ჩემი და მომაგოს მე კეთილი წყევლისა მის წილ“.¹

ეგრეთვე პავლე არა ტანჯვათა ხოლო და დევნულებათა, არამედ ყუედრებათაცა დიდად საქებელ-ჰყოფს და მიუწერს: „მოიწსენებდით პირველთა მათ დღეთა, რომელთა შინა ნათელ-იღეთ და მრავალი ღუანლი დაითმინეთ ვნებათად, ესე არს, ყუედრებათა და ჭირთა შინა სოფლის სახილველ იქმნენით“.² ვინაფთგან უკუე ესრეთ საჭირო არს და შესანუხებელ საქმე ესე, ამისთვის სასყიდელი ფრიადი აღუთქუა უფალმან არა ამას საწუთროსა, არამედ ცათა შინა, სასოებითა მით საუკუნოფთა, დაუსრულებელითა მით და წარუვალითა. და იხილე, რავდენთა მცნებათა შემდგომად დადვა ესე. არა თუ ცუდად ქმნა, არამედ რაფთა აუნყოს, ვითარმედ უკუეთუ ვინ არა პირველად იგი ყოველივე მოიგოს და ყოვლითავე შეიჭუროს, ვერ ჴელ-ენიფების ამას ასპარეზსა შესლვად. ამისთვისცა პირველითგან იწყო და შემდგომითი შემდგომად ვითარცა ჯაჭვ ოქროფსა შეგკთხზნა, რამეთუ რომელი მდაბალ იყოს და შემუხრვილ გულისთა, უეჭუელად იგლოვს იგი ცოდვათა თვსთათვს; რომელი მგლოარე იყოს, იგი მშკდ არს და დაშნ და უმანკო; ესევითარი იგი სამართლად მოწყალე არს, ხოლო მოწყალე და მართალი და ღმობიერი სინმიდესა მოიგებს გულისასა; ეგევითარი იგი მშკდობისმყოფელ არს სახითა მით ზემოთქუმულითა. ხოლო რომელმან ესე ყოველი წარჰმართოს, იგი განწყობილ არს და განმზადებულ ყოვლისავე განსაცდელისა და ყოვლისა ყუედრებისა და ძკრისსიტყვსა თავს-დებად სახელისათვს უფლისა და არცა თუ სულსა თვსსა ჰრიდოს მიცემად ქრისტესთვის.

ესრეთ უკუე ასნავა რაფ, რაოდენი ჯერ-იყო, კუალად აქებს სამართლად სიკეთესა მათსა. რამეთუ ფრიად მაღალ იყვნეს სწავლანი იგი და უზემთაეს ძუელისა მის რჩულისათა, რაფთა არა შეშინდენ და თქუან: ვითარ უძლოთ წარმართებად ძნელოვანთა ამათ საქმეთა? ისმინე, რასა ეტყვს და განაძლიერებს მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „**თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი**“ (5,13).

თ ა რ გ მ ა ნ ი : უჩუენა, ვითარმედ სამართლად უბრძანა ყოველივე იგი, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ ყოვლისა სოფლისა მოძღურებად გიღირს, რამეთუ არა ათ ქალაქად ანუ ოც ქალაქად მიგავლენ, ვითარ-იგი წინა-

¹ შდრ. 2 მეფ. 16,11-12. ² ებრ. 10,32-33.

წარმეტყუელნი მიივლინნეს, არამედ ყოვლისავე სოფლისა მოძღურად და-
გადგინებ, სოფლისა მის მრავლითა ბოროტითა აღვსებულისა; ამისთვისცა
„თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი“, რამეთუ დამპალ არს ყოველივე კაც-
თა ბუნება და დაყროლებულ ცოდვათაგან, ამისთვის ჯერ-არს მცნებათა
ამათ აღსრულებად თქუენ მიერ, რადთა ესრეთ სხუათაცა ასანოთ დამარ-
ხვად მათი. რამეთუ კეთილად თუ წარჰმართნეთ სათნოებანი ესე მაღალნი:
სიმდაბლე და სიმშვედე, გლოად და სიმართლე, სინმიდე გულისა და მშვედო-
ბად, იქმნენ ესენი თქუენ შორის წყარო წყლისა ცხოელისა, რომლისაგან
სუან წარმართთა და ცხონდენ, რამეთუ ლუანლსა და ასპარეზსა დიდსა და
სალმრთოსა გეგულების თქუენ შესლვად, და არა მცირე არს სრბად იგი
თქუენისა მის მოციქულებისად.

„თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი“. ვითარ არს სიტყუად ესე? დამ-
პალნი იგი და დაყროლებულნი მათ განაახლნესა? ნუ იყოფინ! არა არს
ესე საქმე მარილისად, რადთამცა დამპალნი განაახლნა, არამედ მრთელნი
იგი დაამარილნეს და არა შეუნდოს დაყროლებად. ან უკუე დამპალი იგი
და დაყროლებული ბუნება ჩუენი უფალმან განაახლა და მიუთუალა მათ,
მიიღეს მათ და დაამარილეს, რადთა არღარა დალპეს და დაყროლდეს; რა-
მეთუ განყენებად სიმპალისა მისგან და სიმყრალისა ცოდვათაჲსა ქრისტეს
მიერ მოგუეცა, ხოლო არღარა შთავრდომად მას შინა მათისა მის მოძღუ-
რებისა და მოსწრაფებისაგან იქმნა. ამისთვის ეტყვს სწავლათა ამათ, რო-
მელ-იგი უჴმს ყოველთა მოძღუართა სმენად. რამეთუ ვითარცა ზემოთქუ-
მულნი იგი სწავლანი და ნეტარებანი მოციქულთა მიუთხრნა, არამედ ყო-
ველთა მიმართ მორწმუნეთა იყო სიტყუად მისი, ეგრეთვე აქა სიტყუად ესე
მოძღუართა და წინამძღუართა მიმართ მიაქცია, დაღაცათუ მოციქულთა
ეტყოდა, რამეთუ იგინი იყვნეს მოძღუარნი ყოველთანი, დადგინებულნი
ქრისტეს მიერ, და მათდა მიმართ იყო სიტყუად და მათ მიერ ყოველთა წი-
ნამძღუართა ერისათა, რომელნი შემდგომად მათსა ყოფად იყვნეს. ამის-
თვისცა იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „**თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი. უკუეთუ მარილი
იგი განქარდეს, რადთა-მე შეიმარილოს? არღარა შემძლებელ არნ მერმე,
არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ**“ (5,13).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე იგი არს, ვითარმედ სხუანი დაღაცათუ განქარ-
დენ ცოდვისა მიერ, ვითარცა მარილი მიახლებითა წყლისაჲთა, არამედ
შესაძლებელ არს კუალად მოქცევაჲ და თვისსავე წესსა მოსლვად, ხოლო
წინამძღუართათს ეკლესიისათა ძნელ არს შთავრდომად ცოდვასა, რამე-
თუ იქმნებიან დასაბრკოლებელ მრავალთა და წარსაწყმედელ; და ამისთვის
ღირს არიან განგდებად გარე, ვითარცა მარილი განრყუნილი, რადთა არა
წარწყმედისათვის სხუათაჲსა საუკუნოჲსა მის სატანჯველისა მკუდრად გა-
მოჩნდენ. რამეთუ ესმა რად, ვითარმედ: „გყუედრიდენ და გდევნიდენ და

თქუან ყოველი სიტყუად ბოროტი თქუენდა მომართ“;¹ რადთა არა შეშინდენ შესლვად ასპარეზსა მას მოძღურებისასა, ამისთვის ეტყუას მათ და მათ მიერ ყოველთა მოძღუართა ეკლესიისათა, ვითარმედ: უკუეთუ არა ამის ყოველისა თავს-დებად განმზადებულ ხართ, ცუდად შეხუალთ წესსა მას მოძღურებისა და წინამძღურობისასა, რამეთუ არა ამისგან უვმს შიში წინამძღუარსა, ნუუკუე თქუან მისთვის ბოროტი, ანუ დევნონ, გინა აყუედრონ, არამედ ამისგან უვმს შიში, უკუეთუ წადიერებითა მით წინამძღურობისა და პატივისაჲთა იპოოს თანაალმყოლელ და არა მაბრალობელ მოქმედთა ბოროტისათა, რამეთუ მაშინ განქარდეს, ვითარცა მარილი, და უვმარ იქმნას. უკუეთუ კულა ეგოს წინააღდგომასა და მხილებასა შინა ბოროტის-მოქმედთაჲსა, მაშინ უხაროდენ, რამეთუ ესე არს საქმე მარილისაჲ, რადთა შეუვდებოდის და ატკივნებდეს წყლულებასა და ამით სახითა იცვას იგი დაღპობისაგან და სიმყრალისა. და მერმე ტკივნეულთა მათგან და მონყლულთა მრავალგზის იქმნის ბოროტის-ზრახვად და გინებაჲ მკურნალისა მის და წამლისა მის მატკივნებელისაჲ, არამედ არას ავენებს ესე ჭეშმარიტსა მას წინამძღუარსა და უფროსადღა გამოაჩინებს ძლიერებასა და სიკეთესა მისსა. ხოლო უკუეთუ შიშითა მით ბოროტისსიტყუასა და შეურაცხებისაჲთა იქმნეს განმცემელ ჭეშმარიტებისა და ჯეროვნისა მის სიფიცხისა, აქაცა ფრიად უძვრესი შეემთხვოს, რამეთუ სანუნელ და შეურაცხ და უმეტესად საყუედრელ იქმნას, რამეთუ ესე მოასწავა სიტყუათა მით, ვითარმედ: „დათრგუნვად კაცთა მიერ“, და მერმესა მას საუკუნესა სასყიდლით დადგინებულთა მათ მწყემსთა თანა შეირაცხოს, განმრყუნელთა სამწყსოვსათა.

ესე რად ჰრქუა მოციქულთა და წინამძღურობისა წესი გამოაჩინა იგავითა მით მარილისაჲთა, კუალად უაღრესი მიუთხრა იგავი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „**თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი**“ (5,14).

თ ა რ გ მ ა ნ ი : კუალად სოფელი აუნყა მათ. არა ერთისა ქუეყანისა ანუ ქალაქისა, არამედ ყოვლისავე სოფლისა ნათლად უწოდა, ნათლად საცნაურად და სულიერად და ხილულისა ამის ფრიად უაღრესად. პირველ მარილად სოფლისა უწოდა და ან ნათლად. იგი ამისთვის, რამეთუ სიმყრალისა მისგან და სიმპალისა ცოდვათაჲსა მამხილებელითა მით სიტყუათა თვისითა იწსნიდეს კაცთა, ხოლო ესე კუალად ამისთვის, რამეთუ ბნელი იგი საცთურისაჲ განაქარვეს და ნათელი ღმრთისმეცნიერებისაჲ უჩუენეს ყოველთა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „**ვერ ველ-ენიფების ქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა. არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ვკმირსა, არამედ სასანთელსა ზედა, და ჰნათობნ ყოველთა, რომელნი იყვნინ სახლსა შინა**“ (5,14-15).

¹ მათ. 5,11.

თ ა რ გ მ ა ნ ი: კუალად სიტყუათა ამათ მიერ ასწავლის მათ და მათ მიერ ყოველთა წინამძღუართა, რადთა მოშიშ იყვნენ და განკრძალულ და ყოველივე საქმე სათნოებისად შეიტკობონ, რამეთუ თუალნი ყოველთანი მათ ზედა არიან, და სახილველსა მას შორის სოფლისასა აღესრულების ღუან-ლი და სრბად მათი; რამეთუ ესრეთ საცნაურ იყვნეთ ყოველთა მიერო, ვითარცა ქალაქი, არა ჴევსა შინა დაშენებული, არამედ თავსა ზედა მთისასა, სახილველად ყოველთა; და ვითარცა სანთელი, სასანთლესა ზედა მდებარე, სახილველ არნ ყოველთა მიერ სახლსა მას შინა მყოფთა.

ისმინეთ ესე ყოველთა და თავუანის-ეცით ძალსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, ვითარ თქსსაცა სოფელსა უცნაურნი იგი ესრეთ საცნაურ-ყვნა, რომელ ზღუად და ჴმელი აღიესო მეცნიერებითა მათითა, და „ყოველსა ქუეყანასა განჴდა ჴმად მათი და კიდეთა სოფლისათა – სიტყუანი მათნი“;¹ რომელ-ესე აწვე აუწყა და, რად-იგი თქუა, საქმით აღესრულა, რამეთუ არა თუ ჴამბავი მათი განისმა ყოველსა სოფელსა, არამედ ბრწყინვალეობად საქმეთა მათთად იხილვა, და ვითარცა ფრთოანთა მოიბრინეს ყოველი ქუეყანად უმახვლეს ნათელსა მას მზისასა და განჴფინეს ყოველთა ზედა ნათელი იგი ღმრთისმეცნიერებისად.

ამისთვისცა ქალაქსა მიაძმგავსნა იგინი უფალმან, მთასა ზედა დაშენებულსა, რადთა აუწყოს, ვითარმედ ვითარცა ვერ შესაძლებელ არს დაფარვად ესევითარისა მის ქალაქისად, ეგრეთვე არა შესაძლებელ არს დადუმებად ქადაგებისა მათისად. რამეთუ ჴრქუა რად, ვითარმედ: „გყუედრიდენ და გდევნიდენ“;² რადთა არა ჴგონებდენ, თუ შეუძლონ მაცუედრებელთა მათ და მდევართა დაყოფად პირისა მათისა, ამისთვის განაძლიერებს მათ და ეტყვს, ვითარმედ უმეტესად განბრწყინდენ და სახილველ ყოველთა იყვნენ, რადთა აუწყოს მათ ძალი შენევისა თქსისად. ხოლო შემდგომითა მით სიტყუთა მათ აწუევს კადნიერებისა მის საღმრთოვსა ჩუენებად და ეტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ეგრეთ ბრწყინევიდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რადთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (5,16).

თ ა რ გ მ ა ნ ი: პირველითა მით სიტყუთა თქსი ძალი გულისჴმა-უყო, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: არა მნებავს დაფარულად ყოფად თქუენი, არამედ განგაბრწყინვო და სასანთლესა მას ზედა დაგადგინო მოძღურებისასა; და ესე ჩემდა იყავნ, მე ნათელ სოფლისა გყვენე და სასანთლესა ზედა დაგადგინენ; ხოლო დადგრომად ბრწყინვალეობასა მასვე ზედა ესე თქუენდა იყავნ, არა თავთა თქსთათქს ხოლო, არამედ მათთვისცა, რომელთა ეგულების ნათლისა მის ხილვად და ჴემმარიტებისა მიმართ მისლვად

¹ ფსალმ. 18,5. ² მათ. 5,11.

წინამძღვრობითა თქუენითა, რამეთუ ვერ უძლოს ბოროტისმეტყუელე-ბამან წინააღმდეგომთა თქუენთამან ნათლისა თქუენისა დაფარვად, უკუეთუ თქუენ ყოველივე კეთილისაქმე შეიკრძალოთ, ვითარცა მოძღურებად და ქადაგებად ყოვლისა სოფლისა მივლინებულთა ჩემ მიერ. ან უკუე ღირსი მადლისა მის მოცემულისა თქუენდა მოიგეთ მოქალაქობად, რათა ვითარცა მადლი იგი იქადაგებოდის ყოველსა ქუეყანასა, ეგრეთვე მის თანა მოქალაქობისაცა თქუენისა ბრწყინვალეობად იხილვებოდის.

ამას ზედა სხუადცა მიზეზი მისცა მათ კეთილად ცხოვრებისად, რათა მოშიშ იყვნენ და განკრძალულ, რამეთუ ეტყჳს, ვითარმედ: კეთილთა საქმეთა თქუენთა მიერ არა თუ სოფელი ხოლო მოაქციოთ, არამედ დიდებადცა ღმრთისა აღადგინეთ ყოველნი; ვითარ-იგი უკუეთუ ბოროტად იქცეოდით, არა თუ კაცთა ხოლო წარწყმედისა მიზეზ ექმნეთ, არამედ მგმობარცა ჰყვნეთ იგინი სახელსა ღმრთისასა დასასჯელად თქუენდა.

და ვითარ იდიდებოდის ღმერთი ჩუენ მიერ, უფალო, ვინათგან უფროდსად მბრძოლ და ძკრისმეტყუელ ჩუენდა ყოფად არიან კაცნი? ანუ ვითარ ბრწყინვიდეს ნათელი ჩუენი წინაშე კაცთა? მაჩუენებლობითა და სათნოებითა კაცთათა გკბრძანება მოქალაქობად? ჰე, მბრძოლ თქუენდა და ძკრისმეტყუელ-ყოფად არიან კაცნი, ეტყჳს მათ უფალი, არამედ არა ყოველნი, რამეთუ მრავალნი ერჩდენ მოძღურებასა და ქადაგებასა თქუენსა, და იგინიცა, რომელნი წინააღმდეგომ თქუენდა იყვნენ, მხილებულთა გონებისაგან უკვრდეს სათნოებისა თქუენისა უძღვევლობად. ხოლო მაჩუენებლობით მოქალაქობად არა გიბრძანებ. ნუ იყოფნი! რამეთუ არა ესრეთ გარქუ, თუ ისწრაფდით ჩუენებად კაცთა სათნოებისა თქუენისა, ანუ მიუთხრობდით და აუწყებდით ქველისაქმესა თქუენსა, არამედ გარქუ თქუენ: „ბრწყინვიდნი ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“, ესე იგი არს, დიდ იყავნ სასოებად თქუენი, მდიდრად ეგზებოდენ ცეცხლი ღმრთისმსახურებისა თქუენისა, ელვარედ ბრწყინვიდნი ნათელი სინმიდისა თქუენისა; და ოდეს სიმაღლე სათნოებათა თქუენთა ესოდენ ამაღლდეს, შეუძლებელ არს დაფარვად მისი, დაღაცათუ ბევრეულითა ღონის-ძიებითა გენებოს დაფარვად. ბრალიმცა ნუ იპოვების მოქალაქობასა შინა თქუენსა, რათა შემასმენელთა და წინააღმდეგომთა თქუენთა ჭეშმარიტისა შესმენისა მიზეზი ვერ პოონ; და ბევრეულნი თუ იყვნენ შემასმენელნი სიცრუისანი, თქუენ ვერარად გავნონ, არამედ უფროდსად ბრწყინვიდეს ნათელი თქუენი.

და კეთილად უწოდა საღმერთოდა მოქალაქობისა შუენიერებასა ნათლად, რამეთუ არარად ესრეთ განცხადებულ და სახელოან ჰყოფს კაცსა, დაღაცათუ იგი ყოვლითა ძალითა მალვიდეს თავსა თჳსსა, ვითარ სათნოებად. რამეთუ ვითარცა ვის ემოსის ბრწყინვალეობად მზისად, დაღაცათუ ბევრეულითა ღონითა ენებოს დაფარვად თავისა თჳსისად, შეუძლებელ არს ესე, ეგრეთვე არს კაცი ღმერთშემოსილი და მადლითა მისითა შემ-

კობილი, რომელ-ესე იქმნების საღმრთოთა მით მოქალაქობითა სინმი-
 დისადათა. ამას ესევეთარსა მოქალაქობასა ასწავებს უფალი მონაფეთა და
 ეტყვს: „ესრეთ ბრწყინევიდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაფთა იხილ-
 ნენ კეთილნი საქმენი თქუენნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათა-
 სა“; უკვრდეს დიდებად უფლისა თქუენისა ახოვნებისა მის თქუენისაგან;
 ხედვიდენ საქმეთა თქუენთა და ადიდებდენ მოძღუარსა თქუენსა თანა
 მამით და სულით წმიდითურთ, რამეთუ საკვრველებითა საქმეთა თქუ-
 ენთადათა ისწაონ თქუენ მიერ დიდებად ღმრთისადა, და ესრეთ ორკერძოვე
 განგიმრავლებოდის თქუენ სასყიდელი, ოდეს-იგი ღმერთი თქუენ ძლით
 და თქუენ მიერ იდიდებოდის, და ოდეს თქუენ ღმრთისათვს იყუედრებო-
 დით და იდევენებოდით. და ჭეშმარიტად ესრეთ არს, რამეთუ ვინაფთაგან
 თქუა: „ნეტარ იყვნეთ, რაჟამს ბოროტსა იტყოდინ თქუენთვს კაცნი“;¹
 რაფთა არავინ თქუას, თუ: ვიქმოდი უნესობასა, რაფთა ბოროტსა იტყო-
 დინ ჩემთვს და მაქუნდეს სასყიდელი, ამისთვს გამოაჩინა, თუ ოდეს მიე-
 ცემის სასყიდელი: რაჟამს სიტყუანი იგი ცილისწამებით იყვნენ, და რაჟ-
 ამს ცილისწამებად იგი ღმრთისათვს დაგუენამებოდის. ამისთვს თქუა:
 „რაჟამს თქუან ყოველი სიტყუად ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით
 ჩემთვს“.² და კუალად ესეცა გამოაჩინა, ვითარმედ არა თუ ბოროტისსიტ-
 ყუად ხოლო მომატყუებელ არს სასყიდლისა, არამედ კეთილისსიტყუ-
 აცა, ოდეს გარდამატებულებითა სათნოებათა ჩუენთადათა ითქუმოდის
 ჩუენთვს; არა თუ ნებითა და ძიებითა ჩუენითა, არამედ გარდარეულითა
 მით სიმაღლითა საღმრთოდასა მოქალაქობისა ჩუენისადათა იდიდებოდის
 ღმერთი ჩუენ მიერ, დიდივე მოგუეცემის სასყიდელი, ვითარცა ესერა მო-
 ციქულთა უბრძანებს და იტყვს: ნუ გეშინინ უკეთურებათა და ბოროტის-
 მეტყუელებათაგან, რამეთუ უკუეთუ თქუენ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ,
 ვერ ძალ-უც ბოროტისმეტყუელებასა უკეთურთასა დაფარვად ნათლი-
 სა თქუენისა, რაფთამცა ვერ იხილეს სხუათა და შეურაცხ იქმნენითმცა,
 რამეთუ ესე მაშინ იქმნების, ოდეს განქარდეს მარილი იგი მოღუანებისა
 თქუენისადა და იქმნას დასათრგუნველ კაცთა. ხოლო უკუეთუ ბრწყინვი-
 დეს ნათელი თქუენი, არა თუმცა დაფარვად ვინ უძლო, არამედ უფრო-
 სად მრავალნი განათლდენ თქუენ მიერ „და ადიდებდენ მამასა თქუენსა
 ზეცათასა“. არა თქუა, თუ: ადიდებდენ ღმერთსა, არამედ: „მამასა თქუ-
 ენსა ზეცათასა“, რამეთუ აუნყებდა დიდებასა მას, რომლისა ეგულებოდა
 მინიჭებად მათდა, და რაფთა სწორებად მამისა და ძისადა გულისწმა-უყოს
 სულითა წმიდითა. ამისთვსცა ზემო ეტყოდა: „ნეტარ იყვნეთ თქუენ, რა-
 ჟამს გყუედრიდენ და გდევიდენ ჩემთვს“;³ ხოლო აქა მოქალაქობად მათი
 კეთილი და ღუანლი, რომელი მისთვს მოიღუანეს, სადიდებელად მამისა
 თქუა, რაფთა სწორებად მოასწავოს.

¹ შდრ. მათ. 5,11.

² შდრ. მათ. 5,11.

³ შდრ. მათ. 5,11.

სწავლად იე სათნოდ ღმრთისა მოქალაქობისათჳს

ვიხილოთ უკუე, მორწმუნენო, სარგებელი მოსწრაფებისა და სავნებელი უდებებისა და ვისწრაფოთ დაუბრკოლებელ-ყოფად ჰურიათა და წარმართთა და ეკლესიასა ღმრთისასა, რაფთა არა ჩუენ ძლით იგმოებოდის სახელი ღმრთისა და მიგუეჳადოს ჩუენ სასჯელი გარეშე ცოდვათა ჩუენთასა. ამისთჳს გლოცავ, საყუარელნო, ვაჩუენოთ მოქალაქობაჲ კეთილი და უბრწყინვალესი მზისა, რაფთა უფროჲსად იდიდებოდის ღმერთი ჩუენ მიერ. ესრეთ თუ ვიქცეოდით, დაღაცათუ მრავალნი იყვენენ შემასმენელ ჩუენდა, არაფსადა გუევენოს ჩუენ; დაღაცათუ ყოველი სოფელი ბრძოლად აღგკდგეს, ყოველთავე ვერეოდით, უკუეთუ ღმერთი იყოს ჩუენ კერძო. უკუეთუ კუალად ბოროტად ვიქცეოდით, დაღაცათუ ყოველნი მაქებელ ჩუენდა იყვენენ, უბადრუკ და საწყალობელ ვართ ჩუენ. რამეთუ სათნობაჲ მარადის უბრწყინვალეს მზისა არს, დაღაცათუ მრავალნი იყვენენ მტერ და შემასმენელ მისა.

მოვიგოთ უკუე სათნობაჲ, ვიქმნეთ მშჳდ და მდაბალ სულითა, ვიქმნეთ მონყალე და წმიდა გულითა და მშჳდობისყოფელ. უკუეთუ ესრეთ ვიყვენეთ, უმეტესლა სასწაულთა საქმისა მოვიდენ ყოველნივე ჩუენ მიერ დიდებად ღმრთისა. დაღაცათუ ვინმე წინააღმდგომ და მაგინებელ ჩუენდა იქმნენ, ვერარაჲ გუავენონ, არამედ უფროჲსად გულსა შინა მათსა იგინიცა მაქებელ ჩუენდა იქმნენ. იხილე, ვითარ ნაბუქოდონოსორ, მტერი იგი და მბრძოლი სამთა ყრმათაჲ, მაქებელ და მადიდებელ მათდა იქმნა, იხილნა რაჲ იგინი ახოვნად წინააღმდგომნი ბრძანებასა მისსა სიყუარულისათჳს ღმრთისა. ესრეთ ყოველთა ღმრთისმოყუარეთა მბრძოლნიცა მაქებელ იქმნებიან, რამეთუ იხილის რაჲ ეშჳკმან, ვითარმედ უფროჲსად გკრგვნსა მოატყუებს მუშაკთა მათ სათნობისათა, მიჰრიდის ბრძოლად მათდა, და მერმე აღეხილნიან თუალნი წინააღმდგომთა მათთანი და იხილიან ჭემმარიტებაჲ და უფროჲსად მაქებელ იქმნიან მოყუარეთა მათ და მონათა ღმრთისათა; უკუეთუ არა, და ეგნიან ბრძოლასა შინა და შესმენასა მათსა, უფროჲსად თავთა თჳსთა დასასჯელად ქმნიან საქმე იგი. ხოლო მონათა მათ ღმრთისათა სასყიდელი ფრიად აღორძნდის და განმრავლდის ცათა შინა, ვითარცა-იგი წმიდათა მოციქულთა ზე იქმნა აღთქუმისა მისებრ და ბრძანებისა ღმრთისა.

ან უკუე ესე ყოველი გულისჳმა-ვყოთ, ძმანო, და ესრეთ განვაგოთ ცხოვრებაჲ ჩუენი, რაფთა სულნიცა ჩუენნი ვაცხოვნეთ და მსხდომარეთა ბნელსა შინა ცოდვისასა ნათელ ვექმნეთ და წინამძღუარ ცხოვრებისა მიმართ საუკუნოჲსა, რამეთუ გკხილნენ რაჲ ურწმუნოთა შეურაცხისყოფელ სოფლისა, განმზადებულ საუკუნოჲსა მის ცხოვრებისა მიმართ, განყენებულ ყოვლისაგანვე საქმისა ბოროტისა, უშიშ სიკუდილისაგან, მახვლისაგან და

ცეცხლისა და სხვსა ყოვლისავე ბოროტისა სატანჯველისა სახელისათჳს ქრისტესისა, გულისჯმა-ყონ და თქუან: ჭემმარიტად ღმერთი თქუენ შორის არს, და გულსავე იქმნენ, ვითარმედ გუაქუს საუნჯე დამარხული ცათა შინა. კუალად უკუეთუ გვხილნენ შემსჭუალულნი ამის სანუთროფსადა და მოქმედნი ყოვლისა ბოროტისანი, ვითარ ჰრწმენეს მათ ქადაგებად ჩუენი, ანუ ვითარ არა საკიცხელ მათა ვიქმნეთ, რაჟამს სხუასა ვქადაგებდეთ და სხუასა ვიქმოდით? არა ვხედავთა, ვითარ წარმართთა მათ ფილოსოფოსთა შორის იპოვნეს მრავალნი, რომელთა ქებისათჳს კაცთაჲსა საფასენი და მონაგებნი შეურაცხ-ყვნეს და სიკუდილიცა არად შეჰრაცხეს, რადთა საქებელ კაცთა იქმნენ? ამისთვისცა ცუდ და ამაო იქმნა სასოებად მათი; და ან ჩუენ, სწავლულნი ესევეითართა ამათ საიდუმლოთა და განმტკიცებულნი სასოებითა უტყუელისა მის აღთქუმისა ღმრთისაჲთა, უკუეთუ მათ ოდენცა არა ვაჩუენოთ სიმწუნე და ახოვნებად სათნოებათა შინა, რად-მე სიტყუად მიუგოთ უფალსა, რაჟამს არა თავთა ჩუენთა ხოლო, არამედ სხუათაცა დასაბრკოლებელ ვიქმნეთ? რამეთუ არავის ესრეთ ევენების და დაბრკოლების, იხილოს თუ ურწმუნოდ ბოროტისა საქმესა შინა, ვიდრელა იხილოს თუ ქრისტეანე უჯეროებისა მოქმედად. და სამართლად არს ესე, რამეთუ იგინი ყოველთავე იციან შვილად წარწყმედისა, ხოლო ჩუენისა ამის სარწმუნოებისა ქებად და დიდებად მაღლითა ღმრთისაჲთა ყოველსა სოფელსა განსმენილ არს. ამისთვისცა, იხილონ რად ურწმუნოთა ჩუენგანი ვინმე უნესობასა რასმე შინა, მეყსეულად იტყვან: აჰა ეგერა ქრისტეანე რასალა იქმს! უკუეთუმცა არა ქებულ და დიდებულ იყო სარწმუნოებად ჩუენი, არამცა ესრეთ იტყოდეს; ხოლო ურწმუნოჲსათჳს არას ვინ იტყვს ესევეითარსა, რამეთუ იციან, ვითარმედ ურწულოებად და ცოდვად განჩინებული საქმე არს მათი.

ვეკრძალნეთ უკუე, ძმანო მორწმუნენო, რადთა არა ჩუენ მიერ სარწმუნოებად ჩუენი შეურაცხ იქმნებოდის, ყურად-ვიხუნეთ მცნებანი ქრისტესნი, გულისჯმა-ვყოთ, ვითარმედ მათ ყოველთა აღსრულებად თანაგუაც და ჩუენ ყოველნივე უდებ გვქმნიან და მოსწრაფე ვართ სოფლისა საქმეთათჳს: შეკრებასა ოქროსასა, განმრავლებასა მონათასა, მოგებასა ჭურჭელთა ოქროსა და ვეცხლისათა, შემკობასა თავთა ჩუენთასა სამოსლითა შუენიერთა, განმრავლებასა საცხოართასა, მორენასა სოფელთა და აგარაკთასა, სიმრავლესა ვახშთა და აღნადგინებთასა, მიხუეჭასა მოყუასათაგან და ძმათა, ძვრის-ყოფასა გლახაკთა და დავრდომილთასა. ამას შინა რად ვიყვნეთ, ვითარ უძლოთ კარსაცა მცნებათა ქრისტესთა შესლვად? და ამას ყოველსა ზედა უკუეთუ ვინმე ჩუენგანმან, უდებთა ამათ და დაწსნილთა, ქმნას მცირედ რადმე ქველისსაქმე, მონყალებად გინა სხუად რადმე კეთილი, ანუ მაჩუენებლობით იქმს, ანუ ზუაობით, რადთა მცირედიცა იგი არარაჲვე იყოს, არამედ ნავთსაყუდელსაცა შინა ლელვა-გუემულ იქმნას.

რასა იქმ, # კაცო? უკუეთუ ქველისსაქმე რადმე ჰქმნა, რად უჩუენებ კაცთა და არა ღმერთსა, რომელმან თქუა: „ავასხებდით, ვინაჲ-იგი არარას მოელით მოღებასა“, ¹ რამეთუ ღმერთსა ავასხებ, რომლისაგანცა მიილო სას-ყიდელი; რად დაუტეობ მას და კაცთა ეჩუენები გლახაკთა და უბადრუკთა? არა თუ მოვალე იგი შენი გლახაკი არს და ვერ ძალ-უც გარდაწდად, არა თუ უარ-ჰყოფს სესხსა მას. არა ჰხედავა მიუთხრობელთა მათ საუნჯეთა მის-თა? არა ჰხედავა გამოუთქუმელსა მას უხუად მიმნიჭებელობასა მისსა? მას მოჰწადე სესხი იგი, რომელი ავასხე გლახაკსა. უკუეთუ მას მოჰწადდე თა-ნანადებსა მას, უხარის და უხუად მოგცემს აღნადგინებითურთ. ხოლო გი-ხილოს თუ, ვითარმედ არა მისგან, არამედ სხვსაგან ეძიებ, განრისხნების და შეურაცხებად უჩნს. ამისთვისცა გრქუას შენ რისხვით: რომელი უმაღლოებაჲ იხილე ჩემ თანა, # უგუნურო? რომელი სიგლახაკე გესმა ჩემი, რომელ მე თანანარმწედი და სხუათაგან ეძიებ ნაცვალსა? მე მავასხე და სხუათა მოჰ-წდი ვალსა შენსა? ამისთვის არლარა ღირს ხარ ჩემთა მათ უშურველთა ნიჭთა მიმთხუევად. ესრეთ სირცხვლელ უქმნე შენ და დასასჯელ, რამეთუ ნადი-ერ არს ღმერთი ნაცვლისა ასწილად მოცემად ყოვლისა მისთვის, რომელი ჰყო გლახაკთა თანა, და ბევრეულსა მიზეზსა მოგცემს შენ, რადთამცა მისგან ით-ხოვდი მოსაგებელსა. ნუ დაუტეობ უკუე უხუად მიმნიჭებელსა მას მეუფესა და ჩემგან ეძიებ ნაცვალსა ქველისსაქმისა შენისასა, გინა თუ მსგავსისა ჩემ-და კაცისაგან. რადსათვს მიჩუენებ მე ქველისსაქმესა შენსა? არა თუ მე გამ-ცენ საქმე იგი, არა თუ ჩემგან გესმა და მე მიჩუენებ? ღმერთმან თქუა: რო-მელმან შეინყალოს გლახაკი, მე მავასხებსო. ღმერთსა ავასხე, ღმერთსაცა ეჩუენე, ნუ კაცთა; არამედ ჰყოვნისა მოცემად? ესეცა შენისა უმჯობესი-სათვს არს, რადთა დაგიმარხოს იგი ჟამსა მას ფრიად საჭიროსა, ოდეს-იგი უმჯობეს იყოს შენდა ორი დანგი, ვიდრე ან ბევრეული ოქროჲ.

ამისთვის გლოცავ, # ღმრთისმოყუარენო, უშურველად ვიქმოდით ქვე-ლისსაქმესა, ვაჩუენოთ მონყალებაჲ და სხუათა მათ მცნებათა ყოველთავე ზემონწერილთა აღსრულებაჲ. და ყოველსავე სახილველად ღმრთისა ვიქ-მოდით და ნუ საჩუენებელად კაცთა, რადთა მოგუეცეს მის მიერ მრავალ-წილად სასყიდელი. ვაჩუენოთ მონყალებაჲ და კაცთმოყუარებაჲ საქმით და სიტყვით და გონებით. უკუეთუ ვიხილოთ ვინ ჭირვეული, ანუ ღელვაგუ-ემული, ანუ პყრობილი, შეწყუდეული დილეგსა, გინა გუემული უჯეროთა კაცთაგან, ჳელი აღუპყრათ, რაოდენცა ძალ-გუედვას, გინა თუ საფასისა მიცემითა, უკუეთუ გუაქუნდეს, გინა თუ სიტყვთა კეთილითა, რამეთუ არს სიტყვსაცა კეთილისა სასყიდელი და უფროსად სულ-თქუმისაჲცა სახი-ერისა მის მეუფისა მიერ. და ამას მოასწავებდა ნეტარი იობ და იტყოდა: „რამეთუ მე ყოველთა ზედა უძლურთა ვტიროდე და სულთ-ვითქუმედ, ვი-ხილი რად კაცი ურვასა შინა“.² ხოლო უკუეთუ სულ-თქუმისათვს სასყიდე-

¹ შდრ. ლუკ. 6,35. ² იობ 30,25.

ლი განმზადებულ არს, რაჟამს სიტყუათა მიერცა და საქმეთა ვისწრაფოთ ქველისსაქმედ, გულისწმა-ყავ, რაოდენი კეთილი გკყოს ჩუენ ღმერთმან.

ვისწრაფოთ უკუე გამოწსნად ყოველთავე ჭირვეულთა, რაოდენცა ძალ-გუედვას, რამეთუ ჩუენცა მხოლოდშობილმან ძემან ღმრთისამან გკწსნა ტყუეობისა მისგან და მონებისა მნარისა და მტერობაჲ იგი დაჰწსნა, რამეთუ მტერ ვიყვენით ღმრთისა. ხოლო იგი შორის შემოვიდა და დამაგნა ჩუენ, რაჟამს-იგი თავს-იდვა ჩუენთს წყლულებაჲ და სიკუდილი; ამისთსცა მშკდობისყოფელთა მობაძავ თსსა უწოდა. ჯერ-არს უკუე ჩუენდაცა შეკრძალვაჲ ამის სათნოებისაჲ, რამეთუ ესეცა დიდისა სასყიდლისა მომატყუებელ გუექმნების ღმრთისა მიერ. ვიქმნეთ მშკდობისყოფელ, რაჲთა ძედ ღმრთისა გუენოდოს. მშკდობა-ვყოთ პირველად შინაგან ჩუენსა, შორის სულისა და წორცთა, დაუმორჩილოთ ზრახვაჲ იგი წორციელი ზრახვასა მას სულიერსა, განვაქარვოთ ამბოხებაჲ იგი და შფოთი ბრძოლისაჲ მის ვნებათაჲსა მოღუანებითა და საღმრთოთა საქმეთა წურთითა. მერმე კუალად, ვიხილნეთ რაჲ ძმანი ჩუენნი ურთიერთას მოლაღედ და ურთიერთას მბრძოლად, ვისწრაფოთ ყოვლითა ძალითა მშკდობის-ყოფად. ნუ ვიხარებთ და გუეჰამების მათი ურთიერთას ბრძოლაჲ, რამეთუ ესე საქმე არს კაცთა უწესოთაჲ და უშიშთა ღმრთისათაჲ. არა თუ პირუტყუნი არიან ანუ მწეცნი, რაჲთამცა არარაჲ გუელმოდა. ძმანი და ასონი ჩუენნი არიან, და ვითარ არა გუელმოდის და მწუხარე ვიყვენეთ, ებრძოდინ რაჲ ურთიერთას? ვითარ არა ვისწრაფოთ ყოვლითა ღონისძიებითა დაწსნად ბრძოლისა მის და შფოთისა და თავს-დებად ამის ჯერისთს ყოვლისავე შრომისა და ჭირისა, ანუ თუ სხუაჲ რაჲმე უძკრესიცა შეგუემთსკოს. გულისწმა-ვყოთ, რამეთუ მშკდობისა ჩუენისათს ქრისტიემან ჯუარ-ცუმაჲ და სიკუდილი თავს-იდვა, და რაჲ საკრველი არს, უკუეთუ ჩუენცა მშკდობისათს ძმათაჲსა ძკრი რაჲმე შეგუემთსკოს, რაჲთა შეგუერაცხოს წამებაჲ. ყოვლითა ღონისძიებითა ვისწრაფოთ ბრძოლისა ურთიერთას მოლაღეთაჲსა განქარვებაჲ სიტყუთა კეთილითა, სიტყუთა მშკდობისაჲთა, ვედრებითა კაცად-კაცადისაჲთა და სხვთა ყოვლითავე სახითა და სიტყუთა და საქმითა. ეგრეთვე კუალად, ვიხილოთ რაჲ ძმაჲ ვინმე და მოყუასი ჩუენი ბრძოლისა რაჲსმე და ვნებისა საეშმაკოჲსაგან მიმძღავრებული, ვიღუანოთ მშკდობისა მიცემად მისდა, განვაქარვოთ ბრძოლაჲ იგი და მძღავრებაჲ ეშმაკისაჲ სწავლითა და ნუგეშინისცემითა საღმრთოთა და ყოვლითა ღონისძიებითა.

მივხედნეთ მენავეთა, ვითარ იხილიან რაჲ ნავი გარდაქცეული, შევიდიან წუამალდთა და მირბიოდიან დანთქმადთა მათ გამოწსნად; დაღაცათუ აღძრულ არნ ზღუაჲ და განძვნებულ იყვნინ ღელვანი მისნი, არავე ჰრიდიან თავთა თსსთა მისღვად და გამოყვანებაჲ ძმათა და მოყუასთა მათთა დანთქმისაგან, მრავალგზის უცნაურნიცა იყვნინ სრულიად. ეგრეთვე ჩუენ, ვიხილოთ რაჲ ძმაჲ ვინმე ღელვაგუემული ცოდვისა რაჲსმე და ვნე-

ბისაგან, გინა თუ გულისწყრომისაგან, გინა თუ გულისტუქმისა, გინა თუ სხვსა რაღსმე ბოროტისაგან და დანთქმად მიახლებული, არა ვისწრაფოთა გამოვსნად სიკუდილისა მისგან სულიერისა, რაოდენცა ძალ-გუედვას, და მიცემად მისა მშკდობად საღმრთოდ, რაფთა მშკდობისმყოფელ ვიქმნეთ და სასყიდელი იგი საკვრველი მოვილოთ ღმრთისა მიერ? არა გუესმისა, რად უბრძანა ქრისტემან მოსეს მიერ უგულისწმოთა მათ ჰურიათა? – „უკუეთუ კარაული მტერისა შენისა იხილო დაცემული, ნუ თანანარჰვდები, არამედ აღადგინე იგი“;¹ უკუეთუ კარაულისა დაცემულისა აღდგინებად ბრძანებულ არს და არა უგულვებელს-ყოფად, არა უფროფსად თანაგუაცა სულისა დაცემულისა ძმისა და მოყუსისა ჩუენისა და ხატად ღმრთისა დაბადებულისა ჯელისა მიცემად და აღდგინებად, რაჟამს დამძიმებულ არნ ტკრთისა მისგან ვნებათაფსა და ბრძოლისა მისგან საეშმაკოფსა და დაცემულ არნ მწკრესა შინა ცოდვისასა, შთამყვანებელსა ჯოჯოხეთად, და მტერი იგი სულთა ჩუენთად მდგომარე არნ მის ზედა და უღრმესად მთხრებლად შთაუძალეზნ შთაგდებად? არა ვისწრაფოთ შენევენად მისა ლოცვითა და სწავლითა და ყოვლითავე ღონის-ძიებითა, რაფთა მტერი იგი ბოროტი ვიოტოთ და ძმად ჩუენი დაცემისა მისგან აღვადგინოთ?

გულისწმა-ვყოთ იგავი იგი უფლისად, რომელი თქუა მიცემულისა მისთჳ ჯელთა ავაზაკათაფსა, რომელი ბოროტად წყლულ იყო და მწყუდარად დაცემული, ვითარ მღდელი იგი და ლევიტელი თანანარჰვდეს, და არა აქო უფალმან საქმე მათი; ხოლო სამარიტელი იგი საქებელ-ყო, ვითარ შეინწყალა უცხოად და უცნაური, რომელსა არა აქუნდა მისა მიმართ თჳსებად: აღსუა იგი კარაულსა თჳსსა და მიიყვანა ყოველთა სადგურსა და კეთილად ილუანა და სასყიდელი კურნებისა მისისად მისცა ყოველთა სადგურისა მოლუანესა მას და უმეტესისაცა მიცემად აღუთქუა.² ეგრეთვე ჩუენცა თანაგუაც ყოფად ძმათა მიმართ, რამეთუ ჩუენცა ვიყვენით წყლულ და მომწყდარ, და უფალმან გკლუანა წყალობით. ვითარ უკუე არა ვილუანნეთ ჩუენცა ძმანი და მოყუასნი ჩუენნი, გინა თუ ჯორციელად ვიხილნეთ წყლულნი და ჭირვეულნი, გინა თუ სულიერად? არამედ თანანარჰვდეთ უწყალოდ? და ვითარ მოვილოთ ჩუენ ღმრთისაგან წყალობად?

ესევითარი ესე წესი შევიკრძალოთ, ძმანო: პირველად ჩუენ შორის მყოფთა ბრძოლათა შფოთი განვაქარვოთ შენეენითა უფლისაფთა და ჯორცინი სულსა დავამორჩილნეთ და ვყოთ მათ შორის მშკდობად კეთილი, მერმე გარეშეცა მშკდობად მოვიგოთ ძმათა მიმართ, და კუალად ბრძოლისა მის და შფოთისა მოყუასთა ჩუენთაფსა, გინა თუ სულიერისა, გინა თუ ჯორციელისა, განქარვებად ვისწრაფოთ, რაფთა ვიყვენეთ ყოვლით კერძო მშკდობისმყოფელ და ძედ ღმრთისა ვინოდნეთ ბრძანებისა მისებრ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა.

¹ შდრ. გამ. 23,5.

² ლუკ. 10,30-37.

ისმინეთ თქვენცა, მეშფოთენო და მოლაღენო მოყუასთა მიმართ! ისმინეთ და გულისწმა-ყავთ, ვითარმედ მშკდობად ბრძანებულ არს და არა შფოთი და სიტყუს-გებად და ამბობებად. ვითარ უკუე არა გრცხუენის, კაცო, შფოთისა ყოფად და გინებად მოყუსისა და მრავალგზის წელის-მიყოფადცა ცემად მისა და მოწყლვად? და მიემსგავსები მწეცთა ველურთა და მძკნვარეთა და უფროდსლა მათსაცა უძკრეს ხარ, რამეთუ უმრავლესნი მწეცნი ურთიერთას ზოგად იქცევიან ერთისა მის ბუნებისანი და არა ებრძვიან; ხოლო შენ, კაცო პირმეტყუელო, აგინებ ძმასა შენსა და სცემ და შეაშთობ მას. არა უწყია, რად შეემთხვა თანამდებსა მას ბევრეულისა შანთისასა, რომელმან შემდგომად განტევებისა უფლისა მიერ ფრიადისა მის თანანადებისა პოა მოყუასი თვისი, რომელსა თანაედვა მისი ასი დრაჰკანი, შეიპყრა იგი და შეაშთობდა, ვითარ განურისხდა მას უფალი და მისცა იგი საუკუნესა სატანჯველსა?¹ არა სძრნია იგავისა მისგან? არა გეშინისა, ნუ-უკუე შენცა ესრეთვე შეგემთხვოს? არა უწყია, ვითარმედ დიდთა თანანადებთა თანამდებ ვართ ჩუენ მეუფისა მიმართ ჩუენისა, და ყოველსავე ზედა სულგრძელ გუექმნების და არა გუაჭირვებს, არცა გუაშთობს, ვითარ-ესე ჩუენ მოყუასთა ჩუენთა? უკუეთუმცა მეასედიცა ანუ მეათასედი თანანადებთა ჩუენთად იძია ჩუენგან, ვად ჩუენდამცა იყო, რამეთუ ანმცა ადრევე გეჰენიად ცეცხლისა მიცემულ ვიყვენით.

ესე ყოველი, საყუარელნო, გულისწმა-ვყოთ და ჩუენცა მიუტევენეთ თანანადებნი თანამდებთა მათ ჩუენთა, რადთა ჩუენცა მოტევებად ვპოოთ, მცირედისა წილ ფრიადი. ვიქმნეთ მშკდობისყოფელ ურთიერთას, საკრველითა მით სიყუარულისა და მშკდობისადათა შევიკრნეთ, მიუტეოთ ურთიერთას თანანადებნი და ბრალნი და შეცოდებანი, და მშკდობად ქრისტესი იყავნ ჩუენ შორის, რადთა განწმედილნი ყოვლისა თანანადებისაგან ცოდვათაჲსა მივემთხვნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს პატივი და დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ მათ. 18, 23-34.

თავი 03

სიტყუაჲ ესე: „**ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაჯსნად შჯულისა გინა წინანარმეტყუელთა; არა მოვედ დაჯსნად, არამედ აღსრულებად**“ (5,17).

ვინ აბრალა ესე, ანუ ვინ ჰრქუა, თუ დაჯსნი შჯულსა და წინანარმეტყუელთა, რომელ ამას იტყვს, თუ: „არა მოვედ დაჯსნად, არამედ აღსრულებად“? რამეთუ არცა სიტყუათა მისთაგან გამოჩნდებოდა ესევეთარი იქვ, არამედ უფროსად სიმდაბლე და სიმშვე და მონყალებად და სიმართლე და სინმიდე გულისაჲ და მშვედობად და სხუაჲ იგი, რომელი თქუა, შჯულისავე დამამტიციებელ იყვნეს, არა წინააღმდეგომ. ვინათგან უკუე არავინ ეტყოდა ჟამისად ესევეთარსა, რადასათვს იგი პასუხსა ამას მიუგებს, ვითარცა თქუმულისა მიმართ სიტყვსა? გარნა არა ცუდად და ამაოდ ქმნა ესე, არამედ ფრიად და ჯეროვნად და კეთილად, რამეთუ ეგულეობდა ფრიად უზეშთაეს ძუელისა მის მცნებათა დადებად. ესე იგი არს: „გასმიესო, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლა. ხოლო მე გეტყვ თქუენ: არცა თუ განრისხებად ყოლადვე. გასმიეს: არა იმრუშო. ხოლო მე გეტყვ თქუენ: არცა თუ მიხედვად გულისთქუმით დედაკაცისა. კუალად გასმიეს: არა ცილი ჰფუცო. ხოლო მე გეტყვ თქუენ: არა ფუცად ყოლადვე. გასმიეს: თუალი თუალისა წილ, და კბილი კბილისა წილ. ხოლო მე გეტყვ თქუენ: რომელმან გცეს ყურიძალსა მარჯუენესა, მიუპყარ ერთკერძოდცა. გასმიეს, რამეთუ თქუმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყვ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი, კეთილთა უყოფდით მოძულეთა თქუენთა“.¹ ვინათგან უკუე ესევეთარისა ამის და სხვსა მრავლისა მსგავსისაჲ ეგულეობდა თქუმად და საღმრთოდა მის და ანგელოზთა მობაძავისა მოქალაქობისა გზად ენება ჩუენებად, რადათა არა უცხოებაჲ მათ სიტყუათამან შეაშფოთნეს გულნი მსმენელთანი და ორგულეობად მოიყვანნეს, ამისთვს წინაეთვე განაკრძალებს მათ, რამეთუ დაღაცათუ არა იქმოდეს მცნებათა მათ შჯულისათა ჰურიანი, გარნა სიტყვთ პატივ-სცემდეს და ენება, რადათა არაჲ ვინ შეცვალებულად გამოთქუას, დაღაცათუ იგინი მრავალსა შესცვალებდეს ბოროტისა მიმართ და არა კეთილისა.

ხოლო ვინათგან ქრისტე არა სამღდელოდა ტომისაგან იყო და სიტყუანი იგი, რომელთა ეგულეობდა თქუმად, დაღაცათუ არა შემცვალებელ, არამედ შემმატებელ სათნოებისა მის რჩულიერისა იყვნეს, და იცოდა, ვითარმედ ამის ორისავე პირისათვს შემფოთებად იყვნეს იგინი და თქუმად, ვითარმედ: რადასათვს გარდამატებულად შჯულისა მცნებათა დაგვდებს, რომელი-ესე არცა ტომისაგან ლევიტელთაჲსა არს, რომელთა შეჰგავს რჩულის-დებად

¹ შდრ. მათ. 5,21-44.

ერისა? ამისთვის პირველ საკვრველთა მათ მცნებათა სიტყვსა დაუმტკიცებს მათ, ვითარმედ არა დაწსნად შჯულისა იტყვს რას, არამედ უფრომსად განძლიერებისა და აღორძინებისათვის მცნებათა მათ პირველთასა.

და ესე სახე არა ამას ადგილსა ხოლო აჩუენა, არამედ სხუასაცა, რაჟამს-იგი იტყოდეს ჰურიანი დაწსნისათვის შაბათისა, ვითარმედ წინააღმდგომ შჯულისა არს და არა ღმრთისაგან არსო, რამეთუ შაბათსა არა იმარხავს. ამისთვის წინაუყენა მათ სიტყუანი, რომელნიმე შემსგავსებულნი თავადისანი, ვითარ-იგი თქუა: „მამაჲ ჩემი მოაქამდე იქმს, და მეცა ვიქმ“,¹ და რომელნიმე კუალად ფრიადითა სიმდაბლითა სავსენი, ვითარ-იგი იტყოდა რად საცხოვრისათვის შაბათსა შინა წარწყმედადისა, და ვითარმედ ცხოვრებისა მისისათვის შაბათი დაიწსნების,² და წინადაცუეთასა აწსენებს, ვითარ შაბათსა შინა აღესრულებოდა.³ რამეთუ ამისთვის სიტყუათა სიმდაბლისათა იტყოდა მრავალგზის, რადთა აღმოუგდოს იქვ იგი, რომელი აქუნდა მათ და იტყოდეს, ვითარმედ წინააღმდგომ ღმრთისა არს; რომლისათვისცა, რომელმან-იგი ბევრეულნი მკუდარნი აღადგინნა სიტყვთა ხოლო და ბრძანებითა, რაჟამს-იგი ლაზარეს აღადგენდა, ლოცვად დადგა, რადთა იგინი გულსავსე-ყვნეს. ხოლო რადთა ვერვინ კუალად ესეცა თქუას, ვითარმედ ლოცვად იგი უდარესობასა მისსა გამოაჩინებს მამისაგან, ამისთვის ლოცვასავე მას თანა შესძინა, ვითარმედ: „ერისა ამისთვის ვთქუ ესე, რადთა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე“;⁴ რამეთუ არცა ყოველსავე წელმნიფებით იქმოდა, რადთა მათი იგი უძლურებაჲ გონებისაჲ განკურნოს, არცა ყოველსავე ლოცვითა აღასრულებდა, რადთა არა ამისა შემდგომად ბოროტი ვიეთმე იქვ შემოიღონ და თქუან, ვითარმედ ვერ ძალედგა ყოვლისავე ბრძანებითა აღსრულებად. ამისთვის აღრეულად იქმოდა ორსავე ამას, ფრიად ჯეროვნად და ღმრთივშუენიერად, რამეთუ დიდთა მათ და მალალთა საქმეთა წელმნიფებით და ბრძანებით იქმოდა და უდარესთა ზედა ზეცად აღიხილნის. ცოდვანი სიტყვთ დაჰწსნნა, დაფარულნი გულთანი წელმნიფებით გამოაცხადნა, სამოთხე განალო, ეშმაკნი განასხნა, კეთროანი განწმინდნა, სიკუდილსა აღვრ-ასხნა, ბევრეულნი მკუდარნი აღადგინნა – ყოველივე ესე ბრძანებით აღასრულა; ხოლო იქმოდა რად, რომელი-იგი ამათ ყოველთა საქმეთა უდარეს იყო, ოდეს მცირედითა მით პურითა მრავალთა ეგულეზოდა გამოზრდად, აღიხილნა თუალნი ზეცად, რადთა აჩუენოს, ვითარმედ არა თუ ვერშეძლებისათვის ქმნა ესე (რამეთუ რომელმან უზეშთაესისა მის შეუძლო წელმნიფებით ქმნად, უმცირესისა ამის სასწაულისათვის რად ეწმარებოდა ლოცვად), არამედ რადთა მათისა მის განდრეკილისა გონებისა იქვ განკურნოს.

ხოლო ვითარცა საქმეთა ესრეთ განაგებდა, ეგრეთვე სიტყუათათვის გულისწმა-ჰყოფდი, რაჟამს გესმას სიმდაბლითმეტყუელებად მისი, რა-

¹ იოან. 5,17.

² მათ. 12,11-12.

³ იოან. 7,22-23.

⁴ იოან. 11,42.

მეთუ არიან მიზეზნი ესევეითარნი მათ სიტყუათა და საქმეთანი: ერთად – რაფთა არა საგონებელ იყოს ჰურიათა მიერ წინააღმდეგომად ღმრთისა; მეორედ – რაფთა ბუნებაჲ კაცობრივთა მათ ჳორცთაჲ აჩუენოს; მესამედ – რაფთა ყოველთა სიმდაბლე ასწავლოს; მეოთხედ – რამეთუ ვერ ეძლო ჰურიათა ყოვლისა მის საიდუმლოჲსა ერთბამად სმენად უძღურებისა მათისაგან; მეხუთედ – რაფთა მოგუცეს სახე არა დიდადმეტყუელეებისა თავთა თჳსთათჳს. ამისთჳს თავადმან მრავალი თქუა თავისა თჳსისათჳს სიმდაბლით, რაფთა უმაღლესი მოწაფეთა ქადაგონ, ოდეს სული წმიდაჲ მოვიდეს მათ ზედა. რამეთუ თავადმან ესრეთ ჰრქუა ჰურიათა: „პირველ აბრაჳამისა ყოფადმდე მე ვარ“;¹ ხოლო მოწაფემან არა ესრეთ თქუა, არამედ ისმინე სიტყუად მისი: „პირველითგან იყო სიტყუად, და სიტყუად იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუად იგი“.² კუალად თავადმან არასადა თქუა თავისა თჳსისათჳს, ვითარმედ: მე ვქმენ ცაჲ და ქუეყანაჲ და ხილულნი და უხილავნი, ხოლო მოწაფემან განცხადებულად და ჳმამალლად მრავალგზის ქადაგა ესე; ამისთჳს იტყჳს: „ყოველივე მის მიერ იქმნა, და თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაჲდენი-რაჲ იქმნა“;³ და კუალად თქუა: „სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ იქმნა“.⁴ რამეთუ საქმით უფალი აჩუენებდა ყოველსავე ამას. განცხადებულად აჩუენა, ვითარმედ იგი არს, რომელმან ქმნა კაცი მიწისაგან, რაჴამს თიწისა მისგან შობითგან ბრმასა თუალნი შეუმზადნა⁵ და უაღრესისა მის ასოჲსა მიერ ყოვლისავე გუამისა დაბადებაჲ მის მიერ გუაუწყა. ხოლო სიტყვით არა თქუა ესე, ვითარმედ: მე ვქმენ კაცი, არამედ იტყოდა: „რომელმან დაჳბადა დასაბამსა, მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი“.⁶ კუალად საქმით აჩუენა, ვითარმედ იგი არს დამბადებელი სოფლისაჲ და ყოვლისაჲვე, რაჲ არს მას შინა, რაჴამს ბრძანებითა წამის-ყოფისაჲთა თეჳზი დიდძალი შეაწყუდია ბადეთა პეტრესთა;⁷ და წყალი ღვინოდ გარდააქცია;⁸ და ხუთითა პურითა ესოდენი იგი ერი გამოზარდა;⁹ და ზღუასა და ქართა შეჳრისხნა, და დადუმნეს;¹⁰ და მნათობნი შეძრწუნდეს ჯუარ-ცუმასა მისსა და ნათელი თჳსი დაიფარეს,¹¹ კუალად უბრძანა, და გამობრწყინდეს. და სხჳთა მრავლითა საქმითა გამოაჩინა, ვითარმედ იგი არს დამბადებელი ყოვლისაჲვე. ხოლო სიტყვით ესრეთ განცხადებულად თავადმან არასადა თქუა, ხოლო მოწაფენი ზედასხუედა ქადაგებენ და იტყჳნ, იოვანე და პეტრე და პავლე. ესე ამისთჳს, რამეთუ ვერ ეძლო ჰურიათა სმენად მაღალთა მათ სიტყუათა. რამეთუ უკუეთუ მოწაფეთა, რომელთა დღითი-დღე ესმოდეს სიტყუანი მისნი და სასწაულთა მისთა ხედვიდეს და ყოველივე უარ-ყვეს სიყუარულისათჳს მისისა, უკუეთუ მათ ვერ ეძლო ყოვლისაჲვე ტკრთვად პირველ მოსლვისა სულისა

¹ იოან. 8,58. ² იოან. 1,1. ³ იოან. 1,3. ⁴ იოან. 1,10. ⁵ იოან. 9,6. ⁶ მათ. 19,4.

⁷ ლუკ. 5,4-6. ⁸ იოან. 2,7-11. ⁹ მათ. 14,19-20. ¹⁰ მათ. 8,26. ¹¹ მათ. 27,45.

წმიდისა, ვითარმცა უძლეს ჰურიათა მათ უგულისწმოთა ტკრთვად სიტყუათა მაღალთა და არა თქუმად, ვითარმედ წინააღმდგომ არს, უკუეთუმცა არა ესრეთ სიმდაბლისა სიტყუათა მიერ ნუგეშინის-სცემდა უძლურებასა მათსა?

ამისთვისცა, ეგულებოდა რად დაწსნად შაბათისად, არა მეყსეულად შემოილო წესი ესე, არამედ მრავალნი და თითოსახენი მიზეზნი პირველად მიუთხრნა. უკუეთუ ერთისა მის მცნებისა ეგულებოდა რად დაცხრომად, ესოდენი სიტყვთა განგებულებად იჴმარა, რადთა არა მოწყლნეს გონებანი მათნი, რადედნ უფროსად, ეგულებოდა რად მცნებათა მათ ზედა შჯულისათა სრულისა წესისა სხუათა მცნებათადასა შეძინებად, ფრიადი სიტყუად და განკრძალვად ჯერ-იყო, რადთა არა დაბრკოლდენ მსმენელნი სიტყუათა მისთანი, რამეთუ უძლურებისა და ვერაგობისათს უბადრუკთა მათ გონებათა მათთადასა ყოვლით კერძო დაუბრკოლებელობასა მათსა განაგებდა, დაღაცათუ იგინი უკურნებელვე იყვნეს. ამისთვისცა არცა ღმრთეებისა თქსისათს განცხადებულად ეტყოდა მათ, რამეთუ ვერ ეძლო ტკრთვად, არამედ გამობად აღუდგებოდეს.

და ამასცა ადგილსა ან, ეგულებოდა რად მცნებათა მათ რჩულისათა აღსრულებად, ფრიადი სწავლად მიუთხრა გამოჩინებად, ვითარმედ არა დამწსნელ არს შჯულისა, და ეტყვს: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაწსნად რჩულისა გინა წინანარმეტყუელთა; არა მოვედ დაწსნად, არამედ აღსრულებად“.

ხოლო ამით სიტყვთა არა ჰურიათა ხოლო დაუყოფს პირსა, არამედ მწვალებელთა მათცა, რომელნი იტყვან, ვითარმედ: ძუელი შჯული ეშმაკისაგან იყო. რამეთუ ქრისტე დაწსნად მოვიდა მძლავრებასა მას ეშმაკისასა, უკუეთუ შჯული იგი ეშმაკისაგან იყო, მ უგუფუნრო და უგულისწმონო, ვითარ არა დაჰწსნა იგი, არამედ აღასრულა. და ვითარ არა დაჰწსნაო, მეტყვან ჩუენ მეტყუელნი იგი სიცრუისანი, ანუ ოდეს აღასრულაო რჩული გინა წინანარმეტყუელნი?

წინანარმეტყუელნი აღასრულნა, ოდეს-იგი ყოველნივე თქუმულნი მათნი საქმით დაამტკიცა, რად-იგი მისთვის ეთქუა წინადასწარვე. ამისთვისცა ზედადსზედა იტყვან მახარებელნი, ესე ქმნაო, რადთა აღესრულოს თქუმული წინანარმეტყუელისაგან – ოდეს-იგი იშვა ბეთლემს, და ოდეს ყრმანი საკრველსა მას ქებასა შეასხმიდეს, და რაჟამს კარაულსა ზედა დაჯდა, და რაჟამს ჯუარს-ეცუა, და გემოდ ძმრისა და ნავლისა იხილა, და რაჟამს სამოსელი მისი განიყვეს და კუართსა ზედა წილსა იგდებდეს; და სხუად ყოველივე, რომელი თქუეს წინანარმეტყუელთა კაცთა შორის ქცევისა მისისათს და აღდგომისა და ამაღლებისა ზეცად, ყოველივე იგი ქუეყანად მოსლვითა თქსითა აღასრულა. ხოლო შჯული იგი ძუელი კეთილადვე აღასრულა, ერთად – თავისა თქსისა მიერ, რომელ არარას გარდაჰჴდა მცნებათა მისთაგან; და ისმინე, რასა ეტყვს იოვანეს: „ესრეთ შეჰგავსო

ჩუენდა აღსრულებად ყოველივე სიმართლე“;¹ და ჰურიათა ეტყოდა: „ვინ თქუენგანმან მამხილოს მე ცოდვისათჳს?“² და მონაფეთა ჰრქუა: „მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისა და ჩემ თანა არარად პოოს“;³ და წინანარმეტყუელი პირველვე მისთჳს იტყოდა, ვითარმედ: „ცოდვად არა ქმნა, არცა იპოა ზაკუვად პირსა მისსა“.⁴

ერთად უკუე თავისა თჳსისა მიერ აღასრულა იგი, რომელ არარას გარდაცდა, რომელიმცა არა ჰქმნა წესსა მისსა, და მეორედ ჩუენ მიერცა დაამტკიცა იგი, რამეთუ საკვრველი ესე არს, რომელ არა თავადმან ხოლო აღასრულა, არამედ ჩუენცა მოგუანიჭა იგი, ვითარცა პავლე მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „აღსასრული რჩულისაჲ ქრისტე არს მაცხოვრად ყოვლისა მორწმუნისა“.⁵ და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „შეუძლებელი იგი რჩულისაჲ, რომელ უძლოერ იყო, ღმერთმან ძე თჳსი მოავლინა და დასაჯა ცოდვად იგი ჳორცითა მით, რადთა სიმართლე იგი შჯულისაჲ მის აღესრულოს ჩუენ შორის, რომელნი არა ჳორციელად ვიქცევით, არამედ სულიერად“.⁶ და კუალად იტყჳს: „შჯულსა ნუ განვაქარვებთა სარწმუნოებითა მით? ნუ იყოფინ! არამედ შჯულსა დავამტკიცებთ“.⁷ რამეთუ ვინადთგან მოსწრაფებაჲ შჯულისაჲ ესე იყო, რადთა განამართლნეს კაცნი, და შეუძლებელ იქმნა ესე მისგან, მოვიდა ქრისტე და შემოილო სახე სიმართლისაჲ სარწმუნოებითა და აღასრულა ნებაჲ იგი და მოსწრაფებაჲ შჯულისაჲ. იგი ისწრაფდა განმართლებად და ვერ უძლო; ქრისტემან აღასრულა შეუძლებელი იგი შჯულისაჲ და განგუამართლნა და გჳსწნა სასჯელისაგან და ამით ჭეშმარიტად აღასრულა ნებაჲ იგი შჯულისაჲ. და რომელი მან წიგნითა ვერ ქმნა, ამან სარწმუნოებისა მიერ ქმნა. ამისთჳსცა იტყჳს: „არა მოვედ დაჯსნად შჯულისა“.

ხოლო უკუეთუ ვინ კეთილად გამოეძიებდეს, მესამეცა სახე არს, რომლითა აღასრულა შჯული: მცნებათა მათ დადებაჲ, რომელთაჲ ეგულების თქუემად, რამეთუ არა დაჯსნად იყო სიტყუად მისი პირველთაჲ მათ, არამედ უფროდსად აღორძინებაჲ. შჯულმან თქუა: „ნუ კაც-ჰკლავ“; ქრისტემან თქუა: „ნუცა განრისხნები“.⁸ ესე არა დაჯსნად არს მის მცნებისაჲ, არამედ უფროდსად სიმტკიცე და უაღრესისა მიმართ წარმატებაჲ. ეგრეთვე სხუანი იგი ყოველნი მცნებანი არა დამჯსნელ იყვნეს ძუელისა მის, არამედ აღმორძინებელ. ამისთჳსცა პირველვე ნეტარებათა მათ მიერ დადვა საფუძველი უკუანადსკნელ თქუმადთა მათ მცნებათაჲ, რომელნი არარადთა განყოფილ არიან მათგან. რამეთუ ნეტარებაჲ გლახაკთაჲ სულითა, რომელ არს ჭეშმარიტი სიმდაბლე, ერთ არს არაგანრისხებასა თანა; და სინმიდე გულისაჲ ერთ არს არამიხედვასა დედაკაცისასა გულისთქუემით; და არადაუნჯებაჲ ქუეყანასა ზედა შეესწორების მონყალებასა; და გლოჲ და დევნულებაჲ

¹ მათ. 3,15. ² იოან. 8,46. ³ იოან. 14,30. ⁴ ესაია 53,9. ⁵ რომ. 10,4. ⁶ შდრ. რომ. 8,3-4.

⁷ რომ. 3,31. ⁸ შდრ. მათ. 5,21-22.

ქრისტესთვის ერთ არს იწოდება მის ბჭისა შემავალთა. და ესრეთ ნეტარებათა მათ მიერ ან თქუმადნი ესე მოასწავნა. არამედ მუნ სასყიდელი იგი სათნოებათა მათ გუაუნყა, ხოლო აქა ეგულების თქუმად სასჯელსა მას მცნებისა გარდამავალთასა, და ყოველი კერძო არა დაჯსნასა შჯულისასა მოასწავებს, არამედ უაღრესობასა და წარმართებასა მცნებათა მისთასა. სამართლად უკუე თქუა, ვითარმედ: „არა მოვედ დაჯსნად შჯულისა, არამედ აღსრულებად“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: ვიდრემდე წარჯდეს ცაჲ და ქუეყანაჲ, იოტი მარტოჲ ერთი რქაჲ არა წარჯდეს შჯულისაგან და წინაწარმეტყუელთა, ვიდრემდე ყოველი იყოს“ (5,18).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე იგი არს, ვითარმედ: შეუძლებელ არს ყოვლადვე დაშთომად რადმე აღუსრულებელად, არამედ ყოვლისა უმცირესიცა აღსრულებად არს. ხოლო ვინ აღასრულა ყოველივე შჯულისა და წინაწარმეტყუელთა თქუმული დაუკლებელად? გარნა მან მხოლომან, რომელი მოვიდა ყოვლისა სიმართლისა აღსრულებად და წარწყმედულთა ცხორებად. ხოლო აქა მოასწავა შეცვალებაჲცა იგი ყოვლისა სოფლისაჲ არა ცუდად, არამედ რადთა აღამაღლოს გონებაჲ მსმენელისაჲ გულისჯმის-ყოფად, რადთა ცნას, ვითარმედ ახალი ყოფად არს სოფელი, და სხუად მამულად ინოდების ნათესავი კაცთაჲ. ამისთვისცა ახალი მოქალაქობაჲ სამართლად განენესების, მახლობელი ყოფადისა მის უხრწნელებისა და უვნებლობისაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „უკუეთუ ვინმე დაჯსნეს ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთაჲ და ასწაოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა; ხოლო რომელმან ყოს და ასწაოს, ამას დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა“ (5,19).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინადთგან იქვ იგი ბოროტი განუქარვა და პირი დაუყო მტყუელთა მათ, ვითარმედ ძუელისა შჯულისა დაჯსნად ჰნებაჲც, და გამოაჩინა, ვითარმედ მის მიერ თქუმულნი ესე მცნებანი არა დაჯსნა არიან შჯულისა და წინაწარმეტყუელთაჲ, არამედ უმეტესისა მიმართ აღორძინება, ამიერიითგან განანესა შიში და სატანჯველი მათ ზედა, რომელთა იკადრონ დაჯსნად მცნებათა ახლისა ამის რჩულის-დებისათა, რომელთა განანესებს და გკბრძანებს ყოველთა მეუფე და ღმერთი. რამეთუ არა ძუელთა მათ მცნებათათჲს თქუა ესე, არამედ ამათთვის, რომელთა ეგულებოდა თავადსა დადებად, თუ: „რომელმან დაჯსნას, უმცირეს ეწოდოს სასუფეველსა ცათასა“. და რადთა სცნა, ვითარმედ ახალთა ამათთვის იტყვს, ისმინე შემდგომი იგი სიტყუაჲ: „გეტყვ თქუენ: უკუეთუ არა ემატოს სიმართლე თქუენი უფროჲს მნიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა“.¹

¹ მათ. 5,20.

ხოლო უკუეთუმცა ძუელთა მათთვის იტყოდა, ვითარმცა ეთქუა: „უკუეთუ არა ემატოს“? რამეთუ გარდამატებად იგი ესე არს, რომელ ძუელი იტყვს: „ნუ კაც-ჰკლავ“, და ესე იტყვს: „ნუცა განჰრისხნები“; იგი იტყვს: „ნუ იმრუშებ“, უფალი ბრძანებს: „ნუცა თუალთა შეადგამ გულისთქუმით“,¹ და სხუად ყოველივე ესევეთარი.

ხოლო რადსათვს თქუა, თუ: „უმცირესთა“? ვითარ დიდთა ამათ და მაღალთა მცირედ უწოდა? ვინადთგან თავადსა ეგულებოდა ამის რჩულისდებისა შორის შემოღებად, ვითარცა თავი თვისი დაამდაბლა და მრავალგზის სიმდაბლისა სიტყუათა იტყოდა თავისა თვისსათვს, ეგრეთვე ამით წესითა მცნებათა ამათ მცირედ უწოდა, რადთა გუასწაოს ჩუენ მარადის მდაბლისმეტყუელებად და არა ქებად და ამალლებად საქმეთა გინა სიტყუათა ჩუენთა. და კუალად ესეცა გულისწმა-ვყოთ, ვითარმედ არცა თუ რომელ უდარეს და უმცირეს ჩნდეს მცნებათა მისთა შინა, ჯერ-არს მისიცა უგულვებელს-ყოფად, რამეთუ ყოველნივე ცხორებისათვს ჩუენისა განწესებულ არიან. ხოლო რაჟამს გესმას, ვითარმედ: „უმცირეს ეწოდოს სასუფეველსა ცათასა“, ნურას სხუასა გულისწმა-ჰყოფ, გარნა ჯოჯოხეთს შთავრდომასა, რამეთუ სასუფეველად არა ხოლო თუ საშუებელსა მას საუკუნესა სახელ-სდებს, არამედ ჟამსა მასცა მკუდრეთით აღდგომისასა და დღესა მასცა საშინელისა მეორედ მოსლვისა მისისასა სასუფეველად უწესს ამისთვს, რამეთუ დაწყებად იქმნების და დასაბამი ახლისა მის ცხორებისად. უკუეთუ არა, ვითარმცა შესაძლებელ იყო, რადთამცა „რომელმან ჰრქუა ძმასა თვისსა: ცოფ, თანამდებ იყო გეჰენისა“² (რომელი-ესე ერთისა მცნებისა დაწსნად არს), და რომელმან სხუანი იგი ყოველნი დაჰწსნნა და ეგრეთვემცა ასწავა კაცთა, იგიმცა სასუფეველსა შინა ცათასა ეგო? ნუ იყოფინ! არა ამას იტყვს, თუ სასუფეველსა შინა იყოს უმცირეს სხუათასა, არამედ ესრეთ ბრძანებს: „რომელმან დაჰწსნნეს მცნებანი ესე და ასწაოს ესრეთ კაცთა“. რად არს ესე, თუ: „ასწაოს ესრეთ“? – რომელმან დაჰწსნნესო და ასწაოს კაცთა ესრეთვე დაწსნად, ვითარცა მან ქმნა. ვითარ ასწაოს? გინა თუ მოძღურებითა დრკუდთა და განდრეკილითა, გინა თუ სახითა თვისთა მის მცნებათა გარდასლვისადთა. ესევეთარსა მას უმცირეს ეწოდოს ჟამსა მას მეორედ მოსლვისა მისისასა. ესე იგი არს, შეურაცხ იქმნას და განვრდომილ, არარად საწმარ. რაჟამს ესრეთ იქმნას, მერმე გეჰენიად მისაცემელი არს იგი და სხუად არარად. რამეთუ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, ვითარცა ღმერთმან ყოვლისავე მეცნიერმან, იცოდა წინადაწმარ მრავალთა დაწსნილობად, რომელთა ეგულებოდა უმეტეს ზომისა შერაცხვად თქუმულთად ამათ და შემოღებად სიტყუათა ამოებისათა, ვითარმედ: რად არს ესე, უკუეთუ ვინ ცოფ უწოდოს მოყუასსა, სატანჯველისა თანამდებ არს, ანუ უკუეთუ ვინ მიხედნეს დედაკაცსა, მემრუშედ შერიაცხვისა? ამისთვს წი-

¹ შდრ. მათ. 5,21-28.

² შდრ. მათ. 5,22.

ნადივე დაჰქსნის უფალი ცუდადმეტყუელებასა ამას და ამისთვის სასჯელი განანესა დიდი ორთათსვე, რომელნი გარდაჰქედბოდინ მცნებათა მისთა, და რომელნი გარდასლვასა მათსა სხუათა უნესებდენ.

ამისთვის, მორწმუნენო, ბრძანებისა ამისგან და სასჯელისა გუეშინოდენ და ნუცა ჩუენ გარდავჰქედბით მცნებათა მისთა, ნუცა სხუათა მიზეზ გარდასლვისა ვიქმნებით; არამედ ვისწრაფოთ ჩუენცა აღსრულებად მათა და სხუათაცა აღსრულებად მათი ვასწაოთ, რამეთუ ამისთვის იტყვს უფალი: „რომელმან ყოს და ასწაოს, ამას დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა“.¹ რამეთუ არა თავისა თვისსა ხოლო ჯერ-არს სარგებელი და მომატყუებელ კეთილისა ყოფად, არამედ სხუათაცა, და არა ერთ არს სასყიდელი თავისა თვისსა ხოლო მოქცევისა და უკუეთუ თავისა თვისსა თანა მოყუასსაცა ვინ მიზეზ ცხორებისა ექმნას; რამეთუ ვითარცა სწავლად თვნიერ საქმისა დასჯის მასწავლელსა, ვითარცა იტყვს მოციქული: „რომელი-ეგე ასწავებ მოყუასსა, თავსა თვსა არა ასწავებ?“² ეგრეთვე, უკუეთუ ვინ იქმოდის კეთილსა და ჟამსა წესიერსა და ოდეს ჯერ-იყოს სხუათაცა არა მიუთხრას უმჯობესი, დაამცირობს სასყიდელსა შრომისა მისისასა.

ჯერ-არს უკუე ორსავე შინა სრულ-ყოფად და პირველად თავისა თვისსა განმართებად და ესრეთ სხუათაცა მოძღურებად შესლვად; რამეთუ ამისთვის თავადმანცა საქმე უწინარეს სწავლისა განანესა, რადთა აჩუენოს, ვითარმედ ესრეთ იქმნების კეთილად სწავლად სხუათად, ოდეს პირველად შენ ჰქმნე, რადთა არა გესმას: „მკურნალო, განიკურნე თავი შენი“;³ რამეთუ რომელმან ვერ უძლოს თავისა თვისსა სწავლად და ჯელ-ყოს სხუათა მოძღურებად, მრავალთა მიერ განიკიცხოს და იყუედროს და უფროდს ვერცა შეუძლოს სწავლად, რაჟამს საქმენი სიტყუასა უგებდენ მას. ხოლო უკუეთუ ორკერძოვე სრულ-ყოს – თვსითაცა საქმითა და სხუათაცა სწავლითა – ესევეთარსა მას ჭეშმარიტად დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „ხოლო გეტყვ თქუენ: უკუეთუ არა ემატოს სიმართლე თქუენი უფროდს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა“ (5,20).

თ ა რ გ მ ა ნ ი: სიმართლედ ამას ადგილსა ყოველსა სათნოებასა სახელსდებს, ვითარცა თქუმულ არს იობისთვის, ვითარმედ: „უბინო, მართალ“;⁴ და სხუათა მრავალთა ადგილთა სიმართლჳ შემოკრებულისა მის ყოველთა ქველისსაქმეთაგან სათნოებისათვს თქუმულ არს. ხოლო ფარისეველნი და მწიგნობარნი არა თუ უმჯულონი და უკეთურნი ავსენნა აქა, არამედ რომელნი იმარხვიდეს მცნებათა სჯულისათა, რაოდენცა ეძლო, რომელსაცა სიმართლედ უწოდა.

¹ მათ. 5,19.

² რომ. 2,21.

³ ლუკ. 4,23.

⁴ იობ 1,1.

ხოლო იხილე, ვითარ შემსგავსებასა იქმს აქა ძუელისა მის და ახლისა შჯულისასა, რადთა აჩუენოს თვსება მათი და მახლობელობად ურთიერთას, რამეთუ უმეტესობად და უმცირესობად ერთსახეობისა და ერთნათესავობისანი არიან, რადთა სცნა, ვითარმედ არა შეურაცხ-ჰყოფს ძუელსა მას, არამედ აღაორძინებს. ხოლო უკუეთუმცა ბოროტი იყო, არამცა აღაორძინა, არამედ სრულიადმცა განაგდო.

თქუან უკუე ვიეთმე, ვითარმედ: უკუეთუ ესევითარი არს, ვითარ ვერ შეიყვანებს სასუფეველად შემდგომად ქრისტეს მოსლვისა? ამისთვის, რამეთუ ვინადთგან უზეშთაესთა მადლთა და მიუთხრობელთა ნიჭთა ღირსმყვნა ქრისტემან, უაღრესიცა ცხორებად და უმეტესი მოლუანებად თანაგუაყ. ხოლო პირველნი იგი ყოველნივე, რომელთა კეთილად დაიმარხნეს წესნი მისნი, ღირსად გამოაჩინნა სასუფეველისა, დაღაცათუ ვერ შევიდეს მას შინა სასჯელისა მისთვის, რომელსა თანამდებ იყო ბუნებად ჩუენი, ვიდრემდე მოვიდა უფალი და სასჯელი იგი დაჰჰსნა და მართალნი იგი შეიყვანნა საშუებელად. ამისთვისცა იტყვს: „მოვიდენ აღმოსავალით და დასავალით და ინაჲ-იდგან წიაღთა აბრაჰამისთა და ისაკისთა და იაკობისთა“;¹ და ლაზარე წიაღთა აბრაჰამისთა მიიწია; და სხუანი იგი ყოველნივე, რომელნი პირველ ქრისტეს მოსლვისა განბრწყინდეს, წესითა მის შჯულისადთა განბრწყინდეს. და ქრისტემანცა, მო-რად-ვიდა ქუეყანად, აღასრულა იგი ყოვლითურთ, რადთა აჩუენოს თვსებად მისი ახლისა ამის თანა. რამეთუ უკუეთუ ვინ თქუას, თუ ამისთვის აღასრულა, რადთა ჰურიანი მოიზიდნეს სარწმუნოებად თვსად – უკუეთუმცა შჯული იგი ბოროტი იყო, ჰურიანთა გულსავსე-ყოფისათვს უფალი ბოროტსა წესსა არა აღასრულებდა, ვითარცა-იგი არა აღასრულნა წესნი წარმართთანი გულსავსე-ყოფისა მათისათვს.

ამის ყოვლისაგან უკუე საცნაურ არს, ვითარმედ არა ამისთვის დააცხრვო ძუელი იგი შჯული, რომელ ბოროტი იყო, – რამეთუ არა ბოროტი იყო, – არამედ ამისთვის, რომელ უაღრესთა და უზეშთაესთა მცნებათა ჟამი იყო. ხოლო უკუეთუ არა იყო იგი სრულებასა ამას შინა ახლისა შჯულისასა, ნუ გიკვრს, ნუცა ამისთვის ბოროტად შეჰრაცხავ მას, რამეთუ ახალიცა ესე გულისწმის-ყოფად ყოფადსა მას მის საუკუნოფასასა თანა მცირე წოდებულ არს და არასრულ, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „მცირედ ვიციით და მცირედ ვწინაღწარმეტყუელებთ. რაჟამს მოიწიოს სრული იგი, მაშინ მცირედი განქარდეს“.² სრულად მერმესა მას საუკუნესა უწენს და მცირედ – აწინდელსა ამას გულისწმის-ყოფასა. და კეთილად აჩუენა მან ძუელისა მის შჯულისა წესი და ახლისად და მერმისა მისცა საუკუნისა, რაჟამს თქუა: „ოდეს-იგი ვიყავ ყრმად, ვიტყოდე, ვითარცა ყრმად, ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც, დაუტევე სიყრმისად იგი“.³ სიყრმედ ძუელსა

¹ შდრ. მათ. 8,11. ² 1 კორ. 13,9-10. ³ 1 კორ. 13,11.

მას უნოდა და მამაკაცობად – ახალსა. მერმე იტყვს ახალისა ამისთვის და ყოფადისა მის მას საუკუნესა, ვითარმედ: „ვხედავ ან, ვითარცა სარკითა, ხოლო მაშინ – პირისპირ; ან ვიცი მცირედ, ხოლო მაშინ ვიცნა, ვითარცა შევემეცნე“. ¹ ხოლო დაღაცათუ მი-რაჲ-ვემთხვნეთ საუკუნესა მას სასუფეველსა, აწინდელნი ესე წესნი განქარდებიან და სხუაჲ უაღრესი ცხორებაჲ შემოვალს, არამედ არა ვიტყვით ამის ჯერისათვის, თუ შეურაცხ არს ახალი ესე შჯული, არამედ უწყით, ვითარმედ დიდ არს და საკვრველ. ეგრეთვე, რომელ ძუელი იგი უმცირესი იყო და ახალი ესე უსრულესი შემოვიდა, არა ჯერ-არს თქუმად, თუ ბოროტ იყო იგი. ნუ იყოფინ! არამედ კეთილ იყო ჟამსა შინა თვისსა.

ხოლო ან, ვინაჲთგან აღთქუმანიცა სასყიდელთა უზეშთაესთანი მოგუეცნეს და ძალი სულისა წმიდისაჲ უმეტესი მოგუენიჭა, სამართლად უმეტესსაცა სათნოებისა სიმართლესა ეძიებს ჩუენგან. რამეთუ არლარა ქუეყანისა მოცემად აღგვთქუა გამომცენარისა სძისა და თაფლისაჲ, არცა სიბერე სიპოხისაჲ და შვილმრავლობაჲ, არცა იფქლი და ღვნოჲ და სამწყსონი ცხოვართანი და მროწეულეი ზროხათაჲ ანუ არვეი თხათაჲ, არამედ აღგვთქუა ჩუენ სასუფეველი ცათაჲ და მკვდრობაჲ ანგელოზთა თანა და შვილებაჲ ღმრთისაჲ და თვისებაჲ მხოლოდშობილისაჲ და ზიარებაჲ მკვდრობისა მის ზეცათაჲსაჲ და დიდებაჲ იგი და სუფევაჲ დაუსრულებელი და შუებაჲ კეთილთა მათ შინა გამოუთქუმელთა. ხოლო რაჲთა სცნა, ვითარმედ უმეტესი ძალი და შეწვენაჲ მოგუეცა ჩუენ ან, ისმინე პავლესი, რასა იტყვს: „არარაჲ დასასჯელი არსო ან მათა, რომელნი-იგი ქრისტე იესუს მიერ არა ჯორციელად ვლენან, არამედ სულიერად, რამეთუ რჩულმან სულისა ცხორებისამან ქრისტე იესუს მიერ განგათავისუფლა შენ რჩულისა მისგან ცოდვისა და სიკუდილისა“. ²

ხოლო ვინაჲთგან აუნყა დამჴსნელთა ახლისა ამის რჩულის-დებისათა, თუ ვითარისა სასჯელისა თანამდებ არიან, და კუალად აღმასრულებელთა მისთა აღუთქუა სიმრავლე იგი სასყიდელთაჲ და გჴრუენა, ვითარმედ უზეშთაესსა საზომსა ეძიებს ჩუენგან პირველთა მათ, ძუელსა შინა შჯულსა მყოფთაჲსა, ინყებს მიერითგან საკვრველსა მას შჯულის-დებასა შემსგავსებითა პირველთა მათ მცნებათაჲთა, რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ მათვე თანაენამების და არა დაჴსნის, არამედ ჟამსა ჯეროანსა უმეტესისა მიმართ აღაორძინებს მათ, ვითარცა ესერა ვისმინოთ ბრძანებაჲ მისი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჴკლავ; ხოლო რომელმან ჴკლავს, თანამდებ არს სიკუდილისა. ხოლო მე გეტყვ თქუენ, რამეთუ: რომელი განურისხდეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა“ (5,21-22).

¹ 1 კორ. 13,12.

² შდრ. რომ. 8,1-2.

თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილეთ ჯელმნიფებად იგი სრული? იხილეთ ქადაგებად, შემსგავსებული რჩულისმდებლისა მის ჭეშმარიტისა? რომელმან წინაწარმეტყუელთა ანუ მამათმთავართაგანმან თქუა ესრეთ? – არავინ. ნუ იყოფინ! არამედ იტყოდეს: „ესრეთ იტყვს უფალიო“. ხოლო მხოლოდშობილმან მან ძემან ღმრთისამან არა ესრეთ თქუა, არამედ ყოველივე ბრძანებით და ჯელმნიფებით. რამეთუ იგინი მეუფისა სიტყუათა იტყოდეს, ხოლო ესე – მამისათა და უფროსდა თვსთა; რამეთუ ოდეს მამისა ვთქუა, ძისათა ვიტყვ, ვითარცა თქუა, ვითარმედ: „ჩემი ყოველი შენი არს, და შენი ჩემი არს“;¹ და იგინი მოყუასთა თვსთა შჯულისა დაუდებდეს, ხოლო ესე მონათა ეტყვს უკუე, ვითარმედ: „ითქუა პირველთა მათ მიმართ“; და მაშინცა მათდა მიმართ მეტყუელი თავადივე იყო, რამეთუ იგი არს მომცემელი ძუელისა და ახლისა შჯულისა. არამედ არარაჲ ჰრქუა ესევეთარი, თუ: გასმიეს, რამეთუ ვთქუ პირველთა მათ მიმართ, რამეთუ იცოდა გონებათა მათ ჰურიათასა უგულისჯმოებად, ვითარმედ არა შეინწყნარებდეს სიტყუასა მას, არცა ესე თქუა, თუ: გასმიეს, რამეთუ ითქუა მამისა ჩემისა მიერ, ხოლო მე ან გეტყვ თქუენ, რამეთუ ესეცა ძნელვე იყო, არამედ ესრეთ განუჩინებელად თქუა, ვითარმედ: „გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ“, რადთა ესე ხოლო უჩუენოს, ვითარმედ ჟამსა ჯეროანსა შემოვიდა ან ახალი ესე სწავლა. რამეთუ ამისთვის ჰრქუა: „გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ“, რადთა სიმრავლე იგი ჟამისა მოასწავოს, ვინაფთგან ითქუა იგი, და აყუედროს, რომელ უმაღლესისა ამის მოქალაქობისა მიმართ უდებ იქმნენ, ვითარცა მოძღუარი რად აყუედრებნ ყრმასა უდებსა სწავლად და ეტყვნ: აჰა ესერა ესოდენი ჟამი წარჯდა, და შენ ჯერეთ ანბანსა ისწავლი. ამას წესსა თავადიცა მოასწავებს და ამისთვის სახელი იგი პირველთა შემოილო ნოდებად მათდა უმაღლესისა მის ცხორებისა მიმართ, ვითარმცა ეტყოდა: კმა არს თქუენდა ან ესოდენი ესე ჟამი ძუელისა ამის წესისა. ჯერ-არს ან ახლისა და უაღრესისა მოქალაქობისა ჯელ-ყოფად. ხოლო „გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლა; და რომელმან მოკლას, თანამდებ არს სიკუდილისა. ხოლო მე გეტყვ თქუენ, რამეთუ: რომელი განურისხდეს ძმასა თვსსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა“.

ძუელისა მის და ახლისა შჯულისა ერთი არს რჩულისმდებელი – უფალი ჩუენი იესუ ქრისტე. არა ვითარცა უღმრთონი იგი მანიქეველნი გმობენ და სხუასა იტყვან ძუელისა მის შჯულისმდებელსა და უწყალოებასა სწამებენ მას არაღირსნი იგი წყალობისა. ხოლო ჩუენ უწყით, ვითარმედ ორისავე მეუფე და რჩულისმდებელი ქრისტე არს, თანაარსი და თანადაუსაბამოდ, ძე უხილავისა ღმრთისა. და არცა ძუელსა მას შინა იპოებიან უწყალოებისა სიტყუანი, არცა ახალსა ამას – შეუძლებელნი მცნებანი. არამედ მაშინ ვინაფთგან ფიცხელ და უგულისჯმო იყვნეს ჰურიანი და

¹ იოან. 17,10.

ვერ ეძლო თავით თვსით მოწყუედად საქმეთა ურჩულოებისათა (რამეთუ ჩუეულებადცა ცოდვისად სუფევდა სოფელსა შინა და ყოველსავე ბოროტსა ერეოდეს: კაცის-კლვათა, მრუშებათა, ურთიერთას ბრძოლათა), ამისთვის ღმერთმან, ვითარცა აღკრი მათისა მის სიცოფისა, დადგა შჯული, რადთა რომელმან კაც-კლას, მოიკლას მის წილ, და „თუალი თუალისა წილ, კბილი კბილისა წილ“.¹ არა თუ რადთა ურთიერთას თუალთა და კბილთა აღმოჰყდიდენ, არამედ რადთა შიშითა მსაჯულთა და მთავართადათა, რომელნი წესისაებრ შჯულისა შურის-გებასა ესევეითართა საქმეთასა იქმოდეს, დასცხრენ ბოროტთა საქმეთაგან.

ხოლო მო-რად-ვიდა უფალი ქუეყანად და მძლავრებად იგი ცოდვისად განაქარვა და თვთმფლობელობისა მადლი უბრწყინვალესად განაახლა, ამისთვის ჯეროვანსა და წესიერსა ჟამსა უაღრესთა ამით საქმეთა გუასწავებს და უმაღლესისა ცხორებისა გზასა გვჩუენებს, ვითარცა-ესე ან იწყობრძანებათა ამით წმიდათა, რამეთუ წესისაებრ ჟამთადასა წესიცა იგი რჩულის-დებისად აღასრულა.

„გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლა. ხოლო მე გეტყვ თქუენ: რომელი განურისხდეს ძმასა თვსსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა“. არა ყოვლითურთ განაგდო საქმე იგი შერისხვისად, არამედ ცუდი რისხვად დააყენა: ერთად – რამეთუ ძნელ არს კაცისა ვნებათაგან სრულიად განთავისუფლება, არამედ აღკრ-სხმად და დაყენებად ვნებათა შემძლებელ არს, ხოლო სრულიად განთავისუფლებად ბრძოლისა მათისაგან და ყოვლითურთ უჩინო-ყოფად მათი ვერვის ძალ-უც კაცთა შორის; და მეორედ – რამეთუ ფრიად საჭმარ არს შერისხვად, ოდეს ჟამსა თვსსა იქმნებოდის. იხილეთ, რაბამი კეთილი ქმნა შერისხვამან პავლესმან კორინთელთა შორის და დიდისა საცთურისაგან იწსნნა. ეგრეთვე გალატელნი წარწყმედისაგან შერისხვითა მით იწსნნა და სხუად ესევეითარი მრავალი ქმნა მანცა და სხუათა წმიდათა.

ან უკუე რომელი არს ცუდი რისხვად, ანუ რომელი არს ჯეროვანი და წესიერი? ყოველსა შერისხვასა, რომელსა ვიქმოდით არა შურის-გებისათვის თავთა ჩუენთადასა, არცა ვნებისათვის ჩუენისა გულისწყრომისა, არცა სიძულილისათვის ძმისა, არამედ დამტკიცებისათვის მცნებათა ქრისტესთადასა, რადთა ცოდვისაგან დავაყენნეთ სხუანი და უდებებისა და უნესობისაგან მოვაქცინეთ, არა ცუდ არს, არამედ ფრიად ჯეროვან. ხოლო ოდეს შურსა ვიგებდეთ თვსისა რადსმე ვნებისათვის ანუ სოფლიოდას რადსამე და ჯორციელისა საქმისათვის განვრისხნებოდით, ესე არს ცუდი განრისხებად, რომელსა გუამცნებს მოციქული, ვითარმედ: „ნუ შურსა იგებთ თავთა თვსთათვის, საყუარელნო, და ყოველი სიმნარე და გულისწყრომად, რისხვად და გამოზად მოისპენ თქუენგან ყოვლითურთ უკეთურებით; და მზე

¹ შდრ. გამ. 21,12,24.

ნუ დაგასწრობნ განრისხებასა თქუენსა“.¹ რამეთუ ვითარცა ჯორციელთა საქმეთათჳს და შურის-გებისათჳს განრისხებად ცუდ არს და ბოროტ და თანამდებ სასჯელისა, ეგრეთვე შურისა საღმრთოჲსათჳს ქმნილი საჯმარ არს და კეთილ.

გარნა უმრავლესნი ჩუენგანნი წინააღმდგომსა ამას სიტყვასა იქმან და თჳსთა ვნებათათჳს: სიძულილისა და ძკრის-ჴსენებისა მოყუსისა და სხვსა ყოვლისავე ჯორციელისა საქმისა მჴეცებრ განრისხნებიან. ხოლო რაჟამს მცნებად რადმე ქრისტესი დაიჴსნებოდის და უნესობისა საქმე იქმნებოდის, შემუსრვილ და მდაბალ იქმნებიან და დუმილსა იმარხვენ, რომელ-ესე ორივე წინააღმდგომ არს რჩულსა მას სახარებისასა. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ არა განრისხებად ბოროტ არს, არამედ ცუდად განრისხებად. ამისთჳსცა წინანარმეტყუელი იტყჳს: „გულისწყრომასა თქუენსა ნუ სცოდავთ“,² რამეთუ უკუეთუ განრისხებად იგი არა შურისათჳს საღმრთოჲსა იყოს, ცოდვა არს, ვითარცა ესერა შემდგომთაცა სიტყუათა მიერ გუამცნებს უფალი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა: რაკა, თანამდებ არს კრებულისაგან განსლვად“ (5,22).

თ ა რ გ მ ა ნ ი: შესაკრებელად აქა სამსჯავროსა მას ჰურიათასა უწოდა და ამისთჳს აჴსენა იგი, რადთა არა ჩნდეს სიტყუად მისი სრულიად უცხო წესისა მისგან რჩულიერისა. ამისთჳს შესაკრებელსა მათსა მისცა სასჯელი ამის სიტყვსად. ხოლო სიტყუად ესე – „რაკად“ – არა გინება არს, არამედ შეურაცხება, რამეთუ ესრეთ გამოითარგმანების ასურასტანელთა ენისაგან: რაკა – ჰ შენო, რომელ-ესე არს შეურაცხებისა სიტყუად, ვითარცა ვინ ჰრქჳს მონასა თჳსსა. ხოლო კაცთმოყუარე ღმერთი ყოვლისავე ბოროტისა დასაბამსა და ძირსა აღმოჰფხურის, რადთა არა უძკრესიცა მოვიდეს, და გკბრძანებს, რადთა ურთიერთას არა შეურაცხებით, არამედ პატივით ვეტყოდით, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „პატივითა ერთიერთსა წინაუძლოდეთ“,³ რამეთუ ესე არს წესი იგი სულიერი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა: ცოფ, თანამდებ არს გეჴენიასა ცეცხლისასა“ (5,22).

თ ა რ გ მ ა ნ ი: მრავალთა მძიმედ და ძნელად შეჴრაცხეს მცნებად ესე, უკუეთუ მცირისა ამის სიტყვსათჳს ესე ვითარისა სატანჯველისა თანამდებ ვიქმნებით, და იტყჳან, ვითარმედ უმეტეს ზომისა არს სიტყუად ესე. არამედ მეშინის, ნუუკუე სიტყუათა მიერ ცუდთა ვაცთუნებდეთ აქა თავთა თჳსთა და მერმესა მას საუკუნესა საქმით შთავცჳვეთ სატანჯველთა ჯოჯოხეთისათა. რამეთუ მითხარლა, რადსათჳს მძიმე გიჩნს მცნებად ესე?

¹ შლრ. რომ. 12,19; ეფეს. 4,31,26.

² ფსალმ. 4,5.

³ შლრ. რომ. 12,10.

არა უწყია, ვითარმედ უმრავლესნი ცოდვანი დაწყებასა და დასაბამსა სიტყუათაგან მიიღებენ? – გიგობანი და უარის-ყოფანი და ძკრის-ზრახვანი და გინებანი და ცრუდ ფიცებანი და ცილისნამებანი და ცრუმონმობანი. ესე ყოველნი არა სიტყუათაგან მიიღებენა დაწყებასა? ნუ ამას უკუე ხედავ, თუ მცირე სიტყუად არს, არამედ იხილე, თუ არა მრავალნი ბოროტნი იქმნებიანა გინებისა მიერ? რამეთუ სიტყუთა ამით ერთითა ყოველივე გინებად მოასწავა, რაფთა ვცნათ, ვითარმედ დიდი ცოდვად არს გინებად ძმისად, და მრავალგზის ჟამსა შინა შფოთისა და რისხვისასა, ოდეს საჯუმილი გულისწყრომისად ეტყინებოდის, მცირეცა სიტყუად, და არა ფრიად შეურაცხებით თქუმული, უმეტესად აღატყინებს ცეცხლსა მას, ვიდრელა კაცის-კლვადცა მიიწიის. რამეთუ ვითარცა ოდეს სიყუარული იყოს, მძიმეცა სიტყუად სუბუქად ჩანს, ეგრეთვე, ოდეს რისხვად და გულისწყრომად უფლებდენ, სუბუქიცა სიტყუად აღმორძინებელ ბოროტისა მის იქმნების. ვითარცა-იგი ოდეს ნაბერწყალი მცირე იყოს, დაღაცათუ შეშად დაურთო, არავე მსწრაფლ აღეტყინების, ხოლო ოდეს საჯუმილი ინუებოდის და ალი მძაფრი მოეხუეოდის, არა ძელთა ხოლო, არამედ ქვათაცა შეედების, ეგრეთვე ჟამსა რისხვისასა მცირეცა სიტყუად ნივთ ვნებისა მის იქმნების.

ამისთვის ყოველსავე ესევითარსა ბოროტსა ძირსა აღმოჰფხურის უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ბრძანებს, ვითარმედ: „რომელიცა განურისხდეს ძმისა თვისსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა; და რომელმან ჰრქუას: რაკა, თანამდებ არს კრებულისაგან განსლვად“. უსუბუქესი სასჯელი თქუა პირველთა მათთვის, ხოლო ან, რომელმან ჰრქუასო ცოფ, თანამდებ არს გეჰენისა. ან პირველად თქუა სახელი გეჰენისა, ვინათგან მრავალი წარმოთქუა სასუფეველისათვს ცათადა და სასყიდელთა მათთვის, განმზადებულთა ღმრთისმოყუარეთათვს, რაფთა აჩუენოს საქმე კაცთმოყუარებისა თვისსა. ან ავსენა გეჰენიად, რომელსა აღვატყინებთ ჩუენ ცოდვათა ჩუენთა მიერ და დაწსნილობითა უდებებისა ჩუენისაფთა, ვითარმცა ბრალსა განიგდებდა და გუეტყოდა, ვითარმედ არარად ესევითარი ჰნებაეს მას ჩუენთვის, არამედ უფროფსად ყოველი კეთილი, ხოლო ჩუენ ვაიძულებთ სახიერსა მას განრისხებად ჩუენ ზედა და მიცემად სატანჯველად.

და ესრეთ გულისწმა-ყავ მის მიერ სმენად, რამეთუ გეტყვს: გარქუ შენ: ნუ განჰრისხნები ცუდად, და არა მისმინე, არამედ შეურაცხებად მოყუსისა ინყე; გარქუ შენ: ნუ იტყვ: რაკა, ნუცა სხუასა რას სიტყუასა შეურაცხებისასა აღმოიტყვ, არავე შეიკდიმე, არამედ გინებადცა ძმისა ინყე; ამისთვის იძულებითა უწესობისა შენისაფთა გეტყვ: განეყენე სიტყუათა მათ გინებისათა, რაფთა არა გეჰენიად ცეცხლისა მიეცე. რამეთუ ამისთვის შეურაცხებისა და გინებებისათვს სატანჯველსა გითქუამ, რაფთა არა კაცის-კლვასა შთაჰვარდე, რამეთუ ყოველი ბოროტი მცირედისაგან აღორძინდების და დიდად მიიწევის.

ან უკუე, საყუარელნო, ნუ მცირე გიჩნს ცოფ ნოდებად ძმისად, რამეთუ ოდეს მოსძარცოს ვინ ძმასა თვისსა გონებად და ცნობად, რომლითა ჩანს პატივი კაცისად, და ცოფ უნოდოს, ყოვლისაგანვე პატივისა განუგდიეს იგი. და ნუ სიმცირესა მას სიტყვისასა ვხედავთ, არამედ ვნებად მისი გულისწმავყოთ, და თუ ვითარსა წყლულებასა იქმს სიტყუად იგი და ვითარ აღაორძინებს ბოროტსა. ეგრეთვე მსგავსად პავლეცა იტყვს: „ნუ სცთებითო: არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენტა, არცა მამათმავალთა, არცა მპარავთა, არცა ანგაჰრთა, არცა მომთრვალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისად ვერ დაიშკდრონ“.¹ აჰა ესერა მეძავთა და მემრუშეთა თანა მაგინებელნიცა განასხნა სასუფეველისაგან, და სამართლად ქმნა ესე, რამეთუ მაგინებელი სიკეთესა მას სიყუარულისასა ავნებს, და მოყუასსა მრავალსა მნუხარებასა შთააგდებს, და გესლსა მტერობისა და ძკრის-ვსენებისასა შემოიღებს შორის, და ასოთა ქრისტესთა ურთიერთას განჰყოფს, და სანადელსა მას და ღმრთისა საყუარელსა მშკდობასა განიოტებს დღითი-დღე და გინებათა მათ მიერ განაძლიერებს ეშმაკსა თავსა ზედა თვისსა.

ამისთვის ქრისტესა ენება რად ძარლუთა მისთა შეჭრად, რჩული ესე საღმრთოდ დაგვდვა, რადთა პატივისმცემელ ვიყვნეთ ურთიერთას, არა მაგინებელ და შეურაცხისმყოფელ, არამედ რადთა განვიშორეთ ყოველი მტერობად და სიძულილი, და სიყუარული შევიტკობთ. რამეთუ დიდად სთნავს სიყუარული უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, და სიყუარული არს დედად ყოველთა კეთილთად, სასწაული ქრისტეს მონაფეთად და სრულმყოფელი ყოვლითურთ ჩუენისა ამის ნაკლულევანებისა და სიგლახაკისა. ამისთვისცა სამართლად აღმოჰფხურის ძირითურთ მტერობასა და შფოთსა, რომელ-იგი მავნებელ არიან სიყუარულისა.

ან უკუე ნუ ზომისა უმეტესობასა იტყვ ამის მცნებისასა, არამედ იხილე, თუ რადენი კეთილი იქმნების სიყუარულისაგან და ურთიერთას პატივ-ცემისა, და გიკვრდინ სახიერებად ყოვლადბრძნისა მის მეუფისად, რომელი ყოვლით კერძო ცხორებასა ჩუენსა ეძიებს და ჰნებავეს საკრველითა მით მშკდობისა და სიყუარულისადათა შეკრვად ჩუენი ურთიერთას. ამისთვისცა პირითაცა თვისთა და მონაფეთა მიერცა და წინანარმეტყუელთა დიდითა ხარკებითა გუამცნებს სიყუარულსა და შურისმეძიებელ არს მათ ზედა, რომელთა მცნებად ესე უგულუბელს-ყონ, რამეთუ უწყის, ვითარმედ არარად ესრეთ აღაორძინებს და განამტკიცებს ჩუენ შორის ყოველსა ბოროტსა, ვითარ დაწსნად სიყუარულისად. ამისთვის თქუმულ არს, ვითარმედ: „განმრავლებითა ურჩულოებისადათა განჯმეს სიყუარული მრავალთად“.² ამისითა ნაკლულევანებითა კაენ ძმისა მკლველ იქმნა; ეგრეთვე ესავ განვარდა; ეგრეთვე ძმათა იოსებისთა ქმნეს ბოროტი. და ვინმცა აღრაცხა

¹ 1 კორ. 6,9-10. ² მათ. 24,12.

სიმრავლე ბოროტთა მათ, რომელნი შემოვიდეს განჯმობითა და მოკლებითა სიყუარულისადათა?

ამისთვის უფალი ყოველსავე წინააღმდეგომსა სიყუარულისასა განსდევნის კაცთაგან და მას დაამტკიცებს მონათა შორის მისთა. და არა კმაყო ზემოთქუმულთა ამათ ზედა, არამედ სხუადცა მრავალი შესძინა დასამტკიცებელად სიყუარულისა, რადთა გულისჯმა-ვყოთ, რაოდენ სათნო-უნნს სათნოებად ესე. რამეთუ განანესა რად მრისხანეთათს და შეურაცხისმყოფელთა მოყუსისათა თანამდებობად სასჯელისაჲ, თანამდებობად კრებულისაგან განვრდომისაჲ, თანამდებობად გეჰენისაჲ, კულადცა შესძინა და თქუა:

სახარებაჲ: „უკუეთუ შესწირვიდე შესწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგეცენოს შენ, ვითარმედ ძმად შენი გულძკრ რადმე არს შენთვის, დაუტევე შესწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა და მაშინ მოვედ და შეწირე შესწირავი შენი“ (5,23-24).

თარგმანი: მ გარდამატებული იგი სახიერებაჲ, მ კაცთმოყუარებაჲ იგი მიუთხრობელი! შეურაცხ-ჰყოფს თვსსა მას პატივისა პატივისათს მოყუსისა და სიყუარულისათს მისისა და იტყვს, ვითარმედ: უგულუბელს-ყავ შესწირავი იგი ჩემი და პატივ-ეც სიყუარულსა ძმისასა, რამეთუ ესე არს სათნოჲ ჩემი და შესწირავი, რადთა შენ ძმასა შენსა დაეგო. რადმცა უზეშთაეს იყო ამის კაცთმოყუარებისა? არა თქუა, თუ: პირველად შეწირე შესწირავი იგი და ესრეთ წარვედ დაგებად, ანუ თუ პირველ შესწირავისა, არამედ მასვე ჟამსაო, ოდეს შესწირავი საკურთხეველსა ზედა ეგოს, უკუეთუ მოგეცენოს, დაუტევეო და წარვედ, დაეგე ძმასა.

ხოლო რადსათს ესრეთ თქუა და ესევეთარი ბრძანებაჲ დადვა? პირველად – რადთა გუაუნყოს, ვითარმედ დიდად სათნო არს მისდა სიყუარული ურთიერთას, და იგი შეურაცხიეს შესწირავად ჭეშმარიტად; მეორედ – რადთა გულისჯმა-გყოს, ვითარმედ თანანადები არს და წესი თანანარუვალნი დაგებად მოყუსისაჲ, რამეთუ რომელსა ესმას არა შეწირვად შესწირავისა პირველ დაგებადმდე მოყუსისა, დალაცათუ არა აქუნდეს სიყუარული, არამედ რადთა არა ძღუენი იგი მისი შეუწირველად ეგოს, აიძულოს თავი თვისი წარსლვად და დაგებად მოყუსისა და დაჯსნად მტერობისა. ამისთვის თქუა: „დაუტევე შესწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას“, რადთა ადგილისა მისგანცა საშინელისა შეიკდიმო; და „მივედო, დაეგე პირველად ძმასა შენსა და მაშინ მოვედ, შეწირე შესწირავი შენი“, რადთა საცნაურყოს ამის ყოვლისა მიერ, ვითარმედ რომელთა მტერობად აქუნდეს ურთიერთას, არა შეინყნარებს მათ საკურთხეველი.

ისმინეთ ესე, რომელთა მტერობად გაქუს მოყუასთა მიმართ და მოუჯდებით წმიდასა საკურთხეველსა და უჯრწნელთა მათ ქრისტეს საიდუმლო-

თა, რამეთუ არა შეგინყნარებს თქუენ დიდებული იგი მეუფე, არცა შესანირაგსა თქუენსა შეინირავს, არცა ლოცვასა ისმენს, რამეთუ ლოცვასაცა ენოდების შესანირაგად, ვითარცა წერილ არს: „აპყრობად ჴელთა ჩემთად – მსხუერპლ სამწუხრო“;¹ გარნა არცა შესანირაგი საჭმარ არს, არცა ლოცვად, უკუეთუ არა პირველად ძმასა შენსა დაეგო და ესრეთ შესწირო ლოცვად შენი. რამეთუ ყოველივე ამისთვის იქმნა, ამისთვის ღმერთი განწორციელდა, რადთა მტერობად დაჰჴსნას და ჩუენ ერთობად მოგჴყვანნეს, და ყოველსა ადგილსა ამას გჴბრძანებს, ვითარცა-ესე ან თქუა.

და კუალად ლოცვასა შინა იტყჴს ესრეთ: „მომიტივენო, ვითარცა ჩუენ მიუტეობთ თანამდებთა ჩუენთა“.² მუნ შეწუხებულსა უბრძანებს მიტივეზად მწუხარებისა მის, ხოლო აქა შემანწუხებელსა უბრძანებს მისლვად და დაგებად შეწუხებულისა, რადთა ორკერძოვე ქმნას მშჴლობად ჴეშმარიტმან მან მშჴდობისმყოფელმან. და არა თქუა: უკუეთუ დიდ იყოს მწუხარება იგი, მაშინ მივედ და დაეგე, არამედ: „უკუეთუ მოგეჴსენოსო, ვითარმედ ძმად შენი გულძჴრ რადმე არს“, რომელ-ესე მოასწავებს, ვითარმედ: დაღაცათუ მცირე რადმე იყოს მწუხარება იგი და გულძჴრობად, ჯერ-არს მისლვად და დაგებად ძმისად. კუალად არა თქუა, თუ სამართლად ანუ უსამართლოდო, არამედ გინა თუ ესრეთ, გინა თუ ეგრეთ იყოს მკსინვარება იგი, დაგებად თანაგუაც. რამეთუ დაღაცათუ სამართლად ვისამე მიმართ გულძჴრობად გუაქუნდეს, არავე გუაქუს სიტყუად თქუმად, ვითარმედ სამართლად გულძჴრად ვარ და არა მივიდე დაგებად. მოვიჴსენოთ, რამეთუ ქრისტეცა სამართლად მრისხვიდა ჩუენ, გარნა ეგრეთცა მოვიდა წყალობად ჩუენდა და ჩუენთვის სიკუდილად მიეცა და არა გჴჴსენნა ესოდენნი იგი ბრალნი. ამისთვის პავლეცა სხჴთა სახითა გჴსწრაფებს დაგებად ურთიერთას და იტყჴს: „მზე ნუ დაგასწრობნო განრისხებასა თქუენსა“;³ რადთა არა მოვიდეს ღამე და უძჴრეს იყოს წყლულება იგი და უმეტესი ძალი მისცეს ეშმაკსა, რამეთუ ამისთვის შესძინა და თქუა: „ნუ სცემთ ადგილსა ეშმაკსა“;⁴ ვითარცა-ესე ან უფალი ბრძანებს პირველ შესანირაგისა მისლვად და დაგებად, რადთა არა, აღესრულოს რად შესანირაგი, უდებ იქმნას კაცი იგი მისლვად, და ესრეთ იწყოს რად დროებად, მიიღოს ძალი მკსინვარებამან მან; რამეთუ ფრიადი მოსწრაფებად ჯერ-არს ბრძოლასა შინა ვნებათასა, რადთა არა მიიღონ მათ ძალი უფლებად ჩუენდა, და ვითარცა მკურნალმან ჴელოანმან ასწავის კაცსა წამალი, დამაყენებელი მოსლვად სენისა, და კუალად სხუად ასწავის, დამჴსნელი მონეწულისა უძლურებისად, ეგრეთვე სახიერმან მან მკურნალმან სულთამან ქმნა. რამეთუ ბრძანებად იგი, რომლითა გუამცნო, რადთა არა განურისხნეთ ცუდად ძმასა და რადთა არა ცოფ უწოდოთ, წამალი იყო დამაყენებელი მოსლვად სენსა მას მკსინვარებისა და ძჴრის-ჴსენებისასა; ხოლო რომელი-ესე გჴბრძანა, მსწრაფლ მისლვად

¹ ფსალმ. 140,2.

² შდრ. მათ. 6,12.

³ შდრ. ეფეს. 4,26.

⁴ ეფეს. 4,27.

და დაგებად შენუხებულისა, დამწსნელი არს სენისაჲ მის, უკრძალველობისაგან ჩუენისა მონვენულისა.

და იხილე, ვითარ ორივე ესე წამალი ძლიერი შეჰმზადა; და მუნ გეჰენისა თანამდებად თქუა „ცოფ“ წოდებაჲ ძმისაჲ, რომლისა მიერ ყოველი სიტყუაჲ გინებისაჲ მოასწავა; აქა კუალად შესანირაჲსა მას არა შეინირავს, უკუეთუ არა დავეგნეთ შენუხებულსა მას ძმასა, რადთა ორკერძოვე ძირი იგი ბოროტი და ნაყოფი იგი ხენეში უჩინო-ყო; პირველად თქუა: ნუ განჰრისხნები, რადთა ყოლადვე არა აღმოეცენოს ხე იგი ხენეში; მერმე – ნუ ძკრსა იტყვო, რადთა არა აღორძნდეს; ხოლო ან აღმოცენებულისა და აღორძინებულისა მწარესა მას ნაყოფსა განგდებად ბრძანებს და ცეცხლად მიცემად. ამისთვის სასჯელისა თანამდებობაჲ განაწესა განრისხებისათვის; და კუალად განგდებაჲ კრებულისაგან; მერმე შიში გეჰენისაჲ წინაგყო; კუალად დატევებაჲ შესანირაჲვისაჲ ბრძანა და წარსლვაჲ დაგებად. ამას ყოველსა ზედა სხუასაცა სახესა გვთხრობს ამისვე პირისათვის და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „**იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა ადრე, ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა, ნუუკუე მიგცეს შენ წინამოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა, და მსაჯულმან მან – მსახურსა, და საპყრობილედ შეჰვარდე. ამენ გეტყვ შენ: ვერ გამოხვდე მიერ, ვიდრე არა მისცე დანგისა კოტორი“ (5,25-26).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: ორკერძო გულისწმა-იყოფების ძალი ამის სიტყვსაჲ: ერთად – პირველთქუმულისა მისებრ სიტყვსა მანუეველ არს ესეცა ადრე დაგებად ურთიერთას მოლალეთა, რამეთუ ზემონერილსა მას ბრძანებასა შინა ყოველივე სულიერისა კერძისათვის ყო განჩინებაჲ, ვითარმედ უკუეთუ მაგინებელ იყო და შეურაცხისმყოფელ ძმისა, თანამდებ ხარ გეჰენისა, არა თუ მოიქცე და შეინანო; და უკუეთუ შესწირვიდე შესანირაჲსა და არა პირველად დაეგო ძმას შენსა, არა ჯერ-არს შეწირვაჲ. ვინადგან ესე სიტყუანი უხილავთა და სულიერთა საქმეთათვის იყვნეს, ამისთვის იტყვს ჴორციელისა და ხილულისათვისცა უგულისწმობათვის და ზრქელთა გონებითა; ესე იგი არს: „**იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა**“. ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: გარქუ შენ, რადთა პირველ შეწირვისა ლოცვათა შენთასა დაეგო ძმასა. უკუეთუ ეგრეთცა უგულისწმო ხარ და არა შევალს სულიერი იგი სიტყუაჲ გულად შენდა, ჴორციელისამებრ საქმისაგან ეკრძალე და ისწრაფე დაგებად წინამოსაჯულისა შენისა, რადთა არა საჭუმილი შფოთისა და ლალვისაჲ აღეტყინოს თქუენ შორის, და მისლვაჲ გიწმდეს საბჭოდ მთავართა მიმართ და ჴელმწიფეთა, სირცხვლად შენდა და დასაწსნელად მცნებისა ჩემისა. და რაჲ უწყი, რაჲ ყოფად არს შენდა? ნუუკუე დაგასაჯოსცა წინამოსაჯულმან მან შენმან და მიგცეს ჴელმწიფებასა მთავრისასა, და საპყრობილედცა შეჰვარდე და ყოველივე მისცე, უკუეთუ რაჲ თანაგედვას, და მრავალი შეგემთხვოს ზღვევაჲცა და სირ-

ცხვლიცა. ამისთვის „იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა ადრე“. ესე იგი არს: კეთილად გულისხმა-ყავ, თუ რად შემთხვევად არს შენდა შფოთთა და მტერობათაგან ჯორციელად მეზრ და დაეგე ადრე წინამოსაჯულსა შენსა, ვიდრე არა მისრულ ხართ საბჭოდ, ვიდრე შენსა ჯელმნიფებასა შინა არს დაგება და მტერობისა მის დასწნად, და თავს-იდეგ მცირედიცა რადმე დაჭირვება; ნუუკუე დაჰსწნა რად სულიერი ესე წესი სიყუარულისა და მიხვდე სამსჯავროდ, არა შენ განჰმართლდე, არამედ წინამოსაჯული იგი შენი, და მიეცე რისხვასა მსაჯულისასა და საპყრობილედ შეჰვარდე, და შეგემთხვოს ჩემისაცა მცნებისა დასწნად და კაცთაგან სირცხვლი და ჯორციელიცა ზღვევად ფრიადი.

ხოლო მეორე ძალი ამის სიტყვსა ესე არს, ვითარცა მასმიეს მოძღუართაგან, რამეთუ „წინამოსაჯულად“ გულისწმა-იყოფების ეშმაკი, რომელი მარადის მბრძოლი არს ჩუენი და წინააღმდეგომი, და არაოდეს არს ჩუენი მისდა მიმართ დაგება. ნუცამცა არს! ხოლო „გზად“ ითქუმის სანუთროდ ესე ცხორება აქაჲსა ამის სოფლისა. ესრეთ უკუე გვბრძანებს მცნება ესე კაცად-კაცადსა: „იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა ადრე, ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა“. ესე იგი არს: გულისწმა-ყავ კეთილად და განიხილე თავი შენი, და ნუმცა რად არს შენ თანა ნივთი წინამოსაჯულისა მის და მტერისა შენისა, რამეთუ ვიდრემდის ნივთი საქმეთა მისთა იყოს შენ თანა, თანამდეგი ხარ მისი. ან უკუე განიგულე თავი შენი ადრე, ვიდრელა ხარ გზასა ზედა ამის ცხორებისასა და ბრძოლასა შინა წინამოსაჯულისა მის შენისასა, და განიხმიდე თავი შენი მისთა მათ ბოროტთა საქმეთაგან. ნუუკუე წარხვდე ამიერ და საქმენი იგი მისნი ზურგსა გეტკრთენენ, და წარმოდგეს შემასმენელად შენდა და იტყოდის წინაშე ღმრთისა: მეუფეო, ამან დაღაცათუ სიტყვთ უარ-მყო მე, არამედ საქმით მევე მმსახურებდა, და ესერა საქმენი ჩემნი მის თანა არიან. მაშინ მიეცე შენ ჯელთა მისთა და უწყალოთა მათ მსახურთა მისთასა და შეჰვარდე საპყრობილედ ჯოჯოხეთისა ზღვევად ყოვლისავე, ვიდრე მცირედ და შეურაცხადმდე; რამეთუ რომელიცა აქავე სინანულითა და კეთილისსაქმითა არა განაგდო შენ, მუნ ყოვლისავე მისაგებელი ჰპოო ბოროტი, და ეძიებდენ შენგან თანანადებთა მათ. ხოლო ვინათგან გარდაჲდა თანანადებთა სინანულისა მიერ იქმნების და მუნ სინანულისა ადგილი არავის აქუს, არღარად არს ღონე გარდაჲდისა, გარნა ყოფად სატანჯველთა შინა; არამედ ვიდრელა გზასა ზედა არს კაცად-კაცადი ამის ცხორებისასა, უჴმს კეთილად ცნობად და განკრძალვად ბოროტისა მის მსაჯულისაგან.

ამით ორითავე სახითა – პირველთქუმულითაცა და ან აღწერილითა – გულისწმა-იყოფების სიტყუად ესე, და ორივე კეთილ არს, რამეთუ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ყოვლით კერძო ჰნებავს ჩუენგან აღმოფხურად მიზეზთა ცოდვისათა წმიდათა ამათ მცნებათა მისთა მიერ.

სწავლა 03

რათა მოსწრაფე ვიყვნეთ დამარხვად მცნებათა ქრისტესთა

შეუდგეთ ცხოელსმყოფელთა მათ სიტყუათა მისთა და ნუ წინააღუდგებით, რამეთუ დალაცათუმცა არა იყო გამოუთქუმელთა მათ კეთილთა მოსაგებელი, თავით თვისით მებრ ყოვლითა სიტკბოებითა სავსე არიან სიტყუანი მისნი და ყოვლისა სარგებელისა მომატყუებელ; და ესე უწყიან, რომელთა თუალნი გულისანი განღებულ არიან და საცნობელნი იგი სულისანი მრთელად ჰქონან. ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე ჯორცთა მოყუარენი ვართ და განსუენებისმოყუარენი, ვერ ვსცნობთ სიტკბოებისა მათისა გემოსა, რამეთუ საცნობელნი სულისა ჩუენისანი უძლურ არიან. ამისთვის მძიმედ გკჩნს მათი აღსრულებაჲ, გარნა მოვიწსენოთ, ვითარმედ ქრისტესთვის არს შრომაჲ ესე, და სუბუქ გუექმნას, რამეთუ ჩუეულებანი ბოროტნი აღგკჩენენ მძიმედ მცნებათა ქრისტესთა და შეგუანუხებენ მონყუედისათვის ვნებათაჲსა; არამედ ჩუენ წინაგანვენყვნეთ მათა მიმართ, და ვჰრქუათ კაცად-კაცადმან სულსა თვისსა: რაჲსათვის მნუხარე ხარ, სულო ჩემო? მონყუედისათვის გულისთქუმათაჲსა და ჩუეულებათათვის ბოროტთა სურვიელ ხარ, უფროჲსად გიხაროდენ, რამეთუ მცირედითა ამით შრომითა მოტევებაჲ ცოდვათაჲ მოგეცემის და ცხორებასა საუკუნესა ღირს იქმნები. თავს-იდეჲ შიშისათვის ღმრთისა მცირე ესე ჭირი და შრომაჲ და იხილო სარგებელი ფრიად. გეშინოდენ, სულო ჩემო, ნუჟუე გენიოს სიკუდილი და უნანელი იპოო და წარხვდე ამიერ ტვრთმძიმე და მიეცე ჴელთა უწყალოჲსა მის წინამოსაჯულისა შენისათა და შეჰვარდე სატანჯველთა მათ დაუსრულებელთა.

უკუეთუ დღითი-დღე ესრეთ ვეტყოდით სულსა ჩუენსა და არა შრომასა ვხედვიდეთ სათნოებისასა, არამედ სარგებელსა მისსა გულისწმა-ვჰყოფდეთ, ადრე მოვიწყლოთ ყოველივე ბოროტი ჩუეულებაჲ და ვინყოთ ქმნად კეთილისა და წარვემატნეთ დღითი-დღე მას შინა მადლითა ქრისტესითა, რომელსა ჰნებაჲს ყოველთა კაცთა ცხორებაჲ. ეჰა საკვრველი! ეშმაკი წინამიყოფს ნუთერთსა მას სიტკბოებასა გულისთქუმათასა, და განმზადებულსა მას მათთვის საუკუნესა სატანჯველსა მეცნიერ ვართ, და მივერჩდებითვე ბოროტსა მას განზრახვასა მისსა; ხოლო ქრისტე გკჩუენებს, ვითარმედ შრომაჲ იგი სათნოებისაჲ ნუთერთ არს და განსუენებაჲ იგი მისი – საუკუნე, და არა სურვიელ ვართ მცირედითა მით შრომითა და უნდოთა მოგებად დაუსრულებელისა მის სუფევისა. რაჲმცა იყო ამის უგუნურებისა რიცხვ, უკუეთუ ესოდენსა ამას ნუგეშინის-ცემასა ზედა, რომელი მოუცემიეს ჩუენდა ღმერთსა, არავე შეუდგეთ გზასა მას მცნებათა მისთასა. რამეთუ ესე ხოლო, რომელ გულსავსე ვართ, ვითარმედ შრომაჲ სათნოებისაჲ სათნო არს ღმრთისა და მოსაგებელი განუმზადებიეს, არა კმა არსა ჩუენდა ნუგეშინისსაცემელად და განსაძლიერებლად? რამეთუ უკუეთუ ვინ მეფე

ესე მიწისაგანი მოიგოს თანამდებად, უზრუნველ არნ და მოხარულ, გულსწამა-ყავ, რა-მე იყოს მისდა, რომელმან მოიგოს კაცთმოყუარე იგი და სახიერი ღმერთი თანამდებად შრომათა თქსთა.

ან უკუე ნუ წინამიყოფ შრომასა და ჭირსა კეთილთა საქმეთასა, არამედ მისაგებელთა მათ მათთა მიხედენ და გულსწამა-ყავ, ვითარმედ ადვილ არს წარმართებად მათი არა სასოებისა მისთს ხოლო მერმეთა კეთილთადასა, არამედ ამისთსცა, რომელ მადლი ღმრთისა თანაშემნე არს ჩუენდა შრომასა მას შინა სათნოებისასა, და უკუეთუ მცირედი ხოლო მოთმინებად და გულსმოდგინებად მოვიგოთ, ყოველივე ადვილად წარმართოს მადლმან მისმან. ამისთს ჰნებავს, რაათა მცირედი შრომა ვაჩუენოთ, რაათა ძლევად ჩუენი იყოს, ვითარცა მეფემან უბრძანოს ძესა თქსსა შესლვად ბრძოლასა და თანადაუდგინის ბევრეულნი აღჭურვილნი ახოანნი და უძლეველნი, რაათა ყოს ძემან მისმან დაწყებად ხოლო ბრძოლისა, და მეყსეულად მწედრობამან მან რჩეულთამან მოსწყვდნის და იოტნის მბრძოლნი იგი. ამისთს ყვის ესე მეფემან, რაათა სახელი ძლევისა ძესა მისსა მიეცეს. ეგრეთვე ღმერთი იქმს ჩუენ ზედა ბრძოლასა ამას შინა ეშმაკისასა. ერთსა ოდენ ეძიებს ჩუენგან, რაათა ყოვლითა გულითა ვაჩუენოთ მტერობად ეშმაკისა. უკუეთუ ესე იხილოს ჩუენ თანა, ყოველსავე იგი თავადი იქმს ოტებასა მტერისასა, და ძლევისა გვრგვსა ჩუენ მოგუცემს. ჩუენგან ამას ხოლო ეძიებს, რაათა განვენყენეთ ბრძოლად ვნებათა, და მეყსეულად ძლევასა მოგუცემს უფალი და დამთრგუნველ საჭუმილისა მის გუყოფს, ვითარცა სამთა მათ ყრმათა, რამეთუ მათცა ნებად ხოლო კეთილი და გულსმოდგინებად აჩუენეს, და მეყსეულად მძლედ გამოაჩინნა იგინი ღმერთმან.

ამას ესევითარსა, ძმანო, დღითი-დღე ვინურთიდეთ და ვიტყოდით და ვიქმოდით, რაათა აქაცა ყოვლისავე ბოროტისა გულისთქუმისა საჭუმილი დავთრგუნოთ და მუნ ცეცხლისა მისგან გეჰენისა განვერნეთ. ნუ დავსცხრებით ვედრებად ღმრთისა და ჩუენებად მისდა გულსმოდგინებად კეთილი, რაათა შეწევნად მისი იყოს მფარველ ჩუენდა, და ყოველივე სიძნელე მოლუაწებისა ადვილ იქმნას ჩუენ წინაშე. რამეთუ ვიდრემდის ვნებათა მონებასა შინა ვიყვნეთ, ძნელად გვჩნს წარმართებად მცნებათა ქრისტესთად და მძიმე, და ცოდვად – სანადელ და გულისსათქუმელ. ხოლო მცირედ თუ განვეშორნეთ მათ და უღელი მათი განვაგდოთ ჩუენგან, მაშინ გამოჩნდეს ცოდვად ჩუენ წინაშე საძაგელ და უშუერ, ხოლო სათნოებად – სანადელ და ტკბილ და სასურველ, ვითარცა მენამების მე მოქალაქობად ყოველთა წმიდათად, რომელთა ესრეთ საძაგელ უჩნდა ცოდვად, ვიდრელა სიკუდილდმდე წინააღუდგეს მას, ხოლო სიმართლე ყოვლითა ძალითა შეიტკბეს.

ისმინე პავლესი, ვითარ სირცხვლად და საკდემელად იტყვს ცოდვასა: „ოდეს-იგი მონანი იყვენითო ცოდვისანი, თავისუფალ იყვენით სიმართლისაგან. რა უკუე ნაყოფი გაქუნდა მაშინ, რომლისათს ან ეგერა გრცხუ-

ენის? რამეთუ აღსასრული მათი სიკუდილი არს“.¹ ხოლო შრომათათვის და ჭირთა ღმრთისმსახურებისათა მარადის მოქადულ არს და მოხარულ, რამეთუ უწყის, ვითარმედ აღსასრული მათი ცხორებად საუკუნოდ არს.² ამისთვის ღალადებს: „რამეთუ სანუთროდ ესე მცირე ჭირი ჩუენი გარდარეულსა დიდსა დიდებასა შეიქმს ჩუენთვის“.³

ამისთვის მეცა გლოცავ თქუენ, საყუარელნო, განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი ყოვლისაგანვე შეგინებისა ჯორცთაჲსა და სულისა და აღვასრულებდეთ სინმიდესა შიშითა ღმრთისათა; შემდგომსა მას დავივიწყებდეთ და წინასა მივსწუთებოდით და კრძალულებით ვსდევდეთ გკრგკნსა მას ზეცისა ჩინებისასა, რადთა ღირს ვიქმნეთ მიმთხუევად მისა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ რომ. 6,20-21.

² შდრ. რომ. 6,22.

³ 2 კორ. 4,17.

თავი იზ

სიტყუად ესე: „გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა იმრუშო. ხოლო მე გეტყვ თქუნ: ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულისთქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა თკსსა“ (5,27-28).

აღასრულა პირველი იგი მცნება და სრულისა მის საზომისა წესსა აღიყვანა; და ან ჯეროვნად მეორე იგი შორის შემოილო წესისა მისებრ შჯულისა. გარნა ესე საძიებელ არს, თუ რად არა პირველად ღმრთისმსახურებისათვს ყო სიტყუად, ვითარცა მუნ იწყო მოსე ბრძანებითა ღმრთისადათა და იგი დაანესა მცნებად პირველად და თქუა: „უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს“,¹ და შემდგომი ამისი. ესე ამისთვს, რამეთუ უკუეთუმცა ღმრთისმსახურებისათვს ეწყო სიტყუად, თავისაცა თკსისა უჭმდა თქუმად და მითხრობად მათდა ღმრთეებისა თკსისათვს, ხოლო არა იყო წუთლა ჟამი თქუმად ესევითარისა ამისთვს; დრო-სცა ან სწავლად სარწმუნოებისათვს და კეთილად მოქალაქობისათვს იწყო, რადათა ვინადათგან უმრავლესნი აღასრულნეს სასწაულნი, მაშინ აუნყოს უმაღლესიცა სიტყუად. ხოლო ან უკუეთუმცა დაწყებად სიტყვსა თკსისადა ესრეთ ექმნა, ვითარმედ: გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და გარეშე ჩემსა სხუად არა არს“;² ხოლო მე გეტყვ თქუნ: თანაარსი ვარ და განუყოფელი მისგან. და ჩემიცა ეგრეთვე თანაგაც თაყუანის-ცემად, რამეთუ ძე ვარ ღმრთისადა და ღმერთი ჭეშმარიტი; ვერ ეძლო ერსა მას შეწყნარებად სიტყვსა ამის, არამედ თქუესმცა, თუ უნესოთა სიტყუათა იტყვს ესე. უკუეთუ შემდგომად ესოდენთა სწავლათა და ესოდენთა სასწაულთა არავე ჰრქუა განცხადებულად, არამედ მცირედ აუნყა სარწმუნოებისათვს, გმობად აღუდგეს და სდეგნიდეს, უკუეთუმცა ან დაწყებასავე სიტყვსასა ეთქუა ესე, ფრიად უძვრესამცა შთაცკვეს.

ამისთვს ჟამსა ამას თანაწარჰვდა სარწმუნოებისათვს თქუმად და დაჰმარხა იგი ჟამსა ჯეროანსა, რადათა პირველად სიმრავლითა სასწაულთადათა გულისწმა-უყოს და მერმე სიტყვთცა აუნყოს ღმრთეებად თკსი. ხოლო ან სათნოდა მოქალაქობისათვს ჰყოფს მოძღურებასა, და ესეცა სიტყუანი სასწაულთა მიერ სარწმუნო-ყვნა და იწყო ორთა მათ ვნებათა აღმოფხურად და აღვრ-სხმად, რომელნი-იგი მშობელნი არიან სხუათა ვნებათანი – გულისწყრომასა ვიტყვ და გულისთქუმასა. და ჳელმნიფებით იყო სიტყუად მისი, ვითარცა შეჰგავს ჭეშმარიტსა რჩულისმდებელსა. ამისთვსცა ყოველითურთ ვნებათა მათ სიბოროტესა განიოტებს სულთაგან ჩუენთა, ვითარცა-იგი ზემო ყოველივე გულისწყრომისა დასაბამი და აღსასრუ-

¹ 2 სჯ. 6,4. ² შდრ. გამ. 20,2-3; 2 სჯ. 5,6-7.

ლი ექსორია-ყო. და ან კუალად გულისთქუმისათვის მისცემს განჩინებასა, ვითარცა მეუფე ყოველთაჲ, და იტყვს: „რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულისთქუმაჲ მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა თვისსა“. ესე იგი არს, რომელმან მიხედნეს პირსა და შეამსჭუალოს თუალი შუენიერებასა მისსა და გულისთქუმაჲ მის თანა ცოდვისაჲ აღძრას გულსა შინა თვისსა გემოთა მით გულისთქუმისაჲთა, აღასრულა ცოდვაჲ იგი გულსა შინა თვისსა; რომელი-იგი გემოთმოყუარებისა თვისისათვის მოსწრაფე იყოს განცდაჲ პირთა მავნებელთა და ხილვითა მათითა საქმესა მას ცოდვისასა გულსა შინა თვისსა აღასრულებს. რამეთუ არა ჯორცთა ხოლო მოვიდა უფალი განთავისუფლებად ბოროტთა საქმეთაგან, არამედ პირველად სულისაცა; რამეთუ მადლსა მას სულისა წმიდისასა გულთა შინა ჩუენთა შევიწყნარებთ, ამისთვის გულისაჲ ბრძანა პირველად განწმენდაჲ.

ხოლო თქუას თუ ვინმე: ვითარ შესაძლებელ არს სრულიად განწყენებაჲ გულისთქუმისაგან და განთავისუფლებაჲ ბრძოლისაგან ვნებათაჲსა? უწყოდენ ესე ვითარისა მეტყუელმან მან, ვითარმედ უკუეთუ გუენებოს, შესაძლებელ არს ესეცა, ვითარცა მრავალთა მოღუანეთა სრულიად მოაკუდინნეს გულისთქუმანი და განიოტეს სულთაგან თვისთა. ხოლო ან ქრისტემან არა ესე ბრძანა, რაჲთა სრულიად მოვსპეთ გულისთქუმაჲ ჩუენგან, არამედ მას გულისთქუმასა იოტებს, რომელი მიხედვითა იქმნების გულსა შინა. რამეთუ რომელი მოსწრაფე იყოს პირთა მავნებელთა განცდაჲ, იგი ნეფსით თვისით აღატყინებს საჯუმისსა მას ვნებისასა გულსა შინა თვისსა და სულსა თვისსა ტყუეობად განსცემს, და ესე ვითარი იგი საქმედცა ცოდვისა მის აღრე მივიდეს. ამისთვისცა არა თქუა უფალმან: რომელსა გულმან უთქუას სიძვაჲ, მან იმრუშა, არამედ: „რომელი ხედვიდესო დედაკაცსა გულისთქუმაჲ მას“, და რისხვისათვის თქუა: „რომელი განურისხდესო ცუდად“, ხოლო აქ არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ ბოროტთა გულისთქუმათაგან გუაყენებს, რამეთუ ორნივე ესე ვნებანი ბუნებითი არიან, და ორნივე კეთილად მოცემულ არიან ჩუენდა: გულისწყრომაჲ და გულისთქუმაჲ, რაჲთა ერთი იგი ეშმაკთა მიმართ ვიჭმაროთ და ბოროტთა გულისსიტყუათა და წინააღდგომად ურჩულოთა ბოროტისმოქმედთა და მოქცევად უნესოთა, და მეორე ესე, რაჲთა სასუფეველისათვის ცათაჲსა გუნადოდის და მცნებათა ღმრთისათა აღსრულებაჲ; და მერმე, შემდგომად სამოთხით გამოსლვისა, რაჲთა იყოს გულისთქუმაჲ იგი ბუნებითი შვილიერებისათვის ოდენ. ხოლო უჯერონი გულისთქუმანი სრულიად დაყენებულ არიან ბრძანებათა შინა მისთა. და არა თქუა: რომელსაცა გულმან უთქუას, რამეთუ გულისთქუმაჲ მოუჭდების მათთა და უდაბნოთა შინა დამკვდრებულთაცა, არამედ: „რომელი ხედვიდესო გულისთქუმაჲ“, ესე იგი არს, რომელი ნეფსით გულისთქუმათა შეჰკრებდეს გულსა შინა თვისსა და მწეცსა მას განაძკნებდეს თავსა ზედა თვისსა. რამეთუ ესე არა ბუნებისაგან იქმნების, არამედ დაჯსნილებისა და გემოთ-

მოყუარებისა ჩუენისაგან. ამას ძუელიცა რჩული განაყენებს ჩუენგან და იტყვს: „ნუ განიცდი შუენიერებასა პირისასა“.¹

და რად არსო, იტყვან ვინმე, უკუეთუ განვიცადო და არა ვიძლიო ცოდვად? დასასჯელ-ჰყოფს განცდასაცა, # კაცო, რადთა არა ჩუეულე-ბითა ამით შთაჰვარდე საქმესაცა ცოდვისასა. კუალად იტყვან: ხოლო ვიხილო თუ და გულმან მითქუას და არად ვქმნე ბოროტი, რად სთქუა ამისთვის? რად ვთქუა სხუად, უგუნურო, გარნა ვითარმედ: იმრუშე გულსა შინა. ესრეთ ბრძანა უფალმან, უტყუელმან მან შჯულისმდებელმან, და სხუასა რასალა გამოეძიებ ცუდად და ამოდ? და ნუ იტყვ, თუ: განვიცადო და გულმან მითქუას და არა ვცოდო. გულისთქუმით მიხედვასა მეზრ მრუშებად უნოდა. გარნა ესეცა, რომელსა იქადი, უკუეთუ იწყო გულის-თქუმით მიხედვად, ადრე აღასრულო საქმითცა. ჰე თუ სადმე შეუძლო ორგზის და სამგზის მიხედვად და არა ქმნად; ხოლო უკუეთუ ზედადსზედა იქმოდო ამას და საჯუმილსა მას აღატყინებდე, მოინიოს დღე, ოდეს და-ინუაცა. უკუეთუ უადვილესი ესე ვერ მოითმინე – არა ხედვად გულის-თქუმით, ვინაფთგან ბრძოლათა ცეცხლი აღეტყინოს და ძნელ იქმნას დაშ-რეტად მისი, არამცა შთაჰვარდია განსაცდელსა მას საქმისასა? ვითარცა-რად ვიხილით თუ ყრმად მცირე, ვითარმედ მახვლი უჰყრიეს ჳელსა, გამო-ულით იგი, რადთა არა მოინყლას თავი თვსი, ეგრეთვე ღმერთმან მიხედ-ვითაცა შეგინებად გულისად გარენარქცევად გვბრძანა, რადთა არა საქმი-თაცა შევაგინნეთ ჳორცნი. და პირველ ჳორცთა შეგინებისაცა შეიგინებინ სული გულისსიტყუათა ბოროტთა ნურთითა, რომელნი-იგი ხილვასა მას ბილწსა შთაეთესის გულსა შინა, რომელთაცა აღმოფხურის ქრისტე და უჩინო-ჰყოფს ძალითა მცნებისა მისისადათ.

რად-მე თქუან ამას ზედა, რომელთა ჰყვანან დედანი თანამყოფად და იტყვან, ქალწულებასა ვიმარხავთო? რამეთუ ესევითარნი იგი ბრძანებისა ამისებრ უფლისა ბევრეულთა მრუშებათა თანამდებ არიან, რამეთუ მა-რადღე გულისთქუმით ხედვენ მათ. ამისთვის ნეტარი იოზ ესევითარსა ამას რჩულის-დებასა პირველვე იმარხვიდა და მავნებელთა მათ ხედვათაგან თავსა თვსსა შორს-ჰყოფდა, რამეთუ ბოროტ არს და ძნელ ბრძოლისა მის წინააღდგომად, ვინაფთგან კარნი სულისანი განვახუნეთ და მბრძოლი იგი შინაგან შევიყვანოთ და გონებასა შინა ჩუენსა სავანე-უყოთ მას. ამისთვის ნუ იმრუშებ თუალითა, რადთა არა იმრუშო გონებითა და მერმე იმრუშო სადმე ჳორციითაცა.

ხოლო არს მიხედვად დედაკაცისად უვნებელადცა, ვითარცა ღმრთის-მოშიშნი მიხედვენ საქმისა რადსათვსმე სათანადოდსა უვნებელად, და მას არა ენოდების ცოდვა. რამეთუ არა ესრეთ თქუა: რომელმანცა მიხედნეს დედაკაცსა, იმრუშა, არამედ: „რომელი ხედვიდესო გულისთქუმად მას“,

¹ზირ. 9,8.

რომელი ხედვიდეს თუალითა შეგინებულითა და გულითა მნიკულებანითა, რომელ-ესე უჯერო არს სრულიად. არა თუ ამისთვის მოგცნა ღმერთმან თუალნი, რადთა მრუშებად შეიღო გულად შენდა, არამედ რადთა ხედვიდე დაბადებულთა და გიკვრდეს სიბრძნე იგი და ძალი დამბადებელისა.

ან უკუე საცნაურ არს, რამეთუ ვითარცა არს ცუდი განრისხებად, ეგრეთვე არს ცუდი მიხედვად, ოდეს გულისთქუმისათჳს იქმოდი და ურჩულოდ შეეხებოდი, დაღაცათუ არა ჴელითა, არამედ ხედვითა. რამეთუ არს თუალთამიერიცა შეხებად, რომელი იქმნების შეხედვითა, რომელსაცა მრუშება ეწოდა, დამტანჯველ არს სულისა პირველ საუკუნოვსა მის სატანჯველისა, ოდეს შფოთითა და ამბოხებითა ბრძოლისადთა აღავსოს იგი და, ვითარცა ტყუე, შეკრული ეთრიოს, ვიდრეცა ენების ვნებასა მას; და ისარი იგი ცოდვისად გესლიანი განუწონოს სულსა მას უბადრუკსა, რომელ არს ჴსენებად პირისა მის ხილულისად, და უფროვსდა, უკუეთუ ხილულიცა იგი პირი სატრფიალოდ შემკობილ არნ სამკაულითა მით წარწყმედისადთა, რომლითა შეიძვებიან დედანი წარსაწყმედელად თავთა თჳსთა და საცთურად სულთა მათ, რომელნი ხედვიდენ მათ, რომელთაცა შემკულებისა მისთვის დიდი ვაებად მისცა წინანარმეტყუელმან ესაია და განაქიქა წესი იგი უწესობისა მათისად; რამეთუ იგინიცა სიტყვსაებრ უფლისა მემრუშე არიან, რომელნი არა ხოლო თუ ვნებულად მიხედვენ პირებსა მამათასა, არამედ თავთაცა თჳსთა უჩუენებენ მათ გულისსათქუმელად და სასჯელსა მრუშებისასა შთაადებენ. დაღაცათუ სიტყუად მამაკაცისა მიმართ ყო ბრძანებამან ამან სახარებისამან, ვითარცა უმთავრესისა კერძისა მიმართ, არამედ ყოველივე ბუნებად კაცობრივი შემოკრიბა მცნებასა შინა თჳსსა, რამეთუ დამარხვად მცნებათა ქრისტესთა არა არს განწვალებად შოვრის მამათა და დედათა, არამედ ყოველთავე ზოგად თანააც, ვითარცა-იგი ზოგად აქუს კაცობრივი ბუნებად.

ყურად-იღეთ, მორწმუნენო, სიტყუად უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისად, და კაცად-კაცადი ეკრძალებოდენ ურიდად ხედვად და განცდად პირებსა მაგნებელსა, რადთა არა საცთურსა ეშმაკისასა შთაჰვარდეთ, რამეთუ მრავალნი ეშმაკმან მცირედისაგან უფსკრულად წარწყმედისა შთაჰჴადნა. პირველად დაარწმუნის მიხედვად, მერმე ხედვითა მით სტყორცის ისარი გულისთქუმისად, მოწყლის სული იგი, შეუქმნის სიყუარული ხილულისა მის პირისად, შეკრნის ურთიერთას, ვითარცა საკრველითა რკინისა გინა რვალისადთა, და ვითარცა მონათა სყიდულთა უბრძანებნ სირბილად წინაშე მისსა ქუესკნელად ჯოჯოხეთისა. ამისთვის უწყოდა უფალმან ესე ვითარი ესე მრავალლონობად მტერისად და ბრძანა ყოვლადვე არა მიხედვად გულისთქუმით. და კუალად იცოდა, ვითარმედ რომელნი-იგი შეპყრობილ იყვნენ ვნებითა, მძიმედ აღუწნდების სიტყუად ესე, რომლისათჳსცა ფრიადითა სიბრძნითა სრულიადი განრისხებად გუამცნო ესე ვითართა მათ დამაბრკოლებელთა პირთა მიმართ და თქუა:

სახარება: „უკუეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, აღმოილე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა. და უკუეთუ მარჯუენე ჴელი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, და არა ყოველი გუამი შენი შთავრდეს გეჰენიასა“ (5,29-30).

თარგმანი: არა თუ ასოთათჳს იტყჳს. ნუ იყოფინ! რამეთუ არასა- და იტყჳს ბრალსა ასოთასა, არამედ მარადის ბრალობად ბოროტისა მის გონებისად არს; არა თუ თუალი ხედავს ვნებულად, არამედ გულისსიტყუად მიახედვიებს. და უკუეთუმცა ასოთათჳს იტყოდა, არამცა ერთი თუალი აჴსენა ხოლო, არცა მარჯუენესამცა ოდენ სახელ-სდვა, რამეთუ უკუეთუ ვის მარჯუენე თუალი ავნებდეს, მარცხენეცა ავნებს მას. რათა-სათჳს უკუე მარჯუენე თუალი თქუა და მარჯუენე ჴელი დაურთო? რათა სცნა, ვითარმედ არა ასოთათჳს არს სიტყუად მისი, არამედ რომელნი-იგი თჳსებითა ბუნებითითა გინა სიყუარულისა მჴურვალეებითა საკუთარ და საყუარელ იყვენ ჩუენდა; რათა არა იტყოდი: ესე ვინმე თჳს მეყვის, ანუ იგი ვინმე საყუარელ არს ჩემდა და ფრიად საჴმარ, ამისთჳს ესრეთ ბრძანა, ვითარმედ: დალაცათუ ვინ ესოდენ გიყუარდეს, რომელ უაღრეს იყოს შენდა და უსანადელეს მარჯუენისა თუალისა, გინა თუ ესოდენ საჴმარ და თანაშემნე გიჩნდეს იგი საქმეთა შინა შენთა, ვითარცა მარჯუენე ჴელი შენი, და იხილო, ვითარმედ ავნებს სულსა შენსა, მოიკუეთე იგი შენგან. და იხილე ძალი სიტყჳსა მის! არა თქუა, თუ განეშორე, არამედ გამოჩინებად სრულიადისა მის და მკუეთრ მონყუედისა თქუა: „აღმოილე იგი და განაგდე შენგან“, და „მოიკუეთე და განაგდე შენგან“. და სარგებელსაცა გჴრუენებს ესე ვითარისა მის სასტიკად განყოფისასა ორკერძოვე, კეთილისაგანცა და ბოროტისა, სიტყჳთა მითვე იგავისადათა: „უმჯობეს არსო შენდა, რათა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა“. რამეთუ ოდეს ასოდ იგი ვერცა თავსა თჳსსა აცხოვნებდეს და შენცა თანაწარგწყმედდეს, რად საჴმარ არს ორთავე წარწყმედად? არა სჯობსა განშორებად ურთიერთას, რათა ერთი ვინმე თქუენგანი ცხონდეს? ამას ზედა სიტყუა-მიგებენ ვიეთნი-მე და მეტყჳან: ვითარ ჰავლე იტყჳსო, ვითარმედ: „ვილოცევდ შეჩუენებულ-ყოფად თავსა ჩემსა ქრისტესგან ძმათათჳს და ნათესავთა ჩემთა“?¹ გარნა რომელნი ამას იტყჳან, უგულისჴმოებითა სცთებიან და არა გულისჴმა-ჴყოფენ, ვითარმედ სრულისა მისთჳს საზომისა და სიყუარულისა, რომელი აქუნდა ღმერთშემოსილსა მას ქრისტეს მიმართცა და კაცთა მიმართცა, ეგრეთ თქუა, ვითარმედ: მინდა, რათამცა ყოველთა მიერ იდი-

¹ რომ. 9,3.

დებოდა სახელი ქრისტესი, რადამცა მისითა მით დიდებითა მაღიდებელნიცა იგი ცხონდეს. და ესოდენ მნებავს ესე, რომელ ვილოცევდ, ვითარმედ: უფალო, მოაქციენ ყოველნი შენდა და ადიდე სახელი შენი ყოველსა შორის, რამეთუ მნადის ესე უფროვს ყოველისა კეთილისა. რად ვიტყვს სხუათა კეთილთა? მეზრ შენისა ხილვისაცა და შენ თანა ყოფისა (რომლისათვს გამოუთქუმელი სურვილი მაქუს) უმეტესად მაქუს ესე, რადამცა სახელი შენი ყოველთა შორის იდიდებოდა; ვითარცა მოსეცა მსგავსად ამისა ჰრქუა უფალსა: „უკუეთუ მიუტეობ, მიუტევე მათ ცოდვად იგი, უკუეთუ არა, აღმწოცე მეცა წიგნისა მის შენისაგან, რომელსა დამწერე“.¹ ამას ესევითარსა იტყოდეს წმიდანი სრულისა მისგან სიყუარულისა, რადამცა სხუანი იგი აცხოვნნეს. ხოლო უკუეთუ ვინ სიყუარულითა სხვსადათა სულსაცა თვსსა წარსწყმედდეს და მასცა, რომელი უყუარდეს, არადა აქუს სიტყუასა მას მოციქულისასა მის თანა ზიარებად.

წმიდათა მათ ესევითარითა გულისსიტყვთა უაღრესადლა აცხოვნნეს სულნი თვსნი და სხუანი მრავალნი. ხოლო შენ, კაცო, უკუეთუ პირველად სული შენი წარსწყმიდო და მეორესაცა მიზეზ ჯოჯოხეთისა ექმნე, დიდი უგუნურებად არს შენდა. ამისთვის იტყვს უფალი: „აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, რადთა არა მის თანავე გეჰენიასა შთაჰვარდე“. ვითარცა სხვთაცა სახითა გულისწმა-ვყოთ ესე: უკუეთუმცა ვინ გრქუა, ვითარმედ: ანუ აღმოიღე თუალი შენი, ანუ უეჭუელად შთაგაგდებ მღვმესა რასმე ქუესკნელსა სრულიად წარსწყმედად, არამცა აღმოღებად თუალისა ირჩიეა? ჰე, ჭეშმარიტად. არა თუ თუალი იგი გძულნ, არამედ ყოველსავე გუამსა უმეტეს პატივ-სცი და ცხორებასა შენსა, ვიდრელა ერთსა მას თუალსა, რამეთუ შთავრდომასა მას მღვმედ თუალიცა იგი სხუასა თანა გუამსა წარსწყმედად იყო. ეგრეთვე გულისწმა-ყავ: უკუეთუ ვინმე იყოს საყუარელი შენი, დედაკაცი გინა მამაკაცი, და ჰხედვიდე მისგან სულისა შენისა ვნებასა და ვერ გეძლოს განკურნებად, მოიკუეთე იგი და განაგდე შენგან მკუეთორ, ყოლადვე ნუ ჰრიდებ, რადთა არა ორნივე შთაჰვარდეთ გეჰენიასა, არამედ განშორებითა მით განერეთ წარსწყმედისაგან.

იხილუა სახიერებად და სიბრძნე ტკბილისა მის რჩულისმდებელისა? ვითარ რომელ-ესე ვიეთგანმე ფიცხლად შერაცხილ არს სიტყუად, ყოველითა წყალობითა სავსე არს, რამეთუ რომელმან სიყუარულისათვს ფრიადნი სწავლანი წარმოგვთხრნა, ან განგვმარტებს, ვითარ ყოველივე ცხორებისა ჩუენისათვს გუამცნო. ამისთვის გუამცნებს, ვითარმედ: დალაცათუ სიყუარული საქმე არს სათნოდ და მაღალი, არამედ უკუეთუ იხილო, ვითარმედ სავნებელად სულისა შენისა იქმნების, მოიკუეთე სრულიად საყუარელი იგი და განაგდე შენგან, რამეთუ არა მნებავს მე ესევითარი სიყუარული,

¹გამ. 32,32.

რამეთუ ოდეს სიყუარული იგი სავენებელ იყოს და წარსაწყმედელ სულისა, მაშინ უმჯობეს არს და უპატიოსნეს სიძულვილი.

ისმინეთ ესე, უკრძალველნო, რომელნი მიხუალთ სახილველთა მავნებელთა და მარადელ ხილვითა მით ვნებულთა მემრუშე-ჰყოფთ თავთა თქუენთა. უკუეთუ საყუარელისა მიერ იქმნებოდის ვნებაჲ, უბრძანებიეს ქრისტესა განგდებაჲ. ვითარ თქუენ უცხოთა სახეთა და შეუსწავლელთა პირთა განცდითა ესოდენსა ვნებასა შემოიღებთ სულთა ზედა თქუენთა და არა გელმის? გულისწამა-ყავთ და განიგულეთ ცხორებაჲ თქუენი, რადთა არა მიზეზ წარწყმედისა ექმნეთ სულთა თქუენთა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „**თქუმულ არს: რომელმან განუტეოს ცოლი თვისი, მიეცინ მას განსატევებელი. ხოლო მე გეტყვ თქუენ, რამეთუ: ყოველმან, რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვნიერ სიტყვსა სიძვისა, მან ამრუშა იგი; და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა**“ (5,31-32).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინადგან ზემოთქუმული იგი ყოველივე კეთილად განანესა და შუენიერად, ან ესერა სხუაჲ სახე გვჩუნდა მრუშებისაჲ. წეს იყო ძუელსა მას შჯულსა შინა, რაჟამს მოიძულის ვინ ცოლი თვისი რომლითაცა სახითა, ჳელ-ენიფებოდა განშორებად მისა და სხვსა შერთვად, გარნა არა წეს იყო ესრეთ განტევებად, არამედ მიეცინო წიგნი განსატევებელი, რადთა არღარა ჳელ-ენიფებოდის შერთვად მისა. რამეთუ უკუეთუმცა არა ესრეთ ეთქუა, არამედ მიეცამცა ჳელმნიფებაჲ განტევებულისა მის კუალად შერთვად, ფრიადიმცა იყო შფოთი და უნესობეჲ და განცხადებული მრუშებაჲ. ამისთვის განანესა წიგნი იგი განსატევებელი დაწერად, რადთა არღარა ჳელ-ენიფებოდის შერთვად განტევებულისა მის. ხოლო ესევეთარი ესე რჩულის-დებეჲ ფრიადისა მის უკეთურებისათჳს ჰურიათაჲსა განენესა, რამეთუ უკუეთუმცა აიძულა მოძულეებულისა მის დამჭირვად, მოკლამცა მოძულემან მან ქმარმან ცოლი თვისი. რამეთუ ესრეთ უკეთურ იყვნეს ჰურიანი, რომელნი-იგი შვილთა თვსთა დაჰკლვიდეს და წინანარმეტყუელნი მოსწყდნეს და ყოველითურთ მოსისხლე და ურჩულო იყვნეს, ოდესმცა ჰრიდეს ცოლთა თვსთა მოკლვად? ამისთვის შეუენდო უმცირესისა ამის უნესობებისა ყოფად, რადთა არა უძვრესი იგი აღასრულონ.

და რადთა სცნა, ვითარმედ ამის ესევეთარისა უკეთურებისა მათისათჳს მიუშუა წესისა მის მიღებად, ისმინე, რასა იტყვს უფალი სხუასა ადგილსა, ვითარმედ: „**მოსე გულფიცხელობისა თქუენისათჳს გიბრძანა განტევებაჲ ცოლთა თქუენთაჲ**“,¹ რადთა არა მახვლითა მოსწყდნეთ იგინი.

ხოლო ვინადგან ახალი ესე და მაღალი რჩულის-დებეჲ შორის მოილო მაცხოვარმან და განრისხებადცა განაშორა ბრძანებითა თვსითა, არა თუ კაცის-კლვად ოდენ, და გუამცნო ყოლადვე არა მონებად გულისწყრომასა ანუ

¹მათ. 19,8.

გულისთქუმასა, ამისთვის ან ჯეროვნად ესეცა შჯულად დადვა, რაფთა არავის ჳელ-ენიფებოდის განტევებად ცოლისა თვისისა და სხვსა შერთვად, რამეთუ განტევებულსა მას ამრუშებს, და რომელმან განტევებული შეირთოს, იმრუშა; რაფთა ესმას დედათა, ვითარმედ სხვსა ქმრისა ცოლ-ყოფად მრუშება არს, არამედ თანააც ანუ პირველისავე ქმრისა მისლვად, ანუ უქორწინებელად ყოფად, რაფთა ესრეთ თვისისავე მეუღლისა მიიქცეს ანუ უქორწინებელად ეგოს, რამეთუ სხვსა ქმრისა შერთვად არა ჳელ-ენიფების.

ხოლო ესე ნუ გიკვრს, რომელ არა ყო ყოლადვე სიტყუად დედათა მიმართ, რამეთუ ყოველივე, რომელიცა მამათა ამცნო, დედათაცა დაუდვა მცნებად. ხოლო კეთილად თქუა „თვნიერ სიტყვსა სიძვისა“, რამეთუ ესე ვითარსა მას არა აყენებს განტევებად, და უფროდსა მეძვისა დამჭირვად ცოდვისა ბრალსა და მრუშებასა შთააგდებს კაცსა. ხოლო თვნიერ ამისა სხვთა არცა ერთითა სახითა ჳელ-ენიფების ვის განტევებად ცოლისა და სხვსა შერთვად, რაფთა არა მრუშებად შთააგდოს იგი და მოატყუას ბრალი თავსა თვისსა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „**კუალად გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მიმართ: არა ცილი ჰფუცო, არამედ მიეც უფალსა ფიცი შენი. ხოლო მე გეტყვ თქუენ: არა ფუცად ყოლად ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისა; ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლბეკი ფერწთა მისთად არს; ნუცა იერუსალჳმსა, რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისა; ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ ძალ-გიც ერთისა თმისა განსპეტაკებად გინა დაშავებად. არამედ იყავნ თქუენი ჰე ჰე, და არა არა; ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგანი არს“ (5,33-37).**

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვინაფთგან ყოველთავე შჯულისა მცნებათა ავსენებს და ყოველთავე უალრესისა მიმართ აღაორძინებს, რად არა, ვითარცა მუნ ნერილ არს, ავსენა პარვისათვისცა? რამეთუ იტყვს შჯული: „არა კაც-ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილი ჰფუცო“. ¹ ვითარ უკუე აქა თანანარჯდა პარვასა? რამეთუ რომელი იპარვიდეს, იგი ფუცავსცა, ხოლო რომელი არცა ფუცვიდეს, არცა ტყუოდის, მან ოდესმცა თავს-იდვა პარვად? ამისთვის დაყენებითა მით ფიცისაფთა პარვადცა სრულიად უჩინო-ყო, რამეთუ სადა ფიცი და ტყუილი არა იყოს, მუნ პარვად ყოლადვე არა იპოების. ხოლო რად არს ესე, თუ: „მისცე უფალსა ფიცი შენი“? ესე იგი არს, ჭეშმარიტი და უტყუელი ჰფუცო; არამედ ქრისტემან ესეცა დააყენა და თქუა: „ხოლო მე გეტყვ თქუენ: არა ფუცად ყოლად“, და შემდგომი ამისი; ყოველი, რავდენიცა აქუნდა ჰურიათა ჩუეულებად ფუცად, – ცასა და ქუეყანასა და იერუსალჳმსა, – ყოველივე განაყენა, რაფთა უჩუენოს, ვითარმედ არარას გარეგან შჯულისა და წინანარმეტყუელთა იტყოდა.

¹გამ. 20,13-16.

და იხილე, ვითარსა სიტყუასა შემოიღებს დაბადებულთათვის: არა თქუა, თუ: ნუცა ცასა ჰფუცავ, რამეთუ დიდ არს და შუენიერ; ნუცა – ქუეყანასა, რამეთუ ფრიად არს საწმარებად მისი კაცთა შორის; არარად თქუა ესევეთარი, რადთა არა გამოაჩინეს ნივთნი იგი სოფლისანი თავით თვისით პატივსაცემელ. რამეთუ ფრიად იყო მძლავრებად კერპთმსახურებისად, და ამისთვის არარად ესევეთარი თქუა, არამედ მონებისა მისთვის, რომელ აქუს ღმრთისა მიმართ, პატიოსნად სახელ-სდვა მათ. და იგიცა უძლურებისათვის მსმენელთაჲსა თქუა ესრეთ, ვითარმედ: „ნუ ჰფუცავთ ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისად; ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლბეკი არს ფერწთა მისთად“, რადთა ყოვლით კერძო გულისწმის-ყოფად ღმრთისა მოიყვანნეს იგინი; „ნუცა იერუსალჴმსაო, რამეთუ ქალაქი არს ღმრთისად“, და იგიცა სახელისათვის ღმრთისა პატიოსან-ყო; „ნუცა თავსა შენსაო“, რამეთუ არა ხარ უფალ თავისა შენისა, არამედ სხუად არს დამბადებელი და უფალი შენი. ხოლო შენ არცა თუ ყოვლისა უდარესისა საქმისა ძალ-გიც ქმნად, რადთა ერთი ოდენ თმად არა თუმცა აღმოაცენე, არამედ აღმოცენებული იგი ანუმცა განასპეტაკე, ანუმცა დააშავე.

იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ: რად ვყოთ, ოდეს ვინ ფიცსა მოგუწდიდეს და გუაჭირვებდეს? ხოლო მე ვიტყვ: იყავნ შიში ღმრთისად უმტკიცეს კაცთამიერისა ჭირისა და იძულებისა. უკუეთუ კუალად მიზეზთა გენებოს წინაყოფად, არცა ერთი მცნებათაგანი დაიმარხო, რამეთუ ყოველსავე ზედა უკუეთუ ეძიებდე გარდასლვისა მიზეზსა, გეპოოს შენ. სთქუა სადმე, ვითარმედ: სადა ძალ-მიც თუალისა მარჯუენისა აღმოღებად ანუ წელი-სა დაკუეთად, ანუ ამისთვისცა განვმართლდია? და არამიხედვისათვის გულსთქუმით სთქუა: ვითარ შეუძლო არა ხედვად? და განრისხებისათვის სთქუა: რად ვყო, უკუეთუ ფიცხელ ვიყო და ვერ დამჭირველ ენისა? და ამით სახითა ყოველნივე იგი მცნებანი უგულუბელს-ჰყვენე; არამედ არა ჯერ-არს ესრეთ ყოფად, რამეთუ უკუეთუ მეფემან ქუეყანისამან წესი რადმე განანესოს, იკადროა თქუამად, თუ: წესსა ამას ვერ ვიმარხავ? ნუ იყოფინ! ვითარ უკუე ბრძანებათათვის ქრისტესთა იკადრებ მიზეზთა მოპოვნებად?!

ნუ ესრეთ, ძმანო, ნუ ესრეთ! ნუ ვმიზეზობთ მიზეზთა ცოდვისათა, რამეთუ ღმერთი არა შეურაცხ იქმნების. დაღაცათუ შრომად რადმე შეგუემთხვოს მცნებათათვის ქრისტესთა, გულისწმა-ვეყნეთ ზემონერილნი იგი ნეტარებანი, რომელნი განანესნა მოშიშთა მისთათვის, და ნუ დავშთებით გარეგან მათსა, რამეთუ უშრომელად არარად იქმნების კეთილი. დაღაცათუ ვინ გუაიძულებდეს ფუცად, უკუეთუ სიტყუად უფლისად მოვიწსენოთ და შიშსა მისსა პატივ-ვსცეთ, არარად შევჴრაცხოთ იძულებად იგი და ჭირი; რამეთუ გესმის, რასა იტყვს: „ნუ ჰფიცავ ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისად; ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლბეკი არს ფერწთა მისთად; ნუცა იერუსალჴმსა, ნუცა თავსა შენსა“, ნუცა სხუასა

რას დიდსა გინა მცირესა ფიცსა, „არამედ იყავნ თქუენი ჰე ჰე, და არად არა; ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგანი არს“. რად არს უმეტესი ჰედსა და არარადსა? ფიცი ჭემმარიტი, არა ცრუდ ფიცებად; რამეთუ იგი ცხადად საცნაურ არს, ვითარმედ უკეთურისაგან არს, და არად არს მისთვის იჭკ, და არა უმეტესი არს, არამედ სრულიად წინააღმდეგომი; ხოლო უმეტესი არს, რომელი-იგი უფროდ განწესებულისა მის იყოს, რომელ არს ფიცი უმეტეს წესისად. რომელი არს წესი? ჰე და არარად. უკუეთუ სთქუა, ვითარ უკუე შჯული იტყოდა: „მიეც უფალსა ფიცი შენი“, ვინათგან უკეთურისა მიერ არს ფიცი? ხოლო შენ ესრეთვე სადმე სთქუა დედაკაცისათვისცა: ვითარ მრუშება არს განტევება და სხვსა შერთვად, ვინათგან შჯულსა უწესებოეს ესე? რად-მე უკუე ვთქუათ ამისთვის, გარნა ესე, ვითარმედ უძღურებისათვს მაშინდელთა მათ ჰურიათა, რომელთა ეტყოდა მოსე, განაწესა ესევეითარნი სიტყუანი. უკუეთუ არა, მსხუერებლებისა და მრგულიადდასაწუეველებისა შეწირვად ღმრთისა, საცხოვართა და მფრინველთად, ვითარმცა სათნო-იყო ღმრთისა? გარნა მათისა მის ვერაგობისათვს უწესა ესეცა, რადთა ოდენ კერპთაგან და ეშმაკთა ზორვისაგან კაცნი მოაქცინეს, რადთა ღმრთისა შესწირვიდენ შესაწირავთა და არა ეშმაკისა, და მერმე, ჟამსა მარჯუესა, მსხუერებლებისა მის და მრგულიადდასაწუეველებისა შეწირვად სრულიად დააცხროს, ვითარცა ესერა ქმნა ცხოელსმყოფელითა მით მოსლვითა მისითა და განგკწესა წმიდად ესე და უსისხლოდ შესაწირავი წმიდათა საიდუმლოთა მისთად; ეგრეთვე სხუანიცა იგი წესნი, მათისა მის უძღურებისათვს დასხმულნი, ან ვინათგან მოსლვითა თვისთა უაღრესისა მოქალაქობისა გზად განგკლო უფალმან, დააცხრვნა და უმჯობესისა წესიერებისა მიმართ აღიყვანნა ყოველნივე წესნი მორწმუნეთა მისთანი. ამისთვის განტევებაცა ცოლისად და სხვსა შერთვად მრუშებად შეირაცხა ან, და ფიცი უკეთურისაგან არს. რამეთუ აღორძნდა სათნოებად ძალითა ქრისტესითა და არღარა ძუელისა შჯულისაებრ უძღურებით ჯერ-არს მოქალაქობად, არამედ ძალითა საღმრთოთა და სრულებითა სულიერისა მის ჰასაკისადთა.

კეთილ იყო უკუე შჯული იგი ჟამსა თვსსა, რამეთუ გზად განალო ახლისა ამის წესისად და ყოვლითურთ ამას მოასწავებდა, და კაცნი კერპთაგან ღმრთისა მოაქცინა. ხოლო ან, ვინათგან ჟამი და საქმე მისი აღესრულა, ნულარა ეძიებ წესთა მისთა, არამედ იცოდე, ვითარმედ მას ჟამსა იყო საქმე მისი და კეთილ იყო, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „შჯული იგი მზარდულ მექმნა ჩუენ ქრისტეს მიმართ, რადთა სარწმუნოებისაგან ღმრთისა განვმართლდეთ“. ¹ და კეთილად გამომზარდნა და სრულისა ამის საზრდელისა შემწყნარებელ-გუყვნა, ვითარცა-იგი ძუძუდ დედისად ზრდინ ჩჩკლსა სძითა და მიანიის იგი საზომსა სრულისა მის საზრდელისასა კეთი-

¹ გალ. 3,24.

ლად და ფრიადითა სიტკბოებითა, ხოლო მო-რად-ვიდის სიორძილე ჰასაკისა და სრულისა მის საზრდელისა ჟამი, უწმარ ქმნის იგი; და მშობელნიცა, რომელნი ჟამსა მას სიჩჩოდა ჩუენისასა აქებდიან მას, მერმე ისწრაფდიან მოწყუედად ჩუენდა მისისა მის ძიებისაგან და სძაგებდიან, ვიდრელა ვიეთმე მწარეცა რადმე სცხიან, რადთა იხილოს ყრმამან გემოდ მისი და მოსძულდეს ძუძუდ და მოსწყდეს ძიებისა მისისაგან. ეგრეთვე ქრისტემან, ვიდრელა-იგი უძღურებდა იგი ფრიადი იყო კაცთა შოვრის, მოსცა შჯულიცა უძღურებისა ამის შემსგავსებული, ხოლო მო-რად-ვიდა თავადი და სულიერი იგი სრულებად მოილო, უაღრესიცა მოქალაქობად განანესა. ხოლო თქუა, ვითარმედ: ფიცი უკეთურისაგან არს. არა თუ ამისთვის თქუა, რადთა გულისწმა-ყვით, თუ ძუელი იგი შჯული უკეთურისაგან იყო. ნუ იყოფინ! არამედ რადთა ვცნათ, ვითარმედ ან არლარა ჯერ-არს მათ წესთა მორჩილებად, არამედ ახლისა ამის წესისა აღსრულებად; და რომელთაცა ჰრწმენა მოძღურებდა მისი, დაუტევეს საზრდელი იგი უძღური და ჩჩვლთათვს განწესებული და მიიღეს სრული იგი და ძლიერი და ჭემმარიტი.

ხოლო ვინადთგან უგუნურთა მათ და მედგართა ჰურიათა არა ისმინეს მისი, არცა ინებეს საზრდელისა მისგან უძღურისა მოწყუედად, საწმარ იყო მწარისა წამლისა ცხებად ძუძუსა მას ზედა. და ეგრეთცა იქმნა: მოვიდეს ჰრომნი და ქალაქი იგი დაარღვეს და ტაძარი და ყოველივე ძუელისა მის წესისა უჩინო-ყვეს და არა დაუტევეს ქვად ქვასა ზედა. ხოლო იგინი, რომელთა არა ინებეს მეუფებად ქრისტესი მათ ზედა, მოსწყდნეს მახვლითა და შვილნი მათნი მისცნეს ტყუეობასა საუკუნესა, და იქმნა ჭემმარიტად მწარე საცხებელი ძუძუსა მის, ვინადთგან ტკბილი იგი მოძღურებდა არა შეიწყნარეს. რამეთუ ყოველივე ძუელი შჯული კეთილ იყო და საღმრთო ვიდრე ქრისტეს მოსლვადმდე, და დიდ იყო სიკეთე მისი და საქმე მისი სულიერი. ხოლო ვინადთგან ქრისტე მოვიდა ცხორებად ჩუენდა და სრული ესე მოქალაქობად გუასწავა, წესნი იგი უძღურებისანი დასცხრეს. ამისთვის ფიციცა მაშინ კეთილ იყო, რამეთუ მოსწყდნა კაცნი ფუცვად სახელსა ეშმაკთა და კერპთასა და ასწავა ფუცვად სახელსა ღმრთისასა და ტაძრისა მისისასა, ხოლო ან, ესოდენისა ამის ღმრთისმსახურებისა და სრულებისა შემდგომად, არლარა კეთილ არს, არამედ უკეთურისაგან.

და ვითარ შესაძლებელ არსო, იტყვან კუალად, რადთამცა ერთი საქმე ოდესმე კეთილმცა იყო და ოდესმე ბოროტ? ჰე, გეტყვ თქუენ, შესაძლებელ არს, რომელ ერთი იგი საქმე ოდესმე საწმარ არნ და ოდესმე უწმარ, და ამას ყოველნივე საქმენი ამის სოფლისანი ღაღადებენ და წელოვნებანი და ნაყოფნი და ყოველივე საქმე. ამისთვისცა, ჩჩვლ რად ვიყვნით, ვითარცა ვთქუ, სძითა ვიზარდებოდით, და მერმე ჭამადსა განცოხნილსა გუცემდიან; ხოლო აღვიზარდნით რად, რომელი პირველ კეთილ არნ ჩუენდა და საწმარ, მერმე საძაგელად გკჩნ და უწმარ. აჰა ესერა ერთი და იგივე საქმე ჟამმან სხუად შეცვალა. და სამოსელიცა ჩჩვლისად ჟამსა მას სიჩ-

ჩოხსასა კეთილ არნ, და აღვიზარდნით რად, უჯერო არნ და უშუერ. და კუალად სრულისა მამაკაცისა სამოსელი უკუეთუ მცირესა ყრმასა შეკმოსო, საკიცხელ იყოს და საცთურ მისდა. ეგრეთვე საქმენი მამაკაცისანი არნმუნენ ყრმასა მცირესა: ჳნვად და ლენვად და ვაჭრობად ანუ ჳომად შესლვად, და იყოს საქმე უჯეროდ და უნესოდ. და რად ამას ვიტყვ? იხილე კაცის-კლვად, რომელ განცხადებულად ეშმაკისა მოპოვნებად არს და დიღითა ბოროტებითა სავსე, არამედ იგიცა ჟამსა თვსსა კეთილ იქმნა და ფინებს შეერაცხა სიმართლედ თესლითი თესლადმდე და მიუკუნისამდე, და მღდელობად სამარადისოდ მისცა მას.¹ და რადთა სცნა, ვითარმედ კაცის-კლვად ეშმაკისაგან არს, ისმინე, რასა ეტყვს უფალი ჳურიათა: „თქუნენ მამისა თქუნისა ეშმაკისაგან ხართ და გულისთქუმად მამისა თქუნისაგან გნებავს ყოფად. იგი კაცისმკლველი არს დასაბამითგან“.² გარნა ფინებ კაცისმკლველ იქმნა, და შეერაცხა მას სიმართლედ; და კუალად აბრაჳამ შვილისა თვსისა დაკლვად ჳელი მიყო, და შეერაცხა სიმართლედ;³ და პეტრე მოციქულმან ანანია და სამფირა მოკლნა, და იქმნა საქმე იგი კეთილ და სულიერ.⁴

სწავლად იჳ ფიცისათვს

ამისთვს გეტყვ, რადთა არა ესრეთ უმეცრებით გულისჳმა-ვჳყოფდეთ საქმეთა, არამედ ჟამსა და მიზნუსა და განყოფილებასა ჳირთასა და სხუასა ესევითარსა ყოველსავე გამოვეძიებდეთ, რადთა ესრეთ მივენინეთ ცნობად ჳეშმარიტებისა და ვისწრაფოთ გარდამატებად საქმეთა მათ ძუელისა შჯულისათა, უკუეთუ გსურის მიმთხუევად სასუფეველსა ცათასა, ვითარცა ბრძანებს უფალი, ვითარმედ: „უკუეთუ არა გარდაემატოს სიმართლე თქუნენ უფროვს მნიგნობართა და ფარისეველთასა, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა“.⁵

ხოლო ან არიან ჩუენ შორის მრავალნი, რომელნი არა თუ გარდამატებულსა ოდენ არა იქმან, არამედ ნაკლულევანცა არიან ძუელისა მის წესისაგან, რამეთუ არა ხოლო თუ ფიცისაგან არა ივლტიან, არამედ ცილფუცებასაცა შთავარდებიან; არა თუ ხოლო ვნებულად მიხედვისაგან არა ეკრძალებიან, არამედ საქმესა მასცა ბოროტსა ცოდვისასა ნარმდებებით იქმან და სხუასა ყოველსავე აღასრულებენ ურიდად, რომლისა მოგონებადცა დაყენებულ ვართ. და არა მოვლენ სინანულად, არამედ დღესა მას უკუანაძკნელსა მოელიან, ოდეს-იგი სასჯელი მიეწადოს მათ ესევითართა საქმეთად, რამეთუ წარუკუეთიეს ვიდრემე სასოებად და სატანჯველსა

¹ რიცხ. 25,7-13.

² იოან. 8,44.

³ დაბ. 22,1-18.

⁴ საქმე 5,1-11.

⁵ მათ. 5,20.

ოდენ მოელიან და არა ჰნებავს, ვიდრელა აქა არიან, ვიდრელა სავაჭროდ ესე ჰგვის, განღვებად ძილისა მისგან უდებებისა და მოსლვად სინანულსა, ბრძოლად და ძლევად ეშმაკისა და მიღებად გვრგვნისა.

ისმინე ჩემი, კაცო, და ნუ დაიწსნები, ნუცა განსცემ თავსა შენსა ეშმაკსა, არამედ განიფრთხვე, მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი. არა ძნელ არიან მცნებანი უფლისანი, არცა შეუძლებელ. რად შეუძლებელ არს არაფიცი, მითხარლა? არა აქუს შრომად, არცა უჭმს წარსაგებელი. ნებად ოდენ საწმარ არს, და ყოველივე სრულ იქმნას. უკუეთუ ჩუეულებასა წინამიყოფ მიზეზად სიძნელისა, ამას არს მიზეზი ეგე. ვინ ქმნა ჩუეულებად საქმისა მის შენ თანა? დაწსნილობამან შენმან. ან უკუე მცირედ ილუანე და გექმნას ჩუეულებად კეთილისად, ვითარცა-იგი მოიგე ჩუეულებად ბოროტისად. იხილენ ფილაფოზნი იგი წარმართნი, ვითარ მრავალთა ჩუეულებანი ბუნებითნი კაცთა ქებისათვს განჰმართნეს. რომელიმე ენაბრგუნვილ იყო და ესოდენ ილუანა ნურთად ასოთა მათ, რომელთა თქუმად ვერ ეძლო, ვიდრელა სრულიად წარჰმართა ენად თვისი კეთილადმეტყუელებად. სხუასა ჩუეულება აქუნდა მწართა თვსთა უნესოდ ძრვად; და დაადგინა მონად თვისი მახვლითა ნუდილითა და ჰრქუა მას: უკუეთუ შეეძრნე მწარნი ჩემნი და არა მომამთხვო ჳრმლითა მაგით, მასვე ჟამსა წარგკუეთო შენ თავი; და ესრეთ შიშითა მით მახვლისადათა მოიწყვდა ჩუეულებად იგი.

ვინადათგან რჩულისა მისგან ბუნებითისა და სწავლისაგან წერილთადასა არა მოხუალ გულისწმის-ყოფად, ამისთვის მაიძულებ წარმართთა მოღებად სახედ, ვითარცა-იგი ოდესმე ყო ღმერთმან ჰურიათა მიმართ წინაწარმეტყუელისა მიერ, რამეთუ იტყვს: „წარვედით ჭალაკთა ქეტემისათა და კედარს მიავლინეთ და ცანთ, უკუეთუ ცვალნიან წარმართთა ღმერთნი მათნი, და იგინი არა ღმერთ არიან“.¹ და კუალად პირუტყუთა და იძრვისთა მოართუამს სახედ უგულისწმოთა მრავალგზის: ჯინჭველსა და ფუტკარსა და ესევითართა მრავალთა; „იქმენო, ვითარცა ჯინჭველი, მ მცონარო“, – იტყვს სოლომონ, – „და ჰბაძევდ გზათა მისთა. ანუ მივედ ფუტკრისა და ისწავე, ვითარ-იგი მოქმედ არს“.² ეგრეთვე ან მეცა გეტყვ: მიხედენ წარმართთა და შეიკდიმე შენ, მორწმუნეო, და ნუ იტყვ, თუ: ჩუეულებასა ვერ მოვიწყუედ. იგინი კაცთათვს ესრეთ მოსწრაფე იყვნეს, რადთა სათნოეყვნენ მათ, და შენ ღმრთისათვს არა ილუანოა მცირედ, რადთა სათნო-ეყო მას? უკუეთუ იტყვ, თუ ძნელ არს ჩუეულებად, ჰე, უნცი ესე მეცა. ამისთვის გეტყვ: ნუ მოხუალ ჩუეულებასა ბოროტსა; უკუეთუ მოსრულ ხარ, ილუანე მცირედ, და კუალად დაიწსნას ჩუეულებად იგი. ძნელ არს ჩუეულებისა მოწყუედად, გარნა არა შეუძლებელ არს, მოლუანებად უჭმს მცირედი, და ყოველივე კეთილად აღესრულოს. მცირედ ჟამ თუ დაითმინო, მერმე უჭირველად იყოს საქმე იგი. ხოლო იწყო რად ჩუეულებისა მოწყუედად,

¹ იერ. 2,10-11.

² იგავ. 6,6,8.

დალაცაათუ ერთგზის და ორგზის შეგემთხვოს ჩუეულებად იგი, დალაცაათუ ათგზის და ოცგზის, ნუ წარიკუეთ სასოებასა, არამედ კუალად აღდეგ და პირველითგანვე იწყე. კუალად ჴელ-ყავ კეთილისა საქმესა და ესრეთ მადლითა და შენევნითა უფლისაათა მძლე ექმნე ვნებასა მას და წესი კეთილი შეიმოსო.

ხოლო ერთი ბოროტთა ჩუეულებათაგანი არს ფიცი, რომელ-იგი ქეშმარიტსაცა ზედა უკეთურისაგან სახელდებულ არს; რავდენ უფროესად, უკუეთუ ცილისფუცებად იყოს, არა საუკუნოესა მის სატანჯველისა თანამდებ-გუყვენესა? ამისთჳს მრავალგზის მითქუამს ზოგადცა ყოველთა მიმართ და თვსგანცა კაცად-კაცადისა, და თქუმულთა მათ აქებთ, ხოლო ჩუეულებათა მათ ბოროტთა მცირედნი მოიწყუედთ; და არად საჭმარ არს ჩემდა თქუენმიერი ქებად, არამედ ესე არს ჩემდა საძიებელ და სანადელ, რათა მცნებათა ქრისტესთა იქმოდით. უკუეთუ არა და უწესობასავე შინა იქცეოდით, ჩუენცა ფრიადი მწუხარებად შეგუამთხვოთ და თავთა თქუენტა მომატყუებელ სასჯელისა საუკუნოესა ექმნეთ. ამისთჳს ჰავლეცა მწუხარე იყო, ოდეს იხილნის მონაფენი მისნი შემდგომად მრავლისა სწავლისა უდებებასავე შინა, და ეტყოდა: „რამეთუ ღირდა თქუენდა, რათამცა იყვენით მოძლუარ ჟამისა ამისგან; მერმე კუალად გიწმსვე მოძლურებად თქუენ, თუ რად არს დასაბამი სწავლისა სიტყუათა ღმრთისათა“.¹

ეგრეთვე მეცა მწუხარე ვარ, რომელ ვერარას კეთილსა შინა ვხედავ წარმატებასა თქუენსა, და უკუეთუ ამიერიტგანცა არავე იწყით კეთილსა და არა მოიწყდოთ ურიდად ფიცი, მაიძულოთ მე დაწჳვად თქუენდა კარი წმიდისა ეკლესიისა, ვითარცა მეძავთა და მემრუშეთა და კაცისმკლველთა, რამეთუ უმჯობეს არს ორთა თანა ანუ სამთა, რომელნი იმარხვიდენ შჯულსა ქრისტეს მცნებათასა, შეწირვად განწესებულთა მათ ლოცვათა, ვიდრელა შეყვანებად ჩუენ თანა სიმრავლე ერისა გარდამავალისად ბრძანებათა უფლისა ჩემისათა. ნუვინ მდიდარი, ნუვინ ძლიერი, ნუვინ განლალებული დიდებითა მით წარმავალითა, ზუავი და ანპარტავანი იყავნ ჩემ თანა, რამეთუ ესე ყოველი ზღაპრად შემირაცხიეს და აჩრდილად და სიზმრად, ვინათგან მეცნიერ ვარ, ვითარმედ არავინ დიდებულთაგანი სოფლისათა შემწე მეყოს მე, ოდეს-იგი დღესა მას საშინელსა მომწდიდენ ბრალსა და მეტყოდინ: რად არა ჯეროვნითა მით სიფიცხითა შური იძიე დაწსნისათჳს მცნებათა ღმრთისათა? ამან საქმემან ელიცა, საკვრველი იგი მდღელი, წარწყმიდა, დალაცაათუ მოქალაქობად აქუნდა სათნოე, არამედ გარდასლვისათჳს შჯულისა არა შურ-იგო. ამისთჳს იტანჯა შვილითურთ. უკუეთუ სადა-იგი ესოდენი მძლავრობად იყო ბუნებითისა სიყუარულისად და არა ჯეროვნად შეჰრისხნა და ტანჯნა ძენი თჳსნი, ესევეთარი ძნელი

¹ებრ. 5,12.

სასჯელი შეემთხვა, რად-მე ვყოთ ჩუენ, რომელნი ყოველსავე უდებებით თანანარვჳდებით და ვერარას ვაჩუენებთ მხილებასა და შურის-გებასა?

ამისთვის გლოცავ, # ძმანო, და გვედრები, განიგულეთ მღევანი ესე საქმე, რადთა არცა თქუენ წარწყმედად მიეცნეთ, არცა მე სასჯელი საუკუნოდ მომატყუათ, და მოიწყდეთ ყოველივე ჩუეულება ბოროტი და უფროდსლა ფიცისად, რამეთუ მოწყუედაცა მისი ადვილ არს და სასჯელი – ფრიად. ესე თუ მოიწყდოთ, მცირედ-მცირედ სხუასაცა სათნობასა მიინინეთ და საუკუნეთა მათ კეთილთა ღირს იქმნეთ მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი ივ

სიტყუად ესე: „გასმიეს, რამეთუ თქუმულ არს: თუალი თუალისა წილ, და კბილი კბილისა წილ. ხოლო მე გეტყვ თქუნ: არა წინააღმდგომად ბოროტისა; არამედ რომელმან გცეს ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთკერძოცა. და რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი“ (5,38-40).

იხილეა, ვითარმედ პირველ, ოდეს-იგი იტყოდა: „უკუეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან“,¹ არა თუ-ალისათვის იტყოდა, არამედ მეგობრისათვის, რომელი სულსა ჩუენსა ავნებნ და მთხრებლად წარწყმედისა შთაგუაგდებნ? რამეთუ რომელმან აქა ეს-რეთ ბრძანა, რაეთა დაღაცათუ თუალი ვინ აღმოგვლოს, არა აღმოვილოთ მისი ნაცვალად ჩუენისა, რაესათვისმცა განანესა თუალისა თვისისა აღმოღე-ბად? რამეთუ ასოდა მოკუეთადა არასადა უბრძანებიეს ქრისტესა, არამედ, ვითარცა ვთქუ, სიტყუად იგი მეგობრისათვის იყო საყუარელისა, რომლისა-გან წარწყმედად სულისა ჩუენისა იქმნებინ. ხოლო ან სიტყუათა ამათთვის ძუელისა შჯულისათა ნუმცა ვინ იტყვს მეტსა სიფიცხესა და სასტიკობასა, რამეთუ რომელი ამას იტყოდის, ფრიად გამოუცდელ არს იგი სიბრძნე-სა რჩულისმდებელისასა, რომელმან წესისამებრ ჟამთადა და პირთა მათ, რომელთა მიმართ იტყოდა, დადვაცა შჯული, რამეთუ ერთი არს შჯულის-მდებელი ძუელისადაცა და ახლისადა, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, რომელ-მან ყოველივე ჯეროვნად განანესა. გულფიცხელთა მათ და სათნოებისა მიმართ უძლურთა ჰურიათა დაუდვა შჯული იგი, ვითარცა შეჰგვანდა, და ან კუალად ჟამი იყო უმეტესისა სათნოებისადა, და გვბრძანა ჭეშმარიტი ესე და ახალი მოქალაქობადა. ამისთვისცა წარმოთქუა რაე ძუელისა მის შჯულისა წესი და თქუა: „გასმიეს, რამეთუ თქუმულ არს: თუალი თუალისა წილ, და კბილი კბილისა წილ. ხოლო მე გეტყვ თქუნ: არა წინააღმდგომად ბო-როტისა“, ესე იგი არს, ვითარმედ: უკუეთუ თუალი აღმოგილოს ანუ კბილი აღმოგფხურას ძმამან, უწყოდე, ვითარმედ არა იგი არს მოქმედი საქმისა მის, არამედ ბოროტი, რომელ არს ეშმაკი. ამისთვისცა არა თქუა, თუ: მე გეტყვ თქუნ არა წინააღმდგომად ძმისა, არამედ: „არა წინააღმდგომად ბო-როტისაო“, რაეთა გულისწმა-ჰყო, ვითარმედ არა ძმამან ქმნა ვნება იგი, არამედ ბოროტმან აიძულა ქმნად; და ესე რაე გულისწმა-ჰყო, არა ფრიად განჰრისხნე ძმისა მის მიმართ, რომელმან არა ნეფსით თვისით გავნო, არა-მედ იძულებითა მტერისა მის ბოროტისადათ.

თქუას ვინმე, ვითარმედ: არა გვწმს წინააღმდგომად ეშმაკისა. ჰე, გვწმს წინააღმდგომად და ბრძოლად მისი მარადის, გარნა არა სახითა მით

¹ მათ. 5,29.

შურის-გებისადთა, არამედ ვითარცა უფალმან გვბრძანა – მოთმინებითა ყოვლისავე ვნებისადთა, რამეთუ ესრეთ უძლოთ მძლე-ყოფად მისა; რამეთუ არა თუ ცეცხლითა დაშრტების ცეცხლი, არამედ წყლითა დაივსების. ეგრეთვე ბოროტისა მიერ აღტყინებული მკსინვარებად არა შურის-გებითა და ნაცვლისა მიგებითა განქარდების, არამედ მოთმინებითა და ძკრუჴსენებლობითა და სიმშკდითა, რომლისა მიერ ყოველნივე ისარნი მტერი-სანი განწურვებულნი დაშრტებიან. ამისთვისცა ქრისტემან დაწყებასა მას სიტყვასა თქუა: „რომელი განურისხნეს ძმასა თვსსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა“;¹ ხოლო აქა უზეშთაესიცა გვბრძანა საზომი, რადთა არა ვდუმნეთ ოდენ და არა განვრისხნეთ, არამედ ოდეს ვინ მარჯუენესა გუცეს ყურიმალსა, მიუპყრათ მას ერთკერძოდცა. ხოლო ესე არა ყურიმალის-ცემისათვს ოდენ თქუა, არამედ სხუასა ყოველსავე ზედა ძკრუჴსენებლობად გვბრძანა. და ვითარცა-რად ოდეს თქუა: „რომელმან ჰრქუას ძმასა თვსსა: ცოფ, თანამდებ არს გეჴინიასა ცეცხლისასა“;² არა სიტყვასა მისთვის ოდენ იტყოდა, არამედ ყოვლისავე გინებისათვს, ეგრეთვე აქა, არა ყურიმალის-ცემად ოდენ გუამცნო თავს-დებად, არამედ სხუად ყოველივე ძკრი, რადთა ორთავე სარგებელ ეყოს, ვნებულსა მასცა და მავნებელსა: ერთმან მან მოთმინებითა და სულგრძელებითა თვსითა მრჩობლი გკრგკნი მიიღოს ღმრთისაგან, და მეორემან მან შეიკდიმოს სათნოებისა მისისაგან და აბრალოს თავსა თვსსა და სინანულად მოვიდეს, და ესრეთ მშკდობად იყოს შორის მათსა. რამეთუ არარად ესრეთ შეარცხუენს ძკრისმოქმედსა მას, ვითარ-იგი სულგრძელებად და მოთმინებად მეორისად, და მეგობარ მისა სამარადისო ჰყოფს მას; ვითარცა-იგი არარად ესრეთ აღაზრზენს და განაფიცხებს შფოთსა, ვითარ შურის-გებად, და მრავალგზის სიკუდილი ერთისად მათგანისად იქმნის აღსასრულ მრისხანებისა მის.

ამისთვის უფალმან სულგრძელებად და მოთმინებით თავს-დებად გვბრძანა, რადთა საჭუმილი იგი დაშრტეს და მშკდობამან განაქარვოს გულისწყრომად. და პირველსა მას ზედა სახესა სულგრძელებისასა სხუადცა შესძინა და თქუა: „რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა“. რამეთუ არა ცემისათვს ოდენ, არამედ მიტაცებისათვსცა და მიხუეჭისა საწმართადასა გუამცნო სულგრძელებად. და არა თქუა: რომელი გთხოვდეს, არამედ უმეტესი საზომი გამოაჩინა – „რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი“, რომელი შფოთით და რისხვით ეძიებდეს, რომელ-ესე უმეტესად აღაზრზენს კაცსა განრისხებად; არამედ ნუ განჴრისხნებო, „მიუტევე მას სამოსელიცა“.

თქუას ვინმე, ვითარმედ: რად არს ესე, მივსცე მას სამოსელიცა და მე შიშუელი ვიდოდა? გარნა ესე გულისწმა-ვყოთ, ვითარმედ უკუეთუმცა მცნებათა ქრისტესთა ვიმარხევდით, არამცა შიშუელ სადა ვიქმნენით,

¹ მათ. 5,22.

² მათ. 5,22.

არამედ უფროდს ყოველთასა მმოსიერ. პირველად, რამეთუ ესრეთ თუ ვიპოვნეთ, ვითარცა ქრისტე ბრძანებს, არავინ იყოს მავნებელ ჩუენდა; მეორედ, დაღაცათუ ვინ იპოოს მწეცთა უმძკნვარეს და ესოდენ უკეთურ, რომელ წარმილოს ჩუენ სამოსელი, მრავალნი იპოვნენ შემმოსელ ჩუენდა ესევითარისა მისთჳს სათნოებისა. ხოლო დაღაცათუ განვშიშულდეთ აღსრულებისათჳს მცნებათა ქრისტესთა, არავე ბოროტ არს ჩუენთჳს, რამეთუ ადამცა შიშუელი იყო სამოთხესა შინა და არა ჰრცხუენოდა, და ესაია შიშუელ იყო და უწამლო, გარნა უმეტეს ყოველთა ჰურიათასა ბრწყინვიდა, და იოსებ ოდეს აღიძუარცუა სამოსელი თჳსი, მაშინ განბრწყინდა, რამეთუ არა განშიშულებად არს ბოროტ, არამედ ესრეთ შემოსაჲ, ვითარ-ესე ან ჩუენ შევიმოსებით სამოსლითა მრავალსასყიდლისაჲთა. ამისთჳს იგინი საქებელ არიან ღმრთისა მიერ, და ჩუენ ღირს ვართ ყოვლისავე ბრალობისა, რამეთუ შიშუელ ვართ ყოველთა კეთილთაგან.

ან უკუე კუალადცა ვიტყვ: ნუ შეუძლებელ გჳჩანან მცნებანი ქრისტესნი, რამეთუ ფრიად სუბუქ არიან და ადვილ, უკუეთუ მცირედი მოლუანებაჲ და გულსმოდგინებაჲ ვაჩუენოთ, და ესოდენ არს სარგებელი მათი, რამეთუ არა ჩუენთა ხოლო თავთა, არამედ მავნებელთაცა ჩუენთა დიდად სარგებელ ვეყოფით აღსრულებითა მათითა. და ესე არს საკრველი ძალი მათი, რომელ ჩუენითა მოთმინებითა წინააღმდგომთა ჩუენთა მოიყვანებენ გულისწმის-ყოფად, რამეთუ ოდეს მავნებელსა მას დიდად აქუნდეს მიტაცებაჲ შენისა მის საწმრისაჲ, ხოლო შენ უჩუენო, ვითარმედ ადვილ გიჩნს მიცემაჲ, რომელსაცა არა ეძიებს, და იხილოს თჳსი იგი სიგლახაკე და ანგაჰრებაჲ და შენი სიმდიდრე და სიბრძნე, ვითარმცა არა მოვიდა გულისწმის-ყოფად, არა სიტყუათა მიერ რაჲ, არამედ საქმეთაგან იხილოს შენ თანა სახე კეთილისაჲ; და მიილო შენ ღმრთისაგან სასყიდელი სარგებელისა მისისაჲ. რამეთუ დიდად სათნო არს ესე წინაშე ღმრთისა, ოდეს არა თავთა თჳსთა ხოლო, არამედ სხუათაცა ვექმნებით მიზეზ სარგებელისა.

ესე არს, რომელ თქუა უფალმან: „თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი“.¹ რომელსა ესევითარი აქუნდეს გონებაჲ, იგი არს მარილი არა თავისა ხოლო თჳსისა მამტკიცებელი, არამედ სხუათაცა, რომელთა შეეხოს. იგი არს ნათელი განმანათლებელი თავისაცა თჳსისაჲ და სხუათა მრავალთაჲ. ვინაჲთგან უკუე ესევითარსა წესსა დაგადგინა უფალმან, # ქრისტესმოყუარეო, განანათლე მჯდომარეცა იგი ბნელსა; ასწავე, ვითარ შეურაცხებაჲ ჯერ-არს ყოვლისავე წარმავალისაჲ; ქმენ ცოდვაჲ იგი მისი შენდა სათნოებად მოთმინებითა მით და ძკრუწსენებლობითა, რაჟამს არა ხოლო მიხუეჭაჲ იგი თავს-იღვა, არამედ უმეტესიცა მისცე სიტყვსაებრ უფლისა. ხოლო დიდად თუ გიჩნს საქმე ესე, ისმინე შემდგომიცა სიტყუაჲ და იხილო მას შინა უმაღლესი შჯული ძკრუწსენებლობისაჲ, რამეთუ იტყვს უფალი:

¹ მათ. 5,13.

სახარება: „და რომელი წარგიქცევდეს შენ მძღუარად მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა“ (5,41).

თარგმანი: იხილეა სრულებად ესე სათნოებისად? შემდგომად მიცემისა კუართისა მის და სამოსლისა უკუეთუ შიშუელსა მასცა გუამსა შენსა შრომასა და ჭირსა შთააგდებდეს მტერი იგი, ნუვე აყენებო, რამეთუ ჰნებავს უფალსა, რადთა არა საფასეთა ოდენ და საწმართა, არამედ თავთაცა ჩუენთა მივსცემდეთ საჭირვებელად მტერთა და სამსახურებელად გლახაკთა: ერთი იგი სახედ ახოვნებისა და მეორე ესე სახედ კაცთმოყუარებისა. ამისთვის თქუა: „რომელი წარგიქცევდეს შენ მძღუარად მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა“. ყოვლითურთ სრულებისა საზომსა გუასწავებს, რადთა ჯორცითა ამით კაცობრივითა უვნებლობად წარვჰმართოთ. რამეთუ რომელნი ღირს იქმნენ ამას საზომსა მიწევნად, რომელ არცა გინებისათვის და გუემისა, არცა მიხუეჭისათვის ნაქონებისა ელმოდის, არცა მოუძღურდებოდინ სულითა, არამედ უმეტესისაღა შეძინებად ისწრაფდენ უფროდს მონვენულისა მის: ერთისა მას ყურიმლის-ცემასა ზედა სხვსაცა ეძიებდენ, მიღებასა ზედა კუართისასა მისცემდენ სამოსელსაცა, წარქცევასა ერთისა მილიონისასა მივიდოდინ ორსაცა; რადმცა იყო უსანატრელეს ესევეთარისა მის საზომისა? იგინი ანგელოზნი არიან ჯორცთავე შინა, იგინი არიან ღირს ზემონწერილთა მათ ნეტარებათა, მათ იხილონ ღმერთი, იგინი იწოდნენ ძედ ღმრთისა, იგინი გამოჩნდენ მკუდრ სასუფეველისა.

სახარება: „რომელი გთხოვდეს შენ, მიეც; და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარემიიქცევი“ (5,42).

თარგმანი: ესე პირველთქუმულთა მათ საზომთა უმდაბლეს არს, არამედ ნუ გიკვრს, რამეთუ ესე ჩუეულებად აქუს მარადის ქმნად, რადთა მაღალთა საქმეთა და მდაბალთა შეერთებულად იტყოდის. ხოლო დაღაცათუ ზემოთქუმულთა მათ თანა მცირე არს ან თქუმული ესე, არამედ ჩუენდა მომართ დიდ არს, რომელნი-ესე არა თუ ჩუენსა ოდენ არა მივსცემთ, არამედ სხუათაგანცა მოვიხუეჭთ და უჯეროდ მოგებულსა მას უჯეროთავე საქმეთა შინა წარვაგებთ, რადთა ორკერძოვე საჭუმილი აღვიტყინოთ ჯოჯოხეთისადა. ხოლო სესხებად აქა არა ამას იტყვს, აღნადგინებად განცემასა, არამედ რომელი-იგი სხუასა ადგილსა განგკმარტა და თქუა: „ავასხებდით, ვინაჲ-იგი არა მოელით მოღებასა“¹; რამეთუ ესე არს სესხებად კეთილი, ხოლო მეორე იგი, ვახშად და აღნადგინებად მიცემაჲ, დიდისა ბრალისა და სასჯელისა ღირს არს.

სახარება: „გასმიეს, რამეთუ თქუმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყვ თქუნ: გიყუარდედ მტერ-

¹ შდრ. ლუკ. 6,35.
290

ნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა, კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ილოცევდით მათთჳს, რომელნი გამძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ. რაფთა იყვნეთ თქუენ მსგავს მამისა თქუენისა ზეცათაჲსა, რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და ნკმს მართალთა ზედა და ცრუთა“ (5,43-45).

თარგმანი: იხილეთ თავი ესე ყოველთა კეთილთაჲ, ვითარ უკუანაძკნელ ყოვლისა დაანესა, რამეთუ ამისთჳს პირველთქუმულთა მათ მიერ გუასნავა: ყურიმლის-ცემად თუ შეგუემთხვოს, მიპყრობად ერთკერძოდცა, და წარლებასა ზედა კუართისასა მიცემად სამოსელისაცა, და წარძლუნვასა ერთისა მილიონისასა მისლვად ორიცა, რაფთა შემდგომი ესე კეთილად შევიწყნაროთ. და რაჲმცა იყო უმეტესი პირველთქუმულთა მათ? – თქუას ვინმე. ესე არს უმეტესობად და უაღრესობად, რაფთა მოქმედი იგი ესევეთარისად არა მტერად შეეპრაცხოთ, არამედ ვითარცა მეგობარი შევიყუაროთ და ოდეს სადა შეუძლოთ, კეთილი უყოთ; და უზეშთაესი ამისა: რაფთა არა ხოლო გკყუარდეს, არამედ ულოცვიდეთცა.

იხილეთ, რავედენთა აღსავალთა აღმიყვანნა და თავსა მას სათნოებისასა დამადგინნა? და გულისწმის-ყოფითა აღრიცხეთ თავითგან: პირველი აღსავალი – რაფთა არა ბოროტი უყო მოყუასსა; მეორე – რაფთა ბოროტი გიყოს თუ მოყუასმან, არა მიაგო ნაცვალი; მესამე – რაფთა არცა თუ განპრისხნე, არამედ სდუმნე შემთხუევასა მას ზედა ძკრისასა; მეოთხე – რაფთა მისცეთ თავი თჳსი საჭირვებელად და საქენჯნელად მტერთა შენთა; მეხუთე – რაფთა უმეტესი აჩუენო ნებისა მის ბოროტისყოფელთაჲსა; მეექუსე – რაფთა არა მოიძულნე ბოროტისყოფელნი შენნი; მეშვდე – რაფთა არა თუ სიძულილი ხოლო არა აჩუენო, არამედ უფროჲსად შეიყუაროცა; მერვე – რაფთა კეთილიცა უყო; მეცხრე – რაფთა ღმერთსა ევედრებოდი შეწყალებად მტერთა მათ და ბოროტისყოფელთა შენთა. იხილეთ სიმაღლე ესე საღმრთოჲსა ამის მოქალაქობისად და ჭეშმარიტისა მის ფილოსოფოსობისად?

ამისთჳსცა ესევეთარისა მის ბრწყინვალისა საქმისა უბრწყინვალესიცა განანესა და უდიდებულესი ნიჭი და სასყიდელი მიუთხრობელი. ვინაფთგან მცნებაჲ ესე დიდ იყო და სული უჭმდა ახოანი, ამისთჳს სასყიდელიცა შემსგავსებული განანესა და უზეშთაესი პირველთქუმულთა მათ, რამეთუ არა მკვდრობად ქუეყანისად აღუთქუა, ვითარცა მშვდთა, არცა ნუგეშინის-ცემად და წყალობად, ვითარცა მოწყალებთა და მგლოარეთათჳს თქუა, არცა სასუფეველი ცათაჲ, არამედ რომელი-იგი ამის ყოვლისა უშესაძრწუნებელეს იყო: მიმსგავსებაჲ ღმრთისად აღუთქუა, ვითარცა შესაძლებელ არს კაცისა მიერ მსგავსებაჲ, და თქუა: „რაფთა იქმნეთ მსგავს მამისა თქუენისა ზეცათაჲსა“. ¹ არა თქუა, თუ: მამისა ჩემისა, არამედ: „მამისა თქუენისა“; და ზემორე კუალად ღმრთად სახელ-სდვა და მეუფედ დიდად და არა მამად

¹ შდრ. მათ. 5,45,48.

თვსად, რამეთუ ჯეროანსა ჟამსა ენება საიდუმლოდსა ამის მითხრობად. ხოლო სახესა მასცა მსგავსებისასა აუნყებს, რამეთუ: „მზე მისი აღმოვალსო ბოროტთა ზედა და კეთილთა, და ნჯმს მართალთა ზედა და ცრუთა“;¹ – არა მოიძულებს შეურაცხისმყოფელთა მისთა და წინააღმდეგობთა, არცა დასწუავს ცეცხლითა რისხვისა მისისაჲთა, არამედ უფროდსად კეთილსა უყოფს. და ესე დაღაცათუ არა ერთ არს, არამედ ფრიადცა შეუმსგავსებელ; რამეთუ თქუენ, თავს-იდვათ თუ შეურაცხებად, მოყუასთაგან თავს-იდებთ, ხოლო იგი – მონათაგან, რომელთა ფრიადი კეთილი უყო; და თქუენ სიტყვთ ულოცავთ მტერთა თქუენტა, ხოლო იგი საქმეთა მიანიჭებს საკკრველთა: მზესა თვსსა აღმოაბრწყინებს მათ ზედა და ნჯმასა მიანიჭებს და ყოვლითავე კეთილთა აღავსებს. არა მსგავს არიან საქმენი ესე ურთიერთას, არამედ ეგრეთცა მიგცემ თქუენ ჳელმნიფებასა მსგავს მისა ყოფად, რაოდენცა შესაძლებელ არს კაცთა მიერ, უკუეთუ მცნებანი ესე ჩემნი დაიმარხნეთ.

ხოლო რომელთა ესე ყოველი გუესმის, ვისწრაფოთ ყოვლითა გუელითა შეყუარებად მტერთა ჩუენტა, რაჲთა ვიქმნეთ მიმსგავსებულ ღმრთისა. რაჲსათვს, მ კაცო, მოიძულო შემანუხებელი შენი, ვინაჲთგან ესევითართა კეთილთა მომატყუებელ გექმნების და ესოდენსა პატივისა აღგიყვანებს შენ? რაჲსათვს სწყევ მათ, რომელნი გმძლავრობენ შენ? და შრომასა მას თავს-იდებ, ხოლო ნაყოფსა დააკლდები, ზღვევაჲ შეგემთხუევის და სასყიდელსა წარწყმედ. დიდი უგუნურებაჲ არს ესე: უმძიმესისა მის მოთმინებაჲ და უსუბუქესისა მის არაალსრულებაჲ. და ვითარ ეგები-სო ესე, იტყვან ვიეთნიმე, რაჲთამცა ულოცვედი ყოვლითა გუელითა მაჭირვებელთა და ბოროტისმყოფელთა ჩემთა და შევიყუარენმცა მოძულენი ჩემნი? მ უგულისწმოებაჲ! ღმერთსა ჰხედავ განკაცებულსა, რომელი ესოდენსა სიმდაბლესა მოვიდა და ესოდენი ევნო ჩუენტვს, მტერქმნილთა ამათ და განდგომილთათვს, და ჯერეთ გიკვრს და იტყვ: ვითარ შესაძლებელ არს მიტევებაჲ ბრალისა შემანუხებელთა ჩუენტაჲსა? არა გესმისა, რასა იტყოდა იგი ჯუარსა ზედა? „მიუტევე, მამაო, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“;² არა გესმისა კუალად, რასა იტყვს მოციქული პავლე? ვითარმედ: „ამაღლდა ზეცას და ზის მარჯუენით ღმრთისა და მეოხ არს ჩუენტვს“;³ არა ჰხედავა, ვითარ შემდგომად ჯუარ-ცუმისა და ამაღლებისა მიუვლინნა მოციქულნი მკლველთა მათ მისთა ჰურიათა მიმნიჭებელად მიუთხრობელთა მათ კეთილთა? და ეგრეთცა ეგულეობდა მათიცა ძვრისყოფად უკეთურთა მათ, არამედ არავე დასცხრა უფალი ჩუენტად მათდა სახიერებისა თვსისა.

რაჲ შეგემთხვა შენ, კაცო, ესოდენი, ვითარ მეუფემან ჩუენმან თავს-იდვა? შეიკრა, იგუემა, ყურიმლის-ცემაჲ თავს-იდვა, ყუედრებანი და ნერ-

¹ მათ. 5,45.

² ლუკ. 23,34.

³ შდრ. რომ. 8,34.

წყუანი, კიცხვეანი და მერმე სიკუდილი შეურაცხი და საყუედრებელი. ოდესმცა გვენო შენ ესოდენი? ხოლო ან მცირეცა თუ რამე შეგემთხვოს, დიდად შეგირაცხიეს შენ; არამედ რაოდენცა მრავალი გვენოს, უკუეთუ მოითმინო, უბრწყინვალესნიცა გვრგვნი მიიხუნე და ძმა იგი შენი დიდასა სენისაგან განჰკურნო და მიემსგავსო მკურნალსა ჴელოანსა, რომელსა დაღაცათუ აგინებდეს და მიმთხუევად ეტევებოდინ ცნობამიღებულნი იგი სნეულნი, უფროდსად სწყალობნ მათ და ისწრაფინ კურნებად. ეგრეთვე შენ იყავ მოძულეთა და ბოროტისმყოფელთა შენთა მიმართ, რამეთუ იგინი არიან სნებასა შინა, უძღურებასა ბოროტსა, შეპყრობილნი მძღაგრებითა ეშმაკისადათ; ისწრაფე კურნებად მათდა მოთმინებითა შენითა და სულგრძელებითა და ყოვლითა გულითა ვედრებითა ღმრთისადათ. ოდეს ვიხილოთ ვინ ეშმაკეული, არა შეგუენწყალისა? და მოსწრაფე ვიყვნით, უკუეთუმცა უძღლეთ განკურნებად მისდა, არა თუ ჩუენთაცა თავთა შთაგდებად სენსა მას ბოროტსა.

ეგრეთვე ამათ ზედა ვიქმოდით, რომელნი ვიხილნეთ შეპყრობილნი ეშმაკისა მიერ მრისხანებისა. ვისწრაფოთ განკურნებად მათდა, რამეთუ ფრიად უსაწყალობელეს არიან ეშმაკეულთასა, ვინაათგან ნეფსით თვსით განუცემიან თავნი მათნი ეშმაკისდა. ან უკუე ნუ თავსაცა შენსა შთაგდებად სენსა მას შინა, არამედ უფროდსად მოყუასისაცა კურნებად ისწრაფე, რადთა სასყიდელი დიდი მოილო ღმრთისა მიერ; და იგიცა, გან-რად-იკურნეს, დიდად მადლიერ იყოს შენდა და ქველისსაქმესა მას აღიარებდეს, და გვრგვნი მოთმინებისა და სიყუარულისადა მოგცეს უფალმან, რამეთუ ძმა შენი სენითა ბოროტითა შეპყრობილი განჰკურნე. გულისჴმა-ყავ, რამეთუ ამისთვის მოვიდა ქრისტე სოფლად, რადთა ესევეთარი გონებად დაჰწერგოს ჩუენ თანა და გუასწავოს სიყუარული არა ხოლო თუ მეგობართა, არამედ მტერთაცა ჩუენთად. ამისთვისცა პირველთქუმულთა მათ ზედა სხუადცა შესძინა სწავლად წესისა მის სულიერისადა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „უკუეთუ გიყუარდენ მოყუარენი ხოლო თქუენნი, რად სასყიდელი გაქუს? ანუ არა მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიან? და უკუეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტეს იქმთ? ანუ არა მეზუერეთაცა იგივე ყვიან? იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად სრულ არს“ (5,46-48).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე იგი არს, უკუეთუ დაიმარხნეო მცნებანი ჩემნი და გიყუარდენ მტერნი შენნი, კეთილსა უყოფდე მოძულეთა შენთა, ილოცვიდე მდევართა და ბოროტისმყოფელთა შენთათვს, მობაძავ ღმრთისა იქნები; უკუეთუ არა აღასრულნე მცნებანი ესე, მსგავს ხარ მეზუერეთა და ცოდვილთა. ჰხედავა, ვითარ არა არს საქმეთა მათ ესოდენი განყოფილება, რაოდენი არს პირთა მათ, რომელთა მსგავსებად ჩუენი იქმნების აღსრულებითა, გინა თუ გარდასლვითა ამათ მცნებათადათ?

ან უკუე ნუ ამას ვიტყვით, თუ მცნებანი მძიმე არიან, არამედ ესე გულსწმა-ვყოთ, თუ ვისა მივემსგავსებით აღსრულებითა მათითა, ანუ ვიეთ მივეახლებით შეურაცხ-ყოფითა მათითა; რამეთუ განცხადებულად ორივე გუაუნყა უფალმან, რომელი მოვიდა ცხორებისათჳს ჩუენისა, და წინაგვყვნა სწავლანი ესე საკვრველნი, რადთა გუასწაოს გზად მიმყვანებელი სასუფეველსა ცათასა, რომელთა მიერ სრულიად აღმოჰფხურის სულთაგან ჩუენთა ვნებასა გულისთქუმისა და გულისწყრომისასა, ვეცხლისმოყუარებისა და დიდებისმოყუარებისასა, რომელ-ესე ქმნა ზემონერილთა მათ მცნებათა მიერ, ხოლო ფრიად უმეტეს ან თქუმულთა ამათგან. რამეთუ დაწყებასავე სწავლისა თჳსისასა იწყო ნეტარებად გლახაკთა სულითა, მგლოარეთა და მშჳდთა, რომელ-ესე წინააღმდგომ არიან გულისწყრომისა; მერმე მისცა ნეტარებად იგი მშიერთა და წყურიელთა სიმართლისათჳს და მონყალეთა, რომელ-ესე წინააღმდგომ არიან ვეცხლისმოყუარებისა; ამისა შემდგომად შეიყვანნა ნეტარებასა მას წმიდანი გულითა, რომელ-იგი განშორებად არს ყოვლისავე ბოროტისა გულისთქუმისაგან და ყოვლისავე გულისსიტყვსაგან უჯეროდსა; კუალად ნეტარ უწოდა დევნულთა სიმართლისათჳს და მოთმინეთა ყოვლისავე ყუედრებისა და შეურაცხებისა და მშჳდობისმოყუფელთა, რომელ-ესე სახენი არიან ღმრთისმოყუარებისანი და შეურაცხებისა ყოვლისავე კაცობრივისა დიდებისა.

ხოლო აღასრულა რად ესრეთ ერთი იგი მწყობრი წმიდათა მათ მცნებათად, კუალად სხუად კარი განალო საღმრთოთა სიტყუათა და სხვთ იწყო მათვე ვნებათა აღმოფხურად უმეტესითა ძალითა და სიმტკიცითა; თქუა რისხვისათჳს, ვითარმედ: რომელი განურისხდეს ძმასა თჳსსა, ანუ ცოფ უწოდოს, ანუ პირველ დაგებადმდე მისა შეწიროს შესაწირავი – ყოველნი ესე სასჯელისა და ცოდვისა თანამდებ არიან. ესრეთ შემუსრნა რად ძუალნი გულისწყრომისანი და შეუკუეთნა ძარღუნი მისნი, გულისთქუმასა მიექცა, უჩინო-ყოფად მონათა თჳსთაგან, და თქუა: „რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულისთქუმად, მუნვე იმრუშა გულსა თჳსსა“;¹ რომელი დაბრკოლდებოდის დედაკაცისაგან გინა მამაკაცისა და ვნებასა გულისთქუმისა ცოდვისასა შთავარდებოდის, და იყოს პირი იგი საყუარელ მისდა უმეტეს თუალისა, ანუ საწმარ მისდა უმეტეს ჴელისა, ნუმცა ჰრიდებს, არამედ მოიკუეთენ იგი და განიშორენ, რადთა არა წარწყმდეს; და რომელსა აქუნდეს მეულლე, ნუმცა განიშორებს მას გულისთქუმითა სხვსა პირისადათა, რადთამცა იქორწინა იგი. ესევითართა რად სიტყუათა მიერ ძირნი გულისთქუმისანი მოაუძღლურნა და სიღრმეთაგან გულთა ჩუენთასა აღმოჰფხურნა, მეყსეულად საწმართმოყუარებად წარმოადგინა, შეკრული ჴელბორკილითა ბრძანებათა მისთადათა, და განაჩინა გუემად მისი და ექსორია-ყოფად. ისმინე ბრძანებად იგი განჩინებისა მისისა: „ნუ ჰფუცავო ნუცა ცასა, ნუცა ქუეყანასა, ნუცა

¹ შდრ. მათ. 5,28.

თავსა შენსა, არამედ იყავ შენდა ჰჳ ჰე, და არად არა. რომელი გეშჯოდის კუართისათჳს, მიეც მას სამოსელიცა; რომელი წარგიქცევდეს მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა“.¹ ესე ყოველი საწმართმოყუარებისა უჩინომყოფელი არს, რამეთუ ფიცნი და ცილფუცებანი და წინააღდგომანი არა მიცემად მეძიებელისადა მონაგებთა თჳსთა – ყოველივე ესე ანგაჰრებისა ნაშობნი არიან, ხოლო რომელმან ესე ყოველი უგულებელს-ყოს, მას დაუთრგუნავს საწმართმოყუარება. ვინაფთჳნ ესრეთ შუენიერად შეგკთხზნა სათნობათა ამათ გვრგვნი, მერმე სამკაული უსასყიდლოჲსა ამის მარგალიტისაჲ განანყო მას ზედა. ესე იგი არს: „გიყუარდედ მტერნი თქუენნი, აკურთხევდით მწყევართა თქუენტა, კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენტა და ილოცევდით მათთჳს, რომელნი გამძლავრობდენ თქუნ“.²

იხილეა მწყობრი ესე შუენიერთა ამათ მარგალიტთაჲ? იხილეა კიბე ესე ზეცად აღმყვანებელი? პირველ იტყოდა: „ნეტარ იყვენ გლახაკნი და მშკდნი და მართალნი და მშკდობისმყოფელნი“, მერმე უმეტესი თქუა საზომი: „გცეს თუ ვინ მარჯუენესა ყურიმალსაო, მიუბყარ მას ერთკერძოცა; და რომელი გეშჯოდის კუართსა, მიეც სამოსელიცა; და რომელი წარგიქცევდეს მილიონ ერთ, მივლე ორიცა“.³ ხოლო სრულიად აღმამაღლნა კამარათა ცისათა აღმასრულებელნი სიტყუათა მისთანი, რაჟამს გუამცნო სიყუარული მტერთაჲ, კურთხევად მწყევართაჲ, ლოცვად ბოროტისმყოფელთაჲ. ესე არს სრული და ჭეშმარიტი საზომი, და რად არს მისაგებელი ამისი? – მსგავსებაჲ ღმრთისაჲ: „რათა იყვენთო მსგავს მამისა თქუენისა ზეცათაჲსა“, და კუალად: „იყვენით სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“.

რად-მე უკუე ვყოთ ჩუენ, რომელთადა ბრძანებულ არს მობაძავ ღმრთისა ყოფად, და არცა თუ სწორ მეზუერეთა ვიქმნებით? უკუეთუ სიყუარული მოყუარეთაჲ საქმე არს მეზუერეთა და ცოდვილთაჲ, ოდეს არცა ამას ვიქმოდით, არამედ გუძულდენ ძმანი ჩუენნი და მეგობართა ჩუენტა ვეშურებოდით, რად-მე იყოს ჩუენდა? არა მკკდრ ჯოჯოხეთისა გამოვჩნდეთა? უფალმან ესრეთ ბრძანა, რათა გარდაემატოს სიმართლე ჩუენი წესსა ძუელისა მის შჯულისასა, ხოლო ჩუენ უძკრეს ვართ წარმართთასა. ვითარ-მე ვიხილოთ სასუფეველი ცათაჲ, არა უწყი. „უკუეთუ გიყუარდენ მოყუარენი თქუენნი, რად სასყიდელი გაქუსო? ანუ არა მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიანა?“ და ან ჩუენ მათსაცა უდარეს ვართ. ხოლო გიკვრდინ სახიერებაჲ მეუფისაჲცა, ვითარ ოდეს იგი მისაგებელსა სათნობისასა წარმოიტყოდის, უხუად მიმნიჭებელითა მით სიმდიდრითა იტყვს სასუფეველსა ცათასა და ხილვასა ღმრთისასა და შვილებასა და წყალობასა და ნუგეშინის-ცემასა საუკუნესა და სასყიდელსა დიდსა ცათა შინა; ხოლო ოდეს შემანუხებელსა რას აწსენებდეს,

¹ შდრ. მათ. 5,34-41.

² მათ. 5,44.

³ შდრ. მათ. 5,39-41.

ნელიად იტყვს და არა სასტიკებით, რამეთუ აჰა ესერა ესოდენტა ამათ სიტყუათა შინა ერთგობის აწსენა სახელი გეჰენისაჲ, და ან არარაჲ სხუა ბრალად უდებებისა თქუა, გარნა სწორებაჲ მეზუერეთაჲ. და კუალად: „უკუეთუ მარული განქარდესო“,¹ და „უმცირეს ენოდოსო სასუფეველსა ცათასა“;² და კუალად სხუასა ადგილსა ცოდვისა სახელი ნაცვალად სატანჯველისა თქუა, ვითარმედ: „იმრუშაო გულსა შინა თვსსა“,³ რამეთუ რომელთა აქუს გონებაჲ, კმა არს მათდა ცოდვისა სახელი გულისჯმის-ყოფად სატანჯველსა მას ცოდვისასა. ამისთვის აქაცა მეზუერენი და წარმართნი სახედ მოიყვანნა სამხილებელად ჩუენდა, რაჲთა გვჩუენოს, ვითარმედ არარას ზომისა უმეტესსა ეძიებს ჩუენგან, არამედ მცირედ ოდენ უმჯობესობასა მეზუერეთა და წარმართთასა. და არა ამას შინა დაუტეობს სიტყუასა თვსსა, არამედ მისაგებელსა მას საკვრველსა გუაუნყებს და იტყვს: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“. მსგავსებასა ღმრთისასა ეძიებს, რაოდენ შესაძლებელ არს ბუნებაჲ კაცობრივი მიწვევად მსგავსებასა მისსა, რომელ-იგი რაოდენცა წარვემატებოდით კეთილსა შინა, უმეტესად მოგუეცემის, და რაოდენცა მოგუეცემოდის, უმეტესად წარვემატებით. რამეთუ ამისთვის „ზეცათაჲ“ თქუა, რაჲთა მოქალაქობაჲ ჩუენი ზეცათა მობაძავ იყოს, რაჲთა შორს ვიყვნეთ ყოველთავე მიწისაგანთა და წარმავალთა საქმეთაგან და სრულ ყოვლითა სათნოებითა.

სწავლად იც

რაჲთა მსწრაფლ დავეგებოდით და შეუნდობდეთ ურთიერთას ყოველსავე ბრალსა

გულისჯმა-ყვენით მცნებანი ესე და მოძღურებანი მაცხოვრისა ჩუენისანი და ვისწრაფით არა ხოლო თუ მოყუარეთა, არამედ მტერთაცა შეყუარებაჲ; მიუტეოთ ურთიერთას ყოველივე ბრალი; ვილუანოთ დაგებაჲ ჩუენდა მომართ შენუხებულთა; დაუტეოთ წესი იგი ბოროტი და სავენებელი, რომელი აქუს უშიშთა ღმრთისათა და ჰგებენ შენუხებულისა მისლვად მათა მიმართ, და რომელი-იგი სანატრელ არს და სანადელ, მას არა იქმან, და რომელი-იგი სავენებელ არს და საბრალობელ, მას ეძიებენ.

რაჲსათვს არა ისწრაფი უმეტესად შენ, ჰ კაცო, მისლვად შენუხებულისა, რაჲთა მოილო ღმრთისაგან გვრგვნი, ვიდრელა მისი გნებაჲ, რაჲთამცა მოვიდა შენდა და მიიტაცა სასყიდელი შენი? ესოდენ უგუენურ ხარა? ესოდენ უმეტარ ხარა უმჯობესისა შენისა და არა უწყი, ვითარმედ უკუეთუ იგი მოვიდეს შენდა, არარაჲ გაქუს შენ მადლი? უკუეთუ კულა შენ მიისწრა-

¹ მათ. 5,13.

² მათ. 5,19.

³ მათ. 5,28.

ფო მისლვად და აღსრულებად მცნებისა, შეირაცხო ნებისმყოფელთა თანა უფლისათა და მოისთულო ნაყოფი სიყუარულისაჲ. ესოდენისა უკუე სარგებელისა დაჭირვებაჲ არა უკუნადასკნელისა უგუნურებისა საქმე არსა? მოყუასსა აბრალებ, რომელ არა მოვალს შენდობად და დაგებად შენდა, და ანპარტავნებისა ბრალსა დასდებ მის ზედა და, რომლისათჳს მას აბრალებ, მასვე შინა ხარ შენ და არა გულისჴმა-ჰყოფ.

ამისთჳს, საყუარელნო, გვეედრები, ყოველივე ცუდი და საეშმაკოჲ მიზეზი განვაგდოთ, და ოდეს მკსინვარებაჲ რაჲმე ანუ მწუხარებაჲ მოყუასისაჲ იქმნას, ყოვლითა მოსწრაფებითა მივისწრაფდეთ შენდობად და დაგებად. რამეთუ რომელთა-ესე მოგკლებიეს მცნებაჲ ყურიმლის-ცემისა და განშიშულებისა და პაჰრაკობისა თავს-დებაჲ სიხარულით, უკუეთუ უსუბუქესი ესე მცნებაჲ უგულებელს-ვეყოთ – მისლვად და დაგებად მოყუასისა, უძნელესნი იგი ოდეს აღვასრულნეთ? არამედ წუნობა და შეურაცხება მიჩნსო თავ-ყოფაჲ უდარესისაჲ მის და ფერჴთა მისთა მისლვაჲ. ესე სიტყუანი არიან კაცისა უღმობელისა და უგულისჴმოდსანი; რაჲთა არა შეურაცხ იქმნა კაცთა მიერ, ვითარ შენ იტყჳ, ამისთჳს შენ ღმერთსა შეურაცხ-ჰყოფა? მას ჰრისხავ, რომელ არა პატივ-გცა და მოისწრაფა შენდა შევრდომად, და შენ სიტყუათა და მცნებათა ღმრთისათა არა პატივ-სცემ; და არა გეშინისა, ნუუკუე განრისხნეს შენ ზედა? უკუეთუ შეურაცხებაჲ მოყუასისაგან ესრეთ გიძნავს, ვითარ შენ იკადრებ შეურაცხ-ყოფად მცნებათა ქრისტესთა? და ესეცა არა უწყია, ვითარმედ რაოდენცა შეურაცხ იქმნა მცნებისათჳს ღმრთისა, უმეტესად აღორძნდების და განმრავლდების სასყიდელი შენი და განბრწყინდების გვრგვნი შენი? რამეთუ ღმრთისათჳს შეურაცხ იქმენ და წუნობაჲ თავს-იდევ.

იყავნ ჩემდა გინებაჲ და შეურაცხებაჲ ღმრთისათჳს, ვიდრელა – პატივი და დიდებაჲ ყოველთაგან მეფეთა ქუეყანისათა, რამეთუ რაჲმცა იყო უდიდებულეს შეურაცხებასა და ყუედრებასა და წუნობასა, რომელი სიყუარულისათჳს ღმრთისა შეგუემთხვოს? ამას დიდებასა ვეძიებდეთ და ნუ კაცობრივსა, ამის მიმართ გუსუროდენ, ხოლო სოფლიოჲ ესე და ჴორციელი ნუმცა რად შეგკრაცხიეს ყოლადვე, რაჲთა ესევითარითა გონებითა მცნებათაებრ ქრისტესთა განვაგოთ ცხორებაჲ ჩუენი და მოქალაქობაჲ ზეცისაჲ მოვიგოთ ქუეყანასა ზედა და ანგელოზთა მობაძავად ვიქცეოდით კაცთა შორის, განშორებულნი ყოვლისავე გულისთქუმისაგან ბოროტისა და უცხოქმნულნი ყოვლისაგანვე გულისწყრომისა და რისხვისა, ყოვლისაგანვე ანგაჰრებისა და საწმართმოყუარებისა, ყოვლისაგანვე ზუაობისა და სილაღისა, რაჲთა სოფელსაცა ამას მშკდობით და მყუდროებით ვცხონდებოდით ყოვლითა ღმრთისმსახურებითა და სინმიდითა და შემდგომად ამიერ წარსლვისა მოგუეცნენ ჩუენ მიუთხრობელნი იგი და მოუგონებელნი კეთილნი, რომელთა ღირსმცა ვართ მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და

სიმტკიცე თანა მამით და სულით ნმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა ნმიდისადათა, მეოხებითა ნმიდისა ღმრთისმშობელისადათა, ძლიერებითა წხოველისა საუფლომსა ჟურისადათა და მეოხებითა ნმიდისა იოვანე ნათლისმკრემელისადათა და ნმიდათა მოციქულთა, მღვდელთმოძღუართა, მამათა და ყოველთა ნმიდათადათა და მადლითა ნმიდისა იოვანე ოქროპირისადათა და ზრძანებითა ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ევთუქესითა ჩუენ გლახაკნი და წოდვილნი არსენი ნინონმიდელი და იოვანე გრძელისძე და ოქროპირი ღირს ვიქმენით დანერად ველითა ჩუენითა ნმიდათა ამათ ნიგნთა, თარგმანებულთა განმანათლებელისა ნმიდისა მამისა ჩუენისა ევთუქესთა ზერძელისაგან ქართულად, ნუგეშინისმკრემელად ქართველთა და სალორველად და სადიდებელად მამისა ევთუქესა, რომელი გამოჩნდა ჟამთა ამათ ყუანათა, სნორი პირველთა მათ ნმიდათა, და მამისა მიქაელისა და გიორგისა და ძმათა ჩუენთა სულიერთა და ჯორჩიელთა: და მოსაჯესენებლად სულისა კურთხეულისა მამისა იოვანესსა, რომელი-იგი არს ამის ყოვლისა კეთილისა მიზეზი, რომელმან განზარდა და განსწავლა მამად ევთუქე და ღირს-გუყვნა ჩუენ ესოდენთა კეთილთა, ღირსმერა არს სული მათი ნარყვალთა მათ კეთილთა: და მოსაჯესენებლად სულისა მოძღუართა, მშობელთა და ძმათა ჩუენთა სულიერთა და ჯორჩიელთა. ან ვისაერა მონინენ ნმიდანი ესე სულითა განმანათლებლნი და იკითხვიდეთ, გულისჯმა-ჰყოფდით შრომასა მამისა ევთუქესა ქართველთათჳს და ულორვიდით. და ჩუენ გლახაკნი მნერაღნი და სერაპიონ მმოსელი ღოოჯვასა მოგვჯესენეთ, ნმიდანო ღმრთისანო, ნათესავნო მომავაღნო, რამთა თქუენრა უფაღმან სასყიდელი მოგანიჳოს, ამენ.

ხოლო დანერა მათსა ნმიდასა ათონას, მონასტერსა ქართველთა ნმიდათა მამათასა – იოვანე და ევთუქესსა. ზერძულად დასაზამითგანნი ნელინი იყვნეს ხფივ, ინდიკტიონი ვ, ჟუარ-წყმითგან – შპგ, ქართულად დასაზამითგანნი ნელინი – ხქინ, ქრონიკონი იყო მერამეტედ მოქრეული სკჴ.

ხოლო ჩუენ ზედა მეუფებამ იყო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომლისადა არს დიდებამ თანა მამით და სულით ნმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი ით

სიტყუად ესე: „ეკრძალენით ქველისსაქმესა თქუნსა, რათა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათდა“ (6,1).

თარგმანი: ვინაფთგან მიუთხრა ყოველი წესი საღმრთოფსა მოქალაქობისა და უჩუენა გზად სისრულისა, ან კუალად ჴელ-ჰყოფს ვნებასა მასცა, ყოველთა ვნებათა უმძლავრესსა, უჩინო-ყოფად კაცთაგან, რომელ არს ცუდადმზუაობრობად, რომელი-იგი შეუდგს და თანაჰყევების მოქმედთა სათნოებისათა, რათამცა ცუდ-ყვნა შრომანი მათნი. ხოლო პირველითგან არარად თქუა ამისთვის, რამეთუ არცა საჴმარ იყო პირველ სწავლისა ყოფად კეთილისა თქუამად, თუ ვითარითა გონებითა უჴმს ქმნად. ხოლო ვინაფთგან ასწავლა სათნოებად, ან იოტებს ვნებასაცა, მავნებელსა სათნოებათასა, რამეთუ მაშინ მოვალს ესე ბრძოლად ჩუენდა, ოდეს ვაჩუენოთ მოლუანებად და მოქალაქობად სულიერი. და კეთილად ყო მაცხოვარმან: პირველად დაჰწერგა სათნოებად, და ან აღმოჰფხურის ეკალსა მას და კუროფსთავსა, განმავმობელსა სულიერისა მის ნერვისასა. და იხილე, ვინაფ იწყობ: მარხვისაგან და ლოცვისა და მონყალებისა, რამეთუ უფროფს ყოვლისა ამათ სათნოებათა თანა ჩუეულ არს ზუაობად მახლობელობად და განწყუნად მათისა მის სიკეთისა, ვითარცა ფარისეველსა მას შეემთხვა, რომელი იტყოდა: „ვიმარხავ ორგზის შაბათსა შინა და ათეულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა“;¹ და ლოცვასა მას შინა ზუაობდა და მაჩუენებლობით იქმოდა. და გულისჴმა-ყავ სიტყუად ესე უფლისაფ, ვითარ იწყობ, ვითარცა მჴეცისა რადსამე მძვნვარისათვს ანუ მჴარვისა ღამით მკრეხველისა. ესრეთ განგუაკრძალებს და იტყვს: „ეკრძალენით ქველისსაქმესა თქუნსა“, რამეთუ მჴეცი ესე და მჴარავი უცნაურად მოვალს და ყოველსა ნამუშაუკევსა ჩუენსა წარიჴარავს და საუნჯესა მას სულისა ჩუენისასა სრულიად ცარიელსა დაუტეობს.

ვინაფთგან უკუე მრავალი წარმოთქუა მონყალებისათვს უფალმან და ღმრთისა სახიერებად სახედ მოგუცა, რომელმან აღმოაბრწყინვის მზე ბოროტთა ზედა და კეთილთა,² და ყოვლით კერძო გუამცნო შემკობად სულთა ჩუენთაფ ყუავილითა მონყალებისაფთა, ამისთვის განგუაკრძალებს სიმყრალისა მისგან ზუაობისა და იტყვს: „ეკრძალენით ქველისსაქმესა თქუნსა, რათა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა“. და საგონებელ არს ორივე ესე ერთად – „წინაშე კაცთა“ და „სახილველად მათა“. გარნა არა ერთ არს, არამედ ფრიადითა სიბრძნითა და სახიერებითა განგუაკრძალებს, რამეთუ იქმნების წინაშე კაცთაცა არა სახილველად მათდა, და კუალად იქმნების არა წინაშე კაცთა სახილველად მათდა. ამისთვის არა საქ-

¹ლუკ. 18,12.

²შდრ. მათ. 5,45.

მესა მას, არამედ გონებასა გვრგვინისა გინა თუ საშჯელისა ღირს-ჰყოფს. რამეთუ უკუეთუმცა არა ესრეთ გამოწულილვით ეთქუა, მრავალნიმცა უდებ იქმნეს ყოფად მოწყალებისა, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს მარადის დაფარვად ქველისსაქმისად, რადთამცა ვერვინ იხილა. ამისთვის აღილებს ამას სიძნელესა და არა საქმესა, არამედ გონებასა მას მოქმედისასა მისცემს ბრალსაცა და მადლსაცა; და რადთა არა სთქუა, ვითარმედ: რად ვყო მე, უკუეთუ ვინ იხილოს? ამისთვის გეტყვს: არა ამას ვეძიებო, გარნა გონებასა შენსა და სახესა მას საქმისასა, რამეთუ მე სულისა შენისად მნებავს ვნებათაგან განწმედად; ამისთვის ვთქუ: „ეკრძალენით ქველისსაქმესა თქუენსა არა ყოფად წინაშე კაცთა სახილველად მათდა“. უკუეთუ სახილველად კაცთა იქმოდით, გინა თუ წინაშე კაცთა ჰქმნეთ, გინა თუ არა, ცუდ არს შრომად თქუენი და ამაო, რამეთუ სასყიდელი არა გაქუს მამისა თქუენისაგან ზეცათადასა. სრულიად განაგდო მაჩუენებლობისა საქმე და გამოაჩინა დიდი იგი ზღვევაჲ, ოდეს საქმე კეთილი ვქმნათ და სასყიდელი არა მოვილოთ. ხოლო მამადცა ზეცათაჲ ავსენა, რადთა უმეტესად საკდემელ-ყოს სიტყუაჲ იგი, რომელ სასყიდელი დაგუჭირდების; და სასყიდელი ვისგან? მამისა მისგან ზეცათადასა. და სამართლად, ვინაჲთგან იგი არს სასყიდლისმოძცემელი, და ჩუენ სხუათა ვერუენებით და არა მას, რომელი სასყიდელსა მოგუცემს. ესრეთ გვჩუენა რად ზღვევაჲ იგი და სავენებელი მაჩუენებლობისაჲ, კუალად განავრცელებს მოძღურებასა მას და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ხოლო რაჟამს იქმოდი ქველისსაქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რადთა იდიდნენ კაცთაგან. ამენ გეტყვ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი“ (6,2).

თ ა რ გ მ ა ნ ი: კეთილად და სამართლად ორგულ უწოდა მათ, რამეთუ გარეშე სახე მათი ჩანს, თუ ღმრთისათვის იქმან, ხოლო გონებაჲ მათი ქებასა კაცთასა ეძიებს; პირი მათი მოწყალებისად არს და გული მაჩუენებლობისად. აჩუენებენ, თუ მოყუსისა წყალობისათვის იქმან, ხოლო იგინი თვისისა ქებისათვის მისცემენ ქველისსაქმესა; ამისთვისცა მიუღებიეს სასყიდელი მათი მათგან, რომელთაცა ერუენებიან, რამეთუ არა მიცემასა საფასისასა ეწოდების ქველისსაქმე, არამედ ოდეს ვითარ-იგი ჯერ-არს, ეგრეთ მიეცემოდის.

ესრეთ გამოაჩინა რად მაჩუენებელთა ორგული ქველისსაქმე და საცნაურ-ყო, ვითარმედ მიუღებიეს აქავე სასყიდელი მათი, კუალად იტყვს, თუ ვითარ ჯერ-არს მიცემად ქველისსაქმისად; ისმინე და ისწავე, ძმაო:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქველისსაქმესა, ნუ სცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდის მარჯუენე შენი, რადთა იყოს ქველისსაქმე შენი ფარულად“ (6,3-4).

თ ა რ გ მ ა ნ ი: კულად აქა არა ჳელსა გუაუნყებს მარჯუენესა გინა მარცხენესა, არამედ ჳნებავს ჩუენებად, ვითარმედ ეგოდენ გარდამატე-ბულად თანანადებ არს ფარულად ქმნად ქველისსაქმისა, ვიდრელა შესაძ-ლებელ თუ იყო, რადთამცა თავსაცა შენსა დაუფარე, ნუ უდებ იქმნები; დალაცათუ ჳელთა მებრ შენთაგან, რომელნი ჳმსახურებენ ქველისსაქმესა, ძალ-გედვას დაფარვად, დაფარე, რადთა ვცნათ, ვითარმედ უკუეთუ თავ-თაცა თვსთაგან კეთილ არს დაფარვად, უკუეთუ შესაძლებელ იყოს, რად ვინ თქუას გარეშეთა კაცთათვს?

ხოლო არა ესრეთ არს ძალი სიტყვსად ამის, ვითარცა ვიეთმე თქუეს, ვითარმედ: მარცხენისა მიერ უკეთურთა კაცთა მოასწავებს, რადთა მათ არა ვაუნყებდეთ ქველისსაქმესა ჩუენსა; რამეთუ ბრძანებად მისი ყოველ-თაგან დაფარვასა ქველისსაქმისასა გუამცნებს: „რადთა იყოსო ქველის-საქმე შენი ფარულად“. და მერმე გვჩუენებს მომცემელსა მას სასყიდლი-სასა და მხედველსა დაფარულთასა, რადთა გულისწმა-გვყოს, ვითარმედ ყოველსა ადგილსა არს ღმერთი, და არარად დაეფარვის მას; და ვითარმედ საქმეთა ჩუენთა მოსაგებელი არა ამას საწუთროსა განწესებულ არს, არა-მედ საშინელი საბჭო მამელის, გან-რად-ვიდეთ ამიერ, და მოსაგებელი ყოველთა საქმეთა ჩუენთად, კეთილთაცა და ბოროტთაცა, მუნ დამარხულ არს, და არარად დაშთების მუნ გამოუცხადებულად, დალაცათუ კაცთაგან დაფარულ იყოს; რამეთუ ესე ყოველი მოასწავა სიტყვთა მით, რომელი თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულსა, მო-გაგოს შენ ცხადად“ (6,4).

თ ა რ გ მ ა ნ ი: დიდი და ჰატიოსანი სახილველი შეგიმზადა შენ, ვითარ-მცა გეტყოდა: რად გნებავს, კაცო, ესე გნადისა, რადთა ქველისსაქმესა შენ-სა მრავალნი ხედვიდენ? მე გიჩუენენე მხილველნი სათნოებისა შენისანი, არა ანგელოზნი ხოლო და მთავარანგელოზნი, არამედ თავადი ღმერთი ყოველთად ხედავს ქველისსაქმესა მას; უკუეთუ კაცთა ჩუენებად გნებავს, არცა იგი დაგაკლოს ჟამსა მარჯუესა, რამეთუ უკუეთუ ან უჩუენებდე კაცთა, ათსა კაცსა ანუ ოცსა, გინა თუ ასსა უჩუენო საქმე იგი, ხოლო აქა თუ ესწრაფო დაფარვად, მაშინ ქადაგოს ღმერთმან სათნოებად შენი, ოდეს შეკრბენ ყოველნი ანგელოზნი და კაცნი ერთბამად.

ან უკუე გნებავს თუ, რადთა კაცნი ხედვიდენ ქველისსაქმესა შენსა, დაფარე იგი ამას ჟამსა, რადთა მაშინ დიდითა ჰატივითა იხილონ იგი ყო-ველთა, ოდეს ღმერთი ქადაგებდეს მას და უჩუენებდეს შესაკრებელსა მას დიდსა; და წინაშე ყოველთასა გვრგვნოსან-გყოს, რადთა უკვრდეს ყოველ-თა ბრწყინვალებად შენი. ვინადთგან უკუე ესე ესრეთ არს და ღმერთი ხე-დავს ყოველსავე და ეგულების მას დღესა სასყიდლისაცა მრავალნილი-სა მოცემად და ყოველთა ზედა გამოცხადებად სათნოებათა შენთა, დიდი

უგუნურებად არს, უკუეთუ ერუენებოდი ხუთთა გინა ათთა კაცთა და იგი ყოველი დაგჭირდეს და გესმას: „მიგიღებოეს სასყიდელი შენი“.

არავისი ჯერ-არს უკუე ჩუენებად, გარნა მამისა მის ზეცათაჲსა, რომელი ხედავს დაფარულთა და უფალ არს გვრგვინისა მოცემად და სასყიდლისა მოუგონებელისა. უკუეთუ არა მას უჩუენოთ, არამედ კაცთა, ყოველივე წარვწყმიდოთ, ყოველივე დაგუჭირდეს, დალაცათუმცა დაჭირვებად არა იყო. არავე სიცოფე არს დატეობად სახილველისა მის უხილავთა მხილველთაჲსა და სახილველისა ამის ხილულთა და მოკუდავთა კაცთაჲსა რჩევად?

ვინ არს უბადრუკი იგი, რომლისა სიქველესა მეფე მივიდოდის ხილვად, და მან დაუტეოს იგი და წარვიდეს სახილველსა გლახაკთა და შეურაცხთა კაცთასა და მათ ერუენებოდის? ამისთვის უფალი გვბრძანებს არა ხოლო მაჩუენებლობისაგან რიდებად, არამედ ყოველითაცა მოსწრაფებითა დაფარვად ყოველთავე კეთილისაქმეთა ჩუენთა და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „და რაჟამს ილოცვიდე, არა იყო ეგრე, ვითარცა-იგი ორგულნი, რამეთუ უყუარნ შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედა დგომად და ლოცვაჲ, რადთა უჩუენონ კაცთა. ამენ გეტყვ თქუენ: მიუღებოეს სასყიდელი მათი. ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაჰჴაშ კარი შენი და ილოცვედ მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (6,5-6).

თ ა რ გ მ ა ნ ი: კუალად ამათცა ორგულად სახელ-სდებს, და სამართლად, რამეთუ იჩემებენ ღმრთისა მიმართ ლოცვასა და კაცთა ერუენებიან; არა მვედრებელთა უპყრიეს სახე, არამედ მოკიცხართაჲ, რამეთუ რომელსა ენების ქეშმარიტად ვედრებად, დაუტევის ყოველნივე და მას ოდენ ხედავენ, რომელი-იგი უფალ არს მოცემად სათხოელისა მის; უკუეთუ იგი დაუტეოს და სხუათა მოქენე იქმნას, მისგან ვერარად მოილოს, არამედ ცარიელითა ჴელითა მართლუკუნიქცეს, რამეთუ ესრეთ ინება მან.

ამისთვისცა არა თქუა უფალმან, ვითარმედ: არა მიიღონ ესევითართა მათ სასყიდელი, არამედ „მიუღებოესო“. ესე იგი არს, ვინაჲცა ეძიებდეს სასყიდელსა, მათ მიერცა მიუღებოეს. არა თუ ღმერთსა ესე ენება, არამედ თვისითა მით საუკუნოთა სასყიდლითა უნდა პატივ-ცემად მათი, ხოლო მათ ვინაჲთგან კაცთაგან ინებეს სასყიდელი, არლარა ღირს არიან ღმრთისაგან მიღებად, რამეთუ არა ენება მათ.

ესრეთ განაქიქა რაჲ და განაგდო მაჩუენებლობით და უნესობით ლოცვაჲ ადგილისათვსცა შესაკრებელთა და უბანთაჲსა და გონებისათვსცა მათისა კაცთმოთნისა და გამოაჩინნა იგინი, ვითარმედ სანყალობელ და საკიცხელ არიან, გუასნავლის ჯეროანსა მას წესსა ლოცვისასა და იტყვს: „შევედ საუნჯესა შენსა“. სთქუა შენ სადმე, ვითარმედ: რაჲ არს ესე, ეკლესიასა შინა არა ჯერ-არსა ლოცვაჲ? ჰე, ფრიადცა ჯერ-არს, და არავინ არს მაყენებელ, გარნა გონებითა ესევითართა, ვითარ-იგი ჰნებავს ღმერთსა,

რამეთუ მარადის და ყოველსა ადგილსა გონებისა საქმესა ეძიებს ღმერთი. უკუეთუ არა, დაღაცათუ საუნჯესა შეხვდე და მაჩუენებლობად გენებოს, შემძლებელ ხარ, და არარად სარგებელ გეყოს დაწმვითა კარისადათა, უკუეთუ ესრეთ ილოცვიდე, ვითარცა ორგულნი იგი, რადათა ეჩუენო კაცთა.

ან უკუე პირველ ყოვლისა გონებისა კარნი დაჰწმენ, რადათა არა შევიდეს მუნ სული ზუაობისა და მაჩუენებლობისა, და მერმე გინა თუ ეკლესიასა ილოცვიდე, გინა თუ საუნჯესა შენსა, ყოველივე კეთილ იყოს და სასმენელ ღმრთისა. უკუეთუ კულა სული ზუაობისა შეერთოს ლოცვასა თანა, ვერღარა ველ-ენიფების ლოცვასა მას სასმენელთა ღმრთისათა მიწენად. გარნა ამათ ესევითართა ბრძანებათა ზედა არიან ვიეთნიმე ესრეთ უგულისწმონი და უგუნურნი და ესრეთ უშუერებით აღასრულებენ ლოცვასა, რომელ დაღაცათუ გუამი მათი შინაგან სენაკისა არნ და არა იხილვებინ კაცთა მიერ, არამედ აღამაღლიან წმად და ყოველთა აუნყიან, ვითარმედ ილოცვენ, უწესოდ წმობდიან და ყვნიან თავნი თჳსნი სახითაცა და წმითა საკიცხელ ყოველთა.

არა ჰხედავა, ვითარ უბანთაცა ზედა უკუეთუ მთავარი ვინმე დიდებულნი ნარჰვლინ და მოუწდის გლახაკი თხოად, უკუეთუ სასტიკითა და სანყინოდათა წმითა მოუწდის, უფროსად შეჰრისხნის მას დიდებულმან მან; უკუეთუ კულა მდაბლითა და ღმობიერთა წმითა ევედრებინ, შეინყალის იგი და მისცის თხოვად მისი.

ან უკუე ჩუენცა ნუ სახითა ჯორციელითა კაცთა საჩუენებელად, ნუცა წმამაღლობითა ჯორჯისადათა აღვასრულებთამცა ლოცვათა, რაჟამს თჳსაგან ვილოცვიდეთ სენაკთა ჩუენთა, ავაჯითა და წმატკბილობითა სასმენელად კაცთა, არამედ მჭურვალეობითა გულისა და გონებისადათა ვილოცვიდეთ, გულითა შემუსრვილითა და სულითა სიმდაბლისადათა, დინებითა ცრემლთა მჭურვალეთადათა.

უკუეთუ იტყჳ, ვითარმედ: ელმის შინაგან გულსა ჩემსა და ვერ ძალმიც დუმილი, უწყოდე, ვითარმედ გულისა ღმობიერისა ლოცვად ესე არს, რომელ ესერა ვთქუ; რამეთუ მოსესცა ელმოდა და მჭურვალედ ილოცვიდა, გარნა წმად მისი არა ისმოდა. ხოლო ისმინე, რასა ეტყოდა ღმერთი: „რასა ჰღალადებო ჩემდა მომართ?“¹ წმად მისი არა ისმოდა ჯორციელად, ხოლო ესოდენ წმამაღლად ილოცვიდა სულითა, ვიდრელა ღმერთმან ჰრქუა: „რასა ესოდენ ჰღალადებ ჩემდა მომართ?“

ეგრეთვე კუალად ანაფსთჳს წერილ არს, ვითარმედ: ილოცვიდა, ცრემლნი მისნი დიოდეს, ხოლო წმად მისი არა ისმოდა; და ესოდენ ესმა ღმერთსა, რომელ მასვე ჟამსა მისცა თხოად მისი.²

ხოლო აბელი არა დუმილითა ოდენ, არამედ შემდგომად აღსრულებისაცა ილოცვიდა, და სისხლი მისი საყვრისა უძლიერესსა წმასა აღუტე-

¹გამ. 14,15. ²შდრ. 1 მეფ. 1,10-17.

ობდა.¹ ან უკუე შენცა, უკუეთუ გული გელმის, სულთ-ითქუენ, ვითარცა წმიდამან მან, რომელმან თქუა: „დავშუერი მე სულ-თქუმითა ჩემითა, დავბანო მარად ღამე ცხედარი ჩემი, ცრემლითა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტო“;² დაიპე გული შენი და ნუ სამოსელი შენი, ვითარცა იტყვს წინაწარმეტყუელი; ღრმითა მოხადე უფალსა, რამეთუ იტყვს: „ღრმითამო ვლალადებ შენდამი, უფალო“;³ სიღრმეთაგან გულისათა ასმინე უფალსა ჳმად შენი, საიდუმლო-ყავ ლოცვად შენი. არა ხედავა, ვითარმედ წინაშე მეფისა ყოველნი მონინებით და დუმილით დგანან? შენცა წინაშე მეუფისა მის მეუფეთაჲსა მდგომარე ხარ, არა ქუეყანასა ზედა არს დგომად ეგე შენი, არამედ ვითარცა ცათა შინა; ამისთვის ფრიადი გიჳმს შენ წესიერებაჲ, ფრიადი შიში და ძრწოლაჲ, ანგელოზთა თანამოდასე ხარ, მთავარანგელოზთა თანაზიარ, ქერაბინთა და სერაბინთა გალობასა ჳგალობ. ესე ყოველნი განწყობილნი, რომელნი ვაჳსენენ, რომელთა თანა განწყობილ ხარ შენ, დიდითა კრძალულებითა და წესიერებითა დგანან, დიდითა შიშითა და მონინებითა წმიდასა მას გალობასა ძლევისასა სანატრელითა მით ღალადებითა უგალობენ ყოველთა ღმერთსა და მეუფესა.

ამათ უწორცოთა ძალთა შეერთე, ძმაო, რაჟამს ილოცვიდე, და მათსა მას ჳბაძევდ წესიერებასა, რამეთუ შენცა არა კაცთა უგალობ და შეასხამ, არცა კაცთა ევედრები, არამედ ღმერთსა, რომელი ყოველგან არს და ყოველსა ხედავს, რომელსა თვნიერ ჳმისაცა ყოველივე ესმის, რომელმან დაფარულნი გულისანი იცნის! უკუეთუ ესრეთ ილოცვიდე შიშით და ძრწოლით და სასმენელად მხოლოდსა ღმრთისა, დიდი სასყიდელი მიიღო, ვითარცა ესერა მაცხოვარი გუასწავებს და იტყვს: „და მამად შენი რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“.

არა თქუა, თუ: მოგანიჭოს შენ, არამედ – „მოგაგოსო“, რამეთუ თანამდებად შენდა ჳყოფს თავსა თვსსა ღმერთი, ვითარმცა მიეღო რამე შენგან და თანადევამცა ნაცვლისა მოგებად, რადთა ესრეთ დიდად პატივ-გცეს შენ; ხოლო ვინადთგან იგი უხილავ არს, ეგრეთვე ჳნებავს, რადთა თხოვადცა შენი უხილავ იყოს, ვითარცა ესერა გზბრძანა. და სახეცა ლოცვისაჲ გუასწავა, თუ რად გჳჳმს თხოად ღმრთისაგან ლოცვასა შინა, და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყვთ, ვითარცა-იგი წარმართთაგანნი, რამეთუ ჳგონებედ, ვითარმედ მრავალმეტყუელებითა მათითა ისმინოს მათი. ხოლო თქუენ ნუ ემსგავსებით მათ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რად გიჳმს თქუენ, ვიდრე თხოვადმდე თქუენდა“ (6,7-8).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ოდეს-იგი მოწყალებისათვს იტყოდა, ცუდადმზუაობრობისა და მაჩუენებლობისაგან ოდენ განგუაკრძალნა და სხუად არარად

¹ დაბ. 4,10. ² ფსალმ. 6,7. ³ შდრ. ფსალმ. 129,1.

შესძინა, არცა თქუა, თუ ვინაჲ ჯერ-არს ქმნად ქველისსაქმისა ანუ ვითარ, – რაჲთა არა მონახუეჭისა და ნატაცებისაგან იყოს, არამედ შრომათაგან სიმართლისათა მოგებული, – რამეთუ ესე საცნაურცა იყო ყოველთა მიერ, და არა უჭმდა ამისთვის უწყებაჲ, და კუალად თავადმანცა ავსენა ზემორე, რაჲჟამს ჰნატრიდა მშიერთა და წყურიელთა სიმართლისათვს; ხოლო ან ლოცვისათვს რაჲ იწყოს სწავლად, წესსაცა გუაუწყებს, თუ ვითარ ჯერ-არს ლოცვაჲ: „ნუ მრავალსა იტყვოთ, ვითარცა-იგი წარმართთაგანნი“. ვითარცა ზემო ორგულნი მოიხუნა სახედ უწესობისა და მაჩუენებლობისა, ეგრეთვე აქა წარმართნი ავსენნა სახედ მრავალმეტყუელებისა, რაჲთა მიბაძვითა შეურაცხთა მათ და წარწყმედისა მეძიებელთა კაცთაჲთა გულის-ჴმა-გვყოს არა ბაძვად მათდა.

ხოლო რაჲ არს მრავლისმეტყუელებაჲ ესე? ყოველსავე ცუდსა და ამოსა სიტყუასა მრავლისმეტყუელება ეწოდების, ოდეს-იგი რაჲ არა ჯერ-არს, მას ვითხოვდით ღმრთისაგან. მრავლისმეტყუელება და ცუდადმეტყუელება არს, ოდეს ვითხოვდით ძლიერებასა და დიდებასა ჴორციელსა, სიმდიდრესა და ჴელმწიფებასა, ძლევისა მტერთასა და შურის-გებასა მოძულეთასა და სხუასა ყოველსავე ჴორციელსა და სოფლიოსა, ცუდსა და ამოსა საქმესა, რომელი არარას სარგებელ ეყოფოდის სულსა ჩუენსა. ამის ესევითარისა არარაჲსა ჯერ-არს ლოცვასა შინა თხოად, რაჲთა არა მრავლისმეტყუელებაჲ და ცუდადმეტყუელებაჲ შეგუერაცხოს.

„რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რაჲ გიჴმს თქუენ, ვიდრე თხოადმდე თქუენდა მისგან“. ამისთვის არა ჯერ-არს ესევითარისა მრავლისმეტყუელებისა ლოცვასა შინა შემოღებაჲ და თხოად, რაჲ-იგი არა ჰნებავს ღმერთსა, არცა არს სარგებელ სულთა ჩუენთა.

ხოლო ამას თანა ესეცა გუეხნავების, ვითარ ვჴგონებ, რაჲთა ოდეს-იგი ვდგეთ საუნჯეთა შინა ჩუენთა, რომელ არიან სენაკნი და ადგილნი ფარულად ლოცვისანი, და ვევედრებოდით ღმერთსა და ვითხოვდით მისგან წყალობასა და მოტევებასა ცოდვათასა, არა ვზრუნვიდეთ გრძელთა სიტყუათა შეწყობასა და ბევრეულისა სიბრძნისმეტყუელებისა შემზადებასა, არამედ მარტივითა და შემოკლებულითა სიტყუთა ღმობიერებისაჲთა ვითხოვდეთ ცრემლით და სულ-თქუმით წყალობასა და მოტევებასა ცოდვათასა და ცხორებასა სულთა ჩუენთასა.

არა ვიტყვ, თუ მოკლედ ვილოცვიდეთ ჟამითა, რამეთუ ლოცვაჲ სამარადისოჲ ბრძანებულ არს ჩუენდა, ვითარცა მოციქული იტყვს, ვითარმედ: „ლოცვასა განკრძალულ იყვენით“.¹ და კუალად იტყვს: „მარადის გიხაროდენ, მოუკლებელად ილოცევდით, ყოველსა შინა ჰმადლობდით“.² და თავადმან უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტე იგავითა მით მის ქურივისაჲთა, რომელი დაუცადებელად ვედრებითა აწყინებდა და შრომასა შეამთხუევდა

¹რომ. 12,12.

²1 თეს. 5,16-18.

უშიშსა მას მსაჯულსა, ვიდრემდის ლმობიერ-ყო იგი წყალობად მისა,¹ და კუალად სხვთა მით იგავითა შუალამეს მისრულისა მეგობრისადათა, რომელმან აღადგინა მწოლარე იგი სარეცელსა ზედა მიცემად მისა თხოად მისი არა მეგობრობისათჳს, არამედ წყინებისათჳს მისისა,² ამას გუასნავებს, რადათა დაუცხრომელად ვევედრებოდით მას, რაოდენცა ძალ-გუედვას. რამეთუ ლოცვად შემაერთებელი არს კაცისად ღმრთისა თანა, ლოცვად მცველი არს სინმიდისად, გულისწყრომისა მათებელი არს, ამპარტავნებისა დამამხობელი, ძჳრის-წსენებისა განმმედელი, შურისა განმაქარვებელი, სიცრუისა მკლველი, ღმრთისმსახურებისა კარი.

ლოცვად ძლიერებად არს სულისა და ჳორცთად, საჭურველი არს უძლვე-ველი, სიმტკიცე არს მშჳდობისად, შემაერთებელი არს განყოფილებისად, აღდგომად არს დაცემულთად და მდგომარეთა სიმყარე. ლოცვად ბეჭედი არს ქალწულებისად, საცოად არს სინმიდით ქორწინებულთად, საგზალი არს კეთილი მოგზაურთად, მცველი არს მძინარეთად და სიმწნე მლჳდარეთად, ნაყოფიერებად არს მუშაკთად, ნავთსაყუდელი არს ღელვაგუემულთად. ლოცვად თანაშემწე არს სინანულისად, განმწსნელი არს საკრველისა ცოდვათად-სა, განსუენებად არს დამაშურალთად, ნუგეშინისმცემელი არს მწუხარეთად, განმახარებელი მგლოარეთად და წესიერებად მხიარულთად. ლოცვად წარდგომად არს წინაშე ღმრთისა, განმღებელი არს კართა წყალობისათა, ხილვად არს უხილავთად, გულისწმის-ყოფად მიუწთომელთად, მოდასეობად ანგელოზთად, გზად არს სათნოებისად, მომაქცეველი არს ცოდვილთად, სასოებად არს მერმეთა მათ კეთილთად.

ამისთჳს ესევითარისა ამის კეთილისაგან არასადა ჯერ-არს დაკლებად, არამედ მარადის ვედრებად ღმრთისა, გარნა არა ესრეთ, რადათა სიმრავლესა შეწყობილთა და უღმობელთა სიტყუათა წარმოვიტყოდით, გულისაგან განგრილებულისა აღმომავალთა, და ვჳგონებდეთ, თუ მრავლისმეტყუელებისა მისთჳს შეისმინოს ჩუენი; რამეთუ არა თუ ამისთჳს წარვდგებით, რადათა ვასწაოთ მას, რად-იგი არა იცის, ანუ განვაზრახოთ, რომელსა არა მეცნიერ არს, რამეთუ აჳა ესერა გუესმა უფლისაგან: „რამეთუ იცისო მამამან თქუენმან ზეცათამან, რად გიწმს თქუენ პირველ თხოადმდე თქუენდა მისგან“. არა სწავლად უკუე მისა წარვდგებით, არცა უწყებად, რომელსა არა მეცნიერ არს, არამედ რადათა შეგვწყალნეს, რადათა დაგვტკბეს, რადათა მოგვტევენეს ცოდვანი, რადათა შემწე-მეყოს უძღურებასა ჩუენსა, რადათა გვწსნეს მძღავრებისაგან ეშმაკისა. ხოლო ამათ საქმეთათჳს არა სიმრავლე ჯერ-არს უღმობელთა და შეწყობილთა სიტყუათად (არა სიღრმითა გულისადათა, არამედ წუერიითა ენისადათა თქუმულთად), არამედ სიმჳურვალე უწმს ლმობიერთა და მარტივთა ვედრებათად, შეზავებულთად ცრემლითა და სულ-თქუმითა, და მდუღარეთად ცეცხლითა მით მჳურვალეებისა გულითადისადათა.

¹ ლუკ. 18,2-5.

² ლუკ. 11,5-8.

ესრეთ თუ ვილოცვიდეთ და ვევედრებოდით ღმერთსა გულითა მჭურვალითა, გონებითა წმიდითა და სულითა სიმდაბლისადათა, მსწრაფლ ისმინოს ჩუენი, ვიდრელა-იგი ვიტყოდით, გურქუას ჩუენ: ესერა აქა ვარ.

ხოლო ვინათგან გუასწავა, ვითარ ჯერ-არს ლოცვაჲ, ან კუალად იტყვს, რაჲ-იგი კეთილ არს ლოცვაჲ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ხოლო თქუენ ესრეთ ილოცევდით: მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა“ (6,9).

თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილეთ, ვითარ მეყსეულად განაღვძა გონებაჲ სინმიდით მლოცველისაჲ მის და დაწყებასავე ლოცვისასა მოაწსენა ყოველნივე ქველისმოქმედებანი, რომელნი ქმნა ჩუენ თანა? რამეთუ რომელმან ხადოს ღმერთსა მამად, ერთითა ამით სიტყვთა ყოველსავე აწსენებს და აღიარებს: მოტევებასა ცოდვათასა, და წსნასა სატანჯველთაგან, და სიმართლესა, და სინმიდესა, და გამოწსნასა, და შვილებასა ღმრთისასა, და მკვდრობასა სასუფეველისასა, და ძმად მხოლოდშობილისა წოდებასა, და სულისა წმიდისა მონიჭებასა და სხუათა მათ მიუთხრობელთა კეთილთა სიმრავლესა, რომელნი აჩუენნა ჩუენ ზედა ღმერთმან. რამეთუ რომელი არა ღირსქმნილ იყოს ამას ყოველსა, ვერცა ძალ-უც მას წოდებად ღმრთისა მამად თვსა. ორკერძოვე უკუე აღამაღლნა გონებანი მსმენელთანი უფალმან, დიდებულებისათვსცა მამად მათდა წოდებულისა და სიმრავლისათვსცა დიდთა მათ და მოუგონებელთა ნიჭთაჲსა, რომელთა ღირს იქმნეს საკვრველითა მით შვილებითა.

რამეთუ ვითარ არა აღივსოს კაცი სიხარულითა და განცკბრდეს განკვრეებითა, ოდეს მოიგონოს, ვითარმედ შვილ ღმრთისა ეწოდების და აუ-რაცხელთა მათ კეთილთა ღირსქმნულ არს მოკუდავი იგი და მინისაგანი?

ხოლო ოდეს თქუას: „რომელი ხარ ცათა შინა“, არა თუ მუნ შეწყუდე-ვასა მოასწავებს ღმრთისასა, რამეთუ ცაჲ და ქუეყანაჲ და ყოველნივე დაბადებულნი სავსე არიან დიდებითა მისითა, არამედ მეტყუელსა მას ლოცვისასა განაშორებს ქუეყანისაგან და აღამაღლებს ზეცად და მოქალაქობასა მას შინა ზეცისასა დაამკვდრებს და ამასცა ასწავებს, რაჲთა ზიარად აღასრულებდეს ლოცვასა თავისა თვისისათვს და ძმათათვს, რამეთუ არა ესრეთ ბრძანა თქუმაჲ: მამაო ჩემო, რომელი ხარ ცათა შინა, არამედ: „მამაო ჩუენო“, რაჲთა ზიარისა მისთვს ყოველთა გუამისა იქმოდის ვედრებასა და არა თავისა ხოლო თვისისასა გამოჰწნახვიდეს, არამედ მოყუსისაცა ყოვლადვე.

ხოლო ესევეთარითა ამით წესითა მტერობასაცა ყოველსავე დაჰწსნის, და ზუაობასა დაამდაბლებს, და შურსა განსდევნის, და სიყუარულსა შემოიღებს, დედასა მას ყოველთა კეთილთასა, და უწესობასა მას კაცობრივთა საქმეთასა განაქარვებს და გამოაჩინებს ფრიადსა მას სწორებასა პატივისასა, მეფეთა და გლახაკთასა, ზიარებითა მაღალთა მათ და დიდებულთა საქმეთაჲთა. რამეთუ რაჲ სავნებელ არს განყოფილებაჲ მინისაგანისა ამის

თვსებისად, ვინაფთგან თვსებითა მით ზეცისაგანითა ყოველნი ერთ ვართ და არავის აქუს რად უმეტესი მეორისა? არცა მეფესა აქუს უმეტეს გლახაკისა, არცა უფალსა – უმეტეს მონისა, არცა მთავარსა – უმეტეს გლეხისა, არცა მდიდარსა – უმეტეს დავრდომილისა, არცა ფილოსოფოსსა – უმეტეს უსწავლელისა; რამეთუ ყოველთავე ერთი აზნაურებად მოგუანიჭა და ყოველთავე სწორად ჯერ-იჩინა მამად ნოდებად.

ხოლო მოგუაწესენა რად ესევეითარი ესე სულიერი და ქეშმარიტი აზნაურებად და ზეგარდამოთა ნიჭთა მოღებად და სწორებად პატივისადა ყოველთა მორწმუნეთად და ქუეყანისაგან აღგუამაღლნა და გონებანი ჩუენნი ზეცად აღიყვანნა, ამის ყოვლისა შემდგომად გუასწავა, რად-იგი ჯერ-არს ღმრთისაგან თხოად.

კმა იყო დანყებადცა სიტყვსად გულისწმის-ყოფად ყოვლისა სათნოებისა მოყვანებად. რამეთუ რომელმან უწოდოს ღმერთსა მამად, თანააც ესევეითარისა მოქალაქობისა ჩუენებად, რადთა არა უღირსად გამოჩნდეს ნოდებისა მის; რომელმან არა წმიდა-ყოს თავი თვსი ყოვლისაგანვე ცოდვისა და ყოვლისაგანვე ბილნებისა სულისა და ჯორცთა და არა იღუანოს სავანე ყოვლისა სათნოებისა ყოფად სული თვსი, ვითარ იკადროს მან ღმრთისა მამად თვსა ნოდებად? რამეთუ ვერ შესაძლებელ არს უკეთურისა და არანმიდისა და ცოდვათა შინა განფრდილისა მამად ნოდებად სახიერსა მას და ყოვლადწმიდასა, უხილავსა და ნათელსა მას შინა სამარადისოსა მყოფსა. რამეთუ ძედ ნათლისა ეწოდების, რომელთა საქმენი ნათლისანი ჰქონან, ხოლო ვნებულთა და ბილნთა შვილ რისხვისა და წარწყმედისა სახელ-სდვა მოციქულმან.¹

ან უკუე ბრძანებითა ამით, რომლითა გვბრძანა უფალმან მამად ჩუენ-და სახელ-დებად ღმრთისა ლოცვასა შინა, სრულსა მას და მაღალსა მოქალაქობასა გუაუწყებს, რადთა ყოვლითავე საქმითა კეთილითა განვაბრწყინვნეთ სულნი ჩუენნი. და კმა იყო, ვითარცა ვთქუ, ესე ხოლო სიტყუად სწავლად ჩუენდა ყოვლისავე კეთილისა, არამედ აჰა ესერა სხუადცა წინაგვყო მოძღურებად სინმიდისა და გუაუწყა, თუ რად ჯერ-არს თხოად ღმრთისაგან, და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „წმიდა იყავნ სახელი შენი“ (6,9).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ღირს არს და მართალ ესევეითარისა ამის ლოცვისა შეწირვად ღმრთისა, რადთა რომელნი-იგი ღირს ვიქმნენით მამად ჩუენდა ნოდებად მეუფისა მის და დამბადებელისა, არარად იყოს პირველ ყოვლისა თხოად ჩუენი, გარნა მისი იგი დიდებად და ქებად და ამადლებად, და ესე იყოს ჩუენდა სანადელ და სასურველ უფროდს ყოვლისა.

რამეთუ სიტყუად ესე, თუ: „წმიდა იყავნ სახელი შენი“, ამას მოასწავებს, ვითარმედ: დიდებულ იყავნ და ქებულ და ამადლებულ, რამეთუ თვსი იგი

¹ შდრ. ეფეს. 2,3.

დიდება აქუს მარადის სავსებით და შეუცვალელებლად, ხოლო ჩუენ გკლის ბრძანებისაებრ უფლისა ვედრებად, რაათა ჩუენითაცა მოქალაქობითა იდიდებოდის, ვითარცა ზემორე იტყოდა, ვითარმედ: „ესრეთ ბრწყინევიდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაათა იხილენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“.¹ რამეთუ სერაბინნი ადიდებდენ მარადის ღმერთსა და ესრეთ იტყვან: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს“.²

ან უკუე საცნაურ არს, ვითარმედ „წმიდა იყავნ სახელი შენი“ ესე არს: იდიდენ სახელი შენი ჩუენ მიერ, ღირს-გუყვენ ესევითარისა სათნოებისა და სინმიდით ცხორებისა მოგებად, რაათა ყოველნი, რომელნი გუხედვიდენ, ჩუენ მიერ ადიდებდენ ყოვლადწმიდასა სახელსა შენსა, რამეთუ უძლურ არს ბუნება ჩუენი და ვერ შემძლებელ კეთილისა რაჲსმე თავით თკსით აღსრულებად, არამედ შენ მიერ უჭმს შენევენად.

ხოლო ვინათგან თავი ყოველთა კეთილთა ესე არს და სრულებაჲ ჭეშმარიტი, რაათა ესევითარი ცხორებაჲ ვაჩუენოთ, ვიდრელა ყოველნი ჩუენთა მათ საქმეთა მხედველნი გადიდებდენ შენ, და არა მოინიოს ჩუენ ზედა სიტყუად იგი, ვითარმედ: „ვაჲ არს მათდა, რომელთა მიერ სახელი ჩემი იგმოზვის წარმართთა შორის“,³ არამედ უფროჲსად ჩუენ მიერ იქებოდის და იდიდებოდის სახელი შენი; ამას ვითხოვთ შენგან და ამისთვის შეგივრდებით: წმიდა იყავნ და დიდებულ ჩუენ შორის სახელი მეუფებისა შენისაჲ, ნოდებული ჩუენ ზედა; გუყვენ ჩუენ შენეენითა შენითა უბინო, მართალ, განშორებულ ყოვლისაგანვე ბოროტისა, მეტყუელ ჭეშმარიტებისა და მოქმედ სათნოებისა, უმანკოებით და სინწფოებით მავალ და სიბრძნითა და მეცნიერებითა შემკობილ.

ესევითარი არს ძალი სიტყუსაჲ ამის, ვითარმედ: „წმიდა იყავნ სახელი შენი“, ვითარცა ესერა წარმოგითხარ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : „მოედინ სუფევაჲ შენი“ (6,10).

თ ა რ გ მ ა ნ ი : და ესეცა სიტყუად მონისა ერთგულისაჲ არს, რაათა არა შემსჭულულ იყოს გონებაჲ მისი სხუასა რაჲსმე ცუდსა და წარმავალსა და უცხოსა საქმესა, არცა ენებოს შორს-ყოფად ღმრთისა თკსისაგან, არამედ სუროდის ადრე ხილვად მეუფისა მის სახიერისა, რომელ ღირს იქმნა მამად თკსა ნოდებად და სუფევისა მის საუკუნისა მკკდრ-ყოფად.

ესე გულისსიტყუად გონებისაჲ არს წმიდისაჲ და სულისა განშორებულისაჲ ყოველთაგან საქმეთა წარწყმედისათა და განყოფილისაჲ სოფლიოჲსა ამის ვერაგობისაგან.

ამის მიმართ ტკბილისა მის მამისა და ღმრთისა და მეუფისა სურვიელ იყო ნეტარი პავლე და სუფევისა მისისა მოსლვად სწადოდა მარადლე; ამისთვის იტყოდა, ვითარმედ: „თუთ ჩუენცა, რომელთა-ესე პირველი ნაყო-

¹ მათ. 5,16.

² ესაია 6,3.

³ შდრ. ეზეკ. 36,20-22; რომ 2,24.

ფი სულისად გუაქუს, თვთ თავთა შინა ჩუენთა ვკუნესით და შვილებასა მას მოველით, გამოწსნასა ჯორცთა ჩუენთასა“.¹

რამეთუ რომელსა ესევეთარი ესე სურვილი აქუნდეს და მჭურვალე-ბითა მით საღმრთოთა მოტყინარე იყოს, მას ვერცა კეთილნი ამის სოფლისანი შემძლებელ არიან აღზუავენებად, ვერცა ჭირნი და განსაცდელნი დამდაბლებად, არამედ ვითარცა სიმაღლესა შინა ცათასა დამკვდრებული, ორკერძოდა ამის უწესობისაგან თავისუფალ არს.

და ამასცა გუასწავებს ძალი ამის სიტყვსაჲ: რამეთუ ვინაჲთგან კეთილისაგან მიდრკა ბუნებაჲ კაცობრივი ცოდვისა მიერ და ბოროტისა მიმართ მიიზიდვის ნებისაგან თვისსა, მიერთგან ბევრეულნი მიზეზნი ცოდვისანი გუეუფლნეს ჩუენ, და ვითარცა მტარვალნი უწყალონი და მბრძოლნი მრისხანენი, სიმრავლენი ვნებათანი გუენწყვებიან და ჰნებავეს ტყუე-ყოფად ჩუენი და ჯელითა სიკუდილისაჲთა სიღრმედ ჯოჯოხეთისა შთაჲდად.

ამისთვის სამართლად გვჭმს ვედრებად მოსლვად ჩუენ ზედა სუფევაჲ ღმრთისაჲ, რაჲთა ბოროტისა მის მძლავრებისაგან გვჭსნეს, რამეთუ შეუძლებელ არს სხვთა სახითა განრომად მწარისა მის ტყუეობისაგან, არა თუ ცხოელსმყოფელი იგი ძალი მოვიდეს სუფევაჲ ჩუენ ზედა. კეთილ არს უკუე და სამართალ, რაჲთა ვედრებით ვიტყოდით: მოვედინ სუფევაჲ შენი, მეუფეო, ჩუენ ზედა, და გვჭსნენინ სიკუდილისა მისგან სულიერისა, გვჭსნენინ ხრწნილებისაგან ცოდვათაჲსა და საკრველთა მათგან უკეთურისათა, ნულარამცა მიგყვანებს ეშმაკი ტყუედ ცოდვისა მიერ, არამედ მოედინ სუფევაჲ შენი ჩუენ ზედა, რაჲთა ივლტოდინ, რომელნი-ესე ან უფლებულ არიან ვნებანი, და ვითარცა მოაკლდის კუამლსა, მოაკლდეს, და ვითარცა ცკლი რაჲ დადნის წინაშე ცეცხლსა, ეგრეთ წარწყმდენ მაჭირვებლნი იგი ჩუენნი.²

მოვედინ სუფევაჲ შენი, რაჲთა უჩინო იქმნას ყოველივე განწყობილი წინააღმდეგომთაჲ, რაჲთა დაიწსნას ბრძოლად ჯორცთაჲ სულისა მიმართ, რაჲთა დაეცნენ ათასეულნი იგი და ბევრეულნი უკეთურთა ეშმაკთანი; ძლიერ არს ეშმაკისა მძლავრებაჲ, გარნა მათ ზედა ძლიერ არს, რომელნი ოჯერ არიან შენისა შეწენისაგან; ხოლო მო-თუ-ვიდეს ჩუენ ზედა სუფევაჲ შენი და ძალი და შეწენაჲ, მეყსეულად ივლტოდის ყოველი საღმობაჲ და მწუხარებაჲ და სულ-თქუმაჲ, და იყოს ცხორებაჲ და მშკდობაჲ და სიხარული.

რამეთუ უკუეთუ შენ ჰსუფევედე ჩუენ ზედა, მამაო სახიერო, ძითურთ და ყოვლადწმიდით სულით, და სავანე-ჰყო ჩუენ თანა, ნეტარ იყოს ჩუენდა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „იყავნ ნებაჲ შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა“ (6,10).

თ ა რ გ მ ა ნ ი : იხილვა შეწყობილებაჲ ესე შუენიერი ლოცვისაჲ? რამეთუ სურვილი გვბრძანა საუკუნეთა მათ კეთილთაჲ და უშფოთველისა მის

¹ რომ. 8,23.

² შდრ. ფსალმ. 67,3.

ცხორებისად, გარნა ამასცა ცხორებასა შინა მოსწრაფებად გუამცნო ბაძვად მოქალაქობასა მას ზეცისასა, რაათა ქუეყანად ცად იქმნას აღსრულებითა მას ზედა მცნებათა ქრისტესთათა.

ამისთვის განანესა ამის ჯერისათვისცა შეწირვად ვედრებისა ღმრთისა მიმართ, რამეთუ მოვიდეს თუ ჩუენ ზედა სუფევად მისი და შეწვენად, არა-რად იყოს დამაყენებელ აწვე მინვენად მოქალაქობასა მას ზეცისა მწედრო-ბათასა, და ვიდრელა ქუეყანასა ზედა ვიქცევით, საქმეთა ზეცას დამკვდრე-ბულთასა აღსრულებად.

ესრეთ უკუე გვბრძანებს ვედრებად ღმრთისა: „იყავნ ნებად შენი ვი-თარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა“; რაათა ვითარცა ზეცას დამკვდრებულნი იგი ბევრეულნი განწყობილნი არა რომელსამე ნებასა შენსა აღასრულებენ და რომელსამე გარდაჰვდებიან, არამედ ყოველთავე ბრძანებათა შენთა დაუკლებელად იქმან, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „ძლიერნი ძალითა, რომელნი ჰყოფენ სიტყუათა მისთა, სმენად ჴმად ბრძა-ნებისა მისისად. აკურთხევდით უფალსა ყოველნი ძალნი მისნი, მსახურნი მისნი, რომელნი ჰყოფენ ნებასა მისსა“;¹ ეგრეთვე ღირს-მყვენ ჩუენცა, ქუ-ეყანასა ზედა მყოფნი ესე კაცნი, ყოველსავე ნებასა შენსა აღსრულებად, და არა ერთკერძო აღსრულებად და სხვთ კერძო გარდასლვად, არამედ ესრეთ ქმნად ყოველთავე საქმეთა ჩუენთა, ვითარცა შენ გნებავს და ვი-თარცა შენდა სათნო არს, რამეთუ არარად ძალ-გვც თავით თვისით ქმნად კეთილი, უკუეთუ შენ არა შემწე და ჴელისამჰყრობელ გუექმნა.

ამისთვისცა, ვინაფთვან პირველითა მით ურჩებითა და ნეფსითითა მით განდრეკილებითა ჩუენითა განგემორენით შენ, აღივსო ცხორებად ჩუენი ყოველთავე ბოროტითა, და ნებად ბოროტისად მის მძლავრისად და კაცის-მკლველისა მის მტერისად აღვასრულეთ; არამედ ან მოვედინ შეწვენად მე-უფებისა შენისად ჩუენ ზედა, და ღირს-მყვენ ყოვლადწმიდისა მის ნებისა შენისაებრ სლვად. რამეთუ ვითარცა სახლსა შინა ბნელსა შე-რად-ვიდის ნათელი ბრწყინვალე, განაქარვის წყუდიადი იგი ბნელისად, ეგრეთვე უკუ-ეთუ ნებად შენი იყოს ჩუენ ზედა, ყოველივე ბოროტი და უწესო აღძრვად უკეთურთა მათ ნებათა ჩუენთად განქარდეს და უჩინო იქმნას, ნებათა მათ ვნებულთად, რომელნი მთესვარმან მან ლუარძლისამან დასათესნა ჩუენ შო-რის წარსაწყმედელად ჩუენდა; ხოლო ან იყავნ ნებად შენი ჩუენ ზედა, რა-თა მრავალნი იგი და ბოროტნი ნებანი და ვნებანი ივლტოდინ, და არმურ-მან საეშმაკოვსა მის ზრახვისამან ადგილი ჩუენ თანა არლარა ჰპოოს.

ხოლო ესეცა გულისჴმა-ყავ, ვითარ უბრძანებს კაცად-კაცადსა ლოც-ვად ყოველისა სოფლისათს წესიერად და ჯეროვნად, რამეთუ არა ესრეთ გუამცნო ლოცვად: იყავნ ნებად შენი ჩემ შორის ანუ ჩუენ ზედა, არამედ ყოველსა ქუეყანასა ზედაო, რაათა დაიწსნას საცთური და დაენერგოს

¹ შდრ. ფსალმ. 102,20-21.

ჭეშმარიტებად, რადთა განიდევენოს ყოველივე უკეთურებად და განეფინოს ღმრთისმსახურებად, და ესე რად იქმნას, არღარადთა განყოფილ იყოს ქუეყანად ცათაგან, დაღაცათუ ბუნებით განყოფილ არს, არამედ საქმითა მყოფნი იგი ქუეყანისანი იქმნენ ანგელოზ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : „პური ჩუენი არსობისად მომეც ჩუენ დღეს“ (6,11).

თ ა რ გ მ ა ნ ი : რად არს პური არსობისად? არსებისა ამის ჯორცთადსა დღითი-დღე გამოიზრდელი. რამეთუ ვინადთგან გვბრძანა ვედრებად, ვითარმედ: „იყავნ ნებად შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა“, ხოლო იცოდა სახიერმან მან, ვითარმედ კაცთა მიმართ არს მოძღურებად მისი, ჯორციელთა, რომელნი-იგი ბუნებითისა მის უძღურებისაგან ვერ შემძლებელ არიან უვნებლობასა მას ანგელოზთასა მიწვენად, ამისთვის, რომელ-იგი იცოდა, ვითარმედ შემძლებელ არს ბუნებად ჩუენი აღსრულებად, გუამცნო ბაძვად ანგელოზთა, ხოლო რომელი უზემთაეს იყო უძღურებისა ჩუენისა, მას ზედა შენდობა-ყო ჩუენდა და არა ძიება-ყო სრულიადი უვნებლობად ჩუენგან, რადთამცა არცა საზრდელი ვიჭმარეთ.

რამეთუ იცოდა, ვითარმედ არა შეგვნდობს ამას ყოფად მძლავრებად იგი ბუნებისად, არამედ საჭმარ არს ჩუენდა საზრდელი, რომლისათვისცა გვბრძანა სულიერად და წესიერად თხოად საზრდელისა; არა საფასეთა, ანუ სანოაგეთა საშუებლისათა, ანუ სამოსელთა მრავალსაყიდლისათა, ანუ სხვსა რადსმე ესევეთარისა, არამედ პურისად ოდენ გვბრძანა თხოად ლოცვასა შინა, და პურისა მდღევრისად, რადთა არარას ვზრუნვიდეთ ხვალისათვის. რამეთუ ამისთვის თქუა „პური არსობისად“, რომლითა დღითი-დღე არსებად ჯორცთად გამოიზრდების, და არა კმა-ყო ესე ხოლო სიტყუად, არამედ სხუადცა შესძინა: „პური ჩუენი არსობისად მომეც ჩუენ დღეს“; რომლითაცა გუასწავლის, რადთა არა შევჭმურვიდეთ თავთა ჩუენთა ზრუნვითა უმეტეს დღისა მის, რომელსა შინა ვიყვნეთ, რამეთუ რად საჭმარ არს ზრუნვად მომავალთა დღეთად, ანუ რადსა ვიურვოდით დღისათვის, რომლისა არა უწყით, თუ ვიხილოთ სარბიელი მისი?

ხოლო ესე ქუემორე უვრცესადრე გუაუნყოს სიტყუთა მით, ვითარმედ: „ნუ ჰზრუნავთ ხვალისა“, და სხვთა მრავლითა სწავლითა, რომლითა გუასწავებს არა შემსჭუალვად თავთა თვისთა ზრუნვათა ჯორციელთა, არამედ რადთა ვიყვნეთ თავისუფალ და სუბუქ სიმძიმისაგან მრავალთა ზრუნვათადსა და ფრთოან სარბიელისა მიმართ ზეცათადსა და ესოდენ ვჭმორჩილებდეთ ბუნებასა, რადენ-იგი ეძიებს თანანარუვალისა საჭმრისა იძულებად, რომელ არს საზრდელი იგი მდღევარი.

რამეთუ რომელმან მიგუანინეს ხვალისა დღესა, გინა მომავალთა დღეთა, მან საზრდელიცა გვზრუნოს. რომელმან აღმოაბრწყინვის მზე დღითი-დღე, რომელმან განაქარვის სიბნელე ღამისად, რომელი მოჰყვენს ჰაერსა სამშვნველად ჩუენდა, რომელსა უპყრიან ყოველნი არსნი წამის-ყოფითა

ძლიერებისა მისისადათა, რომელი ზრდის ყოველთა მცენარეთა ქუეყანისათა, მფრინველთა ცისათა და თევზთა ზღვსათა, რომელსა ყოველივე ძალუც და ყოველთა განაგებს, მისა საჭმარ არსა ჩუენი ზრუნვად საზრდელისა ჩუენისათკს? ნუ იყოფინ!

ამისთკს გკბრძანა, ვითარმედ: „ნუ ზრუნავთ ხვალისა“¹, ნუცა ითხოვთ ღმრთისაგან საშუებელთა და სიმდიდრეთა, არამედ პურისათკს ოდენ მდღევრისა შეწირეთ თხოად უძღურებისა თქუენისათკს და ნურარას უმეტეს ამისასა ჰზრუნავთ, ნუცა ითხოვთ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რად გიჭმს, და მან გიზრუნოს, ვითარცა ჰნებავს.

ესრეთ სიტყვთა ამით ლოცვისადათა გუასწავა, რადთა ყოველნივე თხოანი ჩუენნი ღმრთისა მიმართ იყვნენ, და რადთა არარას უმეტეს მდღევრისა მის და საჭიროდსა საზრდელისა ვითხოვდეთ. ხოლო ესე რად აღასრულა სულიერისა სწავლისა ლოცვად, მერმე სხუასა სახესა გკრუენებს აურაცხელისა მის სახიერებისა მისისასა.

ხოლო იცოდა უძღურებად და უდებებად ჩუენი, ვითარ-იგი შემდგომად ნათლის-ღებისაცა შემთხუევად იყვნეს ჩუენდა ცოდვანი; ამისთკს კაცთმოყუარებისა მისისათკს გკბრძანა თხოად მოტევეებისა ცოდვათადასა სახიერისა და მრავალმონყალისა ღმრთისაგან და თქუემად:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „**მომიტივენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა**“ (6,12).

თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილეა გარდამატებული ესე კაცთმოყუარებად? შემდგომად აჯოცისა ესოდენთა მათ ბოროტთადასა და მოცემისა ესევითართა მათ ნიჭთადასა უკუეთუ კუალად ვცოდოთ და შეუვრდეთ, შენდობასა ღირს-გუყოფს.

დიდებად მიუთხრობელსა მას მონყალებასა და სიტკბობასა მისსა! „ვინ-მე იტყოდის ძლიერებათა უფლისათა და სასმენელ-ყვნეს ყოველნი ქებულეზანი მისნი?“² ვინ უძღლოს ღირსებით გულისჭმის-ყოფად და მინთომად უფსკრულსა მას ძკრუჭსენებლობისა მისისასა? არაარსისაგან არსად მომიყვანნა, პატივ-გუცა უფროდს ყოველთა ხილულთა მათ დაბადებულთასა; არა შევიშუენეთ პატივი იგი, არამედ ნებსით ექსორია ვიქმნენით საშუებლისა მისგან ურჩებითა ჩუენითა და განვეშორენით სახიერსა მას დაბადებელსა ჩუენსა და ვჰმონეთ ბოროტსა მას და უკეთურსა მტერსა.

არა თავს-იდვა კაცთმოყუარემან მან მეუფემან ყოფად ჩუენი ესრეთ დაცემასა მას და წარწყმედასა შინა, არამედ მოვიდა ქუეყანად ნებითა მამისადათა და ჯორცნი შეიმოსნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და ყოველივე განგებულეზად ცხოვრებისა ჩუენისადა აღასრულა, ვიდრედა სიკუდილი დაითმინა სიკუდილითა მით ჯუარისადათა და ვნები-

¹მათ. 6,34. ²ფსალმ. 105,2.

თა მისითა ვნებანი ჩუენნი და ცოდვანი ავოცნა, და წყლულებითა მისითა წყლულებანი ჩუენნი განკურნა, და აღდგომითა მისითა დაცემულნი ესე აღმადგინა, ზეცას აღმიყვანა და სასუფეველი ცათად მოგუანიჭა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მოტევებად ყოველთავე ცოდვათად და ნმიდა-გუყვნა განბანითა მით მეორედ შობისათა.

ხოლო არა კმა-ეყო ესოდენი ესე მოუგონებელი და გამოუთქუმელი სახიერებად, რომელი ქმნა ჩუენ ზედა, არამედ ესერა მიბრძანა: შემდგომად ესევითარისა მის ქველისმოქმედებისა და განწმედისა მის წყლისა მიერ და სულისა მონევენულთათვისცა ცოდვათა შენდობისა თხოად, რამეთუ უკუეთუმცა არა შეგვნდობდა, არცამცა ებრძანა თხოად.

ხოლო ესე საცნაურ არს და ცხად, რომელ მორწმუნეთა და ნათელღებულთადა მოუცემიეს ლოცვად ესე და თხოად მოტევებისა. და ამას წამებენ ყოველნივე წესნი და კანონნი ეკლესიისანი, რამეთუ უნათლავსა არცა შეჰგავს ღმრთისა მამად თვსა წოდებად, არამედ ნათელღებულთად არს ლოცვად ესე.

ვინათგან უკუეთუმცა არს ესე ნათელღებულთა შეჰგავს, ხოლო უბრძანებთეს თხოვად მოტევებისა ცოდვათაჲსა, საცნაურ არს, ვითარმედ არს შემდგომად ნათლის-ღებისაცა შენდობად ცოდვათად სინანულისა მიერ.

და უკუეთუმცა არა ენება ღმერთსა უწყებად ჩუენდა ესევითარისა ამის საიდუმლოჲსა, არამცა განენესა ლოცვად ესე, არამედ ამისთვის ავსენნა ამას ლოცვასა შინა თანანადებნი, რომელ არიან ცოდვანი, და გვბრძანა მოტევებისა თხოად და გუასწავა გზად ადვილი და სუბუქი პოვნად შენდობისა, რადთა გულისწმა-გვყოს აურაცხელი იგი სიმრავლე მონყალებისა მისისაჲ, ვითარმედ არს შემდგომად ემბაზისაცა მონევენულთა ცოდვათა მოტევებად მის მიერ, უკუეთუ მჭურვალედ შევიწინოთ და ყოვლითა გულითა შეუვრდეთ.

მოგუაწვენნა თანანადებნი ცოდვათანი, რადთა სიმდაბლედ და შემუსრვილებად გულისად გუასწაოს; გვბრძანა მიტევებად თანამდებთა ჩუენთად, რადთა განგუათავისუფლენეს ყოვლისავე ძვრის-წსენებისაგან. აღგვთქუა ამის ნილ მოტევებად ჩუენთა მათ აურაცხელთა თანანადებთად, რადთა მოგუცეს ჩუენ სასობად კეთილი და გამოუთქუმელი კაცთმოყუარებად მისი გულისწმა-გვყოს ტკბილმან მან მეუფემან.

ხოლო ესე გულისწმა-ყავთ, ვითარ ყოველთავე სიტყუათა მიერ ყოვლადწმიდისა ამის ლოცვისათა სრულებად სათნოებისად ავსენა, და სრულებასა მას შინა სათნობათასა ძვრუწსენებლობადცა შეერთებულ იყო. რამეთუ სიტყუად იგი, ვითარმედ: „წმიდა იყავნ სახელი შენი“, სრულისა მოქალაქობისა მომასწავებელ არს; და „იყავნ ნებად შენი“ ამასვე გამოაჩინებს; და მამად წოდებად ღმრთისად უბინოდ და უცოდველად ცხორებისა გამომაჩინებელ არს. ამათ ყოველთა სიტყუათა თანა შეკრებობდა მიტევებადცა მოყუსისად ყოველთავე ბრალთად.

გარნა არა კმა-ეყო ყოველივე იგი, არამედ ენება გამოჩინებად, რაოდენ სათნო არს მისდა და საყუარელ საქმე ესე. ამისთვის სახელ-დებით და თქსაგან უფროს ყოვლისა ესე ხოლო სათნობა აწსენა ლოცვასა შინა.

და ესე მოგუცა მცნებად – მიტევება შეცოდებულთა ჩუენდა ყოვლისავე ბრალისა და ყოვლისავე თანანადებისა; და შემდგომად ლოცვისა ამის ესე ხოლო აწსენა მცნებად და თქუა: „უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან. უკუეთუ არა მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი“.¹

და კუალად სხუასა ადგილსა იგავით იტყვს მეუფესა მას, რომელსა წარმოუდგინეს თანამდები იგი ბევრეულისა შანთისა. და შეუნდო მას, რაჟამს დავარდა და ევედრებოდა; და მერმე, ექმნა რად იგი უწყალო მოყუასსა თქსსა, კუალად განურისხდა მეუფე და მისცა ჴელთა მტანჯველთასა.²

და ესრეთ საცნაურ არს, ვითარმედ დიდად სათნო არს ღმრთისა მიტევება მოყუსისა ბრალთა, ვიდრელა ჩუენ გუყოფს უფალ შენდობისა ცოდვათა ჩუენთადასა მოღებად მის მიერ, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: ესრეთ განგიკითხავ მე, ვითარცა შენ ჰყო თავისა შენისათვის განჩინება; უკუეთუ მიუტეო ბრალი მოყუასსა შენსა, მიიღო ჩემ მიერცა მიტევება ცოდვათა შენთა.

ან უკუე შენსა ჴელმწიფებასა შინა არს აწოცად ცოდვათა შენთა, გინათუ უმტიციცასად დანერად მათი. ისმინეთ ესე, და კაცად-კაცადმან მიუტევენ ყოველი ბრალი და ყოველი თანანადები მოყუსისა, რადთა მანცა ჰოოს მოტევება თქსთა მათ თანანადებთა.

და ან იხილე, კაცო, ვითარ არა სწორ არს ორივე ესე: რამეთუ შენ, მიუტევო თუ თანანადები, გიწმს უმრავლესისა მოტევება, და არა უსასყიდლო არს შენი ეგე საქმე, არამედ მცირედითა მრავალსა მოიყიდი; ხოლო ღმერთსა არარად უწმს შენგან, არამედ უსასყიდლოდ მოგმადლებს მოტევებასა ცოდვათასა. კუალად, შენ შეუნდობ მოყუასსა თქსსა და ძმასა, ხოლო ღმერთი შეგინდობს შენ, მონასა მაგას გლახაკსა; შენ თანაგაც უმრავლესი, ხოლო ღმერთსა არარად თანააც შენი, არამედ ეგრეთცა შეინირავს შენგან თანანადებსა მას ძლუნად და მოგცემს ნაცვალსა მრავალნილსა. ამისთვისცა მცნება ესე მოგცა, რადთა იქმნე შენცა სახიერ და კაცთმოყუარე და მიემსგავსო ქველისსაქმიითა და სათნობითა მით ძკრუქსენებლობისათა ღმერთსა. რამეთუ თანანადებთა მიტევება საქმე არს ღმრთისა, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: „არავის ჴელ-ენიფების მიტევება ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა“.³ ან უკუე რომელი ყოვლითა გულისითა მიუტევებდეს ბრალთა და თანანადებთა მოყუსისათა, მიემსგავსების იგი ღმერთსა ძალისაებრ თქსისა, და მოიღებს იგიცა მოტევებასა ყოველთა

¹ მათ. 6,14-15.

² მათ. 18,23-34.

³ შდრ. მარკ. 2,7; ლუკ. 5,21.

ცოდვათა თვსთასა. ამისთვის მოგცა მცნებად ესე, რადთა მიუთხრობელსა ამას კეთილსა ღირს-გყოს, რადთა გიწსნას უშუერებისაგან, მრისხანებისა და ძვრის-წსენებისა, რადთა შეგაერთოს ასოსა შენსა თანა, რამეთუ მოყუ-ასი შენი ასოდ შენი არს.

ვითარ უკუე იკადრო არა მიტევებად ყოველთა ბრალთა ასოდსა მის და ძმისა შენისათა, რად სთქუა? თუ უსამართლოდ რადმე გავნოა? ესე არს თანანადები და შეცოდებად. უკუეთუ არა, რომელი-იგი სამართლად რად-მე გავნოს, ესე არა შეცოდება არს ყოვლადვე, არცა თანანადებ. არამედ უსამართლოდ ქმულთა ბრალთა გიწმს შენდობად, რამეთუ შენცა ესევი-თართავე უსამართლოდ ქმნილთა ბრალთასა ეძიებ შენდობასა და მრავალ-თა თანანადებთა ითხოვ მოტევებასა; მიუტევენ ყოველნი თანანადებნი და შეუნდვენ ყოველნი ბრალნი მოყუსისანი, რადთა შეუძლო შენცა თქუმად ღმრთისა მიმართ: მომიტევენ თანანადებნი ჩემნი, ვითარცა მე მიუტევებ თანამდებთა ჩემთა; ვითარცა ვქმენ მე მოყუსისა მიმართ, ქმენ შენ ჩემ ზე-და, უფალო; ვითარცა მე მონამან ვყავ ჩემ თანამონისა მიმართ, ქმენ შენ ჩემდა მომართ, მეუფეო. მე გლახაკმან მივანიჭე, შენ მდიდარმან წყალო-ბითა არა მომანიჭოა?

ნუ მომწდი მე თანანადებსა, ვითარცა-ესე მე არა მოვჰჰადე თანამდებ-სა ჩემსა; შევისმინე მე ვედრებად მვედრებლისა მის ჩემისად, შეინირე შენ-ცა ვედრებად ჩემი; ვითარცა-იგი სიხარულით წარვგზავნე მე, ახარე შენცა სულსა ჩემსა. იგი ვინმე ჩემი თანამდები იყო, და მე შენი თანამაც, სახიერო; ვითარ-იგი მე ვაჩუენე მას წყალობად, შენცა მე მაჩუენე; შეუნდევ მას, შენცა მე შემინდვე; სახიერ ვექმენ მას, შენცა სახიერ მექმენ მე.

არამედ სთქუა, თუ: მძიმე არიან ჩემნი ესე შენდა მომართ ცოდვანი, ვიდრე მისნი ჩემდა მომართ, – ჰე, ჭეშმარიტად უწყი ესე და მეცნიერ ვარ. გარნა იგიცა შეჰრაცხე, თუ რავდენ უმდიდრეს ხარ შენ წყალობითა და ყოვლითავე კეთილითა, ჯერ-გიჩნდინ უკუე შემსგავსებულად ძლიერებისა და სიმდიდრისა წყალობათა შენთადასა მოცემად ჩემდა წყალობისა; მცირე-დი ვაჩუენე მე სახიერებად მოყუასსა მას, რამეთუ უმეტესი ვერ შემეძლო. ხოლო შენ რავდენიცა გენებოს, არა დაეყენების უხუად მომნიჭებელობი-სა მაღლი შენი, არამედ ყოველივე ძალ-გიც, რომელიცა გინდეს ყოფად, უფალო.

უკუეთუ გენამებოდის გონებად თქუმად სიტყუათა ამათ ღმრთისა მი-მართ, გესმას სახიერისა მისგან: ეჰა მონაო სახიერო და სარწმუნოო, მი-გეტევენ შენ ცოდვანი შენნი, წარვედ მშკდობით, გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს. ესრეთ გრქუას და ყოველნივე ჴელისწერილნი ცოდვათა და თა-ნანადებთა შენთანი აწოცნეს და მოგცეს შენ ჴელმნიფებად შვილ ღმრთისა ყოფად.

ხოლო უკუეთუ გარდამავალ ვიქმნეთ ამის სანატრელისა მცნებისა, ვად ჩუენდა იყოს, რაჟამს მივეცნეთ ჴელთა მტანჯველთასა, ვიდრემდე გარ-

დავიჯადოთ ყოველი იგი თანანადები ჩუენი. ხოლო პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ და შემდგომი იგი სიტყუად ლოცვისად ვისმინოთ და გულისწმაცყოთ, ვინად იწყო და სადა სრულ-ყო.

სახარება: „და ნუ შემყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიწნენ ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს სუფევად, ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ, ამენ“ (6,13).

თარგმანი: ამათ სიტყუათა მიერ კუალად სიმდაბლესა გუასწავებს ჩუენ, რადთა ვიცოდით უძღურება ჩუენი და ვევედრებოდით არა შესლვად განსაცდელსა; რამეთუ შორს რად ვიყვნეთ განსაცდელთაგან, არა ჯერ-არს შთაგდებად თავთა ჩუენთად, არამედ ვედრებად, რადთა არა შთავარდეთ, ხოლო მო-რად-ინინენ განსაცდელნი, მერმე ახოვნად გვკმს დადგომად, რადთა ორკერძოვე სათნობად ჩუენი გამოჩნდეს, სიმდაბლისა და სიმწნისად, და ორკერძოვე ეშმაკი იძლიოს ჩუენ მიერ, რომელი-იგი სავე არს ყოვლითა სიბოროტითა; ამისთვისცა ბოროტ ენოდების, და მისთვის ვიტყვთ, ვითარმედ: „გვწნენ ჩუენ ბოროტისაგან“. რამეთუ ეშმაკსა უწოდა ღმერთმან ბოროტ და გვბრძანებს დაუგებელისა ბრძოლისა ქონებად მისა მიმართ; არა თუ ბუნებით ბოროტად დაიბადა, – ნუ იყოფინ! – არამედ ნებსით შეიცვალა ბოროტად, და იქმნა ესე სახელი მის ზედა შემსგავსებულად ბოროტისა მის ნებისა მისისად. და ვინადთგან არად შემთხუეულ იყო მისდა ჩუენ მიერ ძკრი და ესრეთ სამარადისოდ ბრძოლად მიიღო ჩუენდა მომართ, ამისთვის გუამცნებს უფალი ლოცვად, ვითარმედ: „მიწნენ ჩუენ ბოროტისაგან“. არა თქუა, თუ ბოროტთაგან, არამედ „ბოროტისაგან“, რადთა ვცნათ, ვითარმედ იგი ხოლოდ არს ბოროტი და სხუად არავინ. არამედ დაღაცათუ შეგუემთხვოს კაცთაგან ძკრი, იგივე არს ყოვლისავე ბოროტისა მომპოვნებელი და მოქმედი, და მისა მიმართ გვკმს მტერობისა მოგებად, ვითარცა ყოველთა ბოროტთა მიზეზისა.

ხოლო აწსენა რად სახელი იგი მტერისად და შეურვებულ-გუყვნა მისთა მათ მანქანებათათვს და მრავალლონეთა ბოროტთათვს, რადთა არა უდებ ვიყვნეთ, არამედ მღკძარე და ფრთხილ ბრძოლასა შინა მისსა, კუალად განაძლიერებს და განამტკიცებს გონებათა ჩუენთა წსენებითა მეუფისა მის ჩუენისადთა, რომელი მარადის გუცავს და გუფარავს ჩუენ; და გვჩუენებს, ვითარმედ იგი არს ყოველთა უძლიერესი, და მისა მიმართ ვღალადებთ მონანი მისნი და ვიტყვთ: „რამეთუ შენი არს სუფევად, ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ, ამენ“.

ხოლო ვინადთგან მისი არს სუფევად, ძალი და დიდებად, არა გუეშინოდის ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ ღმერთი ჩუენ თანა არს, და ვერვის წელ-ენიფების წინააღდგომად მისდა, არამედ იგი მხოლოდ არს უფალი ყოვლისავე.

რამეთუ ოდეს გესმას, ვითარმედ: „შენი არს სუფევად“, ცან, თუ მბრძოლიცა იგი ჩუენი ერჩის მას. დაღაცათუ წინააღმდგომად საგონე-

ბელ არს მიშუებითა ღმრთისადათა ნუთერთ, არამედ მონად არს იგიცა შეურაცხი და რისხვეულად განვრდომილი და ვერვის ჰკადრებს ვნებად მონათა ღმრთისათა, არა თუ ზეგარდამო მოეცეს მას ჴელმნიფებად. და რად ვიტყვ მონათა ღმრთისათა? ვერცა თუ ღორთა ჰკადრა ვნებად, ვიდრემდე უფალმან არა უბრძანა, ვერცა სამწყსოთა ცხოვართა და ზროხათასა, ვიდრემდის ზეცით მიეცა მას ჴელმნიფებად მათ ზედა. ან უკუე დალაცათუ ბევრეულითა უძღურებითა დავრდომილ იყო, ნუ გეშინინ! ვინაფთგან ესე ვითარი გაქუს მეუფე ყოვლისავე შემძლებელი, რომლისადა არს სუფევაად, ძალი და დიდებად საუკუნეთა მიმართ, ამენ.

რამეთუ არა ხოლო თუ განსაცდელთაგან ჴელ-ენიფების ჴსნად შენდა, არამედ დიდებისაცა და ბრწყინვალეებისა დიდისა შემძლებელ არს მოცემად; რამეთუ ვითარცა ძლიერებად მისი დიდ არს, ეგრეთვე დიდებად მისი გამოუთქუმელ არს, და ყოველივე იგი საუკუნო არს და დაუსრულებელ. ესრეთ უკუე აღასრულა მოძღურებად ესე და ნესი ლოცვისადა და გუასნავა, ვითარ ჯერ-არს ლოცვად, ანუ რად გვჴმს თხოად, და განგუამტკიცნა, რადთა მისა მიმართ ვესვიდეთ და არა გუეშინოდეს ბოროტისაგან, რომელ არს ეშმაკი, არამედ შენვევნითა მისითა მძლე ვექმნათ მას.

ხოლო ვითარცა ზემო ვთქუ, ვითარმედ უფროს ყოვლისა საძულელ არს მისდა ძკრის-ჴსენებად და სათნო არს ძკრუჴსენებლობად, ამისთვის აღასრულა რად სწავლადა იგი ლოცვისადა, მეყსეულად ამის ჴერისათჴს შემოილო სიტყუად და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „უკუეთუ მიუტევენთ თქუნ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევენს თქუნცა მამამან თქუნმან ზეცათამან. უკუეთუ არა მიუტევენთ თქუნ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუნმან მოგიტევენს თქუნ შეცოდებანი თქუნნი“ (6,14-15).

თ ა რ გ მ ა ნ ი : კულად სახელი მამისადა აჴსენა, რადთა ძკრისმოჴსენე თუ ვინ იყოს, შეაშინოს არაშენდობითა ცოდვათადათა, უკუეთუ მან არა შეუნდოს შეცოდებანი მოყუსისანი, და შეარცხვნოს სახელის-დებითა მით სახიერისა მის მამისადათა. ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: არა გრცხუენისა, რომელი-ეგე ღირს-გყავ შვილ ღმრთისა ნოდებად, და ან გონებად მჴეცისადა შეგიმოსიეს? რომელი ზეცას ნოდებულ ხარ, და ქუეყანისასა ჴზრახავ? მე მადლითა უსასყიდლოდათა გყავ შენ შვილ ღმრთისა, ან თანაგაც შენცა საქმით მსგავსებად მისა, რამეთუ არარადათა შემძლებელ არს კაცი ესრეთ მიმსგავსებად ღმრთისა, ვითარ ოდეს-იგი შემნდობელ იყოს შეცოდებულთა მიმართ და ძკრუჴსენებელ მტერთა მიმართ.

ვისმინოთ ესე, ქრისტესმოყუარენო, შვილნო ეკლესიისანო, და გულისჴმა-ვეყოთ, ვითარმედ თანამდებ არს ესე ჩუენ ზედა – მიტევენებად შეცოდებისადა მოყუასთადა. ამისთვის ყოველნივე იგი სიტყუანი ლოცვისანი ზიარად გვბრძანა თქუამად: „მამაო ჩუენო“, და „იყავნ ნებად შენი ვითარცა ცათა

შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა“, და „პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ“, და „მომიტევენ თანანადებნი ჩუენნი“, და „ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა“, და „გვჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან“.

ყოველივე ლოცვაჲ ვითარცა მრავალთა მაგიერ განანესა აღსრულებად, რაჲთა კაცად-კაცადი ყოველთავე მოყუასთა და ძმათათჳს ილოცვიდეს, არა თავისა თჳსისათჳს ოდენ; და ესრეთ საკრველითა სიყუარულისაჲთა შევიკრნეთ ურთიერთას, და არცა თუ კუალი რისხვისა და ძკრის-ჴსენებისაჲ იქცეოდის ჩუენ შორის.

სწავლაჲ ით

ძკრუჴსნებლობისათჳს და წესიერად დგომისათჳს ეკლესიასა შინა

ან უკუე რავდენისა სატანჯველისა ღირს არიან, რომელნი ესევეითართა ამათ მცნებათა შეურაცხ-ჰყოფენ და არა ხოლო თუ გულსა შინა ძკრსა იჴსენებენ, არამედ სწყევენცა მოყუასსა და ყოველსავე ბოროტსა განიზრახვენ მისთჳს და ყოველითურთ მოსწრაფე არიან ქრისტეს მიერ დადებულისა ამის რჩულისა დაჴსნად; რამეთუ მან დიდითა სიმტკიცითა განანესა ესე და დიდად სათნო-იჩინა ჩუენი ურთიერთას შეერთებაჲ წესითა მით სულიერისა სიყუარულისაჲთა, რამეთუ სიყუარული არს ძირი ყოველთა კეთილთაჲ, და ესე მოგუცა მცნებად უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან; პირველად თავისა მიერ თჳსისა მოგუცა სახე მსგავსებისაჲ და მერმე სიტყვათაჲ მცნებათა მისთაჲთა გვბრძანა ურთიერთას სიყუარული.

ხოლო ვითარ მოგუცა თავისა მიერ თჳსისა სახე სიყუარულისაჲ? გულისჴმა-ყავ, რასა იტყვს წმიდასა სახარებასა შინა: „ესრეთ შეიყუარაო ღმერთმან სოფელი, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდშობილი მოსცა მას“;¹ და კუალად იტყვს: „ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, ეგრეთ თქუენცა იყუარებოდეთ ურთიერთას“.²

და ნანდკლვე დიდად შემყუარნა ჩუენ, ვიდრეღა სული თჳსი დადვა ჩუენთჳს, უკეთურთა ამათ და განდგომილთა მონათათჳს, და მომიყინდა პატიოსნითა სისხლითა თჳსითა წარწყმედისაგან და მონებისა მისგან ეშმაკისა, პატივსა მას მიუთხრობელსა ღირს-მყენა.

და ან დლითი-დღე აჩუენებს ქველისმოქმედებასა თჳსსა ყოველთაჲცა ზედა ზიარად და კუალად კაცად-კაცადსა ზედა, უკუეთუ გულისჴმავყოფდეთ, რამეთუ არავინ არს ცარიელ კეთილთაგან ღმრთისათა, არამედ რომელმანცა შემოიკრიბოს გონებაჲ თჳსი და ინებოს გულისჴმის-ყოფად ქველისმოქმედებათა მისთა, აურაცხელნი ჰოვნეს სიყრმიტგან მისით აღსრულებულნი მის ზედა ჴსნანი მრავალთა განსაცდელთაგან, მონიჭება-

¹ იოან. 3,16.

² იოან. 13,34; 15,12.

ნი კეთილთა ფრიადთანნი, სულიერთაცა და ჴორციელთა; და უკუეთუ ვინ უგულისწმოებით იწსენებდეს მონვენულთაცა მის ზედა განსაცდელთა და მწუხარებათა სოფლიოთა, მოეგენ გონებასა თვსსა და მოიწსენენ, თუ რავდენსა დღითი-დღე ცოდვასა შთავარდების, რავდენგზის განარისხებს სახიერსა მას უფალსა; და რადსათვს უცხო უჩნს, უკუეთუ იგიცა მოავლენს მცირედთა რათმე ჭირთა და განსაცდელთა საკურნებელად სენთა მათ, ცოდვისა მიერ მონვენულთა სულსა ზედა?

გარნა ესოდენ უგულისწმო ვართ და გულფიცხელ, რომელ ესევითარსა არარას გულისწმა-ვჰყოფთ, არამედ უკუეთუ რად ძნელოვანი, ანუ რადმე ჭირი, გინა თუ განსაცდელი შეგუემთხვოს, მას ვხედავთ და ვიწსენებთ და ვდრტვნავთ, ხოლო ცოდვათა ჩუენთა, რომლითა დღითი-დღე განვამწარებთ უფალსა, არა ვიწსენებთ ყოვლადვე. ხოლო უკუეთუმცა ერთისა მეზრდლისა ცოდვანი ჩუენნი გულისწმა-ვეყენით, ვითარცა ჯერ-არს, მაშინმცა ვცანთ, თუ რავდენთა ბოროტთა თანამდებ ვართ და რავდენთა განსაცდელთა და სატანჯველთა ღირს ვართ. რამეთუ თანანარვჰჰდე მრავალთა მათ და დიდთა ცოდვათა, რომელნი უკუეთუ ვის უქმნიან, იცნის გონებასა შინა თვსსა, რომელ არს კაცის-კლვად, სიძვად, მრუშებად და სხუანი იგი საქმენი ბილნებისანი, ანგაჰრებად და მოხუეჰად გლახაკთაგან და სხუანი მსგავსნი ამათნი; ესევითართა ამათ თანანარვჰჰდე, კაცად-კაცადსა უკუეთუ რად ამათგანი უძღვს, ამხილოს გონებამან მისმან, ხოლო მე დღითი-დღედნი ესე ვთქუნე: ვინ არს ჩუენგანი, რომელი არა უდებ იქმნა ლოცვასა შინა? ვინ არს, რომელი არასადა აღზუავნა? ვინ არს, რომელმან არა ძკრი უზრახა ძმასა თვსსა? ვინ არს, რომელმანმცა არასადა შეინყნარა ბოროტი გულისთქუმად? ვინ არს, რომელსამცა არასადა მიეხედნეს ვნებულისა თუალისა? ვინ არს, რომელსამცა არა მოეწსენა ძკრი რადმე მეორისად? და ესე ყოველნი საქმენი არიან ცოდვისანი და ღირსნი სატანჯველისანი; გარნა ამის ყოვლისა და სხუათა მათ მრავალთა ცოდვათა შენდობისა მოკლედ და ადვილი გზად გვჩუენა ჩუენ ღმერთმან, რომელსა შრომად ყოვლადვე არარად აქუს. რამეთუ რად შრომად აქუს შენდობასა შემანუხებელისა მოყუსისასა ბრალისა მის, რომელი აქუნდეს ჩუენდა მომართ? უფროსად შრომად და ჭირი და ურვად ფრიადი აქუს არაშენდობასა და მტერობისა დამარხვასა, ხოლო განთავისუფლებასა გულისწყრომისა და რისხვისაგან ფრიადი აქუს მხიარულებად და განსუენებად და ფრიად ადვილ არს ყოვლისავე, რომელსაცა ენებოს; რამეთუ არავის უწმს ამისთვს არცა ნიაღსლვად ზღუათად, არცა სლვად გზათად, არცა გარდასლვად მათათად, არცა წარგებად საფასეთად, არცა შრომად ჴორციელი, არამედ ნებად ოდენ საწმარ არს, და ყოველივე სრულ არს. ხოლო უკუეთუ არა შენ ოდენ იწსენებდე ძკრსა და არა შეუნდობდე ბრალთა მოყუსისათა, არამედ ღმერთსაცა ევედრებოდი, რადთა ბოროტი უყოს მას, სადალა გაქუნდეს შენ სასოებად ცხორებისად? რამეთუ ოდეს-იგი ჯერ-იყო, რადთამცა მონყალე-ჰყავ ღმერთი შენ ზედა

ყამსა მას ლოცვისასა, მაშინ უფროდსად განარისხებ მას: სახე გმოსიეს მვედრებელისა და სიტყუათა აღმოიტყვ მწეცისათა, რამეთუ დიდი ბოროტი არს წყევად მოყუსისად ლოცვასა შინა.

ამისთვისცა მოციქული პავლე იტყვს, ვითარმედ: „მნებავს აპყრობად წმიდად ჳელთა თვნიერ რისხვისა და გულისწყრომისა“.¹ რამეთუ უკუეთუ ყამსა მას ლოცვისასა ვერ ძალ-გიც მიტევებად შეცოდებათა მოყუსისათა, სხუად ოდეს-მე შეუძლო? უკუეთუ ოდეს-იგი შენდობისა ცოდვათა შენთაჲსა გიწმდა თხოვად, მაშინ მოყუასსა სწყევდე, ვითარ არა განრისხნეს ღმერთი შენ ზედა, რამეთუ რჩულსა მისსა შეურაცხ-ჰყოფ და მცნებათა მისთა გარდაჰწდები? მან ბრძანა, მიუტევეო მოყუასსა, რაჲთა მიგეტევენენ შენ ცოდვანი, და შენ უფროდსად მასვე ეტყვ: მიაგე ბოროტი მტერსა ჩემსა; ვითარ იკადრებ ამას ესევეითარსა სიტყუასა? არა თუ დაჰვიწყებებს მას სიტყუად თვსი, არა თუ არა აწსოვს, რაჲ-იგი გუამცნო, ამისთვისცა თავსა ზედა შენსა მოაწვე რისხვასა მისსა ესევეითარითა მაგით ძკრის-წსენებითა.

ვითარ უკუე იკადრო ზიარებად უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა მაგით გონებითა? ვითარ მოიკითხო ძმად შენი, რომლისათვს ღმრთისა წინაშე წყევად აღმოსთქუ? უწყოდე, უკუეთუ ამას იქმოდი, უძკრეს ხარ კაცისმკლველთასა. არამედ ისმინეთ, მორწმუნენო, და ესევეითარი ესე სენი სრულიად აღმოვფხურათ სულთაგან ჩუენთა და ვაჩუენოთ შემანუხებელთა მიმართ ჩუენთა წყალობად და სრულიადი ძკრუწსენებლობად, რაჲთა ვიქმნეთ მსგავს მამისა ჩუენისა ზეცათაჲსა; მოვიწსენნეთ ცოდვანი ჩუენნი, გულისწმა-ვყვენთ ბრალნი ჩუენნი კეთილად, რომელნი გკქმნიან საქმით და სიტყვით და გონებით, და ესრეთ ადვილ იყოს ჩუენდა ბრალთა მოყუსისათა მიტევებად, ვითარცა-ესე ჩუენ ვითხოვთ ღმრთისაგან მოტევებასა მრავალთა ამათ ცოდვათასა.

უკუეთუ უდებებანი ოდენ და უწესობანი, რომელნი გუქონან, წარვდგეთ რაჲ ლოცვად, მოვიწსენნეთ, რიცხვ მათი არა იპოოს. ვითარ შეურაცხებით და დაწსნილობით ვისმენთ სიტყუათა ღმრთისათა, და არცა თუ ვისმენთ, არამედ უბნობთ და ვლალობთ და ვიცინით და გულისსიტყუათა ბოროტთა ვიგონებთ; და არცა თუ ესოდენსა პატივსა ვაჩუენებთ სიტყუათა ღმრთისათა, ვითარ წიგნთა მათ მიწისაგანისა მეფისათა, რამეთუ აღმოიკითხვოდის თუ წიგნი მეფისაჲ, მთავარნი და ჳელმწიფენი შიშით ისმენენ, ხოლო აქა ბრძანებანი მეუფისა მის ზეცათაჲსა აღმოიკითხვიან, და ჩუენ უშიშად და უკრძალველად ვდგათ და არა გულისწმა-ვჰყოფთ კრებულისა მის პატიოსნებასა, რამეთუ ანგელოზნი და მთავარანგელოზნი კაცთა თანა შემოკრებებიან გალობად უფლისა, ვითარცა იტყვს წერილი: „აკურთხევდით საქმენი უფლისანი უფალსა; აკურთხევდით ცანი და ანგელოზნი უფლისანი უფალსა“;² რამეთუ არა მცირე არიან საკურველებანი

¹ შდრ. 1 ტიმ. 2, 8.

² შდრ. ფსალმ. 102, 20-22.

იგი, რომელი დღითი-დღე იქადაგებინ ეკლესიასა შინა, არამედ უაღრეს ყოვლისავე გონებისა და ცნობისა: დაჯსნა სიკუდილისა, ნამოტყუენვა ფოჯოხეთისა, განთავისუფლება ჩუენი მონებისაგან ეშმაკისა, შეკრვა მძლავრისა მის უკეთურისა; და ამას ყოველსა წინადაწარმეტყუელნი და მოციქულნი ქადაგებენ, და კუალად – კეთილთა მათცა საუკუნეთა, რომელნი განმზადებულ არიან მართალთათკს, და სატანჯველთა მათ, რომელნი დამარხულ არიან ცოდვილთათკს.

ესე ყოველი ეკლესიასა შინა იქადაგების, და ჩუენ უდებებით და დაჯსნილებით და გარენარად ვისმენთ, და ვითარმცა არა ჩუენდა მომართ იყოს სიტყუად იგი; და ამას თანა სხუათა მათ ბოროტთა ჩუენთა რიცხვ ვინ-მე წარმოთქუას? და ამას ყოველსა ზედა უკუეთუ ძკრის-ჯსენებაცა და მანკიერება შევსძინოთ, ვინ იყოს მწყალობელ ჩუენდა, ანუ რომელი სასოება გუაქუნდეს ცხოვრებისა? რამეთუ სხუათა მათ ცოდვათა ჩუენთათკს ღირს ვართ რისხვისა და ბევრეულთა სატანჯველთა, გარნა ღმერთი მრავლისა მის წყალობისა მისისათკს სულგრძელ არს ჩუენ ზედა და დღითი-დღე გუნწყალობს; უკუეთუ კულა ძკრის-ჯსენებისაცა გესლი იყოს ჩუენ თანა, რადღა სიტყუად მიუგოთ უფალსა?

ამისთკს გვედრები, საყუარელნი, ბოროტი ესე გესლი წარმოვსთხიოთ და გულნი ჩუენნი ესევითართა უკეთურებისა ზრახვათაგან განვიწმინდეთ, რადღა სანუთროცა ესე ცხოვრება მშკდობით და ყუდროებით წარვლოთ და, მი-რად-ვინინეთ მას საუკუნესა, ვპოოთ უფალი სახიერ და ტკბილ ჩუენდა მომართ, ვითარცა-იგი ჩუენ ვექმენით მოყუასთა ჩუენთა; და რომელი-იგი ვერ ვქმენით სრულიადითა ცოდვათაგან მოწყუედითა, ვპოოთ ძკრუჯსენებლობითა ძმათა მიმართ. რამეთუ უკუეთუ სახიერ და ძკრუჯსენებელ ვიყვნეთ, სოფელსაცა ამას საყუარელ ყოველთა კაცთა ვიქმნეთ, და ღმერთმანცა შემიყუარნეს ჩუენ და საუკუნეთა მათ კეთილთა ღირს-მყვნეს, რომელთა ღირსმცა ვართ მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ლორჯა-ყავთ გლახაკისა ეფთჳმისთკს, წმიდანო ღმრთისანო.

ესე ზემოა სიტყუად თჳთ მამისა ეფთჳმისა. ჩუენ კულა ვიტყუთ: ქრისტე. ძეო ღმრთისაო, აკურთხე და ადიდე ორსავე წხოვრებასა არა გლახაკი, არამედ დიდი და ნებისმყოფელი შენი მამა ეფთჳმე და დიდებულ-ყავ სული წმიდისა მამისა იოვანესი, ამენ.